The changes occurring in our life, have introduced certain changes in sphere of speech dialogue. For today nobody can call in question importance and necessity of oratorical abilities. Multi-party system formation in Azerbaijan, building of originally democratic society provides professional mastering by oratorical skills.



Марина Арошидзе
(Грузия)

ПРОБЛЕМЫ ПЕРЕВОДА ХУДОЖЕСТВЕННЫХ ТРОПОВ В ПОЭТИЧЕСКОМ ТЕКСТЕ

Язык художественной литературы, насыщенный большим количеством изобразительно-выразительных средств, весьма труден для перевода по сравнению с литературой технической или научной. Насколько сложнее понимание художественных текстов по сравнению с научными, настолько понимание поэтических произведений труднее по сравнению с прозаическими. Говорить прозой о поэзии очень трудно, потому что стихи воспринимаются сердцем, поражают нас накалом эмоций (не случайно один из сборников стихотворений Владимира Высоцкого назван «Нерв»). Еще труднее чувства и душу поэта раскладывать по полочкам, пытаюсь определить, что он имел в виду “в такой-то песне и в такой-то строчке”. Очень интересно ответил на этот вопрос сам Высоцкий:

“Что я имел в виду, то и написал. А как меня люди поняли, зависит, конечно, от многих вещей: от меры образованности, от опыта жизненного и так далее. Некоторые иногда попадают в точку, иногда — рядом. И я как раз больше всего люблю, когда рядом: значит было в песне что-то в глубине, в подсознании. Это и есть признак тайны поэзии, когда каждый человек видит в песне что-то для себя” (Высоцкий 1987:69).

Поэт даже пытался эту мысль развить в песне:

*Спасибо вам, мои корреспонденты,
что вы неверно поняли меня...*

Обратите внимание, не *читатели*, не *слушатели*, а *корреспонденты*. Иногда поэт называл их *единомышленниками*. И не случайно. Его духовный отец Булат Окуджава считал, что авторская песня (в отличие от развлекательной эстрадной песни) пишется думающими людьми для думающих людей (Высоцкий 1987:79).

Все вышесказанное свидетельствует об особой задаче, стоящей перед переводчиком поэтического текста – создать переводный текст, который окажет на инокультурного читателя схожее эмоциональное воздействие, передаст глубину подтекстового содержания и по возможности воссоздаст неповторимый колорит художественных тропов. При всем этом переводчик старается сохранить авторское видение мира, авторский стиль повествования, авторскую форму, а для этого он должен постичь неповторимость «авторского выбора».

Текстлингвистический анализ отличается от привычного стилистического анализа текста прежде всего тем, что стилистика определяет наиболее подходящую для данного стиля речи языковую единицу, а лингвистика текста изучает содержательную направленность выбора одной какой-либо формы из двух равновозможных в тексте (ЛЭС 1990:268). В процессе этого выбора автор ориентируется на цель коммуникации, подчиняя достижению этой цели выразительность всех разноуровневых средств.

Прежде всего анализ переводов стихотворений Владимира Высоцкого продемонстрировал их большую информационную насыщенность. Для поэтических откровений барда характерна высокая степень конденсации смысла, что объясняется рядом экстралингвистических факторов. В сравнительно небольших по объему произведениях поэт передает большой объем имплицитной информации, актуализаторо-

рами которой в тексте являются заголовки, посвящения, ключевые слова, эллиптические конструкции и пр. Высоцкий-поэт настолько своеобразен, что тропы, вырванные из контекста его стихотворений-признаний тускнеют, теряют свою силу, нейтрализуют заложенный в них глубинный подтекст. Только весь текст в единстве с необходимым минимумом фоновых знаний (о поэте, о времени...) дает представление о языке поэзии Высоцкого.

Перевод художественных тропов в поэтических миниатюрах поэта тем сложнее, что даже языковые, грамматические нюансы у Высоцкого обычно метафоризируются. Переводчику Александру Рою при переводе стихотворений Высоцкого на английский язык почти полностью приходится пропускать просторечные слова, диалектизмы, жаргонизмы, которые составляют очень яркий колорит анализируемых стихотворений. Например: *Coced oret, что он – народ*,

Что основной закон блюдет... (1987:52)

The neighbour then kicked up a stink:

"I'm people – who are you, d'you think?"

Доминантой поэтических текстов Высоцкого очень часто выступает просторечный глагол, не просто предикат, а предикат, обогащенный дополнительными смыслами, своеобразными коннотациями, столь трудными для перевода. С этой целью поэт часто прибегал к лексико-словообразовательным группам слов, получивших в русской лингвистике название способов глагольного действия. Но при всей выразительности подобных слов, переводчик не смог перевести подобные формы: *ошивалась, отспорил, доистребить, приплачу – заплачу, подкармливать и пр.* ввиду преобладания в английском языке аналитических форм:

Потом пошли плясать в избе,

Потом дрались не по злобе –

И все хорошее в себе

Доистребили (1987:52).

And then they danced till they would fall,

And then there was a free-for-all;

There might be good in them – that brawl

Was sure to kill it (1987:53).

Я стал тогда из жалости подкармливать Фортуну... (1987:128).

Then out of pity I began to feed her juicy morsels... (1987:129).

Разносистемный характер русского и английского языков объясняет перевод двух выразительных русских глагольных префиксальных форм одним английским словом:

Пойду к палачу, –

Пусть вздернет скорее,

А я приплачу.

Пойду к палачу, –

Пусть вздернет на рею,

Я заплачу (1987:128).

I should be strung up.

A job for the hangman –

*I'll pay for the job.
I'm getting fed up.
I'd swing from the gallows –
And pay for the job (1987:129).*

Высоцкий часто прибегал к эллиптическим конструкциям для конденсации текстовой информации, причем эллиптировал не только отдельные части высказывания, а целые реплики диалогических единств. Чаще всего поэт эллиптировал вопросительные реплики (как в стихотворении «Я все вопросы освещу сполна»), особым эмоциональным накалом обладают стихотворения, в которых эллиптируются не вопросы, а ответные реплики, как, например, в стихотворении «Белое безмолвие»:

*Почему ж эти птицы на север летят –
Если птицам положено только на юг?
Что же нам не жилось? Что же нам не спалось?
Что нас выгнало в путь по высокой волне? (1987:38).
Why are birds flying north, why are birds flying north,
When it's natural they should fly south?
So why couldn't we sleep in our warm beds at night?
What high way drove us forward, what fury and rage? (1987:39).*

Если при передаче художественно-образительных средств Рой испытывает очень сильные затруднения и часто прибегает к пропускам, то вопросно-ответные диалогические единства, синтаксическая структура стихотворений обычно не составляют проблему при переводе и переданы на английском языке довольно точно.

Язык поэзии Высоцкого особенно труден для перевода еще и потому, что поэт использует большое количество народных русских идиом, пословиц и выражений, очень тонко отражающих русскую ментальность, русское мышление, русский образ жизни. Большинство из них не имеют даже приблизительных эквивалентов в английском языке и поэтому просто пропускаются Роем: *как будто ветром сдуло, сунуть голову в пекло, во весь размах.*

Часть идиом переведены очень приблизительно, лишь отдаленно воссоздают описываемую в подлиннике ситуацию:

*Видал в гробу – he'd see in hell.
Развязал язык – the silence will not always last.
Гладит против шерсти – against the grain.*

Иногда же переводчик просто дословно переводит фразеологизм, что искажает смысл текста: так вместо выражения *взять тепленьким с постели* в английском переводе мы читаем:

*Чтоб не испытывал судьбу, -
Взять утром тепленьким с постели! (1987:168).
Then he might no more tempt his fate –
Drag from the warm bed in the morning! (1987:169).*

Высокая степень конденсации смысла в произведениях поэта объясняется частым использованием ключевых слов, необычайной комбинаторикой лексем, эллиптическими конструкциями, выразительными заголовками, посвящениями, очень тонким обыгрыванием коннотативных значений слов, что делает необходимым восприятие поэтических откровений Высоцкого в общем контексте жизни, осложняет процесс перевода и прагматической адаптации его поэтических откровений.

ლიტერატურა:

1. Высоккий 1987: Высоккий В.В. Четыре четверти пути. Москва.
2. ЛЭС 1990: Лингвистический энциклопедический словарь. Москва.

მარინე აროშიძე
მხატვრული ტროპების თარგმნის პრობლემები პოეტურ ტექსტში
რეზიუმე

მხატვრული ლიტერატურის ენა ძალიან რთულია სათარგმნელად, ვინაიდან გაუდენთილია ხატოვანი საშუალებების დიდი რაოდენობით. ვლადიმერ ვისოცკის პოეტური მინიატურების თარგმნისათვის აუცილებელია სამყაროს ავტორისეული ხედვის აღქმა, პოეტური ფორმისა და სტილის შენარჩუნება, ხატოვანი საშუალებების თავისებური კოლორიტის გადაცემა, რათა თარგმნილმა ტექსტმა წყარო ტექსტის ემოციური ზეგავლენა შეინარჩუნოს.

Marine Aroshidze
Problems of Translating Literary Tropes in the Poetic Context
Summary

The language of the fiction, rich with a large number of the stylistic devices, is extremely hard to translate in comparison with the technical or scientific literature. Understanding poetic texts compared to the prose is as difficult as understanding literary texts compared to scientific ones. Translator Alexander Roy, when translating poems of Visotky into English, had to nearly completely omit colloquialisms, dialect, jargon that comprises spectacular colouring of the poems analysed.

Dominant of Visotky's poetic texts often were the colloquial verb, not simply a predicate but a predicate enriched with additional meanings and specific connotations, which are far not easy to translate.

The high level of the condensation of the meaning in his poetry can be explained by frequent use of the key words, unusual combination of lexemes, elliptic structures, expressive titles, dedications, subtle play of connotative meaning of words, which makes it necessary to comprehend Visotky's poetic confessions in the overall context of life, complicates the process of translation, pragmatic adaptation of his poems.



Мака Качарава
(Грузия)

О НЕКОТОРЫХ НОВЫХ ЯВЛЕНИЯХ В РУССКОМ ЯЗЫКЕ

Большое количество новых русских слов не в последнюю очередь связано с динамикой языковой картины мира. В частности, есть целый ряд изменений, связанных с распространением ценностей общества потребления.

Для современной языковой ситуации характерно большое количество новых слов, многие из которых стремительно распространяются. Это не в последнюю очередь связано с динамикой языковой картины мира, в частности с существенным видоизменением целых ее фрагментов (2). В основном эти новые слова – кальки и заимствования. Заимствование (собственно лексическое заимствование или семантическая калька) – наиболее простой для языка способ оформить отсутствующий в нем концепт (5). На первый взгляд кажется, что происходит «засорение» языка, что заимствуются совершенно ненужные единицы, что возникают смешные и уродливые новации. Однако более внимательное изучение новых явлений показывает, что те из них, которые легко приживаются, заполняют смысловые лакуны, возникшие в русском языке в последнее время – время перемен. Можно, кроме того, заметить, что новые слова возникают не хаотично, а во многом в соответствии с определенными тенденциями разработки новых смыслов. Ср. об этом в статье [Левонтина, в печати]. Пожалуй, в русском языке последнего времени можно выделить три основных направления концептуальных изменений. Во-первых, это изменение ценностного статуса успеха и достижения (ср. в частности, новое сочетание успешный человек); во-вторых, изменение представлений о самооценке (ср. употребление слова амбициозный в положительном контексте) и в-третьих, это целый ряд изменений, связанных с распространением ценностей общества потребления. В настоящей работе речь идет преимущественно о некоторых изменениях этой последней группы.

Отдайся шопингу!

О глобализации, обществе потребления и Стендале

Сейчас многие возмущаются новым русским словом шопинг (2): опять схватили совершенно не нужное, есть ведь поход по магазинам или за покупками. Однако в действительности поход по магазинам и шопинг – совершенно не одно и то же.

В рекламном журнале авиакомпании Alitalia мне попала статья (3), которая началась словами: “Andare a comprare” e “fare shopping”... то есть «идти за покупками» и «делать шопинг» – и далее привожу сразу в русском переводе: «на первый взгляд эти выражения значат одно и то же, и тем не менее, не существует двух более непохожих занятий». Текст производил поразительное впечатление: казалось, что это перевод на итальянский русского текста, описывающего выражения русского языка. Вот вкратце, что там было написано. Идти за покупками – значит идти с целью купить нечто, в чем мы нуждаемся, туда, где мы рассчитываем купить это нечто по доступной или разумной цене. Перед началом сезона, рассказывает автор, мать проводила ревизию детской одежды и обуви, отец подсчитывал финансы, а потом составлялся список, кому из детей нужно купить новые ботинки, а кому позарез нужна куртка, а ботинки пока сойдут и старые. Потом следовал поход в магазин, где дети терпеливо примеряли указанные матерью вещи и, с трудом дождавшись окончания экзекуции, спешили вернуться к играм и другим важным делам. Никому не приходило в голову рассматривать мероприятие как удовольствие. Разумеется, все это не было шопингом. Иное дело, когда мы бродим по магазинам, как по музею, и покупаем вещи, которые заранее не планировали покупать, а то и такие, о существовании которых не имели ни малейшего представления, пока не увидели их в магазине. Шопинг – это времяпрепро-

вождение, праздник, игра, способ снятия стресса, способ познания мира, своего рода спорт (последнее касается особенно шопинга в период распродаж). Шопинг – это терапия и это мания. Наконец, автор выразительно описывает современные храмы шопинга – моллы начала третьего тысячелетия, которые являют собою целые города, с площадями и фонтанами, но – и тут обнаруживается, что глобализация все-таки пожрала еще не всё – но в этих мнимых городах человек не рискует испытать стендалевский синдром. Синдром Стендаля – это то, о чем всегда пишут в итальянских путеводителях. Стендаль якобы потерял сознание от красоты церкви Санта Кроче во Флоренции. Идея болезненности чрезмерно острого эстетического переживания – это то, что вряд ли пришло бы в голову упомянуть русскому автору, взявшемуся писать о шопинге. Страх быть травмированным избытком красоты не входит в принятую в русской культуре номенклатуру человеческих фобий. Да оно и понятно – у нас ведь не Италия.

В остальном же все нам близко. И про подростков, которые тусуются в торговых центрах, хотя у них и денег-то почти нет. Просто это среда, в которой жизнь современного подростка обретает смысл и ценностные ориентиры.

Английское слово shopping попало не только в итальянский и русский, но и во многие другие языки, причем мне кажется, что в языках-реципиентах оно обрело даже больший концептуальный накал, чем в английском. Как получается, что в разных языках с этим словом связывается практически одинаковый круг идей? Ведь его и словари-то пока плохо фиксируют. Видимо, это те идеи, которые в современном обществе потребления кодируются и транслируются самыми разными способами. Ничего удивительно, что человек их вольно или невольно считает и ассоциирует с глуповатым словом шопинг.

Доказательство любви/ О дисконтных картах

Как только в нашу жизнь пришла конкуренция, вместе с ней появилось и все, что служит привлечению клиентов вообще и постоянных клиентов в особенности, в частности дисконтные карты. Необходимо было как-то обозначить эти карточки и этих клиентов. Можно, конечно, клиентов никак не называть, а карты именовать просто, карта такого-то магазина, серебряная, золотая, платиновая карта, клубная карта. Бывает еще VIP-карта – причем VIP – это уже характеристика клиента. Есть и другие варианты. По-английски бывает чаще всего loyal, valued или preferred customer. Слово loyal создает определенные трудности – как написать верный, преданный покупатель? Немного чересчур патетически. Таких карточек я не встречала, хотя они, возможно, существуют. Вообще же вместо loyal customer стали писать просто постоянный покупатель, хоть это и несколько невыразительно. Например, на дисконтной карте магазинов «Stockmann» так и значится: loyal customer – и выше по-русски: постоянный покупатель. Казалось бы, невозможно написать: лояльный покупатель. По-русски это значило бы, что этот покупатель не ворует с полок и не говорит о своем придворном магазине гадости направо и налево. Кроме того, слово лояльный сейчас часто употребляется в значении ‘толерантный’ (лояльное отношение к недостаткам) [см. Левонтина, в печати]. В этом смысле лояльный покупатель – это тот, кто терпеливо сносит несвежие продукты, завышенные цены и хамство кассиров. Такого действительно стоит привечать! Впрочем, оказалось, что не всем такое сочетание кажется смешным. Например, баскетбольный магазин «Ситислэм» сообщает: «Карта лояльного покупателя выдаётся при покупке на сумму 7000 руб. в течении одного дня. <...> Два раза в год проводятся акции для лояльных покупателей». Да и у сотового оператора «Мегафон» есть бонусная программа для лояльных клиентов.

С формулировками valued (‘ценный, высоко ценимый’) и preferred (‘предпочитаемый, привилегированный’) customer тоже все непросто. Довольно много привилегированных клиентов, но все же как-то это слово ассоциируется со спецраспределителями, спецпайками и чем-то незаконным (что соответствует и его происхождению). Кому-то это приятно, но не всем и не всегда. А в сочетании ценный клиент и вовсе есть что-то охотничье.

Но в последнее время русский прослеживается новая тенденция. Дело в том, что Русскому языку, как известно, присуща эмоциональность (3). Поэтому российскому покупателю приятнее всего не экономия, не привилегии, а хоть намек на персональное сердечное отношение и всплеск чувств. Эта простая мысль все чаще реализуется в рекламных кампаниях: Мега – шоппинг от всего сердца, Спортмастер – эмоции в подарок и т. д. С карточками реализуется та же тенденция. Теперь покупатель уже оказывается не просто постоянным, не лояльным, что бы это ни значило, а просто – любимым: Карта Любимого покупателя Обувного центра "Zenden"; Торговая сеть «Пятерочка»: Дисконтные карты «Любимый покупатель». К подобным картам существуют, например, такие пояснения: «Стать Любимым Гостем? Легко! Вы можете стать Любимым Гостем уже при первом посещении заведений компании "Малахит". Для этого Вам достаточно обратиться к менеджеру и получить анкету на получение карты участника Программы "Любимый Гость". Обратите внимание: карта получается бесплатно!»; «"Карта Любимого клиента" Дает право на скидку при покупке товаров/заказе услуг в розничной сети General Satellite в размере 3%. <...> "VIP-карта" дает право на скидку при покупке товаров/заказе услуг в розничной сети General Satellite в размере 5% <...> "Карта Любимого клиента" обменивается на "VIP – карту" при совершении повторной покупки на сумму более 50 у.е. (за вычетом 3% скидки). "Карта Любимого Клиента" при этом у покупателя изымается». Интересно, что в этой иерархии особо важная персона выше любимого.

Разумеется, всем понятно, что на самом деле карты типа "Любимый клиент" имеют мало отношения к любви. Тем не менее, подобная номинация показательна.

Дешевая распродажа/О ценах и ценностях

Когда пришли новые времена, русский язык, как, впрочем, до него и другие языки, столкнулся с проблемой. Любой продавец понимает, что в норме человек стремится отдать за вещь не больше денег, а меньше. Однако не все равно, как эту идею выразить. Очевидно, что приятнее купить вещь по относительно низкой цене, если над ней написано не уцененные товары, а специальное предложение. Русское слово дешевый сомнительно с точки зрения привлечения покупателей. Мало денег отдать, конечно, приятно, но дешевизна как-то связана с убожеством, низким качеством, ширпотребом и т. п. Существуют и презрительные производные дешежка, дешевенький.

Например, в немецком языке, кроме столь же уничижительного слова billig ('дешевый'), есть и несколько не компрометирующее покупателя слово günstig – то есть не то чтобы дешевый, но имеющий оптимальное соотношение цены и качества. Как только в России появился новый капитализм, вместе с ним родилась и потребность в таком же русском слове.

Для указания на невысокие цены в современной русской рекламе используются разные прилагательные: цены бывают выгодные, выигрышные, разумные, смешные, сумасшедшие (именно не в смысле 'высокие', а в смысле 'низкие'), демократичные и даже либеральные, а также доступные и бюджетные. У каждого из этих слов свои особенности с точки зрения рекламной привлекательности. Например, слово выгодный не очень хорошо в том смысле, что в русской языковой картине мира выгода имеет отрицательные коннотации. Выигрышный связано с игрой, а значит, вызывает представление о случайности, ненадежности. Остановимся подробнее на двух последних из перечисленных слов.

Сначала, в первые годы развития нового русского капитализма, очень активно стало употребляться слово доступный. В нем явно отразились утопические представления о том, что стоит объявить отменить 6-ю статью и объявить свободу, как у каждого появится автомобиль. Доступный – кому? И если товар доступный, как он одновременно может быть, например, эксклюзивным? Сначала об этом не думали, да и сейчас думают не всегда. Вот несколько примеров: Интернет магазин парфюмерии duxi.net – это сертифицированный парфюм и туалетная вода от лучших производителей парфюмерии и косметики по

доступным ценам; Меховой салон Эль Тападо – шубы из натурального меха по доступным ценам; Dell Inspiron 1300 – наилучший выбор практичного портативного компьютера по доступной цене! 849 у.е.; YES!: эксклюзивный родстер по доступной цене. Один из немецких автомобильных ВУЗов представил на женевском автосалоне родстер и купе, которые, совместно с одной из немецких компаний планируется запустить в мелкосерийное производство. Ориентировочная стоимость базовой версии составляет 75.350 евро. В каком смысле сумму 75.350 евро можно назвать доступной?

Однако внутренняя форма слова доступный очень прозрачна, поэтому абсурдность подобных употреблений все же бросается в глаза. Кроме того, с точки зрения рекламных возможностей слово доступный имеет еще более серьезный недостаток. Слово доступный подразумевает, что адресат данного рекламного сообщения стремится купить более дешевый предмет потому, что на более дорогой у него нет денег. Многих людей это не привлечет, а оттолкнет.

В последнее время в нужном значении все более активно используется слово бюджетный. Раньше говорили только бюджетный профицит, бюджетное финансирование, бюджетные организации. Теперь же мы слышим и читаем: бюджетная видеокамера, бюджетный ноутбук, бюджетный тур, бюджетная цена. Что такое бюджетная видеокамера? Это вовсе не значит плохонькая, дешевенькая, послезавтра сломается. Бюджетная – значит в ней есть необходимые функции и нет лишних элементов, увеличивающих стоимость, так что если вы не профессионал, и если вам действительно нужна камера, а не повод похвастаться, и если вам не все равно, сколько за нее платить... В слове бюджетный нет идеи, что адресата мало денег. Человек, может, и за десять тысяч таких камер мог бы заплатить, но он запланировал потратить на эти цели такую-то сумму, а намного больше платить считает нецелесообразным.

Новое значение прилагательного бюджетный заимствовано из английского языка, в котором слово budget употребляется еще более широко. Например, по-русски пока не говорят о бюджетных шлепанцах. Ср.: Budget slipper. Good quality sheepskin slipper at a budget price. Leather heel support. Strong vinyl outsole. Years of comfort. Great price. Beige only. У нас бюджетными все-таки бывают достаточно дорогостоящие вещи. Тем не менее, шансы у русского слова бюджетный, по-моему, неплохие.

Литература:

1. Вежбицка А. Язык. Культура. Познание. М., 1996.
2. Зализняк Анна А. О семантике щепетильности («обидно», «совестно» и «неудобно» на фоне русской языковой картины мира). //: Логический анализ языка. Языки этики. М., 2000.
3. Зализняк Анна А., Левонтина И.Б., Шмелев А.Д. Ключевые идеи русской языковой картины мира. Серия: Язык. Семиотика. Культура. М.: Языки славянской культуры 2005.
4. Крысин Л.П. Лексическое заимствование и калькирование в русском языке последних десятилетий // Вопросы языкознания. 2002 № 6.
5. Левонтина И. Б. Заимствования в современном русском языке и динамика русской языковой картины мира // Сборник статей в честь Е. В. Падучевой, в печати.
6. Санников А. В. Самооценка человека в русской языковой картине мира. Автореферат диссертации на соискание ученой степени кандидата филологических наук. М., 2006.

მაკა კაჭარავა ახალი მოვლენების შესახებ რუსულ ენაში რეზიუმე

ახალი რუსული სიტყვების უმრავლესობა დაკავშირებულია სამყაროს ენობრივ სურათთან, კერძოდ, არსებობს ცვლილებების მთელი რიგი, რომლებიც უკავშირდება საზოგადოების მომხმარებელთა ფასეულობებს.

თანამედროვე ენობრივი სიტუაციისათვის დამახასიათებელია ახალი სიტყვების დიდი რაოდენობა, რომლებიც სწრაფად ვრცელდება. ეს დაკავშირებულია სამყაროს ენობრივი სურათის დინამიკასთან, მისი ფრაგმენტების არსებით ცვლილებებთან. ძირითადად, ესენია კალკები და ნასესხები სიტყვები. სესხება (საკუთრივ ლექსიკური სესხება ან სემანტიკური კალკი) წარმოადგენს ენისათვის ყველაზე მარტივ ხერხს მასში არარსებული კონცეპტის გაფორმებისათვის. ერთი მხრივ, ჩანს, რომ ხდება ენის „დაბინძურება“, უსარგებლო ერთეულების სესხება, სასაცილო და მახინჯი ნოვაციების წარმოქმნა. სინამდვილეში კი, ის სიტყვები, რომლებიც ადვილად იმკვიდრებენ ადგილს, ავსებენ იმ შინაარსობრივ ლაკუნებს, რომლებიც გაჩნდნენ რუსულ ენაში ამ უკანასკნელ, ე.წ. ცვლილებათა პერიოდში. ასევე თვალსაჩინოა, რომ ახალი სიტყვები არ ჩნდებიან ქაოტურად, არამედ ახალი შინაარსის განსაზღვრული ტენდენციების შესაბამისად.

ბოლო პერიოდის რუსულ ენაში გამოიყოფა კონცეპტუალური ცვლილებების სამი ძირითადი მიმართულება: 1) წარმატებისა და მიღწევის ფასეულობათა სტატუსის შეცვლა (მაგ., ახალი შესიტყვება – „წარმატებული ადამიანი“); 2) თვითშეფასებაზე წარმოდგენის შეცვლა (მაგ., სიტყვა „ამბიციურის“ დადებით კონტექსტში გამოყენება); 3) ცვლილებათა მთელი რიგი, რომლებიც უკავშირდება საზოგადოების მომხმარებელთა ფასეულობების გაერცვლებას.

წინამდებარე სტატიაში ძირითადად საუბარია ბოლო ჯგუფის ცვლილებებზე.

Maka Kacharava
On Some New Phenomena In The Russian Language
Summary

A large number of new Russian words aren't in the last instance related with dynamics of a language picture of the world. Particularly, there is a whole number of the changes connected with spreading of values of a consumer society.

For a modern language situation a large number of new words are characteristic, many of them are fast extended. It isn't in the last instance connected with dynamics of a language picture of the world, particularly with essential modification of its whole fragments. Basically these new words are calques and loanwords. Borrowing (lexical borrowing or semantic calques) is the simplest way for a language to perform missing concept in it.

At first sight it seems that the language is “polluted”, absolutely unnecessary units are borrowed, funny and wrong innovations are appeared. However more attentive studying of new phenomena shows that those from them which easily established fill the semantic lacunas appearing in the Russian language recently – time of changes. Besides it should be noticed that new words are appeared not chaotically, and in many respects according to certain tendencies of working out of new meanings. Perhaps, in the Russian language of last time three basic directions of conceptual changes can be singled out.

First, it is the change of valuable status of success and achievements (compare in particular, a new combination “the successful person”); secondly, the change of views about self-evaluation (compare using of the word ambitious in the positive context) and thirdly, it is a whole number of changes connected with spreading of values of a consumer society. The present paper deals with mainly some changes of this last group.

ნანა მაზმიშვილი
(საქართველო)

ისტორიული რეალიზმი და ავტორეფერატების თარგმანი

ავტორეფერატი წარმოადგენს მეორადი ტექსტების ფონდიდან ერთერთ ყველაზე გავრცელებულ სახეობას. როგორც ცნობილია, ავტორეფერატები პირველადი ტექსტის ანალიზურ-სინთეზური გადაამუშავების, კომპრესიის შედეგად მიღებული ის მეორადი ტექსტებია, რომლის ფუნქციასაც წარმოადგენს პირველად ტექსტში მოცემული ინფორმაციის მაქსიმალური სიზუსტით გადმოცემა მინიმალურ დროში. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ავტორეფერატის შედგენა მოითხოვს ორი ეტაპისგან შემდგარი პროცესის გაგებას. პირველ ეტაპზე ხდება ძირითადი და მეორეხარისხოვანი ინფორმაციის ერთმანეთისგან გამიჯვნა, მეორე ეტაპზე – მინიმალური მოცულობის მქონე მეორადი ტექსტის საშუალებით პირველადი ტექსტის მთავარი ინფორმაციის აღრესატამდე მიტანა. შესაბამისად ავტორეფერატების შედგენა საჭიროებს ძალზედ დელიკატურ მიდგომას და ავტორეფერატების ყველა კრიტერიუმის კარგ ცოდნას.

განსაკუთრებულად რთულ პროცესს წარმოადგენს ავტორეფერატების თარგმანის პროცესი. როგორც პირველადი ტექსტი, რომელმაც ბაზური ტექსტის როლი ითამაშა, ავტორეფერატი მიეკუთვნება მეცნიერულ სტილს. შესაბამისად მისი ენობრივი ერთეულების დიდ რაოდენობას მეცნიერული ტერმინები და პროფესიონალიზმები შეადგენს, რაც განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის ავტორეფერატის მთარგმნელებს. ეს სირთულეები გამოწვეულია იმით, რომ სხვადასხვა ენაში, მეცნიერების სხვადასხვა სფეროში ტერმინოლოგიური სისტემა არ არის ერთნაირად დახვეწილი, ერთ დონეზე განვითარებული. ხშირად ისეთ მოვლენასთანაც გვაქვს საქმე, რომ თითქოს ორი ენის ტერმინები მსგავსია, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ტერმინის მნიშვნელობა გამოიხატება ასევე იმით, თუ რა ადგილი უკავია მას მშობლიურ ტერმინოლოგიურ სისტემაში.

უნდა აღინიშნოს ასევე ის ფაქტი, რომ თარგმანის ხარისხზე გავლენას ახდენს ისიც, თუ მეცნიერების რომელ სფეროს ეკუთვნის ორიგინალური ტექსტი. იმის მიხედვით, თუ რა დონეზე არის დახვეწილი ტერმინოლოგია მოცემული კონკრეტული სფეროს ფარგლებში, ტერმინოლოგიური სიზუსტის დაცვით თარგმანის შესრულებაც სხვადასხვანაირი იქნება.

ტერმინოლოგიური სისტემის გარდა განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს ორიგინალური ტექსტის კულტურული მემკვიდრეობის სწორად და სრულყოფილად გადმოცემა თარგმნილ ავტორეფერატებში. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელი მრავალმხრივ სირთულეს აწყდება იმდენად, რამდენადაც მან უნდა შეძლოს პირველადი ტექსტის კომპრესია და პარალელურად კულტურული ფონის შენარჩუნება თარგმნილ ავტორეფერატში ისე, რომ შეინარჩუნოს ავტორეფერატების სტილი და ყველა შესაბამისი მოთხოვნა სტრუქტურული თავისებურებების ჩარჩოებში.

ჩვენს კვლევაში ყურადღება შევაჩერეთ ისტორიული ავტორეფერატების თარგმანის თავისებურებებსა და სირთულეებზე. ისტორიის სფეროში შედგენილი ქართული ავტორეფერატებისა და მათი თარგმანების შედარების შედეგად გამოვლინდა, რომ ყველაზე დიდ სირთულეს მთარგმნელებს უქმნის ისტორიული რეალიზმის თარგმნა. ძალზედ ხშირად ქართული ისტორიული რეალიზმი ნაწილობრივ ან საერთოდ არ გადმოიცა თარგმნილ ავტორეფერატებში.

რეალიზმი, როგორც ვიცით, ერის ყოფა-ცხოვრების მეტად სპეციფიკურ თავი-

სებურებებს, მნიშვნელოვან დეტალებს ასახავენ, რომელთა აღქმა სხვა ერის წარმომადგენელთათვის ძალზედ რთულია. იმდენად, რამდენადაც ყველა ერს თავისი, სპეციფიკური ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, სამყაროს აღქმის თავისებური წესები აქვს, უცხოენოვანი რეციპიენტისთვის ხშირად უცხო და გაუგებარია სხვა ერის კულტურული თავისებურებების გაგება. ამისთვის უცხო ენაზე შესრულებული ტექსტის ბოლომდე გასაგებად რეციპიენტს უნდა ქონდეს ღრმა ცოდნა სხვა ერის კულტურის გასაგებად. აქედან გამომდინარე, რეალების თარგმანი ერთ-ერთ მნიშვნელოვან სირთულეს წარმოადგენს ავტორეფერატების მთარგმნელებისთვის, ვინაიდან მეორადი ტექსტის თარგმნისას მთარგმნელი უნდა ეცადოს იმას, რომ უცხოენოვანი მკითხველამდე მაქსიმალურად, დანაკარგის გარეშე მიიტანოს ამა თუ იმ რეალიაში ჩადებული აზრი და თან პარალელურად უნდა მოახდინოს პირველადი ტექსტის კომპრესირება. ავტორეფერატების მთარგმნელი სხვა ჟანრის და სტილის ტექსტების მთარგმნელისგან განსხვავებით შეზღუდულია მთარგმნელობითი ტრანსფორმაციების განხორციელების თვალსაზრისით იმდენად, რამდენადაც ნებისმიერი მთარგმნელობითი ტრანსფორმაცია არღვევს ავტორეფერატების მოთხოვნების ჩარჩოებს.

განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

წერილობით წყაროთა შორის სამონასტრო ტიპიკონებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რადგანაც ისინი მოიცავენ სამონასტრო ცხოვრების მრავალ მხარეს (ჭიჭინაძე 2004:7).

Наряду с агиографической литературой для решения интересующих нас вопросов исключительное значение имеют ктиторские монастырские типики, так как в них нашли отражение различные стороны религиозной жизни (Чичинадзе 2004:50).

მოცემულ მაგალითში ვაწყდებით ქართული ისტორიული რეალიის არასწორად გადმოცემის შემთხვევას. წინადადების დასაწყისშივე ორიგინალური ავტორეფერატის ავტორი აღნიშნავს, რომ ტიპიკონი არის წერილობითი წყარო. მთარგმნელი კი წერილობითი წყაროს ნაცვლად იყენებს აგიოგრაფიულ ლიტერატურას. გარდა იმისა, რომ მთარგმნელმა დაავიწროვა სიტყვის მნიშვნელობა, მან დაარღვია ორიგინალის სიზუსტეც.

ამჟვარ ტიპიკონთა რიცხვს განეკუთვნება გრიგოლ ბაკურიანის ძის, სევასტიანა და დასავლეთის დიდი დომესტიკოსის მიერ 1083 წელს დაარსებული პეტრიწონის ქართველთა მონასტრის განგება ანუ ტიპიკონი (ჭიჭინაძე 2004:7).

Среди них особенно значителен типик Петрицонского (Бачковского) монастыря, поставленный в 1083 году основателем монастыря грузинским феодалом Григолом Бакурианидзе, выдающимся деятелем Византии «Севастом» и «Великим domestиком Запада», являющийся источником разнообразных, а в некоторых случаях уникальных сведений, касающихся православного богослужения и искусств (Чичинадзе 2004:50).

მოცემული ავტორეფერატის თარგმანში ადგილი აქვს ასევე ერთგვარ უზუსტობას. ორიგინალურ ტექსტში ნახსენებია ცნობილი ქართველი ისტორიული პირი – გრიგოლ ბაკურიანის ძე. ამ ტექსტის მიხედვით, ბაკურიანი არის ისტორიული პირის მამის სახელი იმდენად, რამდენადაც ქართულ ავტორეფერატში ბაკურიანი და ძე ცალ-ცალკე არის მოცემული. რუსულ ენაზე თარგმნისას მთარგმნელმა ეს სიტყვა გადმოიტანა უღერადობით, რის შედეგადაც მივიღეთ *Бакурианидзе* და შედეგ

გად თარგმანში მოცემული რეალია აღნიშნავს მის გვარს და არა მამის სახელს.

კვლევის მასალის ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ ძალზედ ხშირად ავტორეფერატების მთარგმნელები თარგმნის პროცესში ახორციელებენ მთარგმნელობით ტრანსფორმაციებს, რის ხარჯზეც ხდება ორიგინალ ავტორეფერატში მოცემული ისტორიული რეალიის სრულად გადმოცემა, მაგრამ ირღვევა ავტორეფერატის ენობრივი და სტრუქტურული გაფორმების მოთხოვნები.

იმისათვის, რომ მთარგმნელმა სწორად განახორციელოს ავტორეფერატების თარგმანის პროცესი, მან კარგად უნდა იცოდეს იმ ენის მატარებელი ერის ისტორიული წარსული, რა ენაზეც არის შესრულებული წყარო ტექსტი და ასევე კარგად გაანალიზოს მოცემული ისტორიული რეალიის დატვირთვა კონკრეტულ ავტორეფერატში. ბოლო ეტაპზე მთარგმნელმა უნდა შეძლოს მთარგმნელობითი ტრანსფორმაციის ყველაზე ოპტიმალური და რაციონალური სახის დადგენა, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ავტორეფერატების სტილის დაცვა.

ლიტერატურა:

1. წიბახაშვილი გ., თარგმანის თეორიისა და პრაქტიკის საკითხები, თბილისი, 2000.
2. Верещагин Е. М., Костомаров В.Г., Лингвострановедческая теория слова. Москва. 1980.
3. Виноградов В.В. Поэтика и риторика. Москва. 1980.

Nana Mazmishvili ***Historical Realias and Translation of Dissertation Abstracts*** **Summary**

Translation of derivative documents and particularly author's abstracts requires specific approach from the translators. This process needs manifold linguistic and intercultural competences. Among different types of obstacles translators have to cope with, in the process of translation of abstracts in the field of history, the most critical part is the correct translation of historical realias. In order to transfer accurately any specific historical realia of the original abstract into the target text translators need to have both the knowledge of the historical background of the original language and the set of requirements regarding the structural system of the abstracts.

ნანა მაზმიშვილი ***Исторические реалии и перевод авторефератов*** **Резюме**

Перевод вторичных документов и, в частности, рефератов, требует особого подхода со стороны переводчика. Этот процесс предполагает многостороннюю языковую и межкультурную компетенцию. Среди разного рода преград, встающих перед переводчиком в процессе перевода рефератов на историческую тему, самым сложным для перевода является перевод исторических реалий. Для адекватного перевода реалий языка оригинала на язык перевода требуется наличие фоновых знаний по истории данной лингвокультурной общности.



ირინა ყრუაშვილი
(საქართველო)

**იდიომი, როგორც ეროვნული, კულტურული და ისტორიული
სემანტიკის მატარებელი უნივერსალი**

ენის ლექსიკური მარაგი შედგება არა მარტო ცალკეული სიტყვებისაგან, არამედ ასევე შესიტყვებებისაგან, რომლებიც უკვე არსებული სიტყვების გამოყენებით, გარკვეული სინტაქსურ-სტრუქტურული მოდელების მიხედვით იქმნება. ყოველდღიურ კომუნიკაციაში ჩვენ ხშირად ვიყენებთ ხატოვან გამონათქვამებს, რომლებიც ენას თვითმყოფადობას, სისხარტესა და მაღალ გამომხატველობით ძალას ანიჭებენ. ეს კრეატიულობა განპირობებულია ინდივიდუალური ან საერთო კულტურული მახასიათებლებით. ენა ისტორიული წარმონაქმნია და ათასწლეულების განმავლობაში ვითარდება. ყველა დონეზე – ფონეტიკა, ლექსიკა, სემანტიკა – მას გადმოაქვს მრავალფეროვანი წარსულის ელემენტები, ამიტომ უამრავი გამონათქვამი სათავეს იღებს საუკუნეების წინანდელ ეპოქაში. ყველაზე მკაფიოდ ენის სურათხატოვანი სიმდიდრე იდიომატურ გამონათქვამებში გამოიხატება, რომლებიც ძირითადად ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში წარმოიშობიან და შემდგომ თავიანთი ხატოვნების გამო ენაში მკვიდრდებიან. ბევრი ძველი გამოთქმა, როგორც მეტყველი მოწმე, გვატყობინებს წარსულის მოვლენებს, ზნე-ჩვეულებებსა და შეხედულებებს, ამიტომ მათი შესწავლა გარკვეულ ისტორიულ ცოდნას გვმატებს. ამგვარი გამონათქვამების მნიშვნელობის გაგება მოითხოვს ენისა და კულტურის ისტორიის დრმა ცოდნას. როგორც ხალხური წარმოშობის ელემენტებს, მათ ახასიათებთ სიმოკლე, სიცხადე, გროტესკული გადატანები.

იდიომი დემოტივაციის შედეგად წარმოქმნილი მყარი სიტყვათა კონსტრუქციაა, რომლის მნიშვნელობა არ გამომდინარეობს შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამიდან. თავდაპირველი მოტივაცია დაკარგულია, ეტიმოლოგიის ამოცნობა ხშირად მხოლოდ ენის ისტორიის მოშველიებით თუ ხერხდება. გერმანულ ლინგვისტიკაში იდიომის პარალელურად სინონიმური მნიშვნელობით გამოიყენება ტერმინები: ფრაზემა, მყარი სინტაგმა, იდიომატური გამონათქვამი, მაკროსემემა, ფრაზეოლოგიზმი, ფრაზეოლექსემა და ა.შ. (Bußmann, 2008: 530). ტერმინთა სიუხვე აიხსნება იდიომის იდენტიფიკაციის ერთმნიშვნელოვანი და ობიექტური ხერხის მიგნების სირთულით. არაერთგვაროვანია ასევე იდიომის განმარტებები, თუმცა გავრცელებული შეხედულებების საფუძველზე ეჭვს აღარ იწვევს, რომ იდიომი ენაში არსებული მყარი სიტყვათა კომპლექსია, რომელიც რამდენიმე წევრისაგან შედგება და რომელსაც აქვს ახალი, ერთიანი, მეტაფორული მნიშვნელობა, რაც იდიომატიზაციისა და დემოტივაციის შედეგია.

იდიომატიკა ანუ ფრაზეოლოგია, როგორც ენის თეორიის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი, ხანგრძლივი დროის მანძილზე ყალიბდებოდა. კლასიკურ გერმანისტიკაში ფრაზეოლოგია წარმოადგენდა ლექსიკოლოგიის ნაწილს (Probleme der semantischen Analyse, 1977: 297). განვითარების ამ ეტაპზე იგი არ განიხილებოდა მთლიანობაში როგორც სისტემა, მკვლევართა ყურადღება ცალკეული საკითხებისადმი იყო მიპყრობილი (Kleine Enzyklopädie Deutsche Sprache, 1983:279). საკითხი იდიომატიკის, როგორც ენათმეცნიერული დისციპლინის, ადგილის შესახებ დიდხანს დარჩა საკამათო. იგი განიხილებოდა ერთდროულად ორი დისციპლინის ფარგლებში: ლექსიკოლოგიაში, რადგან იკვლევდა ლექსემებს და გრამატიკაში, კერძოდ, სინტაქსში, რამდენადაც განიხილავდა მყარი შესიტყვებების შექმნის ფორმალურ

რეგულარობებს. თვალსაზრისს, რომ იდიომატიკა განხილულიყო სინტაქსის ფარგლებში, ამყარებდა ის გარემოება, რომ ფრაზეოლოგიზმებიც გარკვეული სინტაქსური მოდულების მიხედვით წარმოიქმნება. ეს ორი მიდგომა იდიომატიკისადმი გამართლებულია მისი ორგვარი ბუნებით. არ შეიძლება მისი უშუალო კავშირის უარყოფა არც ლექსიკურ სემანტიკასთან და არც სინტაქსთან.

მოგვიანებით გამოიკვეთა შეხედულება, რომ იდიომატიკას შეეძლო დამოუკიდებელი ადგილი დაემკვიდრებინა ენათმეცნიერული დისციპლინების რიგში (Stepanova/Černyševa, 1986:199). გაჩნდა მთელი რიგი ახალი ნაშრომებისა, რომლებშიც განიხილებოდა მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ნიშნები. ეს სავესებით კანონზომიერია, რადგან იდიომატიკის კანონები განსხვავდება ენის სისტემის სხვა დონეების კანონზომიერებებისაგან. თანდათან გამოიკვეთა კვლევის მიმართულება, რომელიც აღნიშნულ ენობრივ მოვლენას კომპლექსურად უდგება და მას მრავალმხრივ, სხვადასხვა რაკურსით შეისწავლის, კერძოდ, განიხილება ფრაზეოლოგიის სემანტიკური, სინტაქსური, პრაგმატული, ტექსტწარმომქმნელი და სტილისტური მხარეები (Schippa, 1992:50). ბოლო ათწლეულების მანძილზე გამოქვეყნებული შრომები მოწმობს, რომ იდიომატიკის პრობლემები მუდმივად იპყრობს მკვლევართა ყურადღებას.

იდიომები სპეციფიკურ ფრაზეოლოგიურ მნიშვნელობას ფლობენ. ეს არის განზოგადებული და მთლიანი მნიშვნელობა. თუმცა მთლიანობის ხარისხი განსხვავებულია. რაც უფრო მეტად კარგავენ კომპონენტები საკუთარ სიტყვიერ მნიშვნელობებს, მით უფრო მთლიანია იდიომი, ანუ ეს მთლიანობა უკუპროპორციულ კავშირშია მოტივაციასთან. მაგალითად, *Gustav hat bei seinem Vater einen Stein im Brett* (გუსტავი მამის კეთილგანწყობით სარგებლობს). სიტყვებს შორის (ქვა-რაფა) სემანტიკური კავშირი არ არის, გამოთქმის საერთო მნიშვნელობის შექმნაში აღნიშნული სიტყვების საკუთარი მნიშვნელობები მონაწილეობას არ ღებულობენ, ე.ი. გამონათქვამი იდიომატიზებულია. მაგრამ გვაქვს ნაწილობრივ იდიომატიზებული ფრაზეოლოგიზმებიც. მაგალითად, *Streit vom Zaune brechen* (ჩხუბის უმიზეზოდ წამოწყება). გამონათქვამის ერთ-ერთი წევრი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, ამიტომ გამოთქმა ნაწილობრივ იდიომატიზებულია.

მაგრამ ყველას არა აქვს ფრაზეოლოგიური ცნობიერება ანუ ფანტაზია, რომ გამოთქმის გადატანითი მნიშვნელობა მაშინვე გაიგოს (Röhrich, 1973:16). როცა სიტყვები თავდაპირველი ცნების სფეროს ტოვებენ, იძენენ ხატოვან, ფიგურალურ აზრს. მაგალითად, არსებობს ცისფერი კონვერტები, მაგრამ იდიომატური „blauer Brief“ არ არის აუცილებლად ცისფერი. გამოთქმა გულისხმობს გაფრთხილების შემცველ წერილს, რომელსაც სკოლის დირექცია უგზავნის მშობლებს, როცა მათი შვილი აკადემიურად ჩამორჩება, ან ეს შეიძლება იყოს სამსახურიდან დათხოვნის მაუწყებელი წერილი. ძალიან ხშირად სიტყვის პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობები გვერდიგვერდ თანაარსებობენ. მაგალითად, *Der Ofen ist aus* შეიძლება ნიშნავდეს: 1) ღუმელი გამორთულია; და 2) მორჩა, ყველაფერი დამთავრდა (მეგობრობა, სიყვარული). ეს უკანასკნელი არის გადატანითი, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობა. როგორც რორიხი ამბობს, ამგვარი „ბრჭყალებში საუბრის“ მომხიბვლელობა მდგომარეობს განსურათების სტრატეგიაში, რომელიც აჯადოებს ენის ვიზუალური ფანტაზიისა და შემოქმედებითობის გამო (Röhrich, 1973:16). მან, ვისთვისაც გერმანული უცხო ენაა, შეიძლება ისწავლოს, რას ნიშნავს სიტყვები *grün*, *Zweig*, მაგრამ ის, რომ გამონათქვამი *grüner Zweig* კონტექსტში წარმატებას, შეძლებულ ცხოვრებას ნიშნავს, არ შეიძლება იცოდეს ენის ზუსტი და სრულყოფილი ცოდნის გარეშე. ამიტომ ენის შესწავლის უმაღლეს საფეხურად ითვლება მისი

ფრაზეოლოგიური ფონდის დაუფლება.

იდიომების შესწავლისას აუცილებელია როგორც სინქრონიული, ისე დიაქრონიული ასპექტების გათვალისწინება. მაგალითად, *Etwas auf dem Kerbholz haben* დღეს ნიშნავს: რაღაც დანაშაული გქონდეს ჩადენილი. ისტორიული პერსპექტივით კი მას სხვა მნიშვნელობა აქვს. მისი გაგება დიაქრონიული ასპექტის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელიც კია, რადგან *Kerbholz*, როგორც ასეთი, დღეს არ არსებობს. მე-18 საუკუნემდე ეს იყო ხის ბირკა, რომელზეც ვალებს აღნიშნავდნენ (*Die schönsten Redewendungen*, 2008:96). ამგვარად, ისტორიული ასპექტის გათვალისწინება თვალსაჩინოს ხდის სინქრონიაში არარსებულ საგანს ან მოვლენას.

იდიომატური გამოთქმა უნდა გაიმიჯნოს პოეტური მეტაფორისაგან. მაგალითად, შევადაროთ *der goldene Mittelweg* და *das goldene Himmelsfeuer*. პირველი მათგანი იდიომა და ნიშნავს „ოქროს შუალედს“ ანუ ორ ექსტრემს შორის ნაპოვნ შუალედურ გადაწყვეტილებას, მეორე კი არის მზის პოეტური აღწერა, ის ასევე შეიძლება ფეიერვერკს გამოხატავდეს. მზის აღსანიშნავად შეიძლება გამოვიყენოთ უამრავი მსგავსი მეტაფორა, მაგალითად, *goldglänzendes Himmelsfeuer*, *goldenes Himmelsgestirn* და სხვა. მაგრამ იდიომს – *der goldene Mittelweg* ვერ ჩავანაცვლებთ შესიტყვებით *goldglänzender Mittelweg*. მყარ შესიტყვებას ცალსახად გამოკვეთილი მნიშვნელობა აქვს და მეტაფორისაგან განსხვავებით, ნაკლებად ვარიაციულია (*Duden*, 1998:8).

როგორც ენობრივი ნიშანი, იდიომა იმ მოთხოვნით იქმნება, რომ დენოტატი არა მარტო დასახელდეს, არამედ მის მიმართ არსებული პოზიციაც დაფიქსირდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამგვარ ნიშნებში დენოტაცია (აღნიშვნა) კონოტაციასთან (შეფასებასთან) არის კავშირში. მაშასადამე, ფრაზეოლოგიური მნიშვნელობები მოიცავენ დენოტატურ და კონოტატიურ ასპექტებს. იდიომის შექმნის წინაპირობად სწორედ კონოტატიური ასპექტის არსებობა ითვლება. კონოტატიურ ასპექტად მიიჩნევა შეფასებითი ინფორმაცია, რომელიც იდიომის სემანტიკურ სტრუქტურაში არსებობს და მას ექსპრესიულობას ანიჭებს. ფრაზეოლოგიური მნიშვნელობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ კონოტატიური ასპექტი არის წამყვანი, განმსაზღვრელი. ფრაზეოლოგიის კონოტატიური პოტენციალის გამოყენება ტექსტს ანიჭებს ძალას, გაზარდოს ემოციურ-ექსპრესიული ზეგავლენა მკითხველზე.

შინაარსობრივად იდიომების დიდი ნაწილი ისტორიასა და კულტურას ასახავს. ვინც არ იცნობს აქილევის სახელს, მისთვის გამოთქმა – *etwas ist jmands Achillesferse* (აქილევის ქუსლი) ბურუსით არის მოცული. ასევე ბერძნულ მითოლოგიაში ჩაუხედავი ადამიანი ვერ ჩაწვდება, თუ რატომ არის *das Fass der Danaiden füllen* (დანაიდების კასრის ავსება) – უაზრო, ფუჭი, ამაო საქმიანობა. იდიომების დიდი ნაწილი რომაული კულტურის საგანძურია, მაგალითად, *den Rubikon überschreiten* (რუბიკონის გადაღახვა). მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ლათინური და გერმანული ელემენტების შეერთებით არის მიღებული. ამასთან, ლათინური ელემენტი არის მნიშვნელობის ცენტრი, გერმანული კი გრამატიკულ ფუნქციას ასრულებს, მაგალითად, *etwas ad acta legen* (რაიმე წარსულს ჩააბარო), *jemanden in Natura vor sich sehen* (ვინმე პირადად დაინახო). ხშირად ერთმანეთის პარალელურად არსებობს ნათარგმნი და შერეული ვარიანტები. სესხების მხრივ მნიშვნელოვანია ინგლისური, ფრანგული და იტალიური ენები. გერმანული იდიომების მნიშვნელოვანი წყარო არის ასევე ბიბლია, მაგალითად, *von Pontius zu Pilatus laufen* (სხვადასხვა ინსტანციას შორის უმიზნო, უსარგებლო სირბილი), *päpstlicher als Papst sein* (რომის პაპზე უფრო მორწმუნე, მეტისმეტად ზუსტი და მკაცრი).

ადამიანის ცხოვრების განსამზღვრელ ფაქტორებს წარმოადგენს კონკრეტული გარესამყარო და სულიერი სამყარო, ანუ ნაწილობრივ ადამიანის გარეთ არსებული, ნაწილობრივ მის მიერ შექმნილი. ორივე მათგანში არსებობს ფენომენები, რომლებიც მუდმივია და ფენომენები, რომლებიც ეპოქის, ტერიტორიის, ადამიანების მიხედვით განსხვავდება. იდიომატიკაში გარესამყარო და სულიერი სამყარო ძალიან პლასტიკურად, მოქნილად აისახება. აქ ასახვას ჰპოვებს ბუნების მოვლენები, ფლორა, ფაუნა, მზე, მთვარე, ელვა, ზღვა, მდინარე; ასევე ადამიანური ყოფის ელემენტები – საქმიანობა, ხელოსნობა, რელიგია, კულტურა, ადათ-ჩვევები და სხვა. ეს არის ერთ-ერთი საფუძველი იმისა, რომ ბევრი იდიომი სხვადასხვა ენაში მსგავსი მნიშვნელობით გვხვდება. იდიომატური გამოთქმის არსებითი მახასიათებელია თვალნათლივ წარმოგვიდგინოს გარესამყაროს, ადამიანის მიერ აღქმული და ენობრივად გარდაქმნილი სამყაროს ლოგიკურ-კატეგორიულ კანონზომიერებებს შორის არსებული ურთიერთობები, გრამატიკული კანონზომიერებების გათვალისწინებით (Schemann, 1989:109).

რა ფაქტორები განსაზღვრავენ იდიომატურ-მოდულირებული მნიშვნელობის წარმოქმნას, რა უდევს იდიომებს ანთროპოლოგიურ საფუძველად? რა ბაზას ეფუძნებიან გადატანის ფიგურები? ამგვარ საფუძველად მიჩნეულია ლექსემების შემდეგი შინაარსობრივი ჯგუფები: სხეულის ნაწილები, გარესამყარო, სოციალური სამყარო, ადამიანი-სამყარო, ენა, რელიგია, მორალი, ცხოვრების დონე, თეორია-პრაქტიკა, დრო-ადგილი, სიმშვიდე, სიხარული-ტკივილი, ნახვა-შეცნობა, დანგრევა-განადგურება, უარყოფა და ა.შ. აქვე უნდა მოვისხენიოთ ცხოველთა და ფრინველთა აღმნიშვნელი ლექსემები, რომლებიც ძალიან ხშირად გამოიყენება გერმანულ იდიომატიკაში. მათ გარკვეული ლექსემატური მნიშვნელობა აქვთ მინიჭებული და ძირითადად ადამიანის აღსანიშნავად გამოიყენება, მაგალითად, Gans – სულელი, Hahn – ბაქია, მკვებარა, Hase – მხდალი, მშიშარა, Papagai – მოლაყბე, Igel – უკარება, Pfau – ამაყი, პატივმოყვარე, Wolf – მშიერი, გაუმადლარი, Wurm – უბადრუკი, Pute – ქარაფშუტა, Pferd – მუშა, ძლიერი, Ziege – სულელი, სასაცილო, Hund – ერთგული, საცოდავი, მკბენარა, სულმდაბალი (ბევრი მნიშვნელობა აქვს). ყველაზე ხშირად გამოიყენება ლექსემები Hund, Katze, Pferd, Schwein, Vogel, Schaf, Maus, Hahn.

ზოგიერთი სიტყვა განსაკუთრებით მჭიდროდ არის დაკავშირებული რომელიმე სხვა სიტყვასთან და მსმენელს/მოლაპარაკეს მის ხსენებაზე ყოველთვის ის მეწვევილი სიტყვა ახსენდება, მაგალითად, Rechenschaft ablegen (ანგარიშის ჩაბარება). ამგვარი ფორმების გამოყენება ადამიანს უადვილებს ენობრივი გადაბმის პროცესს. ხშირად ეს სატოვანი ფრაზები უფრო მეტს ამბობენ, ვიდრე წინადადებების მთელი ჯაჭვი.

იდიომატური გამოთქმები ავტორს დიდ სტილისტიკურ სამსახურს უწევენ. ზოგჯერ უბრალო შემასმენელს ფრაზეოლოგიზმი ცვლის მაღალი სტილის მისაღწევად, მაგალითად frühstücken – Imbiss nehmen (საუზმობა-წახემსება). ზოგჯერ კი ავტორი არსებულ მოდელს ცვლის, რაც ენობრივ სტილს კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის, მაგალითად, ციტატა ბიბლიიდან: Was der Mensch sät, das wird er ernten (ადამიანი რასაც დასთესს, იმასვე მოიმკის) – Unsere Kinder werden wirklich ernten, was wir mit solchen Mühen säen (ჩვენი შვილები ნამდვილად მოიმკიან, რასაც ჩვენ ესოდენ დიდი გარჯით ვთესთ). გამონათქვამის ამგვარი ცვლილების მიზეზი შეიძლება იყოს დრო და ახალ საზოგადოებრივ პირობებთან კონკრეტული გამონათქვამის შინაარსის შეუსაბამობა.

ენის ფრაზეოლოგიური მარაგის გაცნობას, როგორც აღვნიშნეთ, უადრესად

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მოცემული ქვეყნის ისტორიისა და კულტურის ათვისებაში. ეროვნული, კულტურული და ისტორიული სპეციფიკის მატარებელ იდიომებში შეიძლება გამოვყოთ შემდეგი შინაარსობრივი ჯგუფები:

1) გერმანიის ბუნებრივ-გეოგრაფიული გარემოს ამსახველი იდიომები.

Auf einen (keinen) grünen Zweig kommen – წარმატების (ვერ) მიღწევა. (მწვანე ტოტი აყვავების, წარმატების სიმბოლო იყო გერმანიაში).

Den alten Kohl wieder aufwärmen – ძველი სიმღერის თავიდან დაწევა. (საერთოდ, კომბოსტო მნიშვნელოვანი მცენარეული კულტურაა გერმანიაში. ის ჯანმრთელობისათვის სასარგებლოდ ითვლება, რადგან შეიცავს ფოსფორს, კალციუმს, მანგანუმს, რკინას. არსებობდა ძველი ტრადიცია: თუ გერმანელი ახალ წელს დამწვნილებულ კომბოსტოს მიირთმევდა მთელი წელი ჯანმრთელი იქნებოდა).

Das macht den Kohl auch nicht fett – ეს ვერაფერს შეცვლის.

Einem die Petersilie verhageln – ვინმეს გაწბილება, მისთვის სიხარულის ჩამწარება.

Da ist Hopfen und Malz verloren – საქმე წასულია, ვერაფერს უშველი. (გამონათქვამი ღუდის ხარშვას უკავშირდება. თუ ღუდის ხარშვის პროცესს ხელი შეეშალა, მაშინ საჭირო ინგრედიენტები წყალში ჩაყრილად ითვლება).

ამა თუ იმ ცხოველის სახელი, როგორც აღენიშნეთ, მეტაფორულად სხვადასხვა თვისებას, საქციელს უკავშირდება: მელა ცბიერია, ლომი – ძლიერი, კურდღელი მშიშარა და ა.შ. (Bünting, 1995:5).

Er ist kein heuriger Hase mehr – საქმეში კარგად ერკვევა, გამოცდილება აქვს. (გამოთქმას საფუძვლად უდევს ის გარემოება, რომ ბებერი კურდღელი გამოცდილია, კარგად ორიენტირებს, რადგანაც არაერთხელ დასხლტომია ძაღლსა და მონადირის ტყვიას).

Das hält ja kein Pferd aus! – ეს აუტანელია! (ცხენი, როგორც ყველაზე ძლიერი, მუშა და ამტანი ცხოველი, აღნიშნულ გამონათქვამში გამოიყენება მძიმე დატვირთვის გამოსახატავად, რომელიც ვინმეს დააკისრეს).

2) ქვეყნის ისტორიის ამსახველი იდიომები.

Das kommt mir spanisch vor – უცნაურია, გაუგებარია (შესიტყვება მიმდინარეობს კარლ V-ის დროიდან (1500-1558), რომელიც წარმოშობით ესპანელი იყო და გერმანიის სამეფო გვირგვინს ატარებდა. მან შემოიტანა ესპანური ადათ-წესები, რომლებიც გერმანელებს უცნაურად ეჩვენებოდათ).

Ein Gang nach Kanossa – თავის დამცირება, პატიების თხოვნა (გერმანიის მეფე ჰაინრიხ IV, რომელიც რომის პაპმა გრეგორი VI-მ ეკლესიიდან გააძევა, გაემგზავრა ჩრდილოეთ იტალიაში მდებარე ციხესიმაგრე კანოსაში, სამი დღე იდგა ციხესიმაგრის წინ და პაპს პატიებას თხოვდა).

Das sind mir böhmische Dörfer – ჩემთვის გაუგებარია (გავრცელდა 30-წლიანი ომის დროს (1618-1648). მე-17 საუკუნეში ჩეხეთს შეუერთდა ტერიტორიის ნაწილი და მას ბოჰემია ეწოდა. გერმანელებს უცნაურად ეჩვენებოდათ სლავური სოფლების სახელწოდებები).

So schnell schiessen die Preussen nicht – ასე ჩქარა საქმე არ გაკეთდება. (პრუსიის მეფემ ფრიდრიხ I-მა (1688-1740) შექმნა უზარმაზარი არმია, მაგრამ, ძლევა მოსილების მიუხედავად, ომის წამოწყებას მტრებთან არ ჩქარობდა).

Einen alten Zopf abschneiden – მოძველებული, დრომოჭმული შეხედულებების, ჩვევების, ნივთების უარყოფა (ფრიდრიხ ვილჰელმ I-მა თავის არმიაში შემოიღო მამაკაცური ვარცხნილობა უკან შეკრული გრძელი თმით. ზოგადად მე-18 საუკუნეში გაბატონებული იყო მოდა, რომლის მიხედვითაც მამაკაცები ნაწნავიან პარი-

კებს ატარებდნენ. საფრანგეთის რევოლუციის შემდეგ გატარდა სამხედრო რეფორმები და გრძელი თმის ტარება აიკრძალა. ნაწნავი მხოლოდ კონსერვატორებმა შეინარჩუნეს. ამიტომ იგი ჩამორჩენილობის სიმბოლოდ ითვლებოდა).

Ein unsicherer Kantonist – არასაიმედო ადამიანი (მე-18 საუკუნეში პრუსია დაიყო კანტონებად, ყოველ კანტონში უნდა შეკრებილიყვნენ რეზერვისტები, მაგრამ მამაკაცები გარბოდნენ, იმალებოდნენ).

Rangehen wie Blücher – გადამწყვეტი, უშიშარი მოქმედება (ბლუჩერი იყო პოპულარული პრუსიელი ფელდმარშალი (1742-1819), ცნობილი თავისი შემტვეითობითა და სიმამაცით).

3) გერმანელთა ტრადიციული ყოფის, ცხოვრების წესის ამსახველი იდიომები.

ა) ხელოსნობა. მე-11, მე-12 საუკუნეებში გერმანელმა ხელოსნებმა დაიწყეს ამქარში გაერთიანება.

Jemandem ins Handwerk pfuschen – ვინმეს საქმეში ჩარევა.

Der blaue Montag – არასამუშაო ორშაბათი დღე (თავდაპირველად იგულისხმებოდა მარხვის წინა ორშაბათი, მოგვიანებით კი იგი ამ დღის რიტუალის ლიტურგიულ ფერს დაუკავშირდა. შემდგომში ეს აღნიშვნა გავრცელდა ორშაბათ დღეზე, როცა ხელოსნები ძველი ტრადიციის მიხედვით ისვენებდნენ. რადგანაც ხელოსნები გამოსასვლელ ორშაბათ დღეს ქეიფობდნენ, ამიტომ blau (ლურჯი) „მოვრალის“ მნიშვნელობით აღიქმებოდა).

ბ) გლეხის ყოფა-ცხოვრება.

Butter auf dem Kopf haben – რაღაც სამარცხვინო აქვს ჩადენილი (გლეხებს გასაყიდად გაჰქონდათ კარაქი თავზე შემოდგმული კალათებით. როცა ისინი მზეზე დიდხანს იდგნენ, კარაქი დნებოდა და თავზე ეღვენებოდათ).

გ) წერა-კითხვა, ბეჭდვა.

Mit jemandem Deutsch reden – პირდაპირი, მიკიბ-მოკიბვის გარეშე საუბარი. (აღნიშნულ გამონათქვამში, რომელიც მე-15 საუკუნიდან მომდინარეობს, სიტყვა Deutsch პირვანდელი მნიშვნელობით გამოიყენება, კერძოდ, იგი „გასაგებს“, „ხალხისთვის ხელმისაწვდომს“ ნიშნავს. კარლოს დიდის ეპოქაში ნელ-ნელა დაიწყო რომანული ენებისგან, კერძოდ, ლათინურისგან გამიჯვნა, რომელიც მეცნიერების ენად ითვლებოდა და ხალხისთვის გაუგებარი იყო).

Mit seinem Latein am Ende sein – ჩიხში მოექცა; აღარ იცის, რა გააკეთოს. (იდიომში მოიაზრება ზოგადად ცოდნა, განათლება).

დ) ქალაქური ცხოვრების წესი.

Den Laufpass bekommen – სამსახურიდან უარის მიღება, გათავისუფლება (Laufpass იყო მოწმობა, რომელსაც აძლევდნენ სამსახურიდან დათხოვნილ ჯარისკაცებს).

Bis in die Puppen – ძალიან დიდხანს (მე-18 საუკუნეში ფრიდრიხ დიდმა ბერლინის შემოგარენში ააშენებინა მოედანი „Grosser Stern“, რომელიც მორთული იყო ანტიკური ღმერთების ქანდაკებებით. ბერლინელები მათ თოჯინებს ეძახდნენ. ფრაზეოლოგიზმის თავდაპირველი მნიშვნელობა იყო „ძალიან შორს წასვლა, მოგზაურობა“, რადგან ეს ადგილი შორს იყო ქალაქის ცენტრიდან. მოგვიანებით, გამონათქვამის მნიშვნელობა სივრცობრივი დაშორებიდან დროის მონაკვეთზე გავრცელდა).

Abwarten und Tee trinken – მოთმინება ვიქონიოთ (იდიომის წარმომავლობა გაურკვეველია. სავარაუდოდ, ის წარმოადგენდა ავადმყოფისადმი შეგონებას, რომ ბალახების ჩაი დაეღია და მოთმინებით დალოდებოდა გამოჯანმრთელებას).

ე) სტუდენტური ცხოვრება.

Bruder Studio – სტუდენტი (ტერმინი ლუთერმა გამოიყენა).

Den Doktorhut bekommen – დოქტორის ხარისხის მიღება.

ვ) თამაშები.

Eine ruhige Kugel schieben – მშვიდი, აუღელვებელი სამსახური (ამ იდიომის ზუსტი წარმომავლობა უცნობია. სავარაუდოდ, ის კეგლის თამაშს და მცირე ძალისხმევით გაგორებული ბურთის მშვიდ, ნელ მოძრაობას უკავშირდება).

Jemandem den schwarzen Peter zuspielen – დანაშაულის ვისნმესთვის გადაბრალდება (გამონათქვამი ბანქოს თამაშიდან მომდინარეობს. ვისაც „შავი პეტრე“ ხელში შერჩებოდა, წაგებულად ითვლებოდა).

ზ) კერძებისა და სასმელების სახელწოდებები.

Das ist nicht mein Bier – ჩემი საქმე არ არის (ლუდის სიმბოლო სტუდენტური ენიდან მომდინარეობს და ნათელყოფს, თუ რა ადგილი ეკავა ლუდს სტუდენტების ცხოვრებაში. ლუდხანებში ჯდომა და დღესასწაულებში მონაწილეობა აღინიშნებოდა ტერმინით „Biereifer“).

Weggehen wie warme Semmeln – სწრაფად იყიდება.

Berliner Weisse – ბერლინური ლუდი (1741 წელს ბერლინში მცხოვრებმა ჰუგენოტებმა დაიწყეს ნათელი, ღია ფერის ლუდის გამოხდა, რომელსაც ჩრდილოური შამპანური ეწოდებოდა).

თ) ქორწინება.

Grüne Hochzeit – ქორწინების დღე (ამ დღეს პატარძალი მწვანე ფოთლების გვირგვინს იკეთებდა).

ი) ტრადიციული მისაღმება და სურვილები.

Petri Heil! – წარმატებას გისურვებ თევზჭერისას (პეტრე მოციქული თევზჭერის მფარველი იყო).

კ) დღესასწაულების სახელწოდებები.

Weisse Weihnachten – თოვლიანი შობა. Grüne Weihnachten – უთოვლო შობა.

Wenn Ostern und Pfingsten auf einen Tag fallen – არასდროს (აღდგომა და სულთმოფენობა არასოდეს დაემთხვევა ერთმანეთს).

4) ეროვნულ-სპეციფიკური ქესტების გამომხატველი იდიომები.

Jemandem den Daumen halten/drücken – ვინმესთვის წარმატების სურვება. (ძველი გერმანული ცრურწმენის მიხედვით, ცერა თითი სხეულის მნიშვნელოვანი ნაწილი და ამავდროულად დემონური არსება იყო, რომელსაც ზებუნებრივ ძალებს მიაწერდნენ. ამ ქესტის დახმარებით განდევნიდნენ ეშმაკს. რომაელ გლადიატორთა ბრძოლებიც ერთგვარად განმარტავენ აღნიშნულ გამონათქვამს: თუ ძველ რომში ცერა თითი ზევითკენ იყო მიმართული, მაშინ დამარცხებულ მებრძოლს შეიწყალებდნენ ხოლმე, ხოლო თუ პირიქით, ცერი ქვევითკენ იყო მიმართული, მაშინ გლადიატორს სიკვდილი ელოდა). აქედან მომდინარეობს ასევე იდიომატური გამონათქვამი Den Daumen nach unten halten – ვინმეს განსჯა, მისთვის განაჩენის გამოტანა).

Däumchen drehen – უსაქმურობა, ხელებდაკრეფილი ჯდომა.

Jemandem einen Vogel zeigen – თითის მიღება შუბლზე იმის ნიშნად, რომ ვინმეს აჩვენო, ჭკუაზე არა ხარო.

5) ფულის, წონის, სიგრძის საზომი ერთეულების გამომხატველი იდიომები.

Jeden Pfennig dreimal umdrehen – ყოველი კაპიკის დაზოგვა.

Jemandem den letzten Groschen abknöpfen – ვინმეს ბოლო კაპიკამდე გაძარცვა. (წინათ მდიდარი ბატონები ოქროს ან ვერცხლის ღილებს ჩუქნიდნენ ქვეშევრდომებს. ხშირად ღილებს ქურდები იპარავდნენ).

Jeder Zoll ein Gelehrter – სულით ხორცამდე სწავლულია (Zoll – დუიმი).

6) ხალხური ადათ-წესების, თქმულებების გამომხატველი იდიომები.

Das Abendmahl auf etwas nehmen – თავს დაედებ (რომ ასეა) (შუა საუკუნეებში დამნაშავეს განაჩენის გამოტანამდე გამხმარი პურის ან ყველის ნაჭერს აყლაპინებდნენ. თუ გადაყლაპავდა, უდანაშაულოდ სცნობდნენ).

Bei jemandem in der Kreide stehen – ვალების ქონა (წინათ სამიკიტნობის მფლობელები ცარციით სპეციალურ დაფაზე აღნიშნავდნენ თავიანთი სტუმრების ვალებს).

Einen Korb bekommen – ცოლობაზე უარის მიღება (მინუხანგის ეპოქაში არსებობდა ასეთი ტრადიცია: გასათხოვარი გოგონები თავიანთ მთხოვნელებს ზემოდან ქვემოთ თოკით უგზავნიდნენ კალათებს. არასასურველ საქმროს ძირგაფუჭებული კალათა ერგებოდა).

Das geht auf keine Kuhhaut! – ეს უკვე მეტისმეტია! (შუასაუკუნეობრივი წარმოდგენის თანახმად, სატანა მომაკვდავ ადამიანს მის მიერ ჩადენილი ცოდვების სიას წარუდგენდა, რომელიც პერგამენტზე იყო ჩამოწერილი. პერგამენტი მზადდებოდა ცხოველის, მათ შორის ძროხის, ტყავისაგან. თუ ჩამონათვალი მასზე ვერ დაეცეოდა, ეს განსაკუთრებული ავკაცობისა და ბოროტების ნიშანი იყო).

Hals- und Beinbruch! – გისურვებ წარმატებას! (საფუძვლად უდევს რწმენა, რომ, თუ გინდა ვინმეს უბედურება ააცილო, აუცილებლად უნდა უსურვო მას იგი).

Jemanden ins Bockshorn jagen – ვინმეს შეშინება (უკავშირდება შუა საუკუნეებში თხების კასტრირების ინსტრუმენტს, რომელსაც ომის პერიოდში წამებისათვის იყენებდნენ).

Frau Holle schüttelt ihre Betten aus. – თოვს (Frau Holle გერმანული მითოლოგიის გმირი ქალი იყო. როცა თოვდა, ამბობდნენ, რომ Frau Holle თავისი ბუმბულის საწოლს ბერტყავს).

7) ლიტერატურული წარმოშობის იდიომები.

Jenseits von Gut und Böse – ფრიდრიხ ნიცშეს ნაწარმოები (1886წ.) (გამოიყენება ადამიანის აღსანიშნავად, რომელსაც არც კარგის და არც ცუდის გაკეთება არ შეუძლია, რადგან საამისოდ არც ფიზიკური და არც სულიერი ძალა არ შესწევს).

Die Stützen der Gesellschaft – საზოგადოების საყრდენი ელიტა; ისინი, ვისზედაც დგას საზოგადოება (იბსენის პიესის სახელწოდების მიხედვით. იგი აკრიტიკებს ბურჟუაზიულ მორალს, „ელიტარულ“ ადამიანებს, რომლებიც თავის კარიერას სიცრუეზე აგებენ).

Schwamm darüber! – დაივიწყე! (ავსტრიელი კომპოზიტორის კარლ მილოკერის ოპერეტის „Der Bettelstudent“ მიხედვით).

Wie einst im Mai – როგორც ოდესღაც, ახალგაზრდობაში (ჰერმან ფონ გლიმის ლექსის „Allerseelen“ მიხედვით (1844). კიდევ უფრო პოპულარული გახდა მას შემდეგ, რაც რიხარდ შტრაუსმა გააუღერა).

Allein auf weiter Flur stehen – სრულ სიმარტოვეში ყოფნა (ულანდის ლექსის მიხედვით).

Das Auge des Gesetzes – პოლიციელი, კანონის დამცველი (შიდერის ლექსის მიხედვით).

8) საკუთარი სახელების შემცველი იდიომები.

Nach Adam Riese – ზუსტად, მათემატიკური სიზუსტით (ადამ რიზე იყო ცნობილი გერმანელი მათემატიკოსი (1492-1559), პირველი სასკოლო სახელმძღვანელოს ავტორი მათემატიკაში).

Ich will Hans heißen, wenn das nicht stimmt – სულელი ვიყო, ეს თუ ასე არ არის.

9) ტოპონიმების შემცველი იდიომები.

Er ist mit Spreewasser getauft – ძირძველი ბერლინელია.

Aussehen wie der dumme Junge von Meißen – სულელურად გამოიყურება.

10) სამხედრო საქმის გამომხატველი იდიომები.

Von der Pike auf dienen – სამსახურის დაბალი რანგიდან დაწყება (სამხედრო კარიერა ძველად საბრძოლო შუბით იწყებოდა. მოგვიანებით გამონათქვამი სამხედრო სფეროდან სხვა პროფესიებზეც გავრცელდა).

Für jemanden eine Lanze brechen – ვინმეს დასაცავად გამოსვლა, (გამონათქვამი უკავშირდება შუა საუკუნეების ტურნირებს, როცა რაინდი ვინმეს ღირსების დასაცავად შუბით შეებრძოლებოდა მოწინააღმდეგეს).

Jemanden in Harnisch bringen – ვინმეს გაცოფება (Harnisch იყო რაინდის ჯავშანი. მოცემულ გამონათქვამში ის, გადატანითი მნიშვნელობით, საბრძოლო მზადყოფნას აღნიშნავს).

Die Flinte ins Korn werfen – ფარ-ხმალის დაყრა (ჯარისკაცები, რომლებიც ბრძოლას თავს ანებებდნენ ან მარცხდებოდნენ, თავიანთ იარაღს პირდაპირ პურის ყანაში ყრიდნენ, რათა მტერს იარაღით ხელში არ ჩავარდნოდნენ. უიარაღონი კი, როგორც სამოქალაქო პირები, ტყვეობას თავს ადვილად დააღწევდნენ).

Lunte riechen – საფრთხის მოახლოების გრძნობა (Lunte – ფითილი გამოიყენებოდა საბრძოლო იარაღებში და ასაფეთქებელ მოწყობილობებში, წაკიდებისას სუნს უშვებდა და მოწინააღმდეგე ხვდებოდა, რომ ამას გასროლა ან აფეთქება მოჰყვებოდა).

როგორც ვხედავთ, ადამიანი თავისი გრძნობების, შეხედულებების გამოსახატავად ოდითგანვე იყენებდა ხატოვან გამონათქვამებს – იდიომებს. მათ გარეშე ცოცხალი ენა წარმოუდგენელია. ისინი ერთგვარი მაკავშირებელი ხიდის ფუნქციას ასრულებენ წარსულსა და დღევანდელობას შორის. იდიომების დიდი ნაწილი ისტორიასა და კულტურას ასახავს. ძალიან ხშირად, ზოგჯერ გაუცნობიერებლადაც კი, ჩვენ ვიყენებთ ხატოვან შედარებებსა და გამონათქვამებს, რომელთა წარმომავლობა შეიძლება არც კი ვიცოდეთ. ისინი ემყარება ცხოვრებისეულ სიბრძნეს, ნამდვილ ამბებს, ციტატებს, ტრადიციებს, ადათ-წესებს, რელიგიურ შეხედულებებს. ამიტომაც აღიქმება იდიომი, როგორც ეროვნული, კულტურული და ისტორიული სპეციფიკის მატარებელი ფენომენი. იდიომები ამშვენებენ ჩვენს მეტყველებას, სიცხველეს, მიმზიდველობას სძენენ მას და ამღიდრებენ ენას თავისი მრავალფეროვნებით.

ლიტერატურა:

1. Bußmann, H. (2008): Lexikon der Sprachwissenschaft. Stuttgart.
2. Probleme der semantischen Analyse. (1977): Von einem Autorenkollektiv unter der Leitung v.D. Viehweger=Studia grammatica XV. Berlin.
3. Kleine Enzyklopädie Deutsche Sprache (1983): Hrsg. W. Fleischer/W. Hartung/J. Schildt/P. Suchsland. Leipzig.
4. Stepanova, M. D./Černyševa, I.I. (1986): Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. Moskau.
5. Schippan, Th. (1992): Lexikologie der deutschen Gegenwartssprache. Tübingen.
6. Röhrich, L. (1973): Lexikon der sprichwörtlichen Redensarten. Freiburg, Basel, Wien.
7. Die schönsten Redewendungen (2008): Hrsg. von G. Jockel. Renningen.
8. Duden (1998): Redewendungen und sprichwörtliche Redensarten. Wörterbuch der deutschen Idiomatik. Bd. 11. Mannheim, Leipzig, Wien, Zürich.
9. Schemann, H. (1989): Synonymenwörterbuch der deutschen Redensarten. Unter Mitarbeit von R. Birkenhauer, Straelen.

10. Bunting, K.D. (1995): Redensarten, Sprichwörter, geflügelte Worte. Chur/Schweiz.

Irina Kruashvili

Idioms as a phenomenon containing national, cultural and historical features

Summary

In our everyday life we often use idiomatic expressions, which add to the language its distinctive character, vivacity and high power of expressiveness. Such creativeness is conditioned by individual or general cultural characteristics. A language is a historical formation, which has been developing for centuries. Moreover, in its every level – phonetics, vocabulary, semantics – the language adopts various elements of the past. Consequently, many idiomatic expressions spring from previous epochs. The most vividly the figurative richness of a language is manifested in its idiomatic expressions, which mostly are generated from the folklore. Subsequently, because of its figurativeness, idioms are based in the language. Many old expressions, as the voluble witnesses, give us information upon the past events, traditions and opinions, which reflect the history and the culture of a country. Therefore, idioms are interpreted as a phenomenon bearing national, cultural and historical features.

This article analyses German idioms according to their content and origin and provides illustrative examples for each semantic group.

Ирина Круашвили

***Идиома, как феномен, носящий национальную,
культурную и историческую специфику***

Резюме

В повседневной коммуникации мы часто применяем идиоматические выражения, которые придают языку своеобразность, утонченность и большую выразительную силу. Такая креативность обусловлена индивидуальными или общими культурными чертами. Язык – это историческое образование и развивается на протяжении многих веков. На всех уровнях – фонетика, лексика, семантика – он передаёт многообразные элементы прошлого, поэтому многие выражения происходят из далеких столетий. Идиомы возникают в основном в народном устноречии и затем из-за своей образности укореняются в языке. Многие из этих старых выражений, как живые свидетели, сообщают нам о прошлых событиях, традициях, представлениях. Они отражают историю и культуру страны. Поэтому идиомы рассматриваются как феномены, носящие национальную, культурную и историческую специфику.

В статье проанализированы немецкие идиомы по содержанию и охарактеризовано их происхождение. Для каждой семантической группы приведены наглядные примеры.



СПЕЦИФИКА СЛОВО- И ФОРМООБРАЗОВАНИЯ ГЛАГОЛОВ ВРАЩЕНИЯ В ГРУЗИНСКОМ ЯЗЫКЕ

Глаголы вращения в грузинском языке обладают интересной особенностью слово- и формообразования. Результат процесса вращения в современном грузинском языке выражается в форме страдательного причастия. Примечательно, что практически все глаголы вращения образуют страдательные причастия. Особо следует отметить их семантику.

Причастия страдательного залога, обозначающие результат процесса вращения могут обозначать результат уже выполненного вращения (*abrunebuli, aburtavebuli, agorebuli, axveuli, mabrunebuli, amoreuli, gamoreuli, amoxraxnili, aq'iravebuli, gagorebuli, gadabrunebuli, gadakot'rialebuli, gadagrexili, gadaxlart'uli, dagapirk'vavebuli, gadmot'rialebuli, gamoreuli, dabronebuli, dagragnili, dagrexili, dagorebuli, dat'rialebuli, daxveuli, xveuli, gadaxveuli, migorebuli, moxveuli* и т.п.).

Но кроме этого, данные глаголы (как и другие глаголы современного грузинского языка) обладают особенностью образовывать причастия, обозначающие результат вращательного действия, который предстоит совершить:

axveuli – то, что предстоит или следует *закатать*;

asagorebeli – то, что предстоит/следует *вскатить вверх*;

mosabrunebuli – то, что предстоит/следует *развернуть*;

asarevi – то, что предстоит/следует *перемешать*;

šesaxvevi – то, что предстоит/следует *завернуть*;

šemosat'rialebeli – то, что предстоит/следует *повернуть к себе*;

gadasat'rialebeli – то, что предстоит/следует *перевернуть по направлению от себя*;

gadmosat'rialebeli – то, что предстоит/следует *перевернуть по направлению к себе и т.п.*

Морфологический подход к словообразованию глаголов показал, что особой многочисленностью отличаются:

Имена существительные: Грузинский глагол, как и глаголы в известных нам языках, обладает способностью образовывать имена, несущие себе ту же семантику, что и глаголы, от которого данные существительные образованы. Отглагольные имена в грузинском языке обладают потенцией присоединения превербов, расширяя, тем самым, парадигму семантики. Интересен в этом отношении имена существительные, называющие предметы и лица, подразумевающие наличие вращательных движений:

damgorebeli – тот, кто скатывает что-либо сверху вниз

borbali – колесо

borblk'ari, k'arborbala – (кружащийся ветер) *вьюга, метель* (*borbali* – колесо, *k'ari* – ветер);

gargali – клубок

gorgolač'i – ролик

q'ira – поза, во время которой приходится стоять вниз головой.

Согласно «Этимологическому словарю картвельских языков» (Климов, 1964), корень *gor/gr* – *катить(ся), валять(ся)*: реконструируется для общекартвельского уровня по показаниям всех современных языков, основа хорошо известна из памятников древнегрузинского языка (*gorvida da perooda* – *валялся и выпускал пену; da gardaagorvon lodi esa* – *и отвалит камня...*).

Хотя, вероятно, можно говорить не только о процессе образования имен от глаголов, т.е.

о словообразовании, но и об обратном процессе – образовании глаголов от имен. Как, например, в случае существительного *q'ira* – поза, во время которой приходится стоять вниз головой и образованных от данного существительного глаголов *aq'iraveba*, *atmaq'iraveba*, *gadaq'iraveba* и т.д.

Наречия вращения: интересны и наречия образа действия с семантикой вращения:

tavdaq'ira – стоя вниз головой (*tavdaq'ira dgas* – стоит вниз головой);

kot'rial-kot'rialit' – кувыркаясь

q'iramala – кувыркаясь, переворачиваясь.

Особый интерес представляет каузация глаголов вращения. Категория глагола прежде всего связан с участниками выраженного глаголом действия – актантами, часть которых в глагольной форме представлена своими маркерами.

В грузинском языке субъектом (S) является инициатор действия (агенса может стать субъектом лишь в том случае, если он инициатор), прямым объектом (O/d) – пациенс глагола действительного залога, а косвенным объектом (O/ind) – адресат действия. Они являются разными категориями глагола и каждая из них имеет свои собственные элементы в виде первого, второго и третьего лиц в единственном и множественном числе.

Грузинский глагол известен своим полиперсонализмом – в глагольной форме, кроме субъекта, личными показателями обозначаются прямой и косвенный объекты. Каузатив, как грамматическая форма является одной из самых ярких специфических черт грузинского глагола. Практически все (одноличные, двухличные, трехличные) глаголы обладают способностью образовать каузатив, имея, тем самым возможность выражать значение, при котором какое-либо из лиц (первое, второе или третье) помогает или заставляет (первое, второе или третье) совершить какое-либо действие. Глаголы вращения не составляют исключения в этом отношении. Практически все из них аналитически образуют каузатив. Рассмотрим формообразование грузинского каузатива на примере одного из глаголов вращения: *agoreba* – вскатить, катать вверх

agagorebineb – я помогу/заставлю тебя вскатить это вверх,

avagorebineb – я помогу/заставлю его/ее/их вскатить это вверх,

atagorebineb – ты поможешь/заставишь меня вскатить это вверх,

aagorebineb – ты поможешь/заставишь его/ее/их вскатить это вверх,

atagorebinebs – он/она поможет/заставит меня вскатить это вверх,

agagorebinebs – он/она поможет/заставит тебя вскатить это вверх,

atagorebineben – они помогут/заставят меня вскатить это вверх,

agagorebineben – они помогут/заставят тебя вскатить это вверх,

aagorebineben – он/она поможет/заставит их вскатить это вверх.

Неисчерпаем грузинский глагол, в его недрах таятся множество неизученных, все еще не проанализированных явлений, одним из которых являются глаголы вращения, специфика их семантики, формообразования и функционирования. И в этой области еще многое предстоит выявить, проанализировать и подытожить.

Литература:

1. Ахвледиани Г.С., Топурия В.Т.. Грузинско-русский словарь. Тбилиси. 1990.
2. Гоголашили Г. Грузинский глагол (вопросы формообразования). Издательство «Меридиан». Тбилиси, 2010. – На груз. языке.
3. Грузинско-русский словарь. Составители Г.С.Ахвледиани и В.Т.Топурия. Издательство «Ганатлеба». Тбилиси, 1999.
4. Джорбенадзе Б.А. Грузинский глагол. Вопрос формального и семантического анализа. Издательство Тбилисского государственного университета. Тбилиси, 1986.

5. Иоселиани П. Первоначальные законы грузинской грамматики, составленный Платоном Евгеньевичем Иоселиани, Тифлис, 1930. – На груз. языке.
6. Кавтарадзе И. Особенности образования глаголов и отглагольных существительных одного типа в грузинском языке. В журн.: «Мацне», №3, Тбилиси, 1960.
7. Климов Г.А. Этимологический словарь картвельских языков. М., 1964.
8. Орбелиани Сулхан-Саба. Словарь грузинского языка. Тбилиси, 1949.
9. Пагава М. Частица в современном грузинском языке. Тбилиси, 2009. – На груз. языке.
10. Толковый словарь грузинского языка. Однотомник. Под ред. А. С. Чикобава. Тбилиси. 1986.
11. Утургаидзе Т. Грамматических категории глагола и их взаимоотношений в грузинском языке. Издательство «Картули эნა». Тбилиси, 2002. – На груз. языке.
12. Фенрих Г., Сарджвеладзе З., Этимологический словарь картвельских языков. Тбилиси, 2000.
13. Чикобава А. Какие особенности характерны для структуры грузинского глагола. Тбилиси, 1998.
14. Чимке Х., Семантические нюансы приставок современном литературном грузинском языке, Кутаиси, 2010.

ქეთევან სვანიძე
ბრუნვის აღმნიშვნელი ზმნების სიტყვაწარმოებისა
და ფორმაწარმოების სპეციფიკა
რეზიუმე

ამოუწურავია ქართული ზმნა. ჯერ კიდევ ბევრია შესასწავლი, გამოსაკვლევი. ასეთ საკვლევ პრობლემათა რიცხვს მიეკუთვნება ბრუნვის აღმნიშვნელი ზმნები. მათი სემანტიკის, სიტყვაწარმოებისა და ფორმაწარმოების თავისებურებებს ეხება მოცემული კვლევა.

Ketevan Svanidze
Issues of Word-Building and Forms of the Verbs Denoting
'Rotation' in the Georgian Language
Summary

The Georgian verb is inexhaustible. There are so many undiscovered and obscure problems in it. Verbs denoting 'rotation' can be rated among unexplored ones. The article deals with analysis of some verbs from this category and covers problems of word-building system and formation of verb forms in the Georgian language.



Хаяла Велиева
(Азербайджан)

ПАРАЛЛЕЛИЗМ КАК СРЕДСТВО РЕАЛИЗАЦИИ КОГЕЗИИ В ХУДОЖЕСТВЕННОМ ТЕКСТЕ

Проблема изучения текста принадлежит к числу актуальных проблем современной лингвистики. Однако до сих пор в ней очень много спорного, дискуссионного. Текст имеет наборы постоянных и переменных признаков, и постоянные из них носят характер категории, которые с философской точки зрения представляют собой «предельно широкое понятие, в котором отображаются наиболее общие и существенные признаки, связи и отношения предметов, явлений объективного мира» (1, 3). Таким образом, текстовая категория – это признак, который свойствен всем текстам, и является типологическим признаком.

Единого мнения о составе текстовых категорий и об основах классификации этих категорий нет. Но тот факт, что основными признаками текста являются категории когезии и связности, признаются практически всеми, хотя и сами эти категории, и соотношение между ними порой трактуется очень неоднозначно (1, 6). В этом смысле, можно отметить симптоматичное мнение Н. Энквиста, который выделяет следующие основные текстовые категории: «дискурс, грамматичность, приемлемость, адекватность, текстовая совместимость, отличительность, когезия, когерентность, связность, и интерпретируемость» (4, 371). При наличии связности компонентов в устных спонтанных коммуникациях «четко выраженная смысловая замкнутость, объединение сообщений в законченное целое зачастую, если даже не в большинстве случаев, отсутствует» (2, 12). В некоторых случаях исследователи считают, что «цельность представляет собою некоторое смысловое единство текста, а когезия – формальное выражение его цельности (3, 9).

Реципиент при восприятии текста всегда опирается на его связность, которая, как правило, лежит «ниже» порога восприятия, то есть рядовой читатель не останавливается на нем свое внимание. Оно направлено на то, ради чего создается текст – на передаваемую им информацию. Вследствие этого содержание текста усваивается как бы «поверх» связности. В рамках текста наблюдается текстообразующие потенции различных лексических, морфологических и синтаксических средств связи его компонентов. Следует отметить, что эти средства связи находятся в очень тесных отношениях и могут совместно функционировать. Наконец, они составляют сложную систему формальных и семантических отношений между компонентами целого текста.

В данной статье на материале рассказов некоторых англоязычных авторов мы рассматриваем параллелизм как синтаксическое средство выражения когезии. Формула параллельной связи А-В, С-Д, где все предложения или только некоторые выражены одинаковыми формами. При этом связи предложения не сцепляются одно с другим, а сопоставляются. Благодаря параллелизму конструкций, в зависимости от лексического наполнения, возможно сопоставление или противопоставление, подчеркивающие характер движения мысли.

Проведем небольшой анализ следующего текста:

“If you know a man’s doing, get in front of him; but if you want to guess what doing, keep behind him. Stop when he stops; travel as slowly as he. Then you may see who sees”.

“What sort of a queer thing do you mean?” asked the inspector.

“Any sort of queer thing” (H.G.Wells. “The Treasure in the Forest).

В данном примере интересен эффект синтаксической когезии, проявляющий себя в параллелизме и повторе конструкций второго и третьего предложений. Герой пытается донести до собеседника мысль о необходимости пошагового контроля за действиями подо-

зреваемого, поэтому прибегает к несколько монотонной и чересчур подробной формулировке. Ввиду того, что повторяющиеся элементы характеризуются не только общностью (если не идентичностью) построения, но и общностью выражаемой идеи, то фиксируем здесь явления семантико-синтаксической когезии.

Первое, что сразу же бросается в глаза в следующем отрывке

“He remembered how Flambeau had escaped, once by a pair of scissors, and once by a home on fire, once by having to pay for an unstamped letter, and once by getting people to look through telescope at a comet that might destroy the world” (G.K.Chesterton “The Blue Cross”).

- характерный для авторского стиля параллелизм конструкций, выраженный здесь с помощью цепочки сложных обстоятельств образа действия, начинающихся с наречия *once*, что сигнализирует нам о лексической когезии, стилистически выраженной анафорой. Налицо и грамматический параллелизм, оформленный в первых двух случаях обстоятельствами на базе предложного обстоятельства, а во вторых двух – причастной конструкцией. Лексика-грамматическая когезия связывает все элементы этого отрывка.

“Of my country and of my family I have little to say. Usage and length of years **have driven me from the one, and estranged me from the other**” (E.A.Poe “M. Found in a Bottle”).

Настоящий пример представляется нам довольно характерным по причине необычного порядка слов. Тут реализуются некоторые типичные отклонения от стандартной логической структуры предложения, согласно которой тема находится в начале предложения. Кроме этого, стилистический повтор конструкций второго предложения реализует себя в синтаксической когезии простого распространенного предложения, а опущенного вспомогательного глагола *have* для видовременной формы Present Perfect во второй части в остальном абсолютно параллельной конструкции свидетельствует о структуре грамматической когезии

Интересным представляется следующий пример:

*“They kept our graves in the very best condition; the fences were always in faultless, repaired **head-boards were kept painted or white-washed, and were replaced with new ones as soon as they began to look ruskly or decayed; monuments were kept right, railings intact and bright, the rose bushes and shrubbery trimmed, trained, and free from blemish, the walls clean and smooth and graveled.**”* (M Twain “A Curious Dream”).

Параллелизмы грамматических конструкций пассивного залога представляют собой довольно редкий случай грамматической когезии, который по мере своего развития в монологической речи героя также приобретает черты эллипсиса – сложное сказуемое теряет предикат, но в результате действия когезии понимание не затрудняется, скорее, наоборот речь приобретает динамизм. Пассивный залог выбран с целью избежать повтора агенса – местоимения *they*, которое фигурирует в начале высказывания.

*The **thousand arms** of the forest were grey, and its **million fingers silver**.*

(G.K. Chesterton. “The Sign of the Broken Sword”).

В выбранном отрывке содержится достаточно редкий пример семантико-структурной когезии. Она заключается в разделении двумя подлежащими одного и того же семантического поля, причем как для числительных, так и для существительных. Поскольку этим предложением начинается рассказ, следует признать, что высокая степень образности авторских эпитетов от такого структурно-семантического параллелизма только выигрывает. Прилагательные, определения подлежащих, также при определенном рассмотрении доказывают свою принадлежность к одному и тому же семантическому полю. Этот яркий пример демонстрирует не только семантическую, но и лексическую когезию на базе синонимического повтора по типу отношений части и целого.

So faint **was that rigid starlight** that nothing could have been traced about them except that wile they both were black, one man was enormously big, and the other (perhaps by contrast) almost startlingly small (G.K.Chesterton. “The Sign of the the roken Sword”).

Прежде всего, отметим распространенную для романтизма структурную деталь – полную инверсию первой части предложения. Далее, второе придаточное предложение предлагает нам две антонимического характера параллельные конструкции, основанные на противопоставления двух лиц, причем как с помощью прилагательного, так и наречия. Налицо явление структурно-семантической когезии, которая также подкрепляется дистантной когезией авторского тила. Обратим внимание на пояснение, заключенное в скобки. Решение автора привлечь даже невнимательного читателя к антитезе между героями заставляет нас обратить внимание на образную когезию, проявляющуюся в параллелизме образов, не только связанных фигурально, на понятийном уровне, но и подчеркнута графически.

One of the wisest men in the world acted like an idiot for no reason. One of the best in the world acted like a friend for no reason (G.K.Chesterton. “The Sign of the the roken Sword”).

Еще более яркий пример предлагает нам практически хрестоматию по вариациям повтора на базе чистого параллелизма. Два практически идентичных предложения отличаются только синонимами **wisest – best** и **idiot – friend**. Исходя из этого наблюдения, мы смело констатируем присутствие в отрывке как структурно-семантической, так и лексической когезии на базе повтора и синонимии. Чистый повтор обстоятельств места и причины в идентичных синтаксических ролях также заставляет нас упомянуть явление синтаксического параллелизма и когезии на базе катафорического и эпифорического повтора. Трудно найти более насыщенный отрывок, весь пронизанный как явлениями когезии, так и идеей когерентности, связанности структурного порядка, поэтому нам приходится свидетельствовать о присутствии здесь редкого вида когезии – композиционно-структурной.

Одной из разновидностей параллелизма является хиазм, который представляет собой обратный параллелизм, основанный на повторе синтаксической структуры компонента, с перекрестным порядком слов или фраз. Такая структура предложений может быть достигнута как инверсией, так и переходом от активного к пассивному залогу. В разговорной речи довольно часто можно встретить эту связь, используемую для передачи злой иронии, насмешки, как в приведенном ниже примере:

“I meant to call on Mrs. Manson, Doctor. But I was so busy”

- **“In the name of god!” Con rolled with laughter.**

“Busy she was! Indeed! She hadn’t a new dress – that’s what she means.”

(A.J.Cronin “The Citadel”).

Хиазм в данном высказывании приобретает особое ударение. Он подчеркивает гадкую гнусную иронию, с которой Кон говорит о своей жене.

Следует отметить, что хиазм проявляется только в близко следующих предложениях, причем структура одного из этих предложений чаще всего прямо обратная другому. Таким образом, любой правильно организованный текст представляет собой смысловое и структурное единство, части которого взаимосвязаны как синтаксически, так и семантически. Хотя параллелизм является синтаксическим средством реализации когезии текста, данное средство является сильным толчком для тематического развития текста. Таким образом, тематическое развитие достигается разными лексическими, морфологическими и синтаксическими способами (на разных уровнях разной совокупности частных связей), образуя густую сеть переплетений в тексте.

Литература:

1. Гальперин И. Р. Текст как объект лингвистического исследования. Москва, Наука, 1981.
2. Кондаков Н.И. Логический словарь – справочник. Москва, Наука 1975.
3. Кожевникова К. Об аспектах связности в тексте как целом. Синтаксис текста. Москва, Наука, 1979.

4. Харламова Т.В. Тесктообразующие средства в устной речи (на материале русского и английского языков). Автор. Дис. к. ф. н., Саратов. 2000.
5. Enkvist N.E. From Text to Interpretability: A. Contribution to the Discussion of Basic Terms in Text linguistics. Connexity and Coherence: Analysis of Text and Discourse Ed. By W. Heydrich. Berlin, New York: Mouton de Gruyter, 1989, p. 369-382.
6. Halliday M.A.K., Hasan R. Cohesion in English London:Longman, 1976.

ხაიალა ველიევა
პარალელიზმი, როგორც ლიტერატურული ტექსტის ერთიანობა
რეზიუმე

მოცემული სტატია ეხება ლიტერატურული ტექსტის სხვადასხვა ნაწილის გამაერთიანებელ საშუალებებს. სტატიაში განხილულია შემდეგი ძირითადი საკითხები:

- 1) ტექსტი, როგორც მეტყველების პროდუქტი, არჩევს ენობრივი სისტემის განსაზღვრულ ნიმუშებს და მაკავშირებლებს ტექსტში აღნიშნული შესაბამისი მნიშვნელობების გადმოსაცემად;
- 2) პარალელიზმის ფენომენი, რომელიც ტექსტის კომპოზიციაში ჩანს, სტრუქტურულ-სემანტიკური კავშირის ფუნქციას ასრულებს;
- 3) პარალელიზმით გამოწვეული ტექსტის შეზღუდულობა ინფორმაციის თანაბარ ნაწილებად დაყოფის საშუალებას იძლევა და მას მკაცრ საზღვრებს უწესებს.

Khaiala Velieva
Parallelism as a means of Cohesion in the Literary Text
Summary

The present article is devoted to the description of various cohesive ties between different parts of the literary text. The major points covered by this article may be summarized as follows:

- 1) Text, as a product of speech activity chooses certain patterns and connectors language system for expression of the relevant meanings reflected within a text;
- 2) Phenomenon of the parallelism, appeared in the composition of the text, performs the function of structural – semantic connection;
- 3) Limiting property of text, ensured by parallelism enables to divide information for equal significant parts and frames it by strict borders.



თეა შავლაძე
(საქართველო)

**ბრიტანული და ქართული ფოლკლორული იავენანების
ლინგვოკულტურული თავისებურებანი**

ფრანგი ეთნოგრაფი და ფოლკლორისტი, ფრანგული პოზიტიური ანთროპოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი არნოლდ ვან ხენეპი ამბობდა, საკმარისია თვალი გავადევნოთ ადამიანის გზას „აკვნიდან საფლავამდე“, რომ დავინახოთ თუ რაოდენ სისხლხორცეული კავშირია ადამიანურ ყოფასა და ფოლკლორს შორისო.

მისი აზრით, ადამიანი მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, აკვნიდან საფლავამდე ექვემდებარება კონკრეტულ რიტუალებს, რომლებიც გარდამტეხ მომენტებს აღნიშნავს. ეს არის **შობა**, ზიარება სოციუმთან, როცა ის თავისი მშობლიური საზოგადოების სრულყოფილებიანი წევრი ხდება, **ქორწინება**, რომელსაც იგი ახალ სოციალურ საფეხურზე აჰყავს იგი და **სიკვდილი**, რომელიც ასევე რიტუალშია „შეფუთული“. ქართველი ფოლკლორისტი ზ. კიკნაძე კი თვლის, რომ რიტუალთა რაოდენობა გაცილებით მრავალრიცხოვანია; ადამიანის ცხოვრება ამ გარდამტეხი რიტუალებით არ ამოიწურება, ფოლკლორული ჟანრები ადამიანის ცხოვრების ანარეკლია. როცა ადამიანი იბადება, მისი ფიზიკური მოვლინება ამ ქვეყნად განსაკუთრებული რიტუალით არის აღნიშნული, რომელსაც, ცხადია, სიტყვიერი ტექსტი ახლავს. ეს არის საძეო სიმღერები. აკვანში მწოლიარე ბავშვი იზრდება ე.წ „სააკვნე სიმღერებით“, რომელთა სიტყვიერი მნიშვნელობა მისთვის გაუგებარია, თუმცა მათი მიზანი სწორედ ისაა, რომ გამოძერწონ ბავშვის სულიერ-სხეულებრივი ჰაბიტუსი. ბავშვი ენას იღვამს და ამ ასაკისთვისაც არსებობს ფოლკლორული ტექსტები, რომელიც ენის გასატეხების სახელითაა ცნობილი. ბავშვის თამაშიც კი რიტუალია, რადგან თამაში მდუმარე პროცესი არ არის, და მას როგორც რიტუალს სიტყვიერი ტექსტი ახლავს. და ასე გრძელდება სიკვდილამდე (ზ. კიკნაძე, 2008).

მოცემულ სტატიაში ჩვენი მიზანია დავაკვირდეთ ბრიტანულ და ქართულ იავენანათა პოეტურ ტექსტებს, ვნახოთ როგორია მათი წარმომავლობა, დანიშნულება და ვერბალური გაფორმება, როგორ აისახება ამ სახის ტექსტებში სხვადასხვა კულტურათა წარმომადგენლების, ჩვენს შემთხვევაში, ბრიტანელი და ქართველი ხალხის, უფრო სწორად დედების მისწრაფებები, ოცნებები თუ იმედები, ვნახოთ როგორ ჰპოვებს იავენანებში გამოვლინებას ისტორია, რელიგია, ტრადიციები, სულიერი კულტურა.

საქართველოში იავენანას სხვადასხვა სახელით იცნობენ. ესენია: „ნანა“, „ნანინა“ და „იავენანა“. ისინი წარმომავლობის მიხედვით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. „ნანა“ საწყისშივე საკუთრივ აკვნის პოეზიას წარმოადგენდა, ხოლო „იავენანას“ პირველადი ფუნქცია ბატონებისგან განკურნება იყო. მოგვიანებით ორივე ციკლის ლექსები ერთმანეთს დაუახლოვდა და დღეს აღარ განირჩევა. წინათ, რადგანაც ბავშვებს აკვანში ზრდიდნენ, იავენანებს „სააკვნე ლექს-სიმღერებითაც“ მოიხსენიებდნენ. ერთ-ერთი წყაროს მიხედვით, თავდაპირველად იავენანა წარმართული საკულტო რიტუალის საგალობელი იყო და უკავშირდებოდა მზის და ნაყოფიერების ქაღალმერთ ნანას სახელს. დროთა განმავლობაში იავენანამ დაკარგა პირვანდელი საწესო ხასიათი (თ. ნოზაძე, 2011).

თუკი სიტყვა „იავენანა“ საქართველოში წარმართული ღვთაების სახელს, მზის და ნაყოფიერების ქაღალმერთ ნანას სახელს უკავშირდება, ინგლისურში სიტყვას “lullaby” სულ სხვაგვარი წარმოშობის ისტორია აქვს. არსებობს რამოდენიმე

ვერსია. ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ტერმინი უკავშირდება ძვ. ებრაულ ფრაზას „Lilith begone”. ესპანელი Moses de Leon (1240-1305) წიგნში „The Book of Splendour” წერს: “At the same time Jehovah created Adam, he created a woman, Lilith, who like Adam was taken from the earth. She was given to Adam as his wife. But there was a dispute between them”. მეორემეტყვე საუკუნის უცნობი ავტორის წიგნში „Alpha Betha of Ben Sira” უფრო დეტალურადაა აღწერილი კონფლიქტის მიზეზი: „The conflict arose because Adam, as a way of asserting his authority over Lilith, insisted that she lie beneath him during sexual intercourse. Lilith, however, considering herself to be Adam’s equal, refused, and after pronouncing the ineffable Name (i.e the magic name of God) flew off into the air”. ლეგენდის თანახმად, ღმერთმა ლილითს უკან ანგელოზები დაადევნა და მათი პირით შეუთვალა უკან დაბრუნებულყო, თორემ ყოველდღიურად 100 შვილს მოუკლავდა. მიუხედავად მუქარისა, იგი უკან აღარ დაბრუნებულა. ლილითს ანგელოზებისთვის განუცხადებია, რომ მისი მიზანი იყო ზიანი მიეყენებია ახალშობილთათვის. ებრაელთა წარმოდგენით ლილითი ბოროტი სულია რომელიც ბავშვებს ღამით იტაცებს, კლავს, მშობიარე ქალებს პრობლემებს უქმნის და ახალგაზრდა მამაკაცებს აცდუნებს (Ch. Witcombe “Eve and the Identity of women”). ცრუმორწმუნე ებრაელები ლილითისაგან თავის დასაცავად ბავშვის ოთახის ოთხივე კედელზე ამულეტებს ჰკიდებდნენ წარწერით: “Lilith-abi” („Lilith begone”). მიიჩნევა, რომ მშვენიერი, ნაზი იავნანაც, რომელშიაც დედები ანგელოზებს მოუხმობენ შვილთა დასაცავად, ბავშვებს ლილითისაგან იცავს მთელი ღამის მანძილზე.

მეორე ვერსია შემდეგია: ”The English term lullaby is thought to come from “Lu, lu” or “la la” sound made by mothers or nurses to calm children and “byby” or “byebye”, either another lulling sound, or a term for good night” (ინგლისური ტერმინი “lullaby” უნდა მომდინარეობდეს ბგერათკომბინაციიდან “Lu, lu”-ან “la la”, რომელსაც დედები და ძიძვები მიმართავენ ბავშვების დასამშვიდებლად. იგივე ფუნქციის მატარებელი უნდა იყოს ბგერათკომბინაცია “byby”. თუმცა, შესაძლებელია ბგერათ-კომბინაციაში “byebye” ღამე მშვიდობისა იგულისხმებოდეს).

იავნანა ყველა კულტურაში არსებობს და მისი ძირითადი დანიშნულებაა ბავშვის დამშვიდება და დაძინება. იავნანათა პრაქტიკული მნიშვნელობა უდიდესია: იავნანას მოსმენისას ბავშვი იღებს დედისგან დადებით მუხტს, სიყვარულს. ტექსტებსაც თუ დაუფკვირდებით იგი ბავშვს ღმერთის, სამშობლოს და აღამიანის სიყვარულს ასწავლის და მუსიკალურადაც ავითარებს. იავნანას სიტყვიერი ტექსტი ბავშვისთვის გაუგებარია, სათქმელს ამ ეტაპზე მხოლოდ დედისთვის აქვს მნიშვნელობა. აკუნის სიმღერების ტექსტში ძირითადად გამოხატულია ყრმის სიყვარულით აღსავსე დედის ემოცია: ფიქრი, ოცნება და იმედი. ხშირად დედის ხმამაღალი ფიქრები მწყობრიც არ არის, შვილთან დიალოგი იმპროვიზირებულია, ტრადიციულ ფრაზას შეიძლება ახალი მიებას, რომელიც იმ მომენტში გააჩინა ფიქრმა და ემოციამ. რაკი იავნანას მიზანი დაძინებაა, მისი ტექსტი ძირითადად მარტივი და განმეორებადია.

რაც შეეხება იავნანათა სახეებს, ძირითადად 3 სახის იავნანას გამოჰყოფენ. ესენია: ჯადოსნური (magical), სასიყვარულო (erotic), დედის საყვედურის თუ სინანულის ამსახველი (სანგა, 1979:41). მაგრამ ეს კლასიფიკაცია არასრულია. გარდა ზემოჩამოთვლილი სახეებისა, არსებობს პატრიოტული, რელიგიური, ისტორიული, საყოფაცხოვრებო, შიშის გამომწვევი და სხვა სახის იავნანები. შევეცდები ეს შინაარსობრივი მრავალფეროვნება რომელიც როგორც ქართულ, ისე ბრიტანულ იავნანას ახასიათებს საილუსტრაციო მასალის საფუძველზე წარმოვადგინო.

ქართული იავნანები შინაარსობრივად მართლაც მრავალფეროვანია. როგორც

ზემოთ შევნიშნე, იავნანებს ძველად საქართველოში ბავშვებს ბატონების დაბრძანების დროს უმღეროდნენ. ამდენად ამ სახის იავნანები ქართულ კულტურაში ცალკე განხილვის საგანია და სპეციალურ სახეს წარმოადგენს. თუკი ქართულში პატრიოტული, რელიგიური, საისტორიო თუ სხვა ტიპის იავნანები დიდაქტიკურ – ესთეტიკური მნიშვნელობა გააჩნია, ზემოდასახელებული ტიპის იავნანათა მიზანია მოხდეს ბატონების დაშოშმინება. ასე მაგალითად:

**იავნანა, ბატონებო, ვარდო ბატონებო,
იავნანა, ბატონებო, ვარდო ბატონებო,
დატკბით, დატკბით, დაშოშმინდით, ვარდო ბატონებო,
დატკბით, დატკბით, დაშოშმინდით, ვარდო ბატონებო.**

**ან იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ-ნანინაო,
ბატონებო მწყალობლებო, იავ-ნანინაო,
იასა ვკრეფ, ვარდსა ვფინავ, იავ-ნანინაო,
ჩემს ბავშვებს უშეღავათეთ, იავ-ნანინაო.**

ქართულ იავნანებში სჭარბობს დედის სიყვარულის ამსახველი იავნანები, რომლებიც იმავდროულად ჯადოსნური ელემენტების მატარებელიცაა.

**იავნანა, ვარდო ნანა, იავნანინაო,
დაიძინე, გენაცვალე, იავნანინაო,
ჯერ არ გათენებულაო, იავნანინაო,
ვარსკვლავები ამოსულა იავნანინაო,
მთვარე შეშინებულაო, იავნანინაო,
მანანოები მოდიან, იავნანინაო,
ძილი მოაქვთ გუდითაო, იავნანინაო,
ამას ჩემს ყმაწვილს მივუტან იავნანინაო,
თვალს გაეუვსებ ძილითაო, იავნანინაო,
დაიძინე, გენაცვალე, იავნანინაო (რაჭული ხალხური იავნანა)**

წარმოდგენილი ნაწყვეტის ძირითად შინაარსობრივ ნაწილში დედა სთხოვს ყრმას დაიძინოს. იგი ხშირად მიმართავს პატარას სიტყვით „გენაცვალე“, რაშიც დედის თავშემოვლება ჩანს. ამავე დროს აქ კარგად ვლინდება დედის მზრუნველობა შვილის მიმართ „მანანოები მოდიან, იავნანინაო / ძილი მოაქვთ გუდითაო, იავნანინაო / ამას ჩემს ყმაწვილს მივუტან იავნანინაო / თვალს გაეუვსებ ძილითაო, იავნანინაო“. ამ იავნანაში დედა ყოვლისშემძლე არსებად წარმოგვიდგება. თითქოს დედა აშინებს მთვარეს, თითქოს დედას ამოჰყავს ცაზე ვარსკვლავები და ძილი ისე მოაქვს პატარასთან.

ჯადოსნური სამყაროს დახატვაში მონაწილეობს არა მარტო ციური სხეულები: მთვარე, ვარსკვლავები, არამედ ყვავილთა ლექსემებიც რომელთა გამოყენება მეტაფორულია (ია – დედა; ვარდი – ბებია).

**ნანას გეტყვი ძილისთვინა
შენი მოსვენებისთვინა
იამა გშობა შობითა
ვარდმა გაგზარდა ქებითა,
ნარგიზმა ძუძუ გაწოვა,
მას გაგხარ ფეროვნებითა (ხალხური)**

ყვავილთა ლექსემებთან ერთად ქართულ იავნანებში ჩნდება ძვირფასი ქვების, ფრინველთა და ცხოველთა სახელები.

**კართან ია გიფენია
მტრედთან ერთად გიფრენია,
ვარდი, ზურმუხტი, ლაღები,**

აკვანში დაგიფენია (ხალხური).

ანგელოზი გირწევს აკვანს, იავნანინაო

თეთრი კრავი გესიზმრება იავნანინაო (ხალხური)

ზემთ წარმოდგენილ ნაწყვეტებში დასახელებული ლექსემები: ია, ვარდი, ზურმუხტი, ლალები, მტრედი და თეთრი კრავი დადებითი კონოტაციის მატარებელია და სიმბოლური დატვირთვა გააჩნია (მტრედი – მშვიდობის სიმბოლო, ია – ვარდებით, ზურმუხტითა და ლალებით მოფენილი აკვანი – უზრუნველი, უშფოთველი, მატერიალური პრობლემებისაგან დაცლილი ცხოვრების სიმბოლო, აკვანთან მყოფი ანგელოზი და თეთრი კრავი კი სიწმინდის სიმბოლო) ისინი სიმშვიდის, უზრუნველი ცხოვრების წარმოსახვაში ეხმარება ბავშვს და მას სამყაროს ზღაპრულად წარმოუდგენს.

სიმშვიდის შემომტანია სიტყვა „ანგელოზი“. ერთი მხრივ, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დედა ბავშვის დაცვას ანგელოზებს მიანდობს (ანგელოზი ფრთები გხურავს, იავნანინაო), მაგრამ შეიძლება იგი ძილის პერსონიფიცირების საშუალებადაც მივიჩნიოთ (ანგელოზის ძალასაო, ძილი მოდის თვალასაო, / ნანინა, ნანა, ნანინა; ანგელოზი გირწევს აკვანს, იავნანინაო).

ქართულ იავნანებში შეინიშნება დედის მიერ შვილის დალოცვის მაგალითებიც (დაიძინე, ჩემო შვილო, / გახდი მშობელიო/ შენს ქორწილში დამჭირდება სამი სოფელიო; ძილი და მოსვენებაო/გახრდა და სულ მატებაო).

მეტაფორული აზროვნებით გამოირჩევა იავნანათა დიდი ნაწილი. ერთ-ერთ მათგანში დედა პატარას ადარებს მისთვის და მისი ოჯახისათვის უმნიშვნელოვანეს საგნებს და ამგვარად ახერხებს შვილის მნიშვნელობის წარმოჩენას.

ნანი ნანი ყმაწვილო, თეთრი პურის ნაწილო

მამის ოქროს გუთანო, დედის ჩიქილ-მანდილო!

ბიძის ქამარ-ხანჯალო, ძალოს წითელი ვაშლო!

სუფრას საგორებელო, ქვეყნის მამგონებელო (კახური იავნანა).

ღირსეული მამულიშვილების აღზრდას ემსახურება ქართული სააკვნო ლექს-სიმღერები. ამ სახის იავნანებში კარგად ჩანს ქართველი ქალის სახე. იგი სამშობლოს სიყვარულს ჩვილობიდანვე უნერგავს პატარას, გმირად ზრდის, თავგანწირვას ასწავლის და საგმირო საქმეების საკეთებლად მოუწოდებს პატარას. ქართველ დედებს კარგად ესმოდათ, რომ მამულს უზრდიდნენ ერთგულ დამცველებს; ამიტომაც პატრიოტული სახის იავნანებში ხშირად მოიხსენიება საომარი იარაღ-აღჭურვილობა, რომლით შემკობასაც პირდება დედა თავის შვილს (შეგიკერავ კაბასა, წითელ-ყვითელ ატლასსა / ზედ დაგისხამ დილებსა, ოქროთ დაფერილებსა, / შემოგაკრავ ქამარსა, შიგ ჩავირჭობ ხანჯალსა). აღსანიშნავია, რომ ქართული „ნანას“ ტექსტებში დედა ჩვილს მოაგონებს მისი წინაპრების საგმირო საქციელს და მისგანაც ამასვე მოელის და მოითხოვს (ჩემს პატარა ბიჭუკუნას ტკბილი ნანინაო, / მაგრე ტკბილად, უდარდელად რამ დაგაძინაო. / დედაშენმა მძიმე ტვირთი დიდხანს ატარაო. / ბიძაშენმა ბრძოლის ველზე სისხლი დაღვარაო – სვანური იავნანა). ქართულ ხალხურ სააკვნე ლექს – სიმღერებში ასახულია საქართველოს ისტორიაც. ერთ – ერთ მეგრულ „ნანაში“ ის მწარე და ავადმოსაგონარი დროა ასახული, როცა 1885 წლის შემოდგომაზე ომერ ფაშამ იერიში მიიტანა სამეგრელოზე, რასაც ამ კუთხის ორწლიანი ძარცვა – აწიოკება მოჰყვა (თ. შიოშვილი, 2004) .

თურქი მოდის გზაზედა, მამაშენის წაღდნაკრავი, ნანი – ნანინა.

რა ექნათ, შვილო, ნანა, თურქები არ გვაყენებენ,

კაცს ყველაფერს წაართმევენ, მერე ჩამოახრჩობენ, ნანი – ნანინა.

ზემთ წარმოდგენილი იავნანა შიშის გამომწვევია, რომელიც ბავშვს არა თუ ამშვიდებს, არამედ, პირიქით, აფორიაქებს. უარყოფითი სახეები და თემები: ომი,

ბრძოლა, თავდასხმა, სიკვდილი, შიმშილი – იწვევს ბავშვის დაფრთხობას. ზოგიერთ კულტურაში ზემოთ ჩამოთვლილ უარყოფით სახეებს კონკრეტული ცხოველების სახელებითა და ადამიანებით დაშინება ემატება.

ბრიტანეთში ბავშვის დასაძინებლად სხვადასხვა ხერხს მიმართავენ: 1. ალერსი, რომელიც ძირითადად გამოიხატება კნინობით – ალერსობითი სიტყვებით (little birdy, little light, little wonder, my dear, my darling) და შესაბამისად ქმნის საალერსო იავნანათა (erotic) სახეს; 2. დაპირება, რომელის დროსაც მშობლები ყოველგვარ საუკეთესოს პირდებიან შვილებს დამშვიდებისა და ჩაძინების სანაცვლოდ. ეს უკანასკნელი საფუძვლად უდევს ე.წ. „დამაჯილდოვებელ“ (rewarding) იავნანებს. 3. დაშინება, რომლის დროსაც მშობელი შვილს აშინებს სხვადასხვა ცხოველის, ფრინველის, ადამიანის ან ბუნებრივი მოვლენის სახელით. იავნანათა ეს სახე შემაშინებელი / მუქარის შემცველი (threatening) იავნანის სახელითაა ცნობილი. 4. ტექსტის მეტაფორიზაცია და ზღაპრული სამყაროს ვერბალური დახატვა, რომელიც სასიამოვნო ასოციაციებს ბადებს ბავშვში და იწვევს მის ჩაძინებას (ჯადოსნური / magic იავნანები). 5. დიდაქტიკურ – მორალისტური, რომელშიც გაერთიანებულია ისტორიული და რელიგიური შინაარსის იავნანები.

ბრიტანული იავნანების უმრავლესობაში ხაზგასმითაა აღნიშნული, თუკი ბავშვი კარგად მოიქცევა (იგულისხმება არ იტირებს ან მალე დაიძინებს და არ იჭირვეულებს) დედა, ბებია თუ ძიძა, ვინც იავნანას მღერის, მას კარგი ქცევისთვის დააჯილდოვებს.

Bye, baby bunting, Daddy's gone a hunting
Bye, baby bunting, brother's gone a hunting
to get a fleece so warm and trim for
wrap their baby bunting in.
Bye, baby bunting, Mama's gone a milking
Bye, baby bunting, sister's gone a silking,
to make the babe so warm at night to help
the babe sleep sound tonight.

აღნიშნულ იავნანაში მოქმედი სავარაუდოთ ბებია ან ძიძაა. იგი ბავშვს ამშვიდებს იმით, რომ უყვება თუ როგორ უყვართ და როგორ ზრუნავენ მასზე ოჯახის წევრები: მამა და ძმა სანადიროთ არიან წასულები, დედა ძროხის მოსაწველად, და მატყლის დასართავად. ბავშვს იავნანაში დადებით განწყობას უქმნის სიტყვები: ნადირობა, ძროხის მოწველა, მატყლის დართვა. თითოეული მათგანი კონკრეტულ საგათან ასოცირდება: ნადირობა – ნანადირევი, ძროხის მოწველა – რძე, მატყლის დართვა – თბილი მატყლის სამოსი. ყველა ეს სიტყვა და საგანი სითბოსა და ტკბილ ძილს უქადის პატარას სიმშვიდის ნაცვლად.

მომდევნო იავნანაში “Hush Now, my Baby” მამაა მოქმედი და ის პირდება დაჯილდოვებას პატარას. ეს კი იმ ფაქტზე მიუთითებს, რომ ბრიტანეთში იავნანების სიმღერით არა მხოლოდ დედები, ბებიები და ძიძები არიან დაკავებულნი, არამედ მამებიც.

Hush now, my baby, lie still with your daddy,
Your mommy has gone to the mill,
to grind you some wheat to make you
a treat and so my dear baby lie still.
Принцип ассоциативной выводимости реализуется с помощью ситуативного обыгрывания внутренней формы слова «Держиморда» – «держат морду». Так в последней строфе возникает синоним слова «морда» – «лицо», что усиливает комический эффект.

Часто объектом пародии становится неудачная языковая имитация автора.

М. Глазков.

Авторитет и приоритет.

Во всяком случае, я хлеба

Побольше Хлебникова ел.

Павел Мелихан.

Мой род с десятого колена

*С деревней прочно связь имел.
Во всяком случае, я хрена
Побольше Хренникова ел.
Бывало, только в лес заеду –
Ажиотаж берёт грибной.
Ни Грибачёв, ни Грибоедов
Не угнались тогда б за мной.
А сколько я съедал за сутки
Пупков утиных по весне!
Пожалуй, даже Ося Уткин
Не видел столько и во сне.
И если хлеб, нутром рискуя,
Я хлеще Хлебникова ел,
То в лужу сяду уж такую,
В какой Лужанин не сидел.*

В данном тексте пародист находит неудачной языковую имитацию автора (хлеба ел больше Хлебникова). М.Глазков доводит этот мотивационный каламбур с именем собственным до абсурда путём тиражирования модели через подбор имён известных поэтов с прозрачной внутренней формой. Пародист также вводит элемент шутливого «панибратства»: «То в лужу сяду уж такую,

В какой Лужанин не сидел» – элемент снижающего переосмысления.

Основой языковой имитации пародиста может стать приём сознательного нарушения литературной нормы. Примечателен в этом отношении следующий пример: А. Иванов.
Хлопцы и шекспиры.

*Не надо, хлопцы, ждать шекспиров,
Шекспиры больше не придут.
Берите циркули, секиры,
Чините перья и за труд.
... Про Дездемону и Отелло
С фуфайкой ватной на плече.
М. Горденко.*

*Не надо, хлопцы, нам шекспиров,
Они мой вызывают гнев.
Не надо гениев, кумиров,
Ни просто «гениев», ни «евг».
Неужто не найдём поэта,
Не воспитаем молодца,
Чтоб сочинил он про Гамлета
И тень евонного отца!
Да мы, уж коль такое дело,
Не хуже тех, что в старину...
И мы напишем, как Отелло
Зазря прихлопнуло жену!
Все эти творческие муки
В двадцатом веке не с руки –
Все тишут нынче! Ноги в руки,
Тоци секиру и секи.
Вот так навалимся всем миром,*

*Нам одиночки не нужны!
И станем все одним Шекспиром,
Не зря у нас все равны!*

А.Иванов пародирует стиль поэта, насыщенный разговорной лексикой и в то же время патетической, призывной интонацией. Неудачным пародист находит и обобщенный образ «шекспиры» по отношению к талантливым литераторам. Пародия А.Иванова строится: во-первых, на повторе синтаксических конструкций автора, которые пародист вписывает в свой сюжет, доводя до абсурда ту мысль, которую хотел передать автор; во-вторых, намеренное гиперболизированное стилизованное несоответствие диалектных форм, употребляемых в одном контексте с именами шекспировских героев: «тень евонного отца», «все пишут нынче», «не зря у нас все равны», а также намеренное изменение орфоэпической нормы в целях сохранения авторской рифмы:

*Неужто не найдём поэта,
Не воспитаем молодца,
Чтоб сочинил он про Гамлета*

И тень евонного отца!

Автор пародии намеренно изменяет родовую принадлежность имени Отелло (в пародии это слово среднего рода), что опять же показывает степень снижения пародистом авторского оригинала. Таким образом, основным приёмом имитации в данной пародии является намеренное использование диалектизмов, необходимое для разоблачения исходного стихотворения.

Таким образом, типологическая интерпретация текстов литературных поэтических пародий продемонстрировала три группы подобных текстов, а) имитация содержательно-смыслового и композиционного плана; б) пародирование языкового плана выражения; в) контаминация первых двух объектов пародирования.

Их инвариантным признаком является языковая игра, имитационный характер излагаемого материала, а вариативным – установка на имитацию объекта пародирования.

Литература:

1. Гридина И. Филологический анализ текста. Москва. 1995.
2. Морозов А. А. Пародия как литературный жанр // Русская литература. 1960, №1.

ოღდა სიტუკი ენობრივი იმიტაცია და პაროდირება რეზიუმე

სტატიაში განხილულია პაროდისა და პაროდირების ცნებები და საინტერესო ლიტერატურული პარადიების ტიპოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე გამოყოფილია ამ ტიპის ტექსტების სამი ჯგუფი:

- ა) შინაარსობრივი და კომპოზიციური სახის იმიტაცია.
- ბ) ენობრივი გამოხატვის იმიტაცია.
- გ) პაროდირების ორივე ობიექტის კონტამინაცია.

მათი ინვარიანტია ენობრივი თამაში და მოცემული მასალის იმიტაციური ხასიათი, ვარიანტი კი – პაროდირების ობიექტის იმიტაციის არჩევა.

Olga Khitruk
Linguistic Imitation and Nature of parody
Summary

The article deals with the meaning of the terms *parody* and *parodic*, and on the basis of the typological interpretation of interesting poetic parodies, the article demonstrates three groups of such texts:

- a) Imitation of the content and meaning;
- b) Parodying of the language form;
- c) Contamination of the first two subjects of parody;

The invariant characteristic is the play of word, imitative nature of the material in question, and variant-wise – focus on imitating the object of the parody.



ლუარა სორდია
(საქართველო)

გალაკტიონ ტაბიძის პოეტური ინტერპრეტაციები

გ. ტაბიძის პოეზია ითავსებს მათემატიკურ ცნებებს. მისი ესთეტიკური კრედო კავშირშია მათემატიკასთან, გეომეტრიასთან, „არტისტული ყვაილების“ ავტორის ლექსებში პოეტურ სახეებს ხშირად უწყვილდება რიცხვები.

გალაკტიონის შემოქმედებაში ჩნდება ზუსტი მათემატიკური გაანგარიშება, ჰანგთა რიცხვი, ლოდინი და რიცხვი, მშრალი რიცხვი, გადაუხდელთა იმედთა რიცხვი, ციფრი ქარის, ციფრი სვეტი, სტრიქონები, ვით ციფრები, პოეტი და გეომეტრი, მოგონებები და პარაბოლები, ფხიზელი მიზანი და ანგარიში, დროის ბარომეტრი, აზრის ციფერბლატი, თეზისები, კლასიფიკაცია, პოეზიის ინტეგრალი.

შემთხვევითი არც აინტაინისადმი ინტერესი იყო, რაც პოეზიისა და მათემატიკის, ფანტაზიისა და სიზუსტის საჭიროებაზე, ჰარმონიის მოთხოვნაზე მიმანიშნებელი უნდა იყოს („თუ ბრძოლა არ არის“).

რიცხვებისადმი ინტერესით ყურადღებას იქცევს ანტიკური პითაგორეიზმი, შუა საუკუნეების მისტიკა. არსებობს რიცხვების პოეტური ალეგორია, მეცნიერული ახსნა.

პითაგორელთა მიხედვით, მთელი სამყარო, „ჰარმონია და რიცხვია... რიცხვი სამყაროს ყველა საიდუმლოების გასაღებია. პოეზია მხოლოდ იქ არის, სადაც რიცხვთა ჰარმონია სუფევს“.

„რიცხვის ბუნება და ძალმოსილება მოქმედებს არა მარტო სულიერ და დეტალებზე საგნებში, არამედ ყველგან, კაცთა ყველა სიტყვასა და საქმეში, ყველა ხელოვნებასა და მუსიკაში (ფილოლოგია). რიცხვსა და ჰარმონიას შეაქვს სიცხადე, აზრი და გარკვეულობა ყოველივე იმაში, რაც ბუნდოვანი, უაზრო და გაურკვეველია. რიცხვი და ჰარმონია თავად წარმოადგენს ჭეშმარიტებას, ვინაიდან სიცრუე უცხოა მათთვის, სიცრუე და შური დაუსაზღვრელს, უაზროსა და არაგონიერს ახლავს, სიცრუის სუნთქვა ვერ შეეხება რიცხვს, რადგან სიცრუე სძაგს ბუნებას მისას, ხოლო ჭეშმარიტება მისი სისხლი და ხორცია, ჭეშმარიტება დასაბამიდან განუყოფლად არის მასთან დაკავშირებული. რიცხვი თავად საგანთა ჭეშმარიტებაა“ (1, 93).

გალაკტიონისათვის სამყაროული ჰარმონია რიცხვის, კლასიფიკაციის გარეშე ვერ წარმოიდგინება, მისი თქმით, „ცხოვრება არის ორგანიზაცია, ნამდვილი ცხოვრება არის ორგანიზაცია“ („მხურვალე სალაში პროლეტარულ მწერლებს“).

თეზისები, კლასიფიკაცია, ფორმულები, ზუსტი მათემატიკური გამოანგარიშება (ოღონდ ფორმისა და გრძნობის სფეროში) სჭირდება ჭეშმარიტ პოეტურ სიტყვას: „ასეთი კაცია, უყვარს თეზისები, კლასიფიკაცია, ნურვინ ნუ ინებოს გაამხანაგება, მისი ტერმინების ისევ დალაგება. კაცად მეგულები, თუ ხარ გულკეთილი, უნდა ფორმულები გქონდეს მოჭედილი, არცერთი შემთხვევითი, დანაგვიანებული, არცერთი ზედმეტი, დაგვიანებული, სიტყვას გარშემო ხმა არ აქვს მონური, სიტყვა ეკრეჟიმია რევოლუციონური“.

ვეგენი ვინოკუროვი წერს: „ფორმულის მშვენიერება და განსაცვიფრებელი სიმწიფობა, სტრუქტურული წესრიგი და სიმეტრია ჭეშმარიტებას მოწმობენ, მრავალი ჰუმანიტარია გატაცებული ვერნადსკის იდეებით, რომელთა საფუძველს მიკრო და მაკრო სამყაროთა სიმეტრიის პრინციპი შეადგენს. საინტერესოა მისი გამოვლენა პოეზიაში. პოეზია სწორი და ჭეშმარიტია მაშინ, როდესაც ლექსის შინაგანი

სტრუქტურა სიმეტრიულია, ლამაზია. მეცნიერებაშიც ასე ხდება: თუკი აღმონაჩენის სტრუქტურა შინაგანად ჰარმონიულია, თუკი ყოველი ნაწილი დანარჩენ ნაწილებს ებმის და მათ შორის უცნაური, იდუმალი თანხმობა სუფევს, ეს უტყუარად ადასტურებს, რომ ყველაფერი სწორია“ (ფიქრები პოეზიაზე) (2, 4).

ე. ვინოკუროვის აზრით, ჭეშმარიტების კრიტერიუმი, ეს ჰარმონიულად რთული, პოლიფონიური, პარადოქსული მთლიანობა უნდა იყოს. ვინოკუროვი იმწმებს ფლობერის აზრს: „რიცხვთა კანონი განაგებს როგორც მეცნიერებას, ასევე პოეზიას, სიტყვათა შეერთების სიზუსტეში არის რაღაც კანონივით მარადიული, რატომაა რომ ჩვენს ცდას, რაც შეიძლება შეკუმშულად გამოვხატოთ აზრი, გარდუვალად მოსდევს ხოლმე ლექსის თხზვა? როგორც ჩანს, რიცხვთა კანონი განაგებს გრძნობებსა და აზრებს“.

ე. ვინოკუროვი ასკვნის: „ეს საიდუმლო კანონზომიერება ხელოვნებაში მუდამ დგება ყოველთვის, როდესაც ჭეშმარიტ ტალანტს ვხვდებით“ (2, 4).

როგორც ჩანს, ამ ფარულ კანონზომიერებას გულისხმობდა გალაკტიონის რიცხვთა სიმბოლიკაც:

„ცისფერი სვეტი, ცისფერი-ფერი,
ციფრი, ციფრი ქარის,
ამ ციფრებში ყველაფერი
თავის რიგზე არის“ („აი გეგმაც“).

რიცხობრივი სიზუსტის მოთხოვნა ვრცელდება სტრიქონებზეც: „სტრიქონებია, ვით ციფრები და ხანა ტოკავს. სმენა! თვალყური! ეპოქა ისვრის ახალ ერესებს და იგი არის, დღეებს რომ გასცდა უძლიერესებს“.

პოლ ვალერი ამბობს: „რიცხვი და ჰარმონია ქმნის არითმეტიკის კატეგორიებს პოეზიაში“.

„ზუსტი გათვლისა და გაანგარიშების გარეშე ნაწარმოები მდარეა, მდორე. ჭეშმარიტი პოეზია გონების ზუსტ ქმედითობას გულისხმობს“.

საკუთარ შემოქმედებით გამოცდილებაზე დაყრდნობით, მუზისა და გაანგარიშების მიმართებას ასე აზოგადებდა პოლ ვალერი: „ჩემს ყოველ მხატვრულ ნაწარმოებზე ჩატარებული მუშაობა მარწმუნებდა: ეს მუშაობა მოითხოვს არამარტო პოეზიის არსებობას ჩემში, არამედ... ასევე, ათასგზის გაანგარიშებას, შერჩევას, ამოკრებასა და სინთეზს, რომელთა გარეშე მუზისა თუ შემთხვევის ყველაზე უხვი ძღვენიც კი უქმია ისევე, როგორც ძვირფასი მასალის გროვა უარქიტექტოროდ მიმდინარე მშენებლობაზე“.

პოლ ვალერი მიიხნევედა, რომ ჭეშმარიტი ხელოვნებისათვის საჭიროა „ზოგიერთი მათემატიკური ორაზროვნების სიტკბოება, სიზუსტე, რომელსაც სულის იდუმალ სიდრმეებში ჩხრეკით შეიძლება მიაღწიოს კაცმა“ (3, 74).

ედგარ ალან პო, გვიმხელს რა „ყორანის“ შექმნის საიდუმლოებას, წერს: „ყორანის“ კომპოზიციაში არაფერია შემთხვევითი ან ინტუიციური. ეს თხზულება თავიდან ბოლომდე მათემატიკური სიზუსტით და სიმკაცრით არის განსაზღვრული“ (კომპოზიციის ფილოსოფია) (4, 204-219).

ლექსის კომპონენტების „საკუთარ არქიტექტურაზე“ ამახვილებს ყურადღებას გ. ტაბიძე ერთ ჩანაწერში: „რითმების სიმდიდრეს, ცეზურების მოძრაობას, საკუთარი სახელებისა და ტექნიკური ტერმინების შემოღებას, ძლიერ და ხმოვან რიტმს აქვს თავისი საკუთარი არქიტექტურა, ჰყავს თავისი მასწავლებლები, თავისი, თუ შეიძლება ითქვას, ხელების სიმარჯვე და საკუთარი ბეჭედი“ (5, 71).

ანდრეი ბელის თქმით, „მეტრი პოეზიის ალგებრაა, რიტმი მისი არითმეტიკა,

მეტრი ნორმაა, რიტმი – ფაქტი. აზრი არის რიტმის მეტრი, მეტრი – მუსიკის საზომი“.

მაღარმე წერდა: „სიტყვიერი სტრუქტურა და მათემატიკური ფორმულები ერთგვაროვანი მოვლენებია, მათემატიკა ყოველივე არსებულის ელემენტია“.

ეხებოდა რა თავისუფლებისა და წესრიგის, გაზომვისა და გაანგარიშების პრობლემას პოეზიაში, სტ. მაღარმე ამბობდა: „ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევლევა გენია თავის უჩვეულობას... მაგრამ სრულ თავისუფლებას აწონასწორებს მკაცრი წესრიგი...“ (6, 157).

„ლექსი ზოგჯერ აბოხოქრებული იშვიათობაა... თუმცა ახლა უკვე მოწმენი ვართ, რომ ყოველივე გაზომილ-გაანგარიშებული იშვიათობაა“ (6, 158).

„აზრი, ქმედითობა, ამსახველობა – სიმეტრიასთან შერწყმული“, აი რა არის მთავარი მაღარმეს აზრით („მუსიკა და მწერლობა“) (6, 162).

პოლ ვალერი წერს მაღარმეს შესახებ: „მაღარმემ, მეცნიერული კულტურისა და ჩვევების გარეშე, შეძლო შეჭრილიყო იმ პრობლემების სიღრმეში, რომლებიც შეიძლება შევადაროთ რიცხვისა და წესრიგის ოსტატთა ცდებს“ (3, 258).

ცნობიერების პრიმატში, გულდასმით ანალიზის უნარში ხედავს პოლ ვალერი მაღარმეს სიდიადის წყაროს: „თავისი წინამორბედების მიაშიტურ სწრაფვას, ინსტინქტებისა თუ ტრადიციულ (ანუ ნაკლებად ცნობიერ) ქმედითობას მან შეუნაცვლა გულდასმით გააზრებული და თავისებური ანალიზის შედეგად მიღწეული ხელოვნური კონცეფცია“ (3, 25).

პოლ ვალერის აზრით, ედგარ პოს შემოქმედებაში შერწყმულია „ერთგვარი მათემატიკა და ერთგვარი მისტიკა“ (3, 257).

რ. ბურჟულაძე ასე აკონკრეტებს ჩვენთვის საინტერესო აზრს: „ვერჰარნი სრულიადაც არ ფიქრობდა, რომ სიმბოლისტური ნაწარმოები ალგებრული ფორმულებით უნდა ამოგვეხსნა, არა, დიდი პოეტი და მოაზროვნე მხოლოდ იმაზე მიუთითებდა, რომ ალგებრული მაგალითიც და სიმბოლისტური ლექსის ინდივიდუალური მეტაფორებიც უადრესი სიზუსტით ხასიათდებოდა“ (7, 62).

პოლ ვალერს განსხვავებული აქვს ლექსის ორი სახეობა: „ლექსი მოცემული და ლექსი გაანგარიშებული“.

„გაანგარიშებული ლექსი ისეთი ლექსია, რომელიც ყოველთვის გადასატრედი პრობლემის ფორმით გვეკლინება. მისი ამოსავალი პირობა ჯერ მოცემული ლექსია, ხოლო შემდეგ ამ მოცემულობებში უკვე ჩაწნული რითმა, სინტაქსი, აზრი.

ყოველთვის, თვით პროზაშიც კი, ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, იძულებულნი ვხვდებით ვწერთ არა ისე, როგორც გვინდოდა, არამედ ისე, როგორც მოითხოვს ის, რაც გვინდოდა“ (3, 169).

ა. ბლოკი ლაპარაკობს მოვლენებისადმი გეომეტრის თანმიმდევრულობით მიდგომაზე:

«Нет, постоянством геометра
я числю каждый раз без слов
мосты, часовню, резкость ветра,
безлюдность низких островов» (8, 71).

გალაკტიონის შემოქმედებაში პოეზიასთან დაკავშირებით გვხვდება აგრეთვე ცნება „გეომეტრი“: „ის მიდის დამშვიდებული, როგორც პოეტი და გეომეტრი“.

ეს უნდა იყოს ირონია „ლეფელთა“ მიმართ, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირებდნენ „პოეტი ფსიქოლოგისა“ და „პოეტი გეომეტრის“ ცნებას უკანასკნელის უპირატესობაზე ხაზგასმით და ცდილობდნენ პოეტის მეტყველება მათემატიკურ

განჯასთან“ მიეახლოებიან, რაც, საბოლოოდ, აბსურდამდე მიდიოდა (9, 137).

პოეტური ასპექტი აქვს გალაკტიონის პარაბოლას, რაც მისი ლექსების მრავალმნიშვნელოვნებით აიხსნება.

გალაკტიონის „მშრალ რიცხვების ამარა“ („ლურჯა ცხენები“) და „მშრალი საგანი“ („მე ვუსმენდი ხალხს მომდერად“) ერთი და იგივეა და პირველსაწყისებს, თვით საგნებზე წერას, ანუ არაპოეტურ სინამდვილეს ნიშნავს, პოეტი მრავალგზის უსვამს ხაზს, რომ ჭეშმარიტი პოეტები ყოველთვის საგნებიდან ამოდიან.

საპროგრამოდ შეიძლება მივიჩნიოთ გალაკტიონის ლექსი თუ „ბრძოლა არ არის“, მასში პოეტი გულისტკივილით ეთხოვება ბოდლერს, შელის, ჰიუგოს, მიუსეს, ვერლენს, ღმერთს თუ კაენს და ბურუსებში აინტშიანის გამოჩენას მიესალმება.

არსებობს მოსაზრება, რომ გალაკტიონი ამით „პოეზიისა და მეცნიერების თანამშრომლობის იდეას“ (მ. კვესელავა) აყენებს. ჩვენ ვიტყვით, პოეზიაში მეცნიერული სიზუსტის (ოღონდ გრძობების სფეროში) მოთხოვნა უნდა იყოს ნაგულისხმევი, რაც არ ეწინააღმდეგება გალაკტიონის დაჟინებულ ინტერესს ოცნებისა და ფანტაზიისადმი, ვინაიდან ეს ოცნება გათვლილი და გაანგარიშებულია („ოცნებათა შემოწმება“), საათის ციფერბლატივით ზუსტი და უცდომელია (რასაკვირველია, შეუმცდარი ინტუიციის წყალობით).

გალაკტიონის პოეზიის მელოდიურობა, ემოციურობა არ ეწინააღმდეგება მის ინტელექტუალიზმს, ანალიტიკურობას. პოეტის ძიებებს „ფხიზელი მიზანი და ანგარიში“ წარმართავს, „მეცნიერება, როდესაც მას თან ახლავს ვნება, თანაბრად არის პოეზიის ზეშთაგონება“ („საუბარი ლირიკის შესახებ“).

პოეტს „ათასის მხედველობა, ათასის იერი“ ჰქონდა და მათემატიკური სიზუსტით წვდებოდა მოვლენათა არსში. ამიტომ ხელეწიფებოდა ბევრი რამის გადახალისება:

„ჰანგთა სისწრაფეს და სიძლიერეს
ნუ მომაგონებ ძველი რიცხვებით“.

გალაკტიონის შესახებ შეიძლება გავიმეოროთ სტ. ცვაიგის ნათქვამი დოსტოევსკის შესახებ: „არაფერს არ ანგარიშობს და მაინც უტყუარად ზომავს ყველაფერს“... მისი სამყარო ალალი ჭეშმარიტებაცაა და იმავდროულად იდუმალებაც, სინამდვილის ნათელმჭვრეტელური შეცნობა, ცოდნაცაა და მაგიაც“ (10, 243, 253).

დიდი შრომა ახლდა გალაკტიონის ზეშთაგონებას. ამიტომ ამბობდა: „შრომა ყველგან შემოქმედების ღვიძლი ტომია“.

გალაკტიონმა პოეზიას დაუკავშირა აშკარად მათემატიკური ცნება ინტეგრალი („ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები“ – „ეფემერა“, „ჩემი პოეზიის ინტეგრალები“).

ინტეგრალი მთელი სიდიდეა, უსასრულოდ მცირე ნაწილების ჯამისაგან შემდგარი. გალაკტიონის ინტეგრალი მეტაფორულია, პოეზიაში იგი დიდის და მცირეს დიალექტიკურ ერთიანობას, წამიერში მარადიულის დანახვას ნიშნავს. ინტეგრალი მათემატიკური მნიშვნელობაა და, გაერთიანებასთან ერთად, დაშლასაც გულისხმობს. ინტეგრალური სინთეზის ნიმუშია „ნიაფი, ია, ნარგიზი“: „აგერ მზის ამომთოვრება, მადლა ღრუბლების გარდავლა, მან ერთი ჩემი ცხოვრება ათას წელს გადაამრავლა“.

ინტეგრალური ანალიზის მაგალითია „ჩემი პოეზიის ინტეგრალები“, რომელშიც განცდილია 40 წელიწადში შემავალი წამის, წუთის, საათების, დღეების, წლების „შეუწყვეტლობა, მისწრაფება და ხასიათი“ და მასთან შეფარებულია ამ

პერიოდში შექმნილი სტრიქონების რიცხვი.

დღემდე კამათის საგანია ის, თუ რა უნდა ვიგულისხმოთ „პოეტურ ინტეგრალებში“.

საინტერესოა მ. კვესელავას მიერ „პოეტურ ინტეგრალებში“ (თბილისი, 1978) მეცნიერულ მონაცემებზე დამყარებული რიცხვთა სიმბოლიკის (7, 8, 9) ახსნა ტვინის ქვეცნობიერი, ცნობიერი და ზეცნობიერი ფაზებით. მ. კვესელავა გ. ტაბიძის მეტაფორებს სამ სახეობად ჰყოფს და მიაჩნია, რომ ინტეგრალურია ის გამოთქმები, რომლებიც ტვინის ზეცნობიერ ფაზაში იქმნება და ლოგიკურ ანალიზს არ ექვემდებარება, ამოუხსნელია, მაგრამ თავისი მაღალი მუსიკალური ორგანიზაციის წყალობით, მაინც ესთეტიკური ტკობის წყაროა (11, 642).

ჭირს ამ აზრის გაზიარება, ვინაიდან ინტეგრალური ცალკეულ გამოთქმას კი არა, საერთოდ გალაკტიონის მხატვრული აზროვნების წესს გულისხმობს.

გალაკტიონის შემოქმედებაში აშკარაა ინტერესი უმცირესიდან უდიდესისაკენ: „უდიდესისაკენ მიჰყავდა სული, მცირედისაგან ასე წასული“. („მშვიდობის წიგნი“). მის პოეზიაში ერთიდან მილიონამდე და მილიარდამდე იზრდება რიცხვი.

გალაკტიონის რიცხვთა სიმბოლიკაში საყურადღებოა ერთის მაგია. პოეტს მოსწონს თავისი ერთადერთობა, ერთადერთი გზა (მიზნის ერთგულება), „ერთი ვინმე მელექსე“ (რუსთაველი), ერთადერთის მრავალთან შებმა, პირველობა, ამასთან, ერთიანობა, ერთიანი ჰიმნი, ერთადერთი მსოფლიო ქნარი.

ლექსში „მე მივდიოდი ერთი“ გენიალურად განჭვრიტა გალაკტიონმა საკუთარი პოეტური გზა, თავისი გავლენა თანამედროვეებზე, ჯერ ერთიდან მაგიურ შვიდამდე, მერე კი ათასამდე და მილიონებამდე გაზარდა ოსტატ-შევირდების, თანამედროვეებისა და მიმდევრების რიცხვი.

ასევე მაგიურია მის პოეზიაში იდუმალი მეორე, როგორც ერთიანის გაორება, ორთა შორის მესამე.

შვიდი მაგიური რიცხვია საერთოდ, გალაკტიონისთვის იგი საკრალურია იმიტომ, რომ ქართული პოეზიის ისტორიაში შვიდი ბრწყინვალე კლასიკოსი ეგულება თავისი თავის ჩათვლით („ჩემო კარგო ქვეყანავ“).

პოეტს უყვარს ცხრა, რადგან მისი გენიალური ცხრა ტომის რიცხვია („მეგლად აღმართე ჩემი ცხრა ტომი“), ცხრა წყარო, ცხრა მუხა, ცხრა ანბანი, ცხრა სიყვარული, ვარსკვლავთა ცხრიანი, მეცხრე ტალღა, მეცხრე სიმფონია, გვხვდება მეთათე მთვარე, მეთორმეტე ბუღბუღი, ცამეტი – უიმედობისა და მიუწვდომლობის სიმბოლო.

1908 წელი აქცენტირებული აქვს იმიტომ, რომ ახალი ეტაპის დასაწყისია ქართულ პოეზიაში.

ზოგადად კი, „ჩვენ ერთად მოვრკალეთ ლოდინი და რიცხვი“ პირველსაწყისების მიკვლევას ნიშნავს, ცხოვრებისეულის აყვანას ესთეტიკურ რანგში, რიცხვი და „მშრალი რიცხვი“, „მშრალი საგანი“ ერთი და იგივეა გალაკტიონთან.

ხშირია ინტერესი მილიონისა და მილიარდებისადმი, „მილიონებში ხელისმრეველი“, „მართლაც ვარ მილიარდელი“, ოცი მილიონი თვალეები, მილიარდი მზე, ასი ათასის მზე, ასი ათასის სმენა, რაც გლობალურად იზრდება.

გალაკტიონის თვისებაა მცირედისაგან უდიდესისაკენ ინტეგრირება. მას ხომ „გაერთიანების... სული და თვისება“ აინტერესებს ყოველთვის და არა მოვლენათა მექანიკური ჯამი.

გასარკვევია, დასაზუსტებელია რომელი ტერმინია სწორი: „პოეზიის ინტეგრალი“, როგორც ამას გალაკტიონი ხმარობს, თუ „ინტეგრალური პოეზია“, რომლის გაგებას, რ. ბურჭულაძის დაკვირვებით, იქამდე მივყავართ, რომ რაკი იგი გულისხმობს მთლიანს, განუყოფელს, დაუნაწევრებელ პოეზიას, ამგვარი პოეზია კი თით-

ქოს არც უნდა ექვემდებარებოდეს ანალიზს, რადგან ანალიზი დანაწევრების გარეშე შეუძლებელია, ინტეგრალური კი სწორედ დანაწევრებას გამორიცხავს, ამ შეხედულების მიმდევართა აზრით, ლირიკული ლექსის ანალიზი შეუძლებელია, რადგან ის განეკუთვნება ინტეგრალურს (დაუნაწევრებელ პოეზიას), მაგრამ როგორც რ. ბურჭულაძე მიუთითებს, ინტეგრალს, გარდა „დაუნაწევრებელისა“ აქვს სხვა, ძირითადი მნიშვნელობაც. ამ მნიშვნელობას კი „ინტეგრალთან დაკავშირებული“ წარმოადგენს.

გალაკტიონის „ლირიკის საუკეთესო ნიმუშებში ინტეგრირებული იყო ის ინფორმაცია, რომლის დამუშავებასა და გადაწყვეტას საუკუნეების განმავლობაში ესწრაფვოდა ევროპული წრე. გალაკტიონი წარმატებით ახდენდა ფაუსტური პრობლემატიკის ინტეგრირებას. ამავე დროს სწამდა კიდევ ასეთი პოეზიის ღირსებებისა: „ლექსთა შეჯიბრებაზე მხოლოდ ინტეგრალები“.

თუ მათემატიკური ინტეგრალი ზღვარისაკენ მიისწრაფის, გალაკტიონთან პირიქით – „სულს სწყურია საზღვარი, როგორც უსაზღვროებას“ (7, 210).

გალაკტიონის ძიება იწყებოდა ასოდან და რიცხვებიდან (სავნებიდან), „ასოსა და რიცხვის ზღვარზე ყოფნა ცხოვრების ძირამდე მისვლას ნიშნავს და ასობსა და რიცხვებში პარმონიულად განვითარებული ადამიანები ახდენენ აღმოჩენებს“ (12, 4).

ლიტერატურა:

1. თეოხაროს კესიდი, დიონისოს რელიგია და რიცხვი, „საბჭოთა ხელოვნება“, 1980, №1.
2. „ლიტერატურული საქართველო“, 12 ივნისი, 1981.
3. პოლ ვალერი, რჩეული პროზა, თბ., 1983.
4. ედგარ ალან პო, კომპოზიციის ფილოსოფია, ესეები, ინგლისურიდან თარგმნეს პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა, თბ., 1989.
5. გალაკტიონ ტაბიძე, ტ. 12, თბ., 1975.
6. სტეფან მალარმე, ლექსები და პროზა, ქუთაისი, 1979.
7. როლანდ ბურჭულაძე, მხოლოდ ინტეგრალები, თბ., 1980.
8. А. Блок, Собр. соч. в 6 томах, т. 2, М., 1971.
9. სოსო სიგუა, „H₂SO₄“-დან მემარცხენეობამდე, ქართული მოდერნიზმი, თბ., 2002.
10. სტეფან ცვაიგი, ფანტასტიკური ღამე, თბ., 1966.
11. მიხეილ კვესელავა, პოეტური ინტეგრალები, თბ., 1978.
12. აპოლონ ჟორდანიას, დრო და თანამედროვენი, თბ., 1985.

Luara Sordia

Galaktion Tabidze's Poetic Integrals **Summary**

The poetry of Gustav Flaubert, Paul Valery, Edgar Poe, Stephan Mallarme, Alexander Blok, Stefan Zweig combines numbers and mathematical concepts to be the main criterion for harmony and truth. The characteristic feature of Galaktioni's most complicated works is integral – a mathematical notion which implies a whole composed of infinitely small particles.

The king of poets was interested in synthesis and analysis, “the spirit and characteristic of unification; his soul was oriented “from the latest towards the greatest”, his attention was directed to latitude of knowledge, to the ability “to play all the strings”. It is pointed out that the Faustian problematic themes are integrated into his poetry. Galaktioni can't imagine harmony in universe without numbers and classification. He says: „Life is an organization, real life is an organization”.

Луара Сордия
Поэтические интегралы Галактиона Табидзе
Резюме

Г. Флобер, П. Валер, Э. По, С. Малармо, А. Блок, С. Цвейг и другие в своих работах привлекали и математические данности как главные критерии гармонии и правды.

Короля поэзии увлекали анализ синтез, единство души и характеристика. В его поэзии удачно интегрирована фаустовская проблематика. Для Галактиона гармония мира не представляется без чисел и классификации. По его мнению « Жизнь – это организация, настоящая жизнь есть организация».



Жанна Толысбаева
(Казахстан)

О ПОЭТИЧЕСКИХ КРАЙНОСТЯХ РУБЕЖНОЙ ЭПОХИ (на материале современной поэзии Казахстана)

Динамика культуры, вынужденной развиваться в кризисных условиях современности, определяет характер как мировоззренческих, так и художественных пристрастий казахстанских авторов порубежья. Рубеж столетий в казахстанской поэзии обозначился появлением двух крайних тенденций текстообразования – экспериментов с минималистскими текстами и повышенным интересом к книжным контекстам. Ситуация новой субъективности стала той точкой отсчета, которая позволила внести кардинальные изменения в оптические параметры современной поэзии. Экспансия лирического «я» должна нейтрализовать «онемение» предшествующих десятилетий – не только языковое, но ментальное. Уничтожение человека на всех уровнях (от биофизического до духовно-религиозного) дало свой резонанс – в сторону распрямления, разворачивания его внутренней свободы самовыражения, а именно: создала определенные условия для устойчивого интереса как к вербально-графическому, так и к дискретно-невывразимому способу выражения переживания, как к *капиллярной* поэзии, так к творчеству в масштабе книги поэзии.

Тенденция к минимализации текста наблюдается в творческих исканиях молодых авторов Казахстана – А. Тажи, О. Передеро, Тути, М. Варова, Р. Артемьевой, М. Берниязовой, Л. Медведевой, М. Адибаева и др. Новая художественная практика обусловлена созданием принципиально иных повествовательных стратегий. Использование минимального количества языковых средств для выражения максимального содержания является одним из актуальных приемов минималистов. Условимся к минимальным текстам относить поэтические произведения объемом менее 4 строк. Нижней границей такого текста может быть одно слово или один знак.

Тенденция творчества в минимальных объемах несет в себе наиболее объективную информацию о природе мысле-чувствоизъявления в целом. Дискретность всякого прозрения есть правда о природе человеческих невозможностей. В минималистских конструкциях поэтов-современников настойчиво пробивается мысль о незнании как естественном состоянии прозрения. Именно через невысказанность, недоговоренность, передоверенность другому сознанию, через запечатление одного мига вне временной протяженности авторы выходят к самым сакральным вопросам о Сущем:

Тень Голгофы уже не та.
Или мой помутился взгляд...
Только Бог стоит у креста,
А весь мир на кресте распят... (4, 57).

Играем в крестики-нолики с Богом.
Он звезды рисует на небе, а я
кидаю камни в зеленую воду.
Скучаем. Ничья (5, 48).

Обращает на себя внимание преобладающий интерес поэтов-минималистов к эпической форме постижения реальности (тогда как форма миниатюры логически ближе к лирике). Любой современный минималистский текст изыскивает пути приобщения к эпической картине мира (через конкретику одной или нескольких сюжетных линий, введение чужих сознаний, прямой и косвенной речи и т.д.). Зачастую это происходит посредством циклизации малых текстов. Наблюдения показали, что не утратили привязанности к лирике подражания

миниатюрным жанрам японской поэзии. Хокку Л. Медведевой, И. Полуяхтова, Л. Каганова, Е. Титаева, фудзи М. Адибаева, танки Тути собираются в циклический контекст сквозным субъектом мысли, сюжетом, пространственно-временными образами и задают жанру-пришельцу несвойственное направление развития. В поэтической практике восточной жанровой форме хокку найден жанр-коррелянт – фрагмент, нацеленный на постижение и запечатление поэтики «мига». В то же время в контексте все характеристики хокку обретают обратное жанровое содержание: несвойственную этому жанру сюжетность, проявленность субъектно-объектных отношений, индивидуально-поэтическую нагруженность образов пространства и времени, акмеистское внимание к поэтике вещиности и детали.

Интересный образец циклизации минитекстов показал в своем творчестве другой казахстанский поэт М. Варов. Уже в самом названии его циклического эксперимента «Мини – архив» (2) обнаруживается не только установка на усечение объема произведения, но функция мини-текста. Состоящее из двух частей, заглавие выполняет двойную функцию: первая часть определяет объем – «мини», вторая – жанр содержания, и в этой бинарной оппозиции доминирует «архив» как способ организации материала. Зрение, слух, тактильные ощущения, зафиксировавшиеся в памяти лирического героя, создали «базу данных», своего рода духовный архив героя. Однако предельная лиризация повествования привела к тому, что архив как система утратил традиционное значение. «Архив» более точен в понимании душевного устройства человека. Во-первых, любая личностная рефлексия имеет точечный и минимальный характер, во-вторых, каждое последующее проявление эмоции-мысли есть не что иное, как вариация предшествующих эмоций-мыслей. «Накопление» таких фрагментов образует пространство памяти, т.е. «архив». Своеобразный синтаксис, который ознаменован освобождением текста от «лишних» элементов, проявляет обрывочное, дискретное сознание. Создается впечатление вербализации мыслей в «чистом» виде, что так свойственно детскому сознанию. Не случайно эти игровые моменты встречаются в минималистском тексте – автор отходит от необходимости соблюдать логику взрослого сознания: анализировать, составлять, упорядочивать и т.д. Хаос ассоциаций побуждает читателя отбросить привычные каноны восприятия художественного текста (сюжет, композиция, тема, ведущие образы) и сосредоточиться только на личности рефлексующего субъекта.

Отсутствие знаков препинания – способ концентрации внимания читателя и расширения смысловых полей текста. Метроритмические пробелы, лексическая экономия, не отвергающая первоначально заданных смыслов, играют роль мнимой легковесности текста, делаая последний еще более устойчивым, но поливариантным в интерпретационном смысле, что позволяет вовлечь читателя в загадочный процесс авторского мыслетворчества. Используя поэтику примитивизма, поэт применяет неординарную стратегию для решения философско-эстетических вопросов: в минималистском тексте на каждую лексическую единицу приходится максимум информации: потому что так автор решает проблему избыточности, перегруженности мышления постмодернистской культурой. Минимализм «зажал в тиски» свой же инструментарий: слова в тексте «нетранспортабельны», моносемичны.

В эпоху более зрелого эстетического сознания, когда читатель уже понимает, что «меньше – это больше», текстом становится одно слово. Такие поэтические эксперименты можно обнаружить в творчестве М. Берниязовой. Так, текст стихотворения «Жизнь» (1) состоит из единственного слова «долго». Заглавие, инициирующее в сознании читателя риторику (к примеру: «жизнь – это движение», «жизнь – это дети») позволяет автору проявить нестандартность мировосприятия. При этом наречие «долго» уклоняется не только от соответствия морфологического (содержание, образуемое заглавием и текстом, невольно воспроизводит структуру двусоставного предложения с предикативной основой «существительное-существительное»). Наречие «долго» выпадает из смысловой определенности. «Долго» – что? Жить? Искать смысла или конца жизни? По мере проникновения в суть взаимоотношений заглавия и текста последнее начинает обрастать корректирующими значени-

ями: «долго» – значит трудно, непросто, сложно, много, интересно, неизвестно... А за чередой индивидуальных определений жизни рождаются такие же глубоко личные сентенции, позволяющие определить свое настоящее отношение к жизни. Интересно, что в подборке стихотворений, предложенной М. Берниязовой, следом за «Жизнью» следует другой минималистский текст «Долгожданная оптимистическая поэма», сюжетно и ментально связанный с предшествующим:

Жизнь прекрасна.

Вот и все (1, 334).

Весь текст поэмы работает на выражение невыразимого. Это своего рода фигура выпада против приписанной поэту необходимости следовать развернутым литературным традициям. Исключенность текста из временного соотношения («Жизнь прекрасна...» – не была, не будет, не есть – а объективно прекрасна) обнаруживает состоявшуюся концепцию житнетворчества, обязательную для жанра поэмы. Но эта состоятельность не является результатом действий самого поэта, это данность, которая не нуждается в доказательствах, ибо она – Свыше. «Долгий» путь автора к чуду – к обретению собственной жизненной позиции (поэтому – «поэма») – увенчался пронзительно ясным, четким и – невыразимым ощущением.

Интересна функциональность последней фразы: разговорное «Вот и все» перекрывает все попытки реципиента включиться в процесс сотворчества. Сказать больше нечего, да и нет необходимости: автор-минималист, проявив субъективность мировидения, на этот раз лишил читателя даже права на интерпретацию.

Самые крайние эксперименты с минималистскими текстами выводят на поиски эпической завершенности. Носителями смыслопорождающих функций в таких стихотворениях могут быть знаки препинания. Тексты, построенные из точек, запятых, многоточий позволяют добиться большей правдивости в передаче чувства. Как это происходит в стихотворении М. Берниязовой «Паника»:

ПАНИКА

.....?
?????????

.....

. (1, 334).

В других случаях авторы используют графические знаки для создания иллюстративности средствами самого текста. На таких принципах создаются некоторые танки поэта, работающего под псевдонимом Тути:

На тысячелистник
деловито взирает
сороконожка :::::::::::::::::::: (6, 59)

Знаки препинания, использованные не в традиционном значении, расставляют смысловые акценты в сюжете, считанном с привычных вербальных средств выражения мысли. И читатель легче «дозревает» до философских истин, скрытых в поляризации словообразов «тысячелистник» и «сороконожка».

Как видим, образ, рождающийся в минималистской поэзии, почти всегда загадочен, однако он же максимально открыт для читательского мышления. Избирательно извлекая из окружающей действительности лишь отдельные моменты переработанной, прочувствованной информации о мире, экстраполируя на языковую среду, автор создает эффект синестезии, когда под воздействием одного фактора возникает ассоциативное звено. Интерпретатор обладает возможностью увидеть лежащую на поверхности истину: покрытая завесой тайны, личность *ТЫ* – воплощение смысла Бытия.

В поэзии современного Казахстана очень ярко заявила о себе и другая, абсолютно полярная тенденция текстообразования, – тенденция к созданию *книжных контекстов*. В

книгах стихов Д.Накипова, В.Киктенко, Б. Канапьянова, А.Соловьева личность *ТЫ*, на *первый взгляд*, стремится к обратному эффекту: она откровенно десакрализует свои связи с миром, признает счастливую возможность самовыражения. Так ли противопоставлены целевые установки минималистского текста и книжного контекста?

Книжное мышление начало формирование в поэзии Казахстана конца прошлого столетия, оно проявилось как закономерная реакция на процессы переоценки ценностей общественно-политического и культурного планов. Удивительно, что после громкого вхождения в литературу «Глиняной книги» Олжаса Сулейменова читательской аудиторией Казахстана не была замечена «книга детства» Вячеслава Киктенко «Световид», изданная в 1990-м году. Аналогично сдержанно были встречены в знаковом 2000-м году «Волшебная книга» циклов Александра Соловьева и *книга поэм* Дюсенбека Накипова «Песня моллюска». С 2001 года число экспериментов с книжными контекстами продолжает расти. В числе авторов – Бахытжан Канапьянов, Андрей Корчевский, Айгерим Тажи, Хаким Булибеков и др. Анализ поэтических книг показал, что каждый книжный контекст отразил тенденцию перехода книги из поэтического регистра в эпический. Оригинальность макро-контекста поэтической книги заключается в том, что она посягнула на чуждые ей жанровые права; из множества точечных лирических высказываний она попыталась создать эпико-всеобъемлющую устойчивую картину мира.

Беспрецедентным изданием, очень эффектно отметившим своим появлением рубежный 2000-ый год, стала книга поэзии Д. Накипова «Песня моллюска» (3). Художественно-эстетическую значимость этого сборника определяет жанровое определение – «*книга поэзии*». Если явление книги стихов уже имело место в поэтической практике и рассматривалось в работах литературоведческого характера, то обозначить эквивалент книге поэзии Д. Накипова очень сложно. Новаторский подход проявился на всех уровнях формирования Целого (от форзаца книги и цветодизайна до поэтики текстов). Обратимся к текстам, чтобы, во-первых, определить жанровую реальность, организующую их изнутри, и, во-вторых, соотнести частно-текстологический жанровый мирообраз с более масштабным «книжным».

Из семи частей книги Д. Накипова только три определены автором как поэмы («поэма контрапункта», «поэма-цепочка», «поэма-рефрен»), остальные имеют довольно оригинальные подзаголовки – «полилог», «элекации», «миниатюры», «стихи-эссе». Тщательный жанровый анализ показал, что *семантика всех подзаголовков сориентирована на проявление сюжета книги как художественной целостности высшего порядка, тогда как каждая часть собрана картиной мира поэмы*. С этой точки зрения особенную роль в структуре «книги поэзии» выполняет первая поэма «Песня моллюска». В жанровом подзаголовке («поэма контрапункта») манифестируется информация о *композиционной /«контрапункт» – композиция/ значимости* этого текста в проекции на книгу как целое. В «Песне моллюска» задан тот принцип художественной организации материала, который будет принят следующими шестью частями, а именно: драматическое сближение-отталкивание принципиально противоположных величин как идеальное выражение сущности жизни. И здесь стоит обратить внимание на такой компонент книги, как обязательная цветомаркировка первого стихотворения каждой поэмы. Темно-серая вкладка перед каждой частью помечена не только номинативными кодами, но – на второй стороне – стихотворением. Такое постоянство оформления книги обретает смыслопорождающую функцию: так проводится мысль о значимости Начала как единственного условия возможного перерождения. Не случайно в тексты семи «цветостихотворений» вынесена информация о некоем неожиданном прозрении, которое влияет на глубинное изменение мировоззрения героя:

Что-то снова витает в воздухе пряное,
наверное, опять я сказал
и поступил неправильно... (Часть первая) (3, 8).
Эта чистая, как роса, японка,... однажды спасла

меня. ...случайно мне попала на глаза
маленькая книжка Сей-Сенагон... (Часть вторая) (3, 54).

Книжный контекст предельно обнажил индивидуализм автора: уже в предыдущих контекстах стал очевиден отказ от использования такой фигуры отстранения как лирический герой. Главным и единственным «героем» книги, инициирующим появление нового субъективно окрашенного слова, является сам автор, не прячущийся за условностью художественного образа, но, наоборот, стихотворение за стихотворением срывающий все приличествующие сану Поэта характеристики. Неслучайным результатом такой крайне выраженной интенции на исповедальность становится почти физическое ощущение предела самовыражения, за который автор не в состоянии перевести своего читателя. В этом пространстве Непостижимого угадывается попытка услышать «лиловое Слово о Боге». Многочисленные подступы к теме Бога, наконец, нашли свое наиболее полное воплощение не столько в прямых декларациях, сколько в перемене образов художественной «топографии». И, в первую очередь, обращает на себя внимание изменившийся масштаб места и времени поэтического действия. В поле зрения Поэта оказываются «особая страна» поэзии, «тысячи ри под водой», «великая долина» сердца, «коралловые сады» любви, «земля без края Ай-дала», «пространство лучевое», «нескончаемое бытие» космоса. Возникают ситуации паренья над землей, отрыва от этого пространства и времени. Логика мысли, считываемая с ситуации переоценки художественно-эстетических ориентиров, указывает на динамику «книжного» сюжета и кристаллизацию основной идеи макроконтраста как идеи духовного выпрямления личности.

В рамках настоящей статьи хочется обратить внимание на тексты, входящие в шестую часть книги «Прелюды луны». Подзаголовок этой поэмы – «миниатюры». Семантикой подзаголовка активизированы «малые» образы в этой части книги. Коррелятом понятия «миниатюра» становится «миг», точнее – «щедрость мига». В таком семантическом ракурсе задействованы «миниатюрные» образы ручейка, улитки, абрикоса, сливы, драже:

...бог
мне дает эту милость,
как малость,
как ребенку драже... (3, 201).

Нетрудно заметить, что малый образ преломляет через себя способность личности к благодарно-счастливому восприятию бытия. В этом их назначение: «ты запомни щедрость мига».

Книга поэзии Д. Накипова является одним из самых репрезентативных образцов нового поэтического сознания. Поэма собирается дискурсом высшего книжного типа через четко проступающий контрапункт поэтики. Наряду с традиционной «азбукой» тонического стихосложения автором востребована абсолютно иная система организации художественного текста, где утрачивают самодостаточность прежде актуальные категории силлаботоники или тоники, рифмованного или белого стиха и вводятся принципиально иные формы поэтической изометрии. Поэтика книги Д. Накипова зеркально отображает движение её сюжета. Каждая часть имеет свой поэтический «контрапункт», оттеняющий её содержание и место в книге. В понимании поэтики как одного из инструментов создания «книжного» единства важно увидеть динамику роста нового текстологического мироощущения от первой до последней части. Сравнивая опыты пересоздания поэтического словаря в первой – шестой и седьмой главах, нельзя не заметить, что к концу книги сформировалась та форма глубинного постижения языка, когда разъять текст на составляющие не представляется возможным:

...декорации и кулисы ещё больше провоцировали на
аквариумные ассоциации водоросли гроты кораллы Его до
боли поразила мысль что эти ихтиандро русалко рыбы так
беспечно плавают среди этого сырого холодного города
в цветной воде сцены юрк-юрк туда сюда и потом

замирают а в другом конце аквариума уже начинается
 новый танец плаванье русая русалка вьется вокруг
 ихтиандра а тот бережно переносит её на руках пока она
 быстро перебирает ножками бульк-бульк вниз-вверх опять
 зачем-то замерли (3, 215).

Ниже предлагаем тот же текст со знаками исследовательского комментария:

... <u>декорации</u> и <u>кулисы</u> ещё больше	
провоцировали на аквариумные <u>ассоциации</u> ^	дакт
<u>водоросли</u> <u>гроты</u> <u>кораллы</u> ^	жен
Его до боли <u>поразила</u> мысль ^	муж
что эти ихтиандро <u>русалко</u> <u>рыбы</u> ^	жен
так беспечно плавают <u>среди</u> этого	
<u>сырого</u> <u>холодного</u> <u>города</u> ^	дакт
в цветной воде <u>сцены</u> ^	жен
<u>юрк-юрк</u> туда сюда ^	муж
и потом <u>замирают</u> ^	жен
а в <u>другом</u> <u>конце</u> аквариума уже	
начинается <u>новый</u> <u>танец</u> плаванье ^	дакт
<u>русая</u> <u>русалка</u> вьется <u>вокруг</u> ихтиандра ^	жен
а тот <u>бережно</u> <u>переносит</u> её на <u>руках</u> ^	муж
пока она <u>быстро</u> <u>перебирает</u> ножками ^	дакт
бульк-бульк ^	жен
вниз-вверх ^	муж
опять зачем-то <u>замерли</u> ^	дакт

В цитате выделены те принципы организации текста, которые работают на создание нового поэтического регистра:

- обозначены цезурные паузы и указан рисунок ударений перед цезурой, задающий четкий контрапункт жестко закрепленным чередованием дактилических, женских, мужских окончаний (в случае с классификацией ударения в слове «бульк» мы оставляем за сонорным «л» его право на протяжность произношения);

- представлена синтаксическая изометрия фразовых отрезков речи;

- жирным курсивом выделены некоторые смыслообразующие созвучия: звуковая волна дрожащих раскатистых созвучий ([ра], [ры], [р'ы], [ру], [ро], [р^], [рэ], [р'э]) заглушает фонотему глухого «к», и дает бессознательный эффект погружения в воду, тем более что семантика словообразов со звуковым комплексом «р» представлена морской тематикой (грот, кораллы, ихтиандр, русалка, рыба, аквариум и т.д.);

- подчеркнуты созвучия, рожденные иллюзивной спонтанностью речепотока и также нагруженные смыслопорождающей функцией: рифмические или ассонансные соотнесения выстраивают устойчивую образную параллель «сцена – океан». Сравним: «декорации – ассоциации», «кулисы – водоросли», «города – грот», «замерли – аквариум».

Признаки новой поэтической системы в процитированном тексте становятся высшим доказательством радикально изменившегося текстологического сознания. Интонационно-фразовая природа стиха, обязательность цезуры, берущей на себя функции «оранжировщика» текста, организующая роль предцезурных ударений, внутристроочные созвучия взамен рифм на конце строк реконструируют идею книги поэзии Дюсенбека Накипова «Песня моллюска» о необходимом отношении к жизни как непредсказуемо регенерирующему потоку мигнов, ценностных только в процессе взаимоперетекания.

Как видим существующие стратегии текстообразования входят в отношения взаимодополнительности. Несмотря на внешние признаки отличия (как то: объем текстов, цели высказывания, способы репрезентации субъектной позиции, роль заглавия в тексте, характер

использования вербально-графических и невербальных средств письма, количество диалогизирующих жанров и т.д.) минитекст и книжный макроконтекст стремятся вложить в пространство поэтического выражения одну и ту же интенцию – до определенной степени бесконечную мысль о Невыразимом.

Литература:

1. Берниязова М. Жизнь // Явь и сны. – Алматы: Фонд «Сорос-Казахстан», 2001.
2. Варов М. Мини-архив //«Аполлинарий», 1998.-№ 5.
3. Накипов Д. Песня моллюска. – Алматы: Отау, 2000.
4. Проскуряков А. «Тень Голгофы...» // Апполинарий. – 2003. – №4.
5. Тажи А. Бог-о-слов. – Алматы, 2004.
6. Тути. Легкие танки. //Апполинарий. – 2000. – №7.

ჟანა ტოლისბაევა
საეტაპო ეპოქის პოეტური უკიდურესობების საკითხისათვის
(ყაზახეთის თანამედროვე პოეზიის მასალებზე დაყრდნობით)
რეზიუმე

სტატიაში ნაჩვენებია, რომ ასწლეულის ბოლოს ყაზახურ პოეზიაში თავი იჩინა ტექსტის შექმნის ორმა უკიდურესმა ტენდენციამ – მინიმალისტური ტექსტების ექსპერიმენტმა და წიგნური კონტექსტისადმი გაზრდილმა ინტერესმა. აღნიშნული სტრატეგიები ურთიერთობაშია ორმხრივ კომპლემენტურობასთან. მიუხედავად გარეგნული განმასხვავებელი ნიშნებისა, მინიტექსტი და წიგნური მაკროკონტექსტი ცდილობენ პოეტური გამოსატვის სივრცეში ჩართონ ერთი და იგივე ტენდენცია – გარკვეულწილად უსასრულო იდეა ენით გამოუთქმელისა.

Zhanna Tolysbayeva
“About poetic extremities of a boundary epoch
(on the material of modern Kazakh poetry)”
Summary

The author of the article consistently proves that the boundary of the centuries in Kazakhstan poetry was marked by the appearance of two extreme tendencies of text formation – experiments with minimalist texts and increased interest to book contexts. Marked strategies enter the relationship of inter complementarity. In spite of external characteristics of differences mini text and bookish macro context strive to contribute to the space of poetic expression one and the same intention to a definite extent endless thought about the Unutterable.



მედია კვარაცხელია
(საქართველო)

ივანე თარბას საბავშვო ლექსები

ყველა ერი და, მათ შორის, ქართველი ხალხი, უხსოვარი დროიდან ქმნიდა მოზარდი თაობისთვის შესაფერის მხატვრულ ნაწარმოებებს. ამგვარი ქმნილებებით აღსავსეა ჩვენი ფოლკლორი თუ სიტყვაკაზმული მწერლობა. ისტორიული სიღრმეებიდან მოდის: „იავნანა“, „მზე შინა და მზე გარეთა“, „წიქარა“, „ნაცარქექია“ და სხვა მრავალი.

იაკობ გოგებაშვილმა კი ერთიან ქართულ მწერლობაში თავისი სპეციფიკურობით ცალკე გამოყო და სათავე დაუდო საბავშვო ლიტერატურას, რასაც მოჰყვა საბავშვო მწერალთა მთელი პლეადა. თუ რაში მდგომარეობს ეს სპეციფიკურობა, ამის ზუსტი განმარტებაც იაკობ გოგებაშვილს ეკუთვნის – საბავშვო წიგნებში უნდა იყოს „მარჯვედ ჩამოყალიბებული და ადვილად გასაგები აზრი, მკაფიოდ ჩამოკვეთილი და ცოცხალი, სხარტად გამოხატული წინადადებანი“ (13, ტ. 5, 10).

უდავოა, რომ ყმაწვილთათვის საგანგებოდ დაწერილი მხატვრული ნაწარმოებები ადვილად აღსაქმელიც უნდა იყოს, ემოციურიც და, ამასთან, ესთეტიკურად მიმზიდველი, რადგან იმდენად დიდია მათი ზემოქმედების ძალა, რომ ბავშვობაში მიღებული შთაბეჭდილებები მთელი ცხოვრება მიჰყვება ადამიანს.

ფრანგი მწერალი მარსელ პრესტი წერდა: „მგონი, არ ყოფილა ჩვენს ბავშვობაში იმაზე სავსე დრო, როცა ვერც კი ვიგებდით დროის მსვლელობას – ეს იყო საყვარელ წიგნთან გატარებული დღეები“.

მხატვრულ-ესთეტიკურ ღირებულებასთან ერთად, უმთავრესია საბავშვო თხზულებებისა თუ პოეტური ქმნილებების აღმზრდელობითი, საგანმანათლებლო ფუნქცია – ჩვენი საამაყო ისტორიის, ფლორისა თუ ფაუნის შეცნობა-გააზრება, მაღალი ზნეობის გამომუშავება და საუკეთესო ტრადიციების შეთვისება, პატრიოტული სულისკვეთების ჩამოყალიბება.

როგორც ვხედავთ, საბავშვო ნაწარმოებების შექმნა მეტად საპასუხისმგებლო საქმეა, რადგან ეს მომავალ თაობას ეხება, მათ სწორად აღზრდას. „ვინც საბავშვო ლიტერატურაში მუშაობას გადაწყვეტს, საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს არა მხოლოდ ლიტერატურათმცოდნეობისა და ლიტერატურის ისტორიის საკითხებში, არამედ იგი ისევე საფუძვლიანად უნდა ფლობდეს პედაგოგიკასა და ესთეტიკას, ბავშვთა ფსიქოლოგიასა და ეთიკას, ახლოს უნდა იცნობდეს ბავშვთა სამყაროს“ (12).

აი, კიდევ ერთი მოსაზრება: „ბავშვის სამყარო პირველყოფილი უსპეტაკესი იდუმალებითაა გარემოცული, ხოლო მისი ფანტაზია ხშირად უფრო რთულია და უნაპირო, ვიდრე მისთვის დაწერილი ნაწარმოებების ავტორთა ფანტაზია“ (10, 69).

დიდებული იტალიელი მეზღაპრე ჯანი როდარი გულისტკივილით წერდა: „საბავშვო ლიტერატურას ჩვენში დიდ ლიტერატურად არ აღიარებენ“-ო. ჩვენში კი პირიქით იყო, სწავლა-აღზრდის, საბავშვო ნაწარმოებების უდიდეს მნიშვნელობას ასაბუთებდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, იაკობ გოგებაშვილი და სხვები. თავადაც ქმნიდნენ საყმაწვილო ლიტერატურას; გოგებაშვილის „საგანძური“ ხომ მართლაც ფასდაუდებელი განძია ყველა დროის ყმაწვილთათვის.

შეიძლება დავასკვნათ, რომ ყველა ვერ გახდება საბავშვო მწერალი, პოეტი, რადგან ბავშვის სამყაროში შედწევას განსაკუთრებული ადლო სჭირდება. როგორც ვაჟა-ფშაველამ განმარტა, – თუ არა ღვთიური ნიჭით მირონცხებულსა და

სულით მდიდარს, რაც ერთგვარად 5-6 წლის ბავშვს უახლოებს 40 წლის ადამიანს, არ შეუძლია გახდეს საბავშვო მწერალი.

ასე რომ, საყმაწვილო ლიტერატურას საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა, ბავშვებისთვის წერდნენ არამარტო საბავშვო მწერლები და პოეტები.

ქართველ თანამოკალმეებს არც აფხაზი შემოქმედი ადამიანები ჩამორჩებოდნენ – გიორგი შარვაშიძე, დიმიტრი გულია, ბაგრატ შინკუბა, ივანე თარბა თუ სხვები, რადგან „აფხაზური ლიტერატურის ერთ-ერთი მასაზრდოებელი იყო ქართული ლიტერატურა“ (5, 4).

ივანე თარბას შემოქმედებაში ფასეული ადგილი უჭირავს საბავშვო ლექსებსა და პოემებს. მათი თემატიკა მრავალფეროვანია, სტილი – დახვეწილი, ლაკონიური, მოზარდებისთვის ადვილად გასაგები. პოეტი თავის ვალად თვლის ქვეყნისა და ერის სამსახურს და მომავალი თაობისთვის გზის გაკვალვას:

„გულზე ლოდივით არ მაწევს
გადაუხდელი ვალები,
მე ვიღვწი ჩემი ერისთვის
და მზეს ხმამაღლა ვუგალობ.
ჩემი ვალია, მერმისში
შვილიშვილს გზა გაუკვალა.“

(თარბა ი., 191, 110. თარგმანი ხ. გაგუასი).

ივანე თარბას, ბევრისგან განსხვავებით, ნამდვილად არ „ეადვილება“ პატარებისთვის წერა. ეს ჩანს მის ქმნილებებში – ავტორი ცდილობს, სწორად შეარჩიოს თემები, მათთვის გასაგებად მიაწოდოს ბავშვებს, რათა ამ გზით სასიკეთო გავლენა მოახდინოს მათზე, დააფიქროს ბოროტსა და კეთილზე, სიზარმაცის, სიცრუის უარყოფით შედეგებზე, შრომაზე, სიყვარულზე და სხვა ზნეობრივ ფასეულობებზე. ეს ერთგვარად ბეწვის ხიდზე სიარულს ჰგავს, რადგან თუ მოზარდმა სწორად ვერ აღიქვა წიგნში აღწერილი ესა თუ ის ამბავი ან მოვლენა, ამან, პირიქით, შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მის სულსა და გონებაზე. კარგი წიგნი კი ანდამატივითაა და თანამედროვე – კომპიუტერის, ანიმაციური ფილმების, გასართობი ატრაქციონებისა და ცენტრების... – ეპოქაშიც ერთიანად იპყრობს ბავშვების გულს.

პატარამ კი „თავიდანვე უნდა იცოდეს, რომ მთელი მისი ცხოვრება, სწავლა და შრომა, ადამიანთა სასიკეთოდ წარიმართება; რომ მან ამ ქვეყნად მარტო თავისთვის კი არა, ადამიანთა საკეთილდღეოდ უნდა იცხოვროს ლამაზად, გონივრულად და საინტერესოდ“ (9, 30).

ივანე თარბას სადიდო თუ საბავშვო პოეზიაში მრავლადაა საკუთარი დედისადმი მიძღვნილი თუ, ზოგადად, დედაზე დაწერილი ლექსები. დედა ბავშვისთვის შეუცვლელია, მასში მთელი სამყაროა განივთებული და როგორც ოსტატურად მოუძებნა გასაღები ყმაწვილის სულს პოეტმა ერთი ფრაზით – „დედაჩემი სჯობს ყველას“:

„დედა სუყველას კარგი ჰყავს:
ლილის, ვაჟას თუ ლელას,
მაგრამ თუ გინდათ მართალი,
დედა ჩემი სჯობს ყველას.“

(თარბა ი., 1978, 2).

ჩვენ მიერ მოძიებული მასალების მიხედვით, ივანე თარბას შემოქმედებაში არც ისე ჭარბადაა საბავშვო ნაწარმოებები, მაგრამ რაც შეუქმნია, დასტურია იმისა, რა კარგად იცნობს იგი ამ გამორჩეულ სამყაროს და მასში წვდომისას რა შე-

საშურ პედაგოგიურ-ფსიქოლოგიურ უნარსა და აღლოს ამუღავნებს.

ივანე თარბას საბავშვო ნაწარმოებების კრებული – „გაფრენა მთვარეზე“ 1983 წელს გამოიცა. პოეტი მარიამ წიკლაური ასე აფასებს მას: „დაუეჭვებელი რწმენის მატარებელია სიკეთისა და ბოროტების მარადიულ ბრძოლაში სიკეთის უცილობელი გამარჯვებისა“.

კრებულში შესულ ლექსებში დახატულია ბუნების უღამაზესი სურათები, ცხოველთა სამყარო, საუბარია მეგობრობაზე, სიყვარულზე, პატრიოტიზმზე და ყოველ მათგანში არის პირდაპირი თუ არაპირდაპირი (შეფარული) შეგონება, რა არის უმჯობესი, როგორ უნდა იცხოვროს ადამიანი, რომ ეს უღამაზესი მიდამო შენი სამშობლოა და უნდა გიყვარდეს იგი და ა.შ.

უმშვენიერეს სოხუმს წელიწადის ყველა დროს უამრავი ადამიანი სტუმრობს, მაგრამ ზამთრობით ბავშვებისთვის ყველაზე სასურველი „სტუმარი“ თოვლი იშვიათად მოდის ხოლმე:

„სოხუმს ბევრი სტუმარი ჰყავს -
ნელი, გიგი, ნათია.
მაგრამ თოვლი? იცით ყველამ,
თოვლი იშვიათია“.

(„თოვლი“, თარბა ი., 1983, 35).

სამაგიეროდ, სოფლებს არ აკლია თოვლის ხორხოშელა, თეთრად გადაბარდნილა არემარე. იცივავე და იგუნდავე რამდენიც გინდა.

„ვით ყინულის ლოლუები, მოდის მშრალი ხორხოშელა“.

(„ხორხოშელა“, თარბა ი., 1981, 85).

ეს ლექსი მშობლიური სოფლისკენ მიახედებს პატარებს, რომელიც თურმე თოვლსაც განსაკუთრებით ყვარებია და ჩვენ როგორ არ უნდა გვიყვარდეს; სოფელში გაზაფხულიც სხვანაირად მოდის – ათასფრად აფეთქებული კვირტების გამაბრუებელი სურნელით, ფრინველთა ჯადოსნური ორკესტრით, ახასხასებული ველ-მინდვრებით. ამ დროს ზამთრის ყინვისაგან დამზრალ დედამიწასაც თითქოს გულმკერდი გადაუხსნია და გუთნისდედას უხმობს, რათა შემოდგომაზე ასმაგად დაუბრუნოს ნაჭირნახულევი.

„ბარის და თოხის წკრიალი ისმის,
შრომის გუგუნი ქარს მოაქვს შორით,
ვინც რას დათესავს, მოიმკის იმას,
არ იკარგება სიკეთე შრომის“.

(„გაზაფხული“, თარბა ი., 1983, 9).

აქ ჩართულ ხალხურ ანდაზას დიდი დატვირთვა აქვს და მხოლოდ ხენა-თესვას როდი ნიშნავს, არამედ იმას, რომ სიკეთე, მოყვასის სიყვარული არ იკარგება. ადამიანი როგორადაც იცხოვრებს, იმგვარადვე მიეზღვება. „ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა, დღეს მე ვის რა ვარგე“, – გემოდღვრავს ილია. „რასაცა გასცემ, შენია, რას არა, დაკარგულია“ – გვასწავლის რუსთაველი. აი, ესაა ადამიანად ყოფნის არსი. და კიდევ ქმნადობა, ანუ შრომა. „შრომა არის არა ტანჯვის, არამედ ტკბობის, აღტაცების მომგვრელი“ (21, 23). ასე ფიქრობს ივანე თარბაც, რადგან თავისით, უშრომლად არაფერი მოდის, შრომას მოაქვს ხვალი და ბარაქა, ცოდნა და განათლება, წინსვლა და განვითარება.

„გაზაფხულს მოჰყვა ზაფხულის დარიც
და შემოდგომამ გააღო კარი.
შემოდგა ფეხი პური და ღვინით,
ხვალით, დოვლათით, ქორწილით, ღვინით.
მერე ჩაიცვა ყვითელი კაბა,

გზა მისცა ზამთარს და თოვლის პაპას.
დრო დროს ცვლის, მოდის აფრების გაშლით
და მე ვიზრდები დროთა ბრუნვაში“.

(„მე კი ვიზრდები“, 1983, 27-28).

იმავე თემას ეძღვნება ლექსები „შემოდგომა“, „Утренние картинки“. ამ უკანასკნელში სოფლის ერთი ჩვეულებრივი დილის სურათებია დახატული, რომელიც მამლის ყვილით უთენია იღვიძებს. ისმის ფრინველთა გალობა, ეზოში ამაყად დაიარებიან გაფხორილი ინდაურები, კრიახებენ ქათმები, დახტის კვიცი და დაკუნტრუშებს ხბო. ამ არაჩვეულებრივ „სიმფონიას“ უერთდება ადამიანის ხმაც, რომელსაც გაუთენდა კიდევ ერთი „Созданыя день земной“.

„Утра, новые картины
возникают предо мной
день явился, ясный, длинный,
созиданыя день земной“.

(„Тарба“, 1984, 54).

ლექსები „ჩემი ლეკვი“, „ლეკვი“, ბავშვისა და პატარა ლეკვის მეგობრობის ამბავს ასახავს. „ჩემთან არის შინ თუ გარეთ, მეგობარი ნამდვილი“ („გაფრენა მთვარეზე“, 21).

ღულუნა მტრედის, მომღერალი ბულბულისა და პატარა ბავშვის მეგობრობაზეა ლექსი „ჩემი მეგობრები“. ბავშვებს ძალიან უყვართ ცხოველები და მათზე შექმნილ ლექსებსაც დიდი სიამოვნებით ისმენენ და სწავლობენ. ივანე თარბას საბავშვო ლექსების გმირებიც ხშირად ცხოველებია და თანაც საზგასმულია მათთვის დამახასიათებელი დადებითი, მისაბაძი და უარყოფითი თვისებები. სწრაფი და მოხერხებული ყურცქვიტას ამ თვისებებით გაოცებული ბავშვის განცდები ჩანს ლექსში „კურდღელი“. ღორმუცელა შავდინგა ტახს კი მისი სიხარბე გადაიყოლებს („ტახი“):

„სინანულის დასდის ცრემლი,
ვეღარ იტევს შთანთქმულს ვეღად
და სიხარბის ხდება მსხვერპლი
გაბერილი ღორმუცელა“.

(იქვე, 40).

დედის წინ მორბენალი კვიცისა არ იყოს, თავნება, ჯიუტი ბავშვი ყვითელი პაწაწინა ბატის ჭუკების სიტუაციაში შეიძლება აღმოჩნდეს, რომლებიც კინაღამ...

„დაიხსომეთ, რაც აქ მოხდა ყოველი,
ვინც დედას არ დაუჯერებს,
განსაცდელი მოელის“.

(იქვე, 46)

ქათმების გუნდში ყინჩად, თავმომწონედ მოსიარულე, გაბღენძილი მამალი ძერას დანახვისას მოკურცხლავს. ლექსის პატარა გმირი კი ამას არ მოელოდა და გაოცებული ეკითხება:

„მაგრამ უცებ რად შეკრთი,
რად გსურს, შიში დამალო?
როცა ძერა გამოჩნდა,
სად გარბიხარ, მამალო?“

(„მამალი“, 31)

გვახსენდება ინდაურებთან „ომწაგებული“ ვაჟა-ფშაველას მედიდური მამალი („ჩვენნი მამალი“). თუმცა, პოეტის აზრით, ეს დროებითია, ზოგჯერ ძლიერიც წაი-

ფორხილებს ხოლმე, მაგრამ საბოლოოდ მაინც აღიდგენს ღირსებას.

ვისაც წაუკითხავს ივანე თარბას „მერცხალი“, მისი მესხიერებიდან არასოდეს ამოიშლება იგი, იმდენ სითბოსა და სიყვარულს იტევს. ბავშვები გულისტკივილით ეთხოვებიან მერცხალს, რომელიც იძულებულია ზამთარს გაერიდოს, სამშობლოდან თბილ ქვეყანაში გაფრინდეს და მშვიდობიან გზას უსურვებენ:

„მიფრინავ? ნახვამდის, საითაც გენებოს,
მშვიდობით გეფრინოს, მშვიდობით გეფრინოს,
ნურასდროს შეგაკრთობს მთები და ველები,
ნურასდროს მოიწყენ, ზამთარზე შემწყვრალო,
დადგება თუ არა კვლავ თბილი დღეები,
მოფრინდი, მოფრინდი, კეთილო მერცხალო“.

(„აფხაზური პოეზიის ბიბლიოთეკა“, 1971).

გაზაფხულის დადგომასთან ერთად, მწვანედ ახავერდებული მიდამო, ცხრათვალა ბრდღვიალა მზე და პატარები – ყველანი გულისფანცქალით ელიან მერცხლის დაბრუნებას სამშობლოში:

„გელოდა, გელოდა, შენ ერთს თუ გელოდა
მზე დიდი, ცხრათვალა, ნისლებში დანთქმული,
აქ არვინ არა გთვლის სტუმრად და მოსულად,
გიციინით, გეძახით მეგობარს, მასპინძელს.
გაზაფხულს, შენსავით ცელქსა და თავნებას,
უყვარდი, უყვარხარ და ნულარ შეცბები,
თუ გული გატკინეს შემთხვევით ბაღლებმა,
დახარდე შენსავით ლამაზი მერცხლები“.

(თარგმანი მ. ფოცხიშვილისა).

შედარებისათვის გვინდა გავიხსენოთ იაკობ გოგებაშვილის საყმაწვილო მოთხრობა „ორაგულის ცხოვრება“. როგორი თავგამეტებით მოისწრაფვის ორაგულების ქარავენი სამშობლოსაკენ, რა სიხარული ეუფლებათ, როცა მშობლიურ მდინარეში შეცურავენ და ნაცნობ ადგილებს მოიხილავენ. სიხარულისგან ფერიც კი ეცვლებათ და ოქროსფრად აბზინვარდებიან.

ამ ორი ნაწარმოებით ყოველგვარი მშრალი შეგონებისა და სენტენციების გარეშე ბავშვის ცნობიერებაში იბეჭდება, რომ თუ მერცხალსა და ორაგულს უყვართ სამშობლო, ადამიანი მით უმეტეს მოვალეა, უყვარდეს და მოუაროს მას.

ბავშვებმა წარსულიც უნდა იცოდნენ, მათ შესაფერისი ფორმით უნდა მიეწოდოს მტრებთან ბრძოლაში გამოჩენილი გმირობის ამბები, სახელოვანი წინაპრების ნაღვაწი და, ზოგადად, ისეთი სიუჟეტები, სადაც ჩანს, რომ ომი, სისხლის ღვრა ცუდია, რომ მას მოაქვს ნგრევა, უბედურება და გაჭირვება. სწორედ ასეთია ლექსი „ბოჩოლა“, სადაც აღწერილია ომის პერიოდში, როცა ცხოვრება ჭირდა და ხშირად ლუკმაპურიც სანატრელი იყო, რა სიხარული შეიტანა ოჯახში ბოჩოლას გაჩენამ:

„ო, სიხარულო!
რძით ივსება ბადია ძველი,
ბავშვებს მოთმენა არა გვეოფნის,
დედა კი წველის“.

(1983, 11)

„ონავარი, ანცი ბიჭების დადებით გმირებად ქცევაზე არაერთი ნაწარმოები შექმნილა და ახლაც იქმნება. ყოველ ადამიანში, რაც უნდა ონავარი იყოს იგი, არის ფარული ცეცხლი, რაღაც საქმის დასაგვირგვინებლად რომ გამოდგება, მაგრამ ეს დებულება ბავშვმა ჯერ კიდევ არ იცის და ამოცანაც ის არის, რომ მას

შევასწავლოთ იგი. მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს ორი გზით: მშრალი დარიგებითა და საუბრით და მხატვრული ნაწარმოებით. ეს უკანასკნელი, მხატვრული ჩვენება, რა თქმა უნდა, მეტ ზემოქმედებას ახდენს პატარებზე, მეტად შთააგონებს მათ, უკეთ ამასსოვრებს ამა თუ იმ დებულების არსს... აღზრდა შეიძლება განხორციელდეს როგორც დადებით მაგალითზე, ისე უარყოფითზე“ (15, 44-45).

ზემოსხენებული თეზა – მშრალ შეგონებასთან შედარებით, მხატვრული ნაწარმოების ზემოქმედების უპირატესობა ბავშვის აღზრდის პროცესში კარგად აქვს გასიგრძეგანებული ივანე თარბას. საილუსტრაციოდ მოვიხმობთ რამდენიმე ლექსს.

ონავარი ბიჭი პატარა ჩიტს დასდევს, მაგრამ ვერც დაიჭერს და ვერც შურდულს მოახვედრებს. საინტერესოა მათი დიალოგი. ჩიტი ეუბნება:

„რა ტყუილად წვალობ, ბიჭო,
შენ მე როგორ დამეწევი,
მიწაზე ძლივს დაბაჩუნობ,
მე კი, შეხე, ვფრინავ ზევით“.

(„ჩიტი“, 20).

ბიჭი ხვდება, რომ „ზევით მფრინავი ჩიტის“ დაწვა ასე უბრალოდ შეუძლებელია და უკვე მისი მოკვლის სურვილი აღარ აქვს, პირიქით, უნდება მასთან გაჯიბრების სურვილი ანუ მიზანი, როცა გაიზრდება, იმდენი ისწავლოს, რომ თავად იფრინოს, ცა დაიპყროს და უფრო მეტიც, კოსმოსში ავიდეს:

„ინავარდე, ჩიტო, ლაღად, სანამ ეს ცა შენი არის,
იფრთხილდე აღმა-დაღმა, შეაჯერე მთა და ბარი
და იცოდე, გაეიზრდები, მეც ფრთებს გავშლი
ლაღს და მძლავრსა.
ჩიტუნიავე, ერთო ციდავე, შუა გზამდეც ვერ მომყვები,
ხელს დაგიქნევ კოსმოსიდან“.

(იქვე).

გაუგონარი და მოუსვენარი გუდალა („ონავარი გუდალა“) ყველას ანერვიულებს, განსაკუთრებით დედას. ერთხელაც ტყეში გზა აერია და ვეღარ გამოავნო. შიმშილისგან ძალაგამოცლილი და შეშინებული კარგა ხნის ძებნის შემდეგ იპოვეს, ის კი ნაცვლად იმისა, რომ ბოდიში მოეხადა ახლობლებისთვის და თავისი საქციელი მოენანიებინა, როგორც კი სული მოითქვა და ცოტათი დაწყნარდა, გადატანილი შიმშის შემდეგ, მაშინვე ისევ გარეთ გავარდა:

„რომ მოითქვა სული კარგად,
წამოვარდა, გახტა კარში,
თუ ასეთი გაიზარდა,
ჩაყრილია ზრუნვა წყალში“.

ამ ლექსში ავტორი გუდალას არ კიცხავს, მხოლოდ მის ამბავს ყვება, მაგრამ პატარა მკითხველი როცა წარმოიდგენს, რომ ტყეში დაკარგული გუდალა შეიძლება ბოდა ვეღარ ეპოვნათ და ვინ იცის, რა მოუვიდოდა, თავად აღარ მოუნდება ასე მოქცევა. თანაც, თუ ბოლო ტაეპსაც ჩაუკვირდება, ეცდება, მოსიყვარულე და მზრუნველ მშობლებს შრომა წყალში არ ჩაუყაროს.

აი, მეორე ლექსიც – „მიშა“:

„აღარ ვიცი, ასე ცუდი ხასიათის თუ სხვაც არის,
არავინ ჰყავს ამხანაგი, არავინ ჰყავს მეგობარი,
მიშა ჰქვია ამ ბიჭუნას, სულაც არ ჰყავს თავის სწორებს,
ეჩხუბება ერთობ ყველას, ხან ერთს ლანძღავს, ხან – მეორეს.
ზის თავისთვის დიდი, მარტო, არ გაუხსნა არვის გული,
ყველაფერთან ერთად მიშა, ზარმაცია, უსაქმური.“

აი, ახლაც სძინავს მშვიდად, ჩაუკეტავს სახლის კარი,
ჩვენ კი მაყვლის დასაკრეფად ბუნქნარისკენ მივიჩქარით“.

(თარბა ი., 1983, 44).

ეს ლექსი ნიმუშია სწორედ უარყოფითი მაგალითის ზემოქმედებისა. მისი წაკითხვის შემდეგ წარმოდგენილია რომელიმე ბავშვს გაუჩნდეს სურვილი მიმას დაემსგავსოს, იყოს მასავით უქმური, უმეგობრო, აშარი, ავისიტყვა, ზარმაცი და უსაქმური.

დადებითი მაგალითის ზემოქმედების ნიმუშია ლექსი „პაპა“:

„რომ არვინ ჰყავს მიმდევარი, მოხუცის გულს სევდა ავსებს,
მის საქმეს მე გაგაგრძელებ, ამიტომ ვარ მასთან ახლოს,
წინაპართა ოსტატობა მსურს, მომავალს შევუნახო“.

როცა უკან, ბავშვობისკენ მიაპყრობს გონების თვალს, შეუძლებელია, ზრდასრულ ადამიანს არ გაახსენდეს მაშინ ჩადენილი საქციელი, ზოგი – თბილად, ზოგი – გულისტკივილით.

ივანე თარბას ლექსის პატარა გმირმა ბავშვმა ჩაძინებულ ბაბუას წაღდი მოპარა და ვაშლის ხის მოჭრა გადაწყვიტა. ბაბუას ხმაურზე უცებ გამოეღვიძა, წაღდი წაართვა და ყური აუწია. წლების მერე, როცა დაგაუკაცებულმა ბიჭმა მსხმოიარე ვაშლის ხე დაინახა, თითქოს ისევ აეწვა ყური:

„მხრებგანიერი, გაზრდილი და ნაყოფდასხმული,
იმ ვაშლის ხეზე ჩემეული შევნიშნე დაღი
და გამახსენდა ბედნიერი ჩემი წარსული...
მე მომეჩვენა, აგერ ჩემი ბაბუა მოდის,
რომ ისევ მწარედ ამიწითლოს ყურები ყმაწვილს“.

ძალიან თბილი და დამაფიქრებელი ლექსია. ბაბუა აღარ არის, წინაპრები აღარ არიან, მაგრამ მშობლიურ გარემოში თითქოს ყველგან მათი ხატება გამოკრთის, ყველაფერს მათი ნაამაგარი ხელი ატყვია – მოჭრას გადარჩენილ, დაღიან ვაშლის ხესაც.

ივანე თარბას აქვს გალექსილი პატარა გამოცანებიც. მათი მარტივი შინაარსის მიხედვით ბავშვი ადვილად მიხვდება პასუხს და, ამდენად, სახალისოც იქნება მისთვის და გონებასაც გაუვარჯიშებს.

დაბოლოს, კრებულში „გაფრენა მთვარეზე“ შედის იმავე სათაურის ზღაპრულსიუჟეტის პოემა, რომელშიც ძალზე საინტერესოაა მოთხრობილი ერთი ჭკვიანი ბიჭუნას თავგადასავალი.

ივანე თარბას საბავშვო ნაწარმოებების კრებული „გაფრენა მთვარეზე“ არის ჰუმანური, პატრიოტული, მაღალმხატვრული ქმნილება, რომელიც აუცილებლად დაეხმარება სკოლას, ოჯახს „ჩვილთა და უსაკოთა აღზრდაში, რომ გამოვიდნენ სამშობლოს ღირსეული შვილები, ხალხის მოჭირნახულე ადამიანები, ჰუმანური თვისებით აღჭურვილი წევრები საზოგადოების, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნებანი (11).

ივანე თარბას საბავშვო პოეზიაზე საუბარი გვინდა დავასრულოთ სტროფით:

„Ты солнце его светом окрепи,
Ты время, его скорее укрепи,
Земля будь твердой! Небо чистым будь!
Ребенок начал земле свой путь“.

(Тарба И., 1984, 24).

იგი არ არის უბრალოდ ლექსი, იგი ლოცვაა მთელ დედამიწაზე უკვე დაბადებული და მომავალში დასაბადებელი ყველა ბავშვის მიმართ.

ლიტერატურა:

1. თარბა ი., რჩეული ლექსები და პოემები, თბ., 1981.
2. თარბა ი., გაფრენა მთვარეზე, თბ., 1983.
3. Тарба И., Поэт прозд. М., 1984.
4. აფხაზური ლიტერატურა, თბ., 1971.
5. აფხაზური ლიტერატურა, მოკლე ნარკვევი, 1975.
6. აფხაზეთის მწერლობა, სოხუმი, 1941.
7. აფხაზური პოეზიის ბიბლიოთეკა, თბ., 1971.
8. აღხაზიშვილი გ., გზა გადავუღობოთ მდარე საბავშვო ნაწარმოებებს, ჟურნ., „საყმაწვილო ლიტერატურა“, წიგნი III, 1975.
9. ბერულავა ხ., როგორც მოზრდილთათვის, ოღონდ უკეთესად, ჟურნ., „საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე“, თბ., 1972, წიგნი VIII.
10. ბერულავა ხ., საყმაწვილო ლიტერატურის მოამბე, 1975.
11. ბერულავა ხ., მშობლიური სახელები, თბ., 1976.
12. ბოცვაძე ი., ისევ საბავშვო ლიტერატურის კვლევისა და სწავლების საკითხისათვის, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, №52, 1969.
13. გოგებაშვილი ი., თხზ. სრ. კრებული, ტ. 5, 10.
14. ზუხბა ს., ქართულ-აფხაზური ლიტერატურული ურთიერთობანი, თბ., 1980.
15. თავდიშვილი მ., „საყმაწვილო ლიტერატურა“, 1975, XIII.
16. ინალ-იფა შ., აფხაზური მწერლობა გუშინ და დღეს, თბ., 1979.
17. კუპრავა რ., ივანე თარბას პოეზია ქართულად, გაზ., „საბჭოთა აფხაზეთი“, 25.I.1966.
18. მოსია ტ., დავით გურამიშვილის მსოფლმხედველობის სამყაროში, თბ., 2010.
19. მოსია ტ., ნარკვევები, პორტრეტები და სხვა, ზუგდიდი, 2002.
20. მირესაშვილი მ., გაფრინდაშვილი ნ., წერეთელი ნ., სოციალური რეალიზმის თეორიული ისტორია ქართული ლიტერატურის მაგალითზე, წ. I, გვ. 166-123, თბ., 2010.
21. ტაბიძე ნ., საბავშვო ჟურნალისტიკის სათავეებთან, ჟურნ. „საყმაწვილო ლიტერატურა“, XII, 1974.
22. შატბერაშვილი გ., წერილები, 1975.
23. შინკუბა ბ., რჩეული, თბ., 1980.
24. წიკლაური მარიამი, mciklauri-2004@yandex.ru.
25. ჭურღულია ო., ნარკვევები ქართულ-აფხაზური კულტურულ-ლიტერატურული ურთიერთობიდან, სოხუმი, 1983.

Medea Kvaratskhelia ***Ivane Tarba and Children's Poetry*** **Summary**

Ivane Tarba was a great poet for children as well. He had very interesting collections of poems (“My childhood is over already”, “Flying to the moon”). They are as interesting as the literary texts for adults.

Ivane Tarba was one of the most important representatives of Abkhazian literature of the 20th century. He was a great singer of Georgian and Abkhazian friendship. He knew history of these people, their traditions and literature. He was a great friend of Georgian writers (especially R. Margiani, K. Kaladze, I. Abashidze, N. Dumbadze).

In his poetry I. Tarba reflected Georgian and Abkhazian people's relationship, their great

love to each other. He wrote that they have one native land, native country.

In the article the author studies main themes of I. Tarba's poetical heritage, verses dedicated to Georgia, poet's native region Abkhazia, ancient traditions of people, beautiful landscape of the country.

Медея Кварацхелия
Иван Тарба и поэзия для детей
Резюме

И. Тарба был выдающимся поэтом, который писал и для детей. У него была коллекция прекрасных детских стихов («Мое детство прошло», «Полет на луну»). Эти стихи не менее интересны, чем стихи для взрослых.

Тарба был важнейшим представителем Абхазской литературы XX века. Он воспевал дружбу между абхазами и грузинами. Он знал их историю, традиции, литературу, поэт дружил с грузинскими писателями, особенно с Р. Маргиани, К. Каладзе, И. Абашидзе, Н. Думбадзе.

В своей поэзии он выражал отношения между грузинским и абхазским народами, их великую любовь друг к другу. Он писал, что у них единая земля, единая родина.

В статье автор касается главных тем литературного наследия Тарба – стихи, посвященные Грузии, родная для поэта Абхазия, древнейшие традиции народов и прелестная природа края.



ციალა მესხია (საქართველო)

გენო კალანდია და აფხაზეთის ტრაგედია

თანამედროვე ლიტერატურულ ფონზე გენო კალანდიას პოეზია თავისებური სინთეზია ნოვატორული ფორმებისა და ტრადიციებისა. იგი ორიგინალური, გამორჩეული ხმისა და უნატიფესი ესთეტიკური კატეგორიებით მოაზროვნე დიდოსტატია ქართული სიტყვისა. მის ლექსებსა და კომპოზიციებში ერთმანეთს ბედნიერად შეერწყა ეთიკა და ესთეტიკა, ფაქიზი სული და უჩვეულო მხატვრული აღმაფრენა, პაოლოსებური არტიზმი, წერის მაღალი კულტურა, დახვეწილი, თითქმის, რკინისებური ფრაზა, უშუალო ლირიკული ხედვა, წარსულისა და დღევანდელობის ზომიერად მოხმობილი პარალელები. მშობლიური ლანდშაფტების ხატვის იშვიათი უნარი, მისი პოეტური ხატები და მეტაფორები ეროვნული წიაღიდანაა გამომდინარე და ამდენად ეროვნული კოლორიტის შექმნას ემსახურება... პოეტის მხატვრულ მეტამორფოზებში თანამედროვე ინტელექტუალისა და რომანტიკოსის რაფინირებული სული იტანჯება, იბრძვის და ამკვიდრებს რაღაც ახალს მონუმენტურ სულიერ ღირსებულებებთან ნაზიარებს...

ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილმა ქართველობამ ყოველთვის ვიცოდით და ვიცით, რომ არსებობდა და არსებობს გენო კალანდია როგორც ტრაგიკული პიროვნება – ერის ტკივილებით გამოწრთობილი, ძლიერი და მკვრივი, მონოლითი, კოლოსალური ენერჯის დამტკევი, „სავსე ქართული პატიოსნებით“, პიროვნება, რომელმაც საკუთარი სულის გადასახედიდან გულმდუღარედ გამოიტირა დაკარგული აფხაზეთი, ჩვენი უღმობელი დრო და სივრცე... მისი შესაშური ენერჯისა და ტკივილიანი გულის ანარეკლები: „რეკვიემი“ „ავტოგრაფები ქვაზე“, „ისევ რეკვიემი“ საოცარი სიცხადით აღადგენს აფხაზეთის ომის ისტორიას. ძმათამკვლელი ომის მძიმე შედეგები იმდენად სულისშემძვრელია, რომ ძნელია გაამდიდრო ახალი ფუნქციით. პოეტის თვალწინ თამაშდება ღრმა ეროვნული ტრაგედია. ავტორმა უაზრო ომის შემადრწუნებელი სურათები და ფაქტები, ბოროტებისა და ძალმომრეობის სათარეშო ასპარეზი და მისი გავლენის ძალა უფრო ყოველისმომცველად რომ წარმოაჩინოს, მის ლექსებში ათასგზის ნაგრძნობი მშობლიური ხალხური მოტივები და სახეობრივი ხატები ერთვება, რითაც უფრო საგრძნობია ჯოჯოხეთური რეალობა. გულის კარნახსა და შინაგანი ხმის ძახილს ადევნებული პოეტი ჩადის ეროვნული პოეზიის ფენებში და მარად ცოცხალ ფესვებთან შეხებით გვაზიარებს მხატვრული ძალმოსილების ენერჯიას.

გენოს კალანდიას თითოეული ლექსი იდუმალ, რაღაც გაუცნობიერებელ ხმებს იმარხავს. იგი თავისი მრავალწახნაგოვანი გონებით მთელი არსებითაა გამიჯნურებული წარსულთან თუ დღევანდელობასთან, რეალურთან თუ წარმოსახულთან, მიწიერთან და ზეციერთან და თავად მასშია გაცოცხლებული წარსულისა და აწყმოს ფანტასმაგორიები, ერთგვარი ხილვად-პლასტიკური წარმოსახვითი ტრანსფორმაციები, ურომლისოდ, ვფიქრობ, წარმოდგენელია ნებისმიერი მხატვრული ქმნილება და ეს ყველაფერი თვით მასშია, მის პოეზიაში, არაჩვეულებრივად მდიდარი და ფართო, მისეული პოეტური ქმნილებების ემოციური დიაპაზონით: „ფესვები-ჩემი კარდიოგრამა, გულის ბადე და არტერია, დეკაკის ხელის რუხი მტევანი, ფესვები-მიწის ორატორია, შუადღის შუქი აყალყებული, ძღვეამოსილი მამრის სიმღერა, გულდაკორტნილი მამრის გუგუნია... ფესვები ჩემი ვეფხვის პოემა, ღრამა, ოქტავა და ტრაგედია („ფესვები. ჩემი ფესვის ფესვები“, 41, 58), – ამბობს

პოეტი და საკუთარ ავტოპორტრეტს გვიხატავს მარტოსულსა და მიუსაფარს, ეროვნული ტკივილებით გულშეძრულს. მისი უკეთილშობილესი და ამაყი სული სანუკვარ აფხაზეთს, ენგურსგაღმა დარჩენილ საქართველოს დასტრიალებს, ჩვენი ხალხის წარსულსა და მომავალს გასდევს, მისი სულიერი დახვეწისა და შინაგანი გარდაქმნის ურთულეს ამოცანას ისახავს მიზნად, აჩვენებს გზას, რომელშიც დევს ამ პრინციპის განხორციელება... გენო კალანდიას თავისი პიროვნული ხიბლითა და მოცახცახე ქმნილებებით მოაქვს რაღაც თავბრუდამხვევი სურნელი და მაცოცხლებელი სუნთქვა ჩვენ ქაოსურ ყოფაში... მისი პოეზიიდან ხან ჟონავს, ხანაც აშკარა ნაკადად მოედინება და ცხადად მოჩანს პოეტის შემმართველური რაინდული ბუნება, შინაგანი წვა და გზნება, ლირიზმით გამთბარი ტრაგიკულობის განცდაც და ჯანსაღი ფიქრი სვებედნიერ მომავალზე...

და მაინც, ბუნებაა სათავე და ბიძგი იმ მეტაფორებისა, რომლებშიც შედეგებული სისხლივით იკვრება მწარე სინამდვილე. სუბიექტური ხედვა და მაღალი ტალანტი გაიძულებს გიყვარდეს გენო კალანდიას ფორთოხლისფერი სევდიანი ლექსები და თეთრხალიანი ევკალიპტების წვიმა, გუგულის ძველი ბუდე და მორღუს ნათელი ბილიკი, პოეტის გულში აბრაგუნებული მზე თუ ქვიშის საათი-დაუნდობელი დრო, იგივე ბუნება, რაც სიტყვაში უფრო მძაფრდება და ხშირად ბედისწერის სახეს იღებს. აკი „ნათელშემოსილი სული გამუდმებით ასხივებს ნათელს, მის შუქზე ჭვრეტს როგორც გარეშე სამყაროს, უსასრულობაში დამარხულს, ასევე მისსავე შინაგან ჭეშმარიტებას” (მარკუს ავრელიუსი, 8, 211).

„გენო კალანდიას პოეზიას ახასიათებს უცნაური რწვეადობა, „რაზედაც არ უნდა წერდეს, ქვაზე, სალამურზე, ქალზე... ეს რწვეადობა, ეს ლიცლიცი, ეს სინატიფე ზღვიდანაც მოდის. ამ თვალსაზრისით თანამედროვე ქართულ პოეზიაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, გამორჩეულად ჟანგბადიანია, იოდიზირებულია, და ამდენად, ნაკლებად ბოლმიანი. და მაინც, ვფიქრობ, მისი პოეტური სიტყვის სინედლე, სინოტივის გამუდმებული შეგრძნება ცრემლის ბრაღია, ცრემლისა, რომელიც მის თვალზე არვის უნახავს, სამაგიეროდ ლექსებს უსახსოვრა, ლექსებში ჩაღვარა” (ეს მაკა ჯოხაძე).

გენო კალანდიას პოეზიაში „კაცი ხარის” გულმდუღარე ცრემლებია ჩაღვრილი. დიახ, ის, რაც რეალური და ხელშესახებია, მისი მუდმივი ფიქრის საგანია, მის სამსახურს უძღვნის თავის სულიერ ენერგიას და ღვთისგან ბოძებულ ტვირთს ხარივით ეზიდება. ხარის სიმბოლიკა მისი პოეზის ერთ-ერთი ნიშნეული მხარეა, რომელიც პარალელს პოულობს მითოლოგიურ-ფოლკლორულ არქეტიპებთან...

გენო კალანდიასათვის აფხაზეთის ომი ესაა სამასიათასი ადამიანის სასომისხილი, ჩაფერფლილი თვალები, უსიხარულო და უსიცოცხლო დღეები, უკუბოვო ცხედრები, ღიად დარჩენილი საფლავეები, ესაა სულიერ ძალთა შესაკრებელი, სადაც საკუთარი სული უნდა გამოფინო, რათა შენს გენეტიკურ წარმომავლობას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი და საგულისხმო ილუსტრაციად აქციო... საკენ-ჭუბერის გოლგოთა გამოვლილი რაინდი პოეტი და მისი მგავსნი ცხოვრებამ ვერ აქცია ლოტოფაგების მითიურ კასტად „თავს გაუფრთხილდი, ოლიფანტე, უხვად გვექნება წლეულს ლოტოსი, მიირთვი, კარგად მიეძაღე” (5, 216) – წარმოსახვის თვალი უნდა გაახილო კაცმა და ფიქრი შემოიჯარო, რომ სრულად აღიქვა რას ძერწავს პოეტი, სხვაგან უფრო სინატიფე და აღქმის სიმძლავრეა საჭირო, რომ გაითავისო პოეტის მიერ დახატული იდეალური სურათი: „ჩვენ მშვიდობა გვინდა, ოლიფანტე, რა დროს შიდა ქართლია, შე კაცო, რა დროს აფხაზეთი, როცა ბროწეულივით კანზე სკდება მესხეთ-ჯავახეთი, რა დროს წარსულია, რა დროს იავნანა, როცა ქვირითისფერ მტკვარსა და ლიახვს ქორივით დაჰყურებს სკვითი და ხაზარი, მირთვი, მირთვი უღარდელად, მირთვი, კარგად, მიეძაღე” („ოლიფანტე”, 28, 216). ამ

სტრიქონებიდან მირონივით იღვრება პოეტური ძალმოსილება. „ქვირითისფერი მტკვარი და ლიახვი” როგორ იტევს მდინარის ფერსაც, განწყობილებასაც, სიამყესაც და სამშობლო მიწის უნაპირო სიყვარულს, და ეს პირდაპირი ხატი მიიღვენებს სტრიქონს: „ქორივით დაჰყურებს სკვითი და ხაზარი”. ამჯერად მთავარი მაინც ის არის, თუ საიდან იღებს სათავეს ამ ლექსის სტილური ნიშანი, მასშტაბური მიწორი, მსგავსი კოსმიური პესიმიზმისა, ვფიქრობ, არ მოდის არც რომანტიკული იმპულსებიდან და არც სხვა რაიმე გავლენებიდან, არამედ იმ დიდი ტკივილიდან, რომელიც სინამდვილემ, რეალობამ შთააგონა პოეტს. პოეტური იმპულსი აფხაზეთის ტრაგედიდან მოდის, უფრო მეტიც, ცხოვრებიდან, ყოველდღიურობიდან, ქართული სინამდვილიდან და დაბეჯითებით შემოიძლია ვთქვა, რომ ამ ლექსში ნაცნობი ყოფიერების უცნობი აბსტრაქციებიცაა, პოეტის გულშემზარავი გლოვა, ტანჯვა დაკარგული აფხაზეთის გამო, და იცის პოეტმა, გავა დრო, გახუნდება ემოციის სიმწვავე, ვინ იცის, ეგებ, ძალა დაკარგოს უშუალო შთაბეჭდილებამაც, სხვა თაობა იმის მეთასხედსაც ვერ განიცდის, რაც ლექსის ლირიკულმა პერსონაჟმა განიცადა, რადგან „აქ არც ახალი ათონია, არც ზეთისხილის ბაღი, აქ მხოლოდ ლოტოსი ხარობს” (36, 216).

ამ ლექსში ქართული სულია გამოფენილი, რომელიც ნაქსოვია საოცარ სიჩუმეში, შემზარავი წინაგრძობებით, სამშობლო მიწის დაკარგვის შიშით, ბნელი ფიქრებით, მღელვარე აზრებით, აუსრულებელი წადილებით, უსასრულო შესაძლებლობებით... „ბროწეულივით კანზე სკდება მესხეთ-ჯავახეთი” – ეს გაფრთხილებაა, მოწოდებაა, რომ გაიღვიძოს მიძინებულმა ეროვნულმა ცნობიერებამ. აქ ლექსის გრაფიკა გვეხმარება წარმოსახული შედარების ვიზუალურ გაცხადებაში, რამეთუ გენო კალანდიას მხატვრულ პალიტრაში ნათლად გამოკვეთილი შედარება მეტწილად წარმოდგება, როგორც დასრულებული სურათი, რომელიც რამდენიმე შტრიხით შთაბეჭდავად მიგვანიშნებს ერის სოციალურ თუ ეროვნულ უბედურებაზე. ჯოჯოხეთური ომის სავალალო შედეგებზე: „იქ რო საძროხესთან კაცის თავი გდია, ღორის თავი არ გეგონოს, ოლიფანტე, იქ რო სისხლი მოჩქეფს წყაროსავით – შენი დის სისხლია ოლიფანტე. იქ რო მკათათვეშიც ტბებია გაყინული – შენი გამდელის თვალებია, ოლიფანტე... მიირთვი, მიირთვი უშფოთველად, მიირთვი კარგად, მიეძაღე. მორჩილად დახარე ეგ თავი მონის, თხუნელასავით სარდაფში ჩადი... წარსული დაივიწყე... გიყვარდეს ახალი საქართველო, ოლიფანტე!” (50, 216).

არ მეგულება მსგავსი ლექსი ქართულ პოეზიაში სულის სტიქიონით, რაღაც მაცოცხლებელი წვენიტ ასე რომ მიეწეოს ქართულ გენიას. ლექსის არსი, მისი ძირითადი ღირსება ყველა ელემენტის ურთიერთმიმართებით, უჩინარი მთლიანობით შობილი განწყობილება და ასოციაციების ტრაექტორიაა.

გენო კალანდიასეული პატრიოტიზმისა და მაღალი ზნეობის ძლევამოსილებას კიდევ უფრო მიპოეტურებს ის კეთილშობილი სიზვიადე, საკუთარ ძალაში ის თავაწყვეტილი ერთგულება და რწმენა, რომელიც პოეტმა საოცარი მომხიბვლელით გამოთქვა ლექსის ფინალში: „სიკვდილი არ გაბედო მტრის ჯინაზე, გთხოვ, გევედრები, ოლიფანტე, საფლავის ქვაზე არც იფიქრო, შენი ეპიტაფია მუხათგვერდის დილაა, ოლიფანტე, ჰოი..., ოჰოო... ჰოი, ოლიფანტე!” (75, 116).

ლექსში „ანტიგონე” კიდევ უფრო შემზარავი პოეტურ ხატად გარდაქმნის მოწმენი ვხდებით. „აფხაზეთის ომში ახალგაზრდა ქალს ერთადერთი ვაჟი თვალწინ მოუკლეს, ...დედა თმით ხეზე დაკიდეს... და რამდენიმე წუთით ადრე დახვრეტილი უცნობი მამაკაცის ჯერ კიდევ სისხლიანი თვალები ძალით გადააყლაპეს” – ასეთი სულისშემძვრელი ეპიგრაფი უძღვის ამ ლექსს... ვკითხულობ და დაძაბულობისაგან სუნთქვა მეკვრის, ძარღვებში სისხლის სწრაფი ნაკადის მხუილი მესმის და რაღაც ცივი, უაზრო და შემზარავი სამყარო მეზმანება და ეს ზმანება ინტუი-

ციურად დამაჯერებელი ხდება პროექტის გამოგნებელი სტრიქონებით: „ვისი თვალე-
ბი გადაყლაპე, დაო ბედკრულო?“... „მზე გადაყლაპე, უსინათლო, სიკვდილ მისჯი-
ლო?“ ...დამის სიზმრებში ჩამარხულო შავი სუდარით, თქვი, რა ხდება ზღვის უხა-
ვერდო სამეფოში? ვის სიმართლეში ეძებ სიმართლეს? სად გარბის მიწა, ირმის
საძვალე?... შენ, როგორც წმინდა მწუხარება, კარიკარ ივლი, ჩემო საბრალო ანტი-
გონე, დაო ბედკრულო!” (11, 59, 216). უსასრულოდ შეიძლება პროექტის სტილის თა-
ვისებურებაზე, მის მომხიბლავ ხატ-სახეებსა და სიმბოლოებზე საუბარი. ამ ლექს-
ში პოეტური ძალმოსილების მარადიული ზეიშია თითქოს, რომელიც სიმძიმის,
დიდი ტრაგიზმის წიაღიდან ანათებს. აშკარად ვგრძნობთ, თუ როგორ გასცდა
ძალმომრეობის, ინტრიგების, კაცთმოძულეობისა და სიძულვილის მასშტაბები
ნორმალურ ადამიანური ჩარჩოებს და საბედისწერო, კატასტროფული შედეგები გა-
მოიწვია. ლექსის შინაარსი და განსაკუთრებით „ბედკრული დის” სახე მარადიულ
კავშირშია გენო კალანდის პოეტური სამყაროს მთელ რიგ ნაწარმოებებთან. აფხა-
ზეთის ომის სევდიანი ჰანგებით იქსოვება პროექტის უნივერსალური იდეალები და
წარმოდგენებიც, მისი ფსიქოლოგიური რეალიები და ნოსტალგიური განცდები. და
მაინც, გარდასული ომის სევდა გულზე მძიმე ლოდად რომ არ შემოგვატოვოს, პო-
ეტი ნატიფი პოეტური ხატ-სახეებით გვაბრუნებს ანტიგონეს ახალგაზრდული
ცხოვრების, რიურაჟივით სუფთა და ფერგამოუნაკეთავ სამყაროში, როცა ზღვის
მარჯვენა თვალში ცხოვრობდა, „აკვანი სარკმელს გადაყურებდა, სარკმელთან კი-
დევ ფორთოხლების მზე ხრამუნობდა” (47, 216).

ანტიგონეს სარკმელთან მოხრამუნე ფორთოხლების მზე რაღაც გრძნეული
უბრალოებით გვათავისუფლებს დღევანდელი ყოფის სიძნელეებისაგან... მინიშნებე-
ბი, სიმბოლოები, იდუმალებით მოცული სახეები ხაზს უსვამენ გენო კალანდიას
სახეობრივი აზროვნების სირთულესა და მრავალფეროვნებას.

გენო კალანდიას კომპოზიციურ ლექსებსა და სონეტებში მთელი სიმძაფრი-
თაა დახატული აფხაზეთის ომის მრისხანე ბატალიები, ჩვენი ჭაბუკების გამძლეო-
ბის დიადი მაგალითები, სისხლისა და ცრემლის ოკეანეები, ტანჯვისა და ვაების
გოლგოთა – საკენ-ჭუბურის უღელტეხილი. თითქოს, ამოიწურა სათქმელი და პოე-
ტური გამოსახვის საშუალებებიც, მაგრამ მისმა პოეტურმა ნიჭმა ამ სფეროში
სულ სხვა ჰორიზონტები გადაშალა, სავსებით განსხვავებული და ორიგინალური
ასპექტით წარმოაჩინა აფხაზეთის ომის ტრაგიზმი. საგულისხმოა ის, რომ მის პოე-
ზიაში არსად არ წარმოჩნდება აფხაზი „მტრის ხატად”. სწორედ ესაა მისი, რო-
გორც ჭეშმარიტი მამულიშვილის დიდი ღირსება.

გენო კალანდიას პოეტური აზროვნება კონკრეტულად ადასტურებს ქართველი
კაცის ლტოლვას ბედნიერებისკენ, სიცოცხლის სიყვარულს, როგორც თვითგამო-
ხატვის თავისებურ ფორმას. მიუხედავად ძმათამკვლელი ომის უმწარესი შედეგები-
სა და დევნილობის ძნელბედობისა, რომელშიც მან გამოიარა და აღმოჩნდა, შეძ-
ლო დაემკვიდრებინა საკუთარი ხმა წარმავალი ყოფიერების ქაოსში... მის პოეტურ
აზროვნებას გრძეულებაც ხელეწიფება. იგი შემართებლური ენერგიით იჭრება მა-
რადისობაში და გარდახდილ-განცდილის უსაზღვროებაში აჯირითებს თავის
სულს, რათა კიდევ ერთხელ განგვაცდევინოს გარდასული ტრაგიზმის სიდიადე:
„კრწანისის ველზე დარჩენილი სამასი ხარი...” „ტყვიით განგმირული ცისარტყელე-
ბი...” „ტანმოხატული ხოხბებივით დახოცილი ცისკრები...” გადაკარგული სიმღერე-
ბი: „ერგეაშვა”, „ვარადა”, „სი, ქოული, ბატა”, „აბა ულა”... „ამდენი ცრემლი, ამდენი
სისხლი, ამდენი ჯვარცმა და მკვდართა კორდი,” „მწუხარე წიგნის ფურცელი
მრავალტანჯული მიწა იბერთა” და გადასხეპილი ჰორიზონტები – ასეთი პოეტური
მეტაფორებით ვლინდება დროთა მარადიული კავშირის ჭეშმარიტი ლოგიკა-დროში
შეხლუდული მარადისობა და მარადისობაში შეხლუდული დრო...

გენო კალანდიას პოეტური რეკვიემი ჯუმბერ ბეთაშვილზე თავისი შინაგანი მასშტაბით აფხაზეთის ტრაგედიის შემზარავ მოვლენებს ირეკლავს. აქ ისეთი სეგა და წუხილია, რომელიც სულისშემძვრელი უბედურების წინ ადამიანს რომ ამშვენებინებს, თავბრუდამხვევი სურნელითა და მუქი ფერებით საოცარი განცდა გადაგვეშლება, ისეთი, როგორსაც ტიცციანის ფერწერული ტილო „ქრისტეს დატირება“ რომ ახდენს თითოეულ ჩვენგანზე. იშვიათად აუსახავს რომელიმე სხვა მხატვარს ასე სრულყოფილად თავისი საუკუნის იდეალები, ტანჯვა და სიხარული, როგორც მითოლოგიური სიუჟეტების მეუფემ ტიცციანმა. იგივეს თამამად გავიმეორებდი გენო კალანდიაზე, რომლის უმშვენიერესი ქმნილებები ჩვენი ეპოქის ტრაგიკული ამონაკენესია: „არ გაქცეულა ის არსად, არა! ის მარტოდმარტო ქალაქში დარჩა, – პოეტი დენდი და ლამაზი, ხომ არ მოგიკრავს, უფალო, თვალი? როგორც ხე იწვის შემოდგომის ცეცხლის ალყაში და ზეზეურად ქრება მარადი, როგორც მზე კვდება საღამოს ზღვაში, ის შენთვის მოკვდა, ის ირემივით ბალახში გდია... ცრემლის ობოლი ზურმუხტებით განათებული“ (65, 178). „სარკმელთან კვირტივით დიად დარჩენილი ბავშვის თვალები“... „ჭაბუკის თბილი ფილტვი-გაჭყლექტილი ყურძნის მტევანი“. და 27 სექტემბერი დღესაც სტკივა ქართველის გასავათებულ სხეულს. გენო კალანდიას ლექსებში სხვადასხვა განზომილებაში მოქცეული სურათები, სიტუაციები მონაცვლეობენ, შემადრწუნებელია რეალობა: „გზაჯვარედინზე დგას სფინქსივით აბჯარასხმული კონდოტიერი“... ამდღებელი პოეტური ეგზალტაციით შექმნილი ეს წარმოსახვითი რეალობა მისტიკური სუნთქვით იმუხტება და შემოქმედის სულის სიდრმისეული შრეებიდან ტკივილიან მოგონებებს წამოშლის...

„საკუთარ სისხლის მზეში ნიშა ხარივით ჩაფლული“ პოეტი ჩვენი თანამედროვეა თავისი მოქალაქეობრივი ტკივილებითა და განცდებით, თავისი მშობლიური ერთაშინდის ციდან წამოდებული სისხლიანი ვარსკვლავებით... მხოლოდ გენო კალანდიას ხელეწიფება სიტყვაში გაანივთოს და ცხადად შეგვაგრძობინოს მისებური ხვედრის ჯვარცმული პოეტის ანტონიო მაჩადოს სიკვდილით გამოწვეული ტკივილი. „ვისია ნეტა ეს ცრემლები და ლაჟვარდები, ეს უგვირგვინო საფლავები და კუბოები, ვისია ნეტა, ასე მწუხარე, ასე თვალადი ანდალუზია?“ – კითხულობს პოეტი და არ ასვენებს ფიქრი იმაზე, თუ როგორია თავისი შვილის გამწირავი ქვეყნის სილამაზე, თავადაც განწირული სილამაზე... „მამას ბავშვივით უკვირდა დიდხანს საქართველო რომ ესპანეთს ჰგავდა“, – წერს ლანასადმი მიძღვნილ ლექსში, – „სჯობს აღარ გქონდეს სულაც სამშობლო ანდა არ იყოს ასე ლამაზი“ (ტიციან ტაბიძე).

რა მართებულად მიგვანიშნებს გურამ ასათიანი „ადამიანი ცოცხალია მანმადე, სანამ ის ბედნიერებას ეძებს, ვიდრე მის გულში კიდევ ღვივის სიყვარულის, აღქმული ქვეყნის ნახვის იმედი და ერთადერთი ხიდი, რომელიც ჩვენ ამ ბავშობის წლებში მოლანდებულ ნათელ სიზმრებთან გვაახლოვებს, პოეზიის მიერ უსასრულობაში გატყორცნილი ხილია. მხოლოდ დიდი ტკივილის ხარჯზე შეძლება ბედნიერების ნაპირებთან მიახლოვება“ (23.367).

დრო ყოფნა-არყოფნის სასწორზე დებს ყველაზე დიდ ფასეულობებს. დგება არჩევანის მკაცრი საათი; დაყოფნება, უკან დახვევა, შიში და ძრწოლა უცხოა პოეტისათვის. მის ლექსებში ყოფითი ფერადოვნებაც და ფილოსოფიური აბსტრაგირებაც ერთ მთლიან ქსოვილშია ჩაგვირისტებული და უერთმანეთოდ არ არსებობს, მათი გათიშვა, განცალკევება შეუძლებელია, ყოველ სახეს თუ ფრაზასაც რამდენიმე განზომილება აქვს, რეალური თუ სიმბოლური, ისტორიული თუ მითოსური და მაინც, ცალკეული ასოციაციები აქ ისე მოულოდნელად ენაცვლებიან ერთმანეთს, რომ ისინი მხოლოდ და მხოლოდ პოეტური სინტაქსის მეოხებით აღწევენ

ლოგიკურ გამართლებას.

პოეტი ცხოვრობს სამყაროს გონივრული და ირაციონალური აღქმის მიჯნაზე, რომელსაც ზოგჯერ წვიმის წვეთები ეცემა, ზოგჯერ კი ჯადოსნური ყვავილი და მეჩვენება მისი პოეტური სასწაულები მისი გონის, მისი საოცარი სულიერი ჭკრეტის ჭეშმარიტი ერთობლიობის შედეგია: „ღამდება... ქვების ისმის ბუბუნი: – ო, ვირა, ვირა... ო, ვირა-ვირა!- ჰე, აცე, აცე, მსახურო სიტყვის, ქვის სამეფოში ამოდი ხშირად. ამოარჩიე ის ერთი ქვა, ის ერთი ლოდი, რომ დღეს გაგიტბოს მომავალი საფლავის ბორცვი“... („ბაღადა ქვაზე“, 62, 73)... ჰოდა, ჩვენც მივსდევთ პოეტის უნიკალურ ხილვებს, მისი კალმის მონასმით გავლელულ ხავერდოვან ბილიკს ქვის სამეფოში რომ იკარგება და ვინ იცის, ეგებ, „ის ერთი ქვა, ის ერთი ლოდი“ სიმბოლო სიცოცხლის მარადისობისა. მსგავსი ხილვები არასოდეს არ ტოვებს პოეტის შთაგონებას და სიწრფელესა და პირველად ქმნილის მშვენიერებას ანიჭებს მის რვალივით მტკიცე სტრიქონებს...

გენო კალანდიას სიტყვა მართალი სიტყვაა. მან, როგორც პოეტმა საკუთარ თავს ფერწერული სურათის ხატვაში მიაგნო, ვფიქრობ, ეს შემოქმედებითი მიგნება ყოველგვარი განძის აღმოჩენაზე ზეადმაველი სწრაფვაა პოეტური სიმადლებების დასაღაშქრავად... პოეტმა განსაკუთრებული სიმძაფრით გამოხატა ქართული სულის უკვდავების იდეა, ქართველობის განცდა. თავისებური ნიუანსები შეიტანა ამ განცდაში და დაგვარწმუნა, რომ თვით უღმობელი ომიც ვერ წაშლის ჩვენს სასიცოცხლო ძალებს. უნდა ითქვას, რომ პოეტური ქმნილებები განსაკუთრებული ფერებითაა დახატული, აქაა სწორედ ყოფნა-არყოფნის ძველისძველი მოტივი. რომელიც მთელი არსებით დაუკავშირა ყოველივე ეროვნულისადმი ერთგულებას, მაღალი ზნეობრიობის თავდადების იდეას. და მაინც, „წარსული, როგორც დრო-სივრცულ მეტაფორათა სასაფლაო“ (გურამ ბენაშვილი), როგორც ჩვენი ადამიანური არსებობის პრივილეგია და ნეტარი ხვედრი – აი ის კონოტაციები, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია გენო კალანდიას პოეზია. და გამოტანჯული მეტაფორებით იწერება ომის ისტორია. იწერება ჩვენი სატკივარი, გარშემოჯარული საშიში მოვლენებით რომ არის ნასაზრდოები: „ჰოი, უია, უი-ოია, წუხელ პირველად ვნახე გოია! სისხლის გუბეში იწვა თახვივით კაცი შვიდი დღე თვალვებდათხრილი. როგორც შილშავი, როგორც შროშანი, როგორც ფორთოხლის შუქი ნინველი, – მანდ ჰპოვეს იგი... და ბოშასავით დამის კოცონზე დაწვეს პირველი“ და ფეხშიშველი, როგორც იზიდა, წუხელ სიზმარში ვნახე ბიჭვინთა, მითხარ, რაღა ვქნა, მამის ხმასავით ჩაბრუნებულ გულში ნადველო, ამ განთიადზე მზისფრად, სისხლისფრად ამოხეთქილო მინდვრის ძახველო?! – „ბედნიერი ტანჯული“ (თამაზ ჭილაძე) მთელი არსებით ისრუტავს საბედისწერო დროჟამის საშინელებასა და მშვენიერებას. „და ფეხშიშველი როგორც იზიდა, წუხელ სიზმარში ვნახე ბიჭვინთა“, – ეს ის სულისშემძვრელი ხილვებია, რომელთა გადატანა საოცარ ნებისყოფას და ენერგიას მოითხოვს. პოეტი ომის კომმარულ სურათებს სიზმარში ნანახს, განცდილს უწოდებს და ამით ცდილობს ომთან დაკავშირებული ტკივილების გასხვისებას, თავიდან მოცილებას და მიუხედავად ყველაფრისა, სახეები და სურათ-ხატები, რომლებითაც პოეტი თავის ნაფიქრალსა და ნააზრევს გადმოგვცემს ფერადოვანი და ნატიფია, კითხულობ და გრძნობ ბოდღერისეული იდუმალ-არაბესკებიანი ამფორები როგორ ციმციმებენ მის სულში...

გენო კალანდიამ სულის საკრავებიდან ჩამოკრული მეტაფორებით მიგვანიშნა, რომ მასში უკიდურესი ტრაგიზმი მაინც ეროვნული სულისათვის ნიშანდობლივი ოპტიმიზმითაა გაწონასწორებული ... ამ სულით ხორცამდე „წმინდანისა“ და მის ირგვლივ არსებული კომმარული სურათების, ასევე ამაღლებული და აფხაზეთის გადარჩენის ბრძოლის რაინდული სულით ანთებული სივრცის გახსენებამ ჩვენი

მწარე სინამდვილე კიდევ ერთხელ ამოატივტივა და საზარელი სახე წარმოაჩინინა... აფხაზეთის ომის ტრაგედიას ასეთი მეტაფორებით გამოხატავს პოეტი: „ავაგა-ია! „ტყე-ტყე ვეიებ ძუძუმტეს, შაბათის ჯუჯა ომში დაკარგულს“, „...ჯერ კიდევ ნამჯისფერია გუგულის ძველი ბუდე“, „...დევნილის, მწირის, მათხოვრის ქოშით გამოვიარე საკენი თოვლში, ვაი და ვოი ბიჭებო, ვოი, დღეს აფხაზეთი დაგვკარგეთ, ვოი!... გამოვიარეთ, თორმეტი ღეშით, ცამეტი გვამით, ქალი და ბავშვი მომსდევდა გზაზე, ბავშვი და ქალი მოთქვამდა მწარედ, ვოი და ვოი, ბიჭებო, ვოი, დღეს აფხაზეთი დაგვკარგეთ, ვოი“... „ავაი, დაო, სიდონი, ავაი დაო ჩემო! საით, შე, თვალეზ-დათხრილო ფუძემოშლილო ათგზის, ფრთებდაღეწილო ლერწამო, მწვანე ფოთო-ლო ვაზის“ (12, 221) – ასე დაუსრულებლად გრძელდება პოეტის ხილვები, რითაც გვაზიარებს ადამიანური ფიქრის შესაძლებლობის მაქსიმუმს. პოეტურ ენაზე შეგვახვედრებს საიდუმლოებით მოცულ ზეციერ ქვეყნიერებას, რაც განუსაზღვრელ გავლენას ახდენს მიწიერი ყოფის მთელ შინაარსზე. ნაღმივით აფეთქებს სტრიქონების ზედაპირს: „მკერდი მაქვს შეკრული მავთულხლართით, გულიდან ნაღველი, სისხლი წვეთავს, მშვიდობით, მუხებო ემუხვართა! ნახვამდის, სოფელო ძუძუმტე-თა! ბზიფიდან მშფოთვარე ილორამდე ცეცხლი წვიმს... ჯარი დგას სადამსჯელო: მშვიდობით შვიდფერო კარაველა! ნახვამდის, ბიჭვინთის ანგელოზო, ის ბორცვი აფხაზთა აკლდამაა, ეს კორდი ქართველთა სასაკლაო, მე უკვე შენსავით ავადა ვარ, შენ კიდევ ჩემსავით სამკურნალო“ („ანდერძი ანუ ბალადა იაღონზე“, 6, 34, 242) – ამ განცდების, პოეტური ინტონაციების ხვეულებში იკითხება არა მარტო პოეტის სულის ტკივილები, არამედ მთელი ეროვნული უბედურება და მაინც, ეს საკრალური ხილვებიც გარდასული სიზმრების ფრაგმენტებია, ჩამონატეხია წარსულის იმ უცნაური და მწარე სინამდვილის აბსტრაქციიდან, დაკარგული თავისუფლების მტანჯველი ფიქრებით რომ ათროთლებს მის სულს.

გინახავთ სადმე „სისხლიანი მზე“, „სისხლის იასამანი“ ან „სისხლის ქორწი-ლი?“ შემზარავი და სულისშემძვრელი ხილვებია, ესაა იმ ტრაგიკული, კოშმარუ-ლი სამყაროს ანარეკლი, დღეს პოეტი საკუთარ სულში რომ დაატარებს. რას ვი-ზამთ, ბედისწერაა ყველაფერი. ბედისწერაა ისიც, რომ გენო კალანდია უფლის განგებით ხუთჯერ გადაურჩა სიკვდილს, რაშიც გვარწმუნებს წიგნის „ისევ რეჟი-ემი“ წინასიტყვაობა. ლექსში „იფარის თეთრი კვიცი ანუ ბალადა ალეკო კორძაია-ზე“ პოეტი ამბობს: „ოქტომბრის მკვდარი საღამოა, მზე იწურება ბზესთან ერთად და სისხლითან ერთად, სასჯელის ძელზე თავი უდევს მრუდსა და მართალს. ჰა-ერში აფეთქდა ალეკო კორძაია – ჟიული შარტავას მეგობარი, მე იმ ვერტმფრენზე ოცი წამით დამაგვიანდა, სულ ოცი წამით დამაგვიანდა... (1, 42) და მიუხედავად ყველაფრისა, რაოდენ ტრაგიკულიც არ უნდა იყოს ადამიანი ამქვეყნად, იგი მაინც აღვივებს მშვენიერისა და ამაღლებულისაკენ სწრაფვის სურვილს და მარადისო-ბის განცდას სძენს წამიერს...

ბუნებას უყვარს ერთდროული სასწაულები. იქნებ, ამიტაც გვიჩვენებს თავის ძალას, ყველაფერი კი რაც ჭეშმარიტად ღიაა და ამაღლებული შემოქმედში და შესაბამისად ამისა, შეუმჩნევლად მოქმედებს, მუშაობს როგორც ბუნების ძალა. შემოქმედებითი სიხარულის, ბედნიერებისა და თავისუფლების გამუდავების ლა-მაზ წამებს ჩუქნის პოეზიის მოყვარულებს გენო კალანდიას არტისტული წარმო-სახვა. და მაინც, მის პოეტურ კრედოს ზუსტად გამოხატავს ფორმულა თაყვანის-ცემა სიცოცხლის მიმართ, ყოველი სიცოცხლე ხომ წმინდაა, მოსაფრთხილებელი და შესანარჩუნებელი, და საბედნიეროდ, პოეზიის გამწმენდელი არსიც ხომ გატა-ცებათა დაძლევა და ვნებათა დაურვებაა მხატვრული სიტყვის ძალით; სიტყვაკაზ-მული მწერლობის გზა კი ბილიკია სიყვარულის, მიმდობლობისა და შემწყნარებ-ლობისაკენ და იშვიათია თანამედროვე პოეტი, რომლის პოეზიაც მხატვრულ სამ-

კაულთა ისეთი სინატიფით იყოს აღბეჭდილი, როგორც გენო კალანდიას პოეზია. ის, ვინც მეტნაკლებად იცნობს ლექსის არქიტექტონიკას, არ შეიძლება არ განაცვიფროს მისმა ჭეშმარიტად დიდმა ხელოვნებამ... ეს მისი ლექსებიდან მოგვესმის ციფერყანწელთა და ფრანგ სიმბოლისტთა სულის შრიალი. მისი პოეზია გასაოცარი მთლიანობაა პოეტური აზროვნების და პოეტური გრძნობისა, ის თანაბარი გრძნობით ავლენს აზრობრივ და გრძნობად ემოციებს. და სიამაყით უნდა აღვნიშნოთ, რომ გენო კალანდია ჭეშმარიტად არისტოკრატიული სულის პიროვნებაა, რამეთუ მასშია ჭეშმარიტი განცდა ქართველობისა, როცა შენს მამულში დატრიალებული ტრაგედიის მერე კიდევ შეგრჩება სურვილი თავაწყვეტილი ერთგულებისა და სიყვარულისა. აკი ქართული ბუნება თავისი არსით ქრისტიანულია და მისი არსთა არსი სიყვარულის დიდი უნარია...

აფხაზეთის ტრაგედიაზე იმდენი ლექსია, რომ მათზე საუბარი ერთ წერილში შეუძლებელია... წაიკითხეთ გენო კალანდიას ლექსები და დარწმუნდებით, რომ საგანი, მოვლენა, აზრი, განწყობილება ისე მკაფიოდ ჩანს, თითქოს მზის სხივები იღვრებოდეს პოეტის სულიდან... მგზნებარე ადამიანურ ვნებათა ასახვა მისი პოეტური ხელოვნების ქვაკუთხედია, ვირტუოზული პოეტური სტილითა და ფერთა მაგიური ძალის ამადლებული გამოვლინებით იგი ამაყად უსწორებს მხარს მსოფლიოს ბუმბერაზ მხატვარ-ფერმწერებს...

გენო კალანდია ჩვენი თანამედროვე ტაია ბედიაა, რომელიც სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე უერთგულებს მშობლიურ ქვეყანასა და თავის ხალხს. გულწრფელია პოეტი, როცა წერს: „უკანასკნელი იმედი ვარ, განწირულთა და უპოვართა, მწუხარე დროშა, გაქცეულთა, დამარცხებულთა, უკანასკნელი ხომადლი ვარ წყალწადებულთა...“ (15, 325). მის ლექსებში სამარადისოდ აღიბეჭდა უაზრო ომს შეწირული ღიმილის ბიჭების ამოუცნობი ფიქრი და სევდა. ყოფის ტრაგიზმით უდმერთოდ დათრგუნული სულის კივილი მოგვესმის მისი ლექსებიდან, მაგრამ აფხაზეთის კუნაპეტ ღამეში ზეციდან ჩამოშლილი ქათქათა მთვარის ვერცხლისფერი წვიმაც მოგახუჭვინებთ თვალს... ეს მის პოეზიაშია ტაძრისკენ მიმავალი ყვავილებით მოჩითული ბილიკი, ფერთა ზეიმიც და ცაში ღოცად ავარდნილი პოეტის ჩუმი ვედრება: „ბზიფიდან ბეთანიამდე, ბეთანიიდან ბზიფამდე „მამაო ძეო, მოძღვარო, მხოლოდ შენ უნდა წირავდე“ („ბზიფიდან ბეთანიამდე“, 1, 222).

თუკი მართლა არსებობს პოეზია, თუკი არსებობს მეწყერივით მოვარდნილი ლექსი, ხატი, მაშინ გენო კალანდიას „კომპოზიცია ქარებზე“ ინტუიციურად დამაჯერებელია და რწმენით სავსე. მშვენიერი ჰარმონიით, აზრისა და სათქმელის ესთეტიზირებული სიღრმითა და სიღიადით, როცა რაღაც უჩვეულო და სასწაულებრივი განცდა შემოდის შენს არსებაში: „ქარები-ჩურჩულებენ, ქარები-ხარხარებენ, გუგუნებს, ტანჯულის ზარი, ქარები-მძარცველები, ქარები-ყაჩაღები, ხეობის საორბე კართ. ქარების ბასიანი, ქარების ბასტილია, გვამები... წყვდიადი... ცივა, ყინულის ფორთოხლები, შროშნები, გვირილები, შაქარყინულივით ბზინავს... ხევიდან ხეობამდე, კარვიდან კარვებამდე, თოვლი თოვს... სისხლის დგას ტბორი, ქარივით მარტვილი ვარ, ქარივით მაწანწალა, უფალო, შეუნდე ცოდვილთ!“ (1, 37, 210).

ამ ლექსმა რესკინი გამახსენა; „ფერი რბილდება სიძნელისაგან, მაგრამ ისინი მკვეთრდებიან ტენის გამო, ტენიანი საგანი რა ფერისაც უნდა იყოს იგი, ორჯერ უფრო მკვეთრია, ვიდრე მშრალი საგანი და როცა დედამიწაზე მიიწურება მზის ელფერები ცოცხლდება სრულყოფილი სიმწვანე ბალახისა და ფოთლებისა, ისინი აღარ ირეკლავენ თეთრ სინათლეს და ბატონდება მათი საკუთარი, უფრო მსუყე ფერი“.

გალაკტიონის ლექსში „ქარი ჰქრის“ ქარის შეუჩერებელ გრიალს, გაფრენილი ფოთლებისა და რკალად მოხრილი ხეების რიგს, წვიმისა და თოვლის უსიამოვნო

განცდაც დაემატა და როცა გვიანი შემოდგომის სურათი ზამთრის მკაცრ სინამდვილედ გადაიზარდა, ფერები გამუქდა და პოეტს სრულიად გადაეწურა დაკარგული მეგობრის პოენის იმედი: „ვერ გპოვებ ვერას დროს, ვერას დროს“... ცნობილი ჭეშმარიტებაა, რომ სისხლიანი ეპოქებით აღძრული სულის ტკივილი გალაკტიონმა მაღალი პოეტური ოსტატობით გამოხატა თავის პოეზიაში („ატმის რტო“, „მზეო თიბათვისა“, „ქარი ჰქრის“). გენო კალანდია გალაკტიონით თავისი სულის ტკივილებს გადმოშლის, მისი პოეტური ძალმოსილება თანხვედბა საერთო ადამიანურ ძალმოსილებას და თავისთავში იქცევს ეროვნულს, კაცობრიულს, კოსმიურს. ლექსში პერსონიფიცირებული ქარი აფხაზეთის ტრაგედიის, ძმათამკვლელი სისხლიანი ომისა და საზოგადოების ცხოვრების აშლილობის მეტაფორული სახე, სუნთქვაშეკრული შემოქმედის პოეტური შთაგონებაა.

გენო კალანდიას პოეტურ სამყაროში ერთად თანაარსებობენ სიკვდილი და სიცოცხლე, სიყვარული და სიძულვილი... ქვემეხებისა და ქარის გრიალში ხარის გულივით გამსკდარი მშობლიური მიწის გუგუნით სულშეძრული პოეტი მოგზაურობს თავისი სულიერი დის ემილი დიკინსონის სამყაროში და ეძებს მშვენიერებას, სილამაზეს. პოეტის სურვილი უკიდევანოა, პიროვნული შებრძოლებების, გზების, გადასასვლელების, საშიში და მძიმე მისტიკური განცდებით შეფერადებული ხილვებით, შთამბეჭდავი მეტაფორებით მიგვანიშნებს, რომ სიცოცხლე თავდავიწყებისა და ეგზალტირებული ზეიმის გარდა საფიქრალიცაა, დიდი ტკივილიც და უკოპრომისო ბრძოლაც. აქ პოეტური აზროვნება შინაგან მფეთქავ ძარღვსაა და მორჩილებული და რაოდენ ძნელია გაექცე დროს, გემოვნებასა და სულში ჩაიკრულს, მაგრამ მაინც ახერხებს ახლებურად გამოსახოს, დაამკვიდროს, სათავე დაუდოს სიცოცხლის აპოლოგიას და მთელი არსებით მიგვაყურადებს: „კარებთან უკვე ფეხის ხმა ისმის, კარები უნდა გაიღოს უცებ“... (ემილი დიკინსონი).

როცა გენო კალანდიაზე ვსაუბრობ, ესმა ონიანის წერილი (დავით კაკაბაძეზე) გამახსენდა, სადაც ამბობს: რიტმული წესრიგი, ყოველი გამოსახსახავი დეტალის მნიშვნელოვნად გამოცხადება და მოწონება, საერთო მთელში მათ შორის როლების გადანაწილება, მთელს დამორჩილება და მთელით განპირობებული მათი არსებობა, ორნამენტული ნაბეჭდობა, სათქმელის რიტმულ-დეკორატიულ ღერძზე დაყრდნობა, აი რა უნდა ვისწავლოთ მისგან... (15, 125). პოეტის მთრთოლვარე გული მზადაა თავისი ერის სიყვარულისათვის ყველაზე ძვირფასი განძი გაიღოს, მის შემოქმედებაში მთელი სამყაროა წარმოჩენილი, ბულბულივით დახუჭული თვალით, მხატვრის ფუნჯით ნაგალობარი. პოეტის სიტყვა ცისკრის ღოცვასავით გამჭირვალეა და ამავე დროს ისეთივე მძლავრ ტალღებად მოქანებული ზვირთებია, როგორც მოცარტის საორკესტრო ფაქტურა, ხან კი მთელი საორკესტრო პლასტი მოგელავს, ვითარცა გაუხედნავი ძალა, რომელიც არღვევს სულის ჯებირებს და თითქოს ტკივილმა და სევდამ იბარტყაო, ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდება ლექსი „ავტოპორტრეტი თბილისის ფონზე“: „ვჩქარობ და ვჩქარობ, ყოველდღე ვჩქარობ! სიზმარში, ცხადში მტკივა და ვჩქარობ, შინ დაბრუნებას ვჩქარობ და ვჩქარობ! ...ჩემი სახელის, ანდერძის პატრონს, – დღეიდან მარტო ვტოვებ და ... ვჩქარობ! ძე შეცდომილის, შვილმკვდარის დარად, ჩემებრ ობოლი მკვდრებისკენ ვჩქარობ! თქვენ გქონდეთ თქვენი ვარდი და დაფნა, მე აფხაზეთში ვჩქარობ და ვჩქარობ!“... (1, 19, 28).

პოეტი ფართოდ გახელილი თვალებით გაჰყურებს თავის სამშობლოს – ენგურსგაღმა დარჩენილ საქართველოს. მისი დღევანდელობა მისი სულის ტკივილი და ტანჯვაა. ჩვენი დრო ტკივილებით, სიხარულითა და სილამაზით მაღლდება გენო კალანდიასთან... დროის ტრაგიკულმა მეტამორფოზებმა ვერ გააფერმკრთალეს მისი ჭეშმარიტი პოეზიისათვის ნიშანდობლივი მშვენიერებანი... პოეტის სული გა-

აფთრებით აწყდება ტკივილით გარემოცულ სივრცეს, რომლის წიაღშიც ერთად ბობოქრობს ძალმომრეობის უმწეობაცა და ძლიერზე გამარჯვების დიადი სურვილიც: „ფრთააშეგებული სიძულვილის, საწამლაგის, სიკვდილის გავლით, მაღლა, ო, მაღლა, სიყვარული მეძახის მაღლა“...

ლიტერატურა:

1. გ. კალანდია, ერთტომეული, ნოსტრუდია, თბ., 2006.
2. გ. კალანდია, ავტოგრაფები ქვაზე, ქუთაისი, 2005.
3. გ. კალანდია, ისევ რეკვიემი, ეროვნული მწერლობა, თბ., 2008.
4. მ. ჯოსაძე, ო, ეს ბებერი კათარზისი, წინათქმა, წიგნისა „ისევ რეკვიემი“, თბ., 2008.
5. გ. ასათიანი, საუკუნის პოეტები, თბ., 1988.
6. ე. ონიანი, ფერწერა, გრაფიკა, პოეზია, ინტელექტი, თბ., 1903.
7. თ. ამყოლაძე, გენო კალანდიას ერთი ლექსი, გაზეთი, უქიმერიონი, 1999.
8. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, საბჭოთა საქართველო, თბ., 1979.
9. ც. მესხია, მესამე თვალის სხივნათელით, წიგნიდან „მწერალი და სინამდვილე“, სამშობლო, თბ., 1998.

Tsiala Meskhia
Geno Kalandia and Tragedy of Abkhazia
Summary

Poetry of G. Kalandia is a mix of new forms and traditions with own poetical methods of reflection. Poetical images, icons and metaphors are taken from national heritage and serve to create national style. Here are mixed epoch and aesthetic, refined soul and unusual poetical imagination, artistic world outlook in his poems and compositions. We cannot imagine life of Abkhazia, national soul, Georgian world-outlook without poetical world of Geno Kalandia: high culture of writing, refined pharse, lyrical outlook, parallels of past and nowadays and unusual talent of painting of native landscapes.

Tragedy of Abkhazia is a sad page of Kalandia's life and while reading his poetical heritage we feel great pain because of this tragedy; unhappy and sold Georgia (and its region Abkhazia) is the greatest pain of the poet.

The poet has dedicated collections of poems to tragedy of Abkhazia where we are engrossed by the story of a man who has lost native colours, scent and sounds. A reader feels sadness of the author's "orange sorrow" and verses. Geno Kalandia's icons reflect the whole universe and the Abkhazian war especially. Losing we feel pains. Poet is looking for lost roots (we have taken a lot of guatations from the verses in the articale). G. Kalandia is a poet of love not a war. Our article reffects this idea.

Циала Месхия
Гено Каландиа и трагедия Абхазии
Резюме

Поэзия Гено Каландиа на фоне современной грузинской литературы предстаёт своеобразным синтезом новаторских форм и традиции с собственными средствами и методами

выражения. Его поэтические образы и метафоры взяты из национальных недр и служат созданию национального колорита. В стихах и композициях поэта счастливо воссоединены этика и эстетика, рафинированный дух и необычное вдохновение, высокий артистизм. Высокая культура письма, рафинированная, иногда «железная» фраза, непосредственное лирическое видение, параллели прошлого с настоящим, редкий дар описания родных ландшафтов.

Невозможно представить жизнь Абхазии, национального быта без поэзии Г. Каландиа. Трагедия Абхазии печальная страница биографии писателя и прослеживая стихи читатель чувствует боль поэта по поводу трагедии, расчленённой, проданной, растоптанной Грузии.

Поэт посвятил прекрасные сборники трагедии Абхазии («Реквием», «Автографы на камне», «Опять реквием»). Это песнь человека, оставшегося без родных голосов, цветов, запахов, но все это передано так трепетно, что вновь появляется стремление вернуться к этим прекрасным стихам, осознать «апельсиновую печаль» произведения. Прекрасные образы и метафоры выражают суть стихов – тяжелейшие последствия войны в Абхазии.

Поэт показал тайные пласты войны с новой стороны, весь кошмар и всё это передано интонацией абсолютно различной от обычных стихов, то, что потеряно, обязательно порождает печаль. Это естественно – поэт ищет потерянные корни.

Все это суть поэзии Г. Каландиа. Поэт находит путь из тьмы к свету, надежду на мирное будущее.



Вафа Алиева
(Азербайджан)

ВЛИЯНИЕ ФИЛОСОФСКИХ ИДЕЙ Ж.-П. САРТРА НА АНГЛИЙСКУЮ ЛИТЕРАТУРУ СЕРЕДИНЫ XX ВЕКА

В Европе середины XX века Вторая Мировая война вызвала радикальную переоценку духовно-эстетических ценностей, остро и болезненно обнажила несостоятельность привычных представлений и вековых верований. Европейский роман оказался расколотым на отдельные фрагменты, явив собой причудливую мозаичную структуру. Об этом стали с тревогой говорить уже в 1950-х годах. Так, авторитетный журнал «Books and Bookmen», выражая искреннюю озабоченность по поводу тогдашнего состояния литературы Великобритании, привел нижеследующее примечание: «Для того чтобы увидеть по-настоящему всё то, что волнует нашу современность, писатель должен расширить свой кругозор, а не щипать по кусочкам от краёв опыта» (1).

Выяснилось, что основы западной цивилизации расшатались, и этот печальный факт повлиял на психологию европейских писателей. Расхождение между реальной мечтой и иллюзорным идеалом, массовая неудовлетворённость результатами демократического движения в странах старого света порождало, с одной стороны, уход в мир религиозной мистики, с другой – психоанализ конфликтов, в которые вступали ничем не примечательные литературные герои, порою одержимые какой-либо маниакальной идеей.

Наиболее полно такое разочарование в прежних прочных устоях философско-религиозного характера выразил экзистенциализм – учение, созданное Сартром. В преамбуле одного из последних изданий, посвящённых жизни и деятельности французского мыслителя, читаем: «Ж.-П.Сартр, как известно, являлся одним из столпов экзистенциализма. В 1950-1960-ые годы экзистенциализм упоминался в числе основных философских течений современности. Собственно говоря, не кто иной, как Сартр является тем человеком, который ввёл в философский обиход термин «экзистенциализм». Более того, в докладе «Экзистенциализм – это гуманизм» (1946 г.) он сообщил и о том, каких философов можно отнести к данному направлению (2, 319).

- при рассмотрении «закона соответствия» следует различить понятия «общее соответствие», «общее несоответствие», «принципиальное соответствие», «соответствие внутри

отдельных сторон способа производства», «несоответствие элементов сторон материального производства»;

- понятие «принципиального соответствия» не снимает существование «общего или частного несоответствия», возможность устранения, которая находится в рамках материального производства и является основным механизмом его утверждения в историческом развитии общества;

- «закон соответствия» есть социологический механизм реализации трех законов диалектики, а также проявлением действия всей совокупности законов связи;

- как основа развития материального производства, закон соответствия обуславливает все формы отчуждения (несоответствия) в общественном развитии и выступает как причиной утверждения, так и диалектической мерой, в границах которой устраняются ее причины.

ზაურ ბაგიროვი
მწარმოებელი ძალების განვითარების დონესა და ხასიათთან
წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისობის შესახებ კანონის
მოქმედების ზოგიერთი საკითხისათვის
რეზიუმე

საჯარო ფორმად ჩამოყალიბებისას კერძო საკუთრება პოულობს საკუთარ არსს, რომელიც არის გამოწვეული გაუცხოებული არსის ახალი ფორმის საჭიროებით და ხარისხით. იგი იძლევა ახალი საზოგადოების სოციალურ განვითარებაზე საუბრის საშუალებას, რომელსაც სამეცნიერო ლიტერატურაში ეწოდება პოსტკაპიტალისტური, პოსტინდუსტრიული, პოსტმოდერნისტული.

Zaur Bagirov
On the correspondence rule of industrial relations to
the level and kind of productive forces
Summary

Developing into the public form, it (private property) finds the statement of own essence that is caused necessity as by quality of an alienated essence of process in this new form. It allows to speak about growth of social development of a new society which in the scientific literature name postcapitalist, postindustrial, postmodernist.



ნესტან ლომია
(საქართველო)

პიროვნების როლი საზოგადოების ბანკითარებაში

საზოგადოება არის ადამიანთა სპეციფიკური ერთობლიობა, რომელიც გაერთიანებულია ისტორიულად ჩამოყალიბებული ურთიერთკავშირისა და ურთიერთზემოქმედების ფორმებით. მისი მიზანია საკუთარი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. საზოგადოება ხასიათდება მდგრადობით, მთლიანობით, თვითგანვითარებით და სოციალური ღირებულებების, ფორმების მოცულობით, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების ქცევას საზოგადოებაში. საზოგადოებას ასევე ახასიათებს სოციალური ინსტიტუტთა ერთობლიობა, რომლებიც ახორციელებენ ეკონომიკური, პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი და სხვა ურთიერთობების რეგულირებას.

ადამიანისათვის საზოგადოების ფენომენი ყოველთვის დიდი ინტერესის საგანი იყო, რადგან ადამიანი თავისი ცხოვრების წესით, ისტორიული გამოცდილებით არის საზოგადოებრივი არსება. ადამიანი ქმნის საზოგადოებას და საზოგადოება ხდის ადამიანს ადამიანად. საზოგადოების გარეთ დაბადებული ბავშვი ვერ იქცევა ადამიანად (მაუგლი). საზოგადოება არ არის ადამიანთა უბრალო ფიზიკური თავმოყრა გარკვეულ სივრცეში, არამედ საზოგადოება ადამიანთა სპეციფიკური ერთობაა, საზოგადოებაში ადამიანებს შორის ყალიბდება სპეციფიკური ადამიანური ურთიერთობები. ეს ურთიერთობები განსხვავდება ადამიანებს შორის სისხლით ნათესაური კავშირისაგან. ბავშვი იზრდება ოჯახში და მას ოჯახის წევრებთან აქვს სისხლით ნათესაური კავშირი. ბავშვი გაიზარდა, გადის საზოგადოებაში და ურთიერთობაში შედის სხვა ადამიანებთან, აქ ყალიბდება სოციალური ურთიერთობები (ვებერი). შემდეგ ადამიანი იწყებს საქმიანობას და შედის ეკონომიკურ ურთიერთობებში. ადამიანი საზოგადოებაში ცხოვრებით ჩართულია უამრავ ურთიერთობაში სხვა ადამიანებთან.

პიროვნების ცნების განსაზღვრისას აუცილებელი წინაპირობაა განისაზღვროს ადამიანის სოციალური არსება, ვინაიდან პიროვნება მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაში არსებობს. ადამიანის არსება არ არის ცალკეული ინდივიდისათვის დამახასიათებელი აბსტრაქტი. თავის სინამდვილეში იგი ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობის ერთობლიობაა. საზოგადოებრივი ურთიერთობანი ქმნის იმ ახალ სამყაროს, რომელშიც, ცხოველისაგან განსხვავებით, ადამიანი ცხოვრობს. საზოგადოებრივი ცხოვრება მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანის ბიოფიზიკურ და, უფრო მეტად, ფსიქოლოგიურ და სხვა თავისებურებებს, რაც მას ცხოველისაგან ასხვავებს.

„ადამიანის“ ცნება გვაროვნული ცნებაა და გამოხატავს ადამიანთა მოდგმისათვის დამახასიათებელ საერთო ნიშნებს. ადამიანურ სამყაროში ინდივიდს, ჩვეულებრივ, უწოდებენ ცალკეულ ადამიანს. საერთო თვისებებთან ერთად მას ახასიათებს ინდივიდუალური ნიშნებიც. ცალკეული ადამიანი არის ზოგიერთი განსაკუთრებული ინდივიდი და სწორედ ეს განსაკუთრებულობა აქცევს მას ინდივიდად და ნამდვილ ინდივიდუალურ საზოგადოებრივ არსებად. ინდივიდი საზოგადოების წინაშე წარსდგება, როგორც ფიზიკურ და სულიერ ძალთა ერთობლიობა, რაც ადამიანის სხეულში, მის ცოცხალ პიროვნებაში არსებობს. ადამიანი ბიოსოციალური არსებაა: სოციალური იმიტომ, რომ მას აქვს სოციალური არსება, ბიოლოგიური იმიტომ, რომ ამ არსობის მატარებელი ადამიანი ცოცხალი ორგანიზმია. პიროვნე-

ბის ცნება განუყრელად დაკავშირებულია „ადამიანის“ ცნებასთან, მაგრამ „პიროვნების“ ცნება დაკავშირებულია „ინდივიდუალობის“ ცნებასთანაც.

ინდივიდუალობა გამოხატულებას პოულობს ადამიანის ბუნებრივ მონაცემებსა და ფსიქიკურ თვისებებში – მეხსიერების, წარმოსახვის, ტემპერამენტის, ხასიათის თავისებურებებში და ადამიანის სახის მთელ მრავალფეროვნებასა და ცხოველმოქმედებაში. ინდივიდუალური ელფერი დაჰკრავს ცნობიერების მთელ შინაარსს: შეხედულებებს, მსჯელობებს, თვალსაზრისს, რომლებიც მაშინაც კი, როცა ისინი ერთნაირი აქვს სხვადასხვა ადამიანს, ყოველთვის შეიცავენ რაღაც თავისებურს. ინდივიდუალიზებულია ყოველი ცალკეული ადამიანის საჭიროებანი და მოთხოვნილებანი და ყველაფერს, რასაც ის აკეთებს, თავის ინდივიდუალურ შტრიხს ასვამს. პიროვნება არის ადამიანი არა მარტო ზოგადი თვისებებისა და ნიშნების თვალსაზრისით, არამედ მისი სოციალური, სულიერი და ფიზიკური თვისებების თავისებურებათა მიხედვითაც.

პიროვნების საყოველთაო ნიშანია სოციალური საქმიანობა, რამაც ადამიანი გამოყო დანარჩენი სამყაროსაგან. პიროვნების პრობლემის განხილვისას უნდა გამოვიდეთ ეპოქის პირობებიდან, მოცემული საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაციის სოციალური სტრუქტურებიდან. პიროვნება ინდივიდუალური და სოციალური თავისებურებების მქონე კონკრეტული ადამიანია, ისტორიულად განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია.

საზოგადოებაში სოციალური ცვლილებების გამომწვევ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ „ისტორიული პიროვნების“ მოღვაწეობა. იგი თავისი მოღვაწეობით, ზნეობრივი მაგალითით ცვლის საზოგადოების კულტურულ ნორმებს, იწვევს სოციალურ რეფორმებს, კლასობრივ ბრძოლებს, რევოლუციებსა და კონტრევოლუციებს, განმათავისუფლებელ და დაპყრობით ომებს, ძლიერი სახელმწიფოების შექმნასა და დამხობას, აყვავებასა და დაცემას, ხოლო ხშირად დაღუპვასაც კი. კაცობრიობამ დღემდე შემოინახა იმ პიროვნებათა სახელები, რომლებმაც გადამწვევტი როლი ითამაშეს თავიანთი ქვეყნის პოლიტიკურ, რელიგიურ, მეცნიერულ, თუ კულტურულ აღმავლობაში. ინგლისელი ფილოსოფოსი, ისტორიკოსი და პუბლიცისტი თ. კარლიელია თავის წიგნში „გმირები და გმირობა ისტორიაში“ წერდა: „... მსოფლიო ისტორია, იმის ისტორია, თუ რა მოიმოქმედა ადამიანმა ამ ქვეყანაზე, ჩემი გაგებით, არსებითად არის ისტორია დიდი ადამიანებისა, რომლებიც აქ, დედამიწაზე იღვწოდნენ“... მათ საქმეებს კარლელი განიხილავდა როგორც „მსოფლიო ისტორიის სულსა და გულს“. გერმანელი ფილოსოფოსი ფრიდრიხ ნიცშე წერდა: ხალხი „უფორმო მასალაა, რომლისაგანაც უბრალო ქვას ქმნიან და რომელსაც მეჩუქურთმე ესაჭიროება“. ნიცშე ხატავდა ზეადამიანს, გმირს, რომელიც „სიკეთისა და ბოროტების მიღმა“ იდგა და ფეხქვეშ თელავდა უმრავლესობის მორალს. ასეთი პიროვნების მოღვაწეობის მთავარი პრინციპი და მამოძრავებელი მოტივია ძალაუფლებისადმი სწრაფვა. ამისათვის ყველაფერი შეიძლება, ყველაფერი დაშვებულია, საშუალება კარგი და გამართლებულია. ჰეგელის მიხედვით, ისტორიული აუცილებლობის მატარებელია მსოფლიო გონი, ანუ მსოფლიო გონება, რომელიც მსოფლიოს მართავს; ისტორიული მოძრაობის წარმმართველი მსოფლიო გონის ეშმაკობა არის ის, რომ იგი იყენებს ადამიანების, მათ შორის, დიდი ადამიანების ინტერესებს, ვნებებს, მისწრაფებებს, როგორც თავისი მიზნის – თავისუფლების შემეცნებაში, პროგრესის განხორციელების – მიღწევის საშუალებას. ჰეგელის მიხედვით, მხოლოდ ისინი არიან დიდი, მსოფლიო- ისტორიული პიროვნებანი, რომელთა მიზნები და მოქმედება შეიცავს საყოველთაოსა და აუცილებელს. „მათ გმირები უნდა ვუწოდოთ, რამდენადაც მათ მიზნებსა და მოწოდებას ასაზრდოებს არა მოვლენათა მყარი, მოწესრიგებული არსებული სისტემა, კურთხეული მსვლე-

ლობა საგნებისა, არამედ ისეთი წყარო, რომლის შინაარსიც დაფარულია და ვერ განვითარდება მონყოფიერებამდე; შინაგანი სული, რომელიც ჯერ კიდევ მიწის ქვეშ ბორგავს და გარესამყაროში ლამობს გამოსვლას, ნატუჯს ამტვრევს“... თუ რა იყო საჭირო და დროული. რა იყო მათი დროის სიმართლე. ამასთან ერთად, ჰეგელის მიხედვით, როგორც მთელი ხალხი, ისე ისტორიული მოღვაწენი, მხოლოდ იარაღია მსოფლიო გონის ხელში, რომელიც მათ ფარულად მართავს და მათი საშუალებით ახორციელებს თავის მიზნებს.

ამერიკელი სოციოლოგი რ. შტრაუს-ხიეპე წიგნში „გულგრილობის ზონა“ წერს, რომ მასა არ აზროვნებს, ის უნდა დაემორჩილოს ძალაუფლებას და ძალაუფლების ხელმძღვანელობას. მეორე ამერიკელი სოციოლოგი ე. ჩინოისი ამტკიცებს, რომ „ყოველ საზოგადოებაში ხალხის ერთი ნაწილი უმადლესი რანგისაა, მეორე – უმდაბლესისა... ერთნი ყველგან მართავენ, მეორენი მორჩილობენ, თუმცა უკანასკნელებს შეიძლება ერთგვარი შესაძლებლობაც კი ჰქონდეთ, რომ გავლენა მოახდინონ მთავრობაზე და კონტროლი გაუწიონ მის საქმიანობას. ეს კონტრასტები წარჩინებულთა და უჩინოთა, მდიდრებსა და ღარიბებს, ყოვლისშემძლეებსა და სუსტებს შორის შეადგენს სოციალური ულტრაფიკაციის არსებას“. საზოგადოების ასეთი დაყოფა დაბალ და მაღალ რანგებად, მმართველებად და მართულებად ჩინოისს მიაჩნდა სოციალური ყოფიერების მარადიულ კანონად.

ჩვენი აზრით, შეუძლებელია იმის უარყოფა, რომ გამოჩენილი ადამიანი განსაზღვრულ გავლენას ახდენს იმ მოვლენებზე, რომლებსაც ის უდგას სათავეში. დიდი ადამიანები გამოხატავენ თავიანთი ეპოქის მოთხოვნილებებსა და ამოცანებს, ზოგჯერ – თავიანთი გონებრივი მონაცემებითა და ღვთისგან ბოძებული ნიჭით რამდენიმე საუკუნითაც კი უსწრებენ თავიანთ ეპოქას. ეს იქნება პოლიტიკაში (საქართველოს მაგალითზე დავით აღმაშენებელი), თუ ხელოვნებაში. საკმარისია გავიხსენოთ მიქელანჯელო, ლეონარდო დავინჩი, მოცარტი, ბეთჰოვენი. მეცნიერებაში – ისააკ ნიუტონი, დარვინი, ფროიდი, ნიუტონი, ალბერტ აინშტაინი; კულტურაში – ფრედერიკო ფელინი, სტივენ სპილბერგი, ლიტერატურაში – შექსპირი, დანტე, სერვანტესი, რუსთაველი; რელიგიაში – მარტინ ლუთერი, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II.

ადამიანის პრობლემის მნიშვნელოვანი ასპექტია პიროვნებად ყოფნის საკითხი. პიროვნებად ყოფნა ნიშნავს თავისუფლებას, გონიერებას, არჩევანს, გადაწყვეტილებას, პასუხისმგებლობას. ადამიანის თვითგამოვლენისათვის, სამყაროში მისი დამკვიდრება-განხორციელებისათვის, ანუ ადამიანის არსებითი ძალების სრული ობიექტივიზაციისათვის აუცილებელია მოქმედება – აქტივობა, მაგრამ არა ყოველი სახის მოქმედება, არამედ მხოლოდ თავისუფალი. ამ საქმის შესრულება მოითხოვს შემდეგ პირობას: უნდა არსებობდეს მოაზროვნე არსება, რომელსაც გააჩნია სხვადასხვა უნარი, მან უნდა დაისახოს მიზანი და ამასთანავე უნდა ჰქონდეს მიზნის განხორციელებისთვის საჭირო ასპარეზი. ამ სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების არსებობის გარეშე შეუძლებელია ადამიანის ადამიანური თვითრეალიზაცია, მისი ნამდვილი სახის სრული წარმოდგენა. ბუნებისა და საზოგადოების კანონების სწორი ცოდნით შეიარაღებული ადამიანი, თავისუფლების ჭეშმარიტი რაობის მცოდნე არსება ცვლის თავის მდგომარეობას, ცდილობს სამყაროს გარდაქმნას, მისეულად მოწყობას, მიისწრაფვის ისეთი მდგომარეობის შექმნისათვის, რაც ემპირიული არსებობით ეზიარება თავის არსს.

კაცობრიობის მთელი ისტორია ზესვლით ხასიათდება, ხოლო ადამიანთა პროგრესი განვითარებაში, უპირველეს ყოვლისა, თავისუფლების ზრდით განისაზღვრება. თავისუფლებისაკენ მიწრაფება იმთავითვეა მოცემული ადამიანის ბუნებაში. თავისუფლება ის ძალაა, რაც არ „ასვენებს“ ადამიანს, რაც აქრობს მის სტა-

ტიკურობას და შეგუებლობას, რაც აწარმოებს მის ადამიანურ ქმნადობას. ყოველ მოაზროვნე ადამიანს აუცილებლად აქვს ყოველგვარი შეზღუდვებისაგან გათავისუფლების სულისკვეთება, იგი ზრუნავს ადამიანური პირობების განხორციელებისათვის. ადამიანისათვის ყველაზე სანუკვარი ოცნება თავისუფლებაა, რომელიც მას აქვს, მაგრამ ამასთანავე იგი მას მოსაპოვებელიც აქვს. ადამიანის შინაგან თავისუფლებას უნდა ჰქონდეს გარეგამოვლინება. ეს იქნება თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთშერწყმა, შინაგანისა და გარეგანის თანხვედრა, ესაა ის იდეალური მდგომარეობა, რაც ასევე აუცილებელია ადამიანისათვის.

ადამიანი არასოდეს არ არის „კმაყოფილი“, ის მუდამ შეგნებისა და ცოდნის გაფართოებისაკენ მიისწრაფვის. სწავლის პროცესი, ცოდნის გაღრმავება ადამიანისაგან მოითხოვს დიდ ძალისხმევას, რომელშიც ფსიქოფიზიკური ფუნქციები იღებენ მონაწილეობას. პიროვნებაა ის, ვინც განსაზღვრავს და სტიმულს აძლევს ამა თუ იმ აქტს. ცოდნის დაუფლებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება მიდრეკილებებსა და ინტერესს, იმ სფეროს სიყვარულს, მასზე კონცენტრაციას, რასაც ემსახურება ადამიანი.

ადამიანი თავის პიროვნებას სხვებთან ურთიერთობაში გამოავლენს. თუ ადამიანი ისაა, რასაც ის ქმნის, ამ კეთებას და შექმნილს სხვებთან ურთიერთობაში ენიჭება აზრი და მნიშვნელობა. ერთია „მხოლოდ ჩემთვის“ და მეორეა – „კაცობრიობისათვის“, ამ უკანასკნელში კი „შენ“-ს გარდა „მე“-ც არსებობს. საკუთარი თავიდან გამოსვლა და სხვების მიზნად დასახვა „მე“-ობას კი არ აუქმებს, არამედ ადასტურებს.

ადამიანის შინაგანი სამყარო ღრმა და ბევრისმომცველია, ადამიანური მისწრაფებები და საერთოდ მისი კუთვნილი ყოველი ფენომენი განსაზღვრული ღირებულებების მატარებელია, მაგრამ ჩვენ მაინც ის გვაინტერესებს, რაც ღირებულებათა იერარქიის მაღალ საფეხურზე დგას, რაც „მსოფლიო განცდის“ გამოხატულებაა, რაც „ზოგადი გონის“ შედეგია. საინტერესო მაინც ზოგადადადამიანური ნიშნების მოძიებაა.

ადამიანი არის შეგნებული, მიზანდასახული, რომელიც პასუხისმგებელია თავის მოქმედებაზე. ცნობიერება არის ადამიანის სპეციფიკური აქტივობის საფუძველი. ასევე ცნობიერება არის სინამდვილისადმი ადამიანის დამოკიდებულების სპეციფიკის გამომხატველი, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანმა იცის სინამდვილე და არა უბრალოდ მიმართებაშია მასთან. სპეციფიკურია ადამიანის ყოველდღიურობაში ცნობიერების გამოვლენის ფორმაც. ადამიანმა, როგორც მიზნის დამსახველმა არსებამ, იცის მიზანი და დაგეგმილი აქვს მისკენ მისასვლელი, მაგრამ როგორც კი მიზნისაკენ გზაზე წარმოიშვება დაბრკოლება, მაშინვე ვლინდება ცნობიერება. რაც შეეხება თვითცნობიერებას, ეს არის ადამიანის მიერ საკუთარი თავის, საკუთარი არსებობისა და თავისებურებების ცოდნა. ადამიანი ახდენს საკუთარი თავის გაიგივებას ვინმესთან. ჩვენ საკუთარ თავს მივაკუთვნებთ გარკვეულ ჯგუფს, საზოგადოებას, ერს ან კულტურას. შემდეგ კი ადამიანი აღგენს საკუთარ განუმეორებლობას. ეს არის ადამიანის პიროვნულობის ბირთვი.

ადამიანის თვითცნობიერება აღმოჩნდა საკუთარი თავის ცოდნის, თვითკონტროლის, თვითილუზიის და თვითშეფასების პროცესების ერთობლიობაში. ადამიანის თვითცნობიერება სტიქიურად ყალიბდება, ზოგჯერ კი შენგებული რეფლექსის შედეგია, როდესაც ადამიანი იყურება საკუთარი სულის სიღრმეში და ეძებს თავისი პიროვნების ბირთვს. ადამიანი თავის თავს ავლენს მოქმედებაში, ამიტომ იგი საკუთარ თავზე შეიმუშავებს გარკვეულ წარმოდგენებს, რომელიც შემდგომ გადააქვს, ქმედებასა და ქცევაზე. რასაკვირველია, ყოველივე ამაზე გავლენას ახდენს საზოგადოებაც, მეორე ადამიანიც, რადგან ჩვენი პიროვნების შეფასება, ობიექტუ-

რი იქნება იგი თუ სუბიექტური, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია. სწორედ ამ კუთხით ვახდენთ თვითშეფასებას.

ადამიანი თავისი ცხოვრებისეული გამოცდილების ზრდასთან ერთად განახორციელებს თვითდაკვირვებას საზოგადოებასთან მიმართებაში და იგი იცვლება მასთან მიმართებაში. ადამიანის ცხოვრებაში ყოველთვის დიდი მნიშვნელობის მქონეა თვითშეფასება, მისმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების გაორება, სულიერი კრიზისი. თვითშეფასება ყოველთვის ძალზედ მტკივნეული და სახიფათო პროცესია, რადგან ის იწვევს ცხოვრების წარმმართველი ღირებულებათა სისტემისა და მსოფლმხედველობის რღვევას, მათ ხელახალ დაფუძნებას.

ადამიანის არსება დანახული იყო თვითცნობიერებაში. ეს ნიშნავდა, რომ ადამიანი იყო ის არსება, რომელმაც იცოდა თავისი თავი, იცოდა თავისი მოქმედების მოტივები, პასუხისმგებლობა. ეს იყო მისი თავისუფლების საფუძველი. თვითცნობიერება შინაგანი სამყაროს სრულ კონტროლს გულისხმობდა. ადამიანმა იცოდა თავისი მიზნები, მოქმედების მოტივები, რაც მეორე ადამიანისათვის გაუგებარი იყო. ცნობიერება იყო ბატონი საკუთარ თავში, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ცნობიერებას არ შეძლია მოიცვას მთელი შინაგანი სამყარო. ზ. ფროიდი იყო ის, ვინც დაარღვია თვითცნობიერების დებულება. ადამიანის შინაგან სამყაროში არის რაღაც, რაც არ არის თვით ცნობიერებაში. შინაარსი. დარღვეულ იქნა ახალი ეპოქის ერთ-ერთი ძირითადი დებულება – ადამიანი არის თვითცნობიერება. ცნობიერება არ ამოიწურება საგნის ცნობიერებით და თვითცნობიერებით, არამედ ადამიანის შინაგანი სამყარო შეიცავს არაცნობიერის სფეროსაც.

ზ. ფროიდმა შეიმუშავა არაცნობიერის ფსიქოლოგია. იგი აღიარებდა მხოლოდ ინდივიდუალურ, პიროვნულ არაცნობიერს, რაც იყო პირადი ცხოვრების მანძილზე გაძევებული განცდებისა და ღტოლვების ერთობლიობა ზ. ფროიდის მოწაფემ კ.ბ. იუნგმა შექმნა სიღრმის ფსიქოლოგია. მისი აზრით, არსებობს არა მარტო ინდივიდუალური არაცნობიერი, არამედ კოლექტიური არაცნობიერიც, რომელიც პიროვნულ ცნობიერებაზე უფრო ღრმად არსებობს.

ჩვენი აზრით, რა ასპექტითაც არ უნდა შევაფასოთ პიროვნება, ადამიანის შინაგანი ბუნება, ხასიათი, ტემპერამენტი, მიზანმიმართულობა, სიმამაცე, შეუპოვრობა, მაინც იმ დასკვნამდე მივალთ, რომ იგი არ არსებობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობის გარეშე, მისი უნარების გამოვლინებას აუცილებლად ესაჭიროება საზოგადოება, სოციალური გარემო, სადაც იგი მოახდენს თავისი შესაძლებლობების რეალიზაციას თუ მთლიანად არა, ნაწილობრივ მაინც. მთლიანად იმიტომ არა, რომ ადამიანი თავისი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე ვერ ახდენს საკუთარი თავის ბოლომდე რეალიზაციას. მეორე მხრივ, მხოლოდ დემოკრატიული საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი გარემო აძლევს პიროვნებას იმის თავისუფლებას, რომ იყოს თავისი ცხოვრების აქტიური შემოქმედი, შეუფერხებლად გამოიყენოს ნიჭი და უნარი საზოგადოების ინტერესებისათვის. ადამიანები არ იბადებიან ერთნაირები. მათ გააჩნიათ სხვადასხვა ნიჭის ნასახი. იმისთვის, რომ ნასახიდან ნიჭი განვითარდეს, აუცილებელია მისი გავარჯიშება, სათანადო მიმართულებით მოქმედება, სწავლა და ვარჯიში. ნასახის მოცულობა არ ნიშნავს ნიჭის მოცულობას. ნასახის სახით ადამიანს მოცემული აქვს ნიჭის ჩამოყალიბების მხოლოდ შესაძლებლობა, რომლის განხორციელებისათვის აუცილებელია ამ ნასახის განვითარება და სათანადო მუშაობა ამ მიმართულებით. ანუ განასხვავებენ ზოგად ნიჭს, რომელსაც ახასიათებს გონებრივი აქტივობა, კრიტიკულობა, სისტემატურობა, გონებრივი ოპერაციების სისწრაფე, ანალიზურ-სინთეზური მოქმედების მაღალი დონე და არსებობს სპეციალური ნიჭი, როცა ადამიანი გარკვეულ დარგში ახალ ორიგინალურ, ეპოქალური მნიშვნელობის ღირებულებას ქმნის.

საზოგადოების განვითარების ისტორიაში მრავლად არიან ნიჭიერი ადამიანები, რომლებმაც შექმნეს ზოგადსაქაციობრიო შედეგები მუსიკაში, მხატვრობაში, ლიტერატურაში, კულტურაში, პოლიტიკაში. ჩვენ ზემოთ ვახსენეთ ადამიანები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნისა და ერის შვილები არიან, რომელთაც უდიდესი წვლილი მიუძღვით თავიანთი ერის გონითი სამყაროს ფორმირებაში. მუსიკაში მოცარტი, ბეთჰოვენი, ვივალდი, რომლებიც სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები არიან, მაგრამ მათი შემოქმედება მხოლოდ მათ სამშობლოს კი არა, მთელ მსოფლიოს ეკუთვნის, ანუ გლობალურია. ასევე მხატვრობაში – ვან-გოგი, რაფაელო სანტი, შალვადორ დალი, ლიტერატურაში – უილიამ შექსპირი, დანტე ალიგიერი, იოჰან ვოლფგანგ გოეთე; კულტურაში – ფედერიკო ფელინი, ვუდი ალენი, სტივენ სპილბერგი; პოლიტიკაში – ნიკოლო მაკიაველი, უინსტონ ჩერჩილი, ფრანკლინ დელანო რუზველტი. ეს იმ გამოჩენილ ადამიანთა მცირედი ჩამონათვალია, რომლებმაც საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგის განვითარებაში უდიდესი წვლილი შეიტანეს.

თანამედროვე მსოფლიოს ხალხებს განუზომლად ფართო შესაძლებლობანი გააჩნიათ მატერიალურ და სულიერ კულტურულ ღირებულებათა როგორც შექმნის, ისე ურთიერთგაცნობის, ათვისების, გათავისების ე.ი. საბოლოოდ –გასაყოველთაოებისთვის. ამას ხელს უწყობს პრაქტიკულად ყველა სფეროში არსებული და პერსპექტივაში რეალიზებადი კავშირები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანასა და ხალხს შორის, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების უაღრესად მაღალი დონე და სხვ.

თანამედროვე პირობებში ცივილიზებული ქვეყნების განუყოველი ნიშან-თვისებაა საზოგადოებრივი ცხოვრების შენება და წარმართვა საერთაშორისო სტანდარტების დაცვით, აღიარებულ საერთო-საქაციობრიო ღირებულებათა შესაბამისად.

საკაცობრიო ცივილიზაცია, გარკვეული აზრით, მსოფლიო საზოგადოების რეალობაცაა და მისი მომავალიც. მასში თავს იყრის საუკუნეებით გამოიმუშავებული და ახლად შექმნილი კულტურული ღირებულებანი, რომლებიც თავისი არსითა და მნიშვნელობით პასუხობენ ჩვენს პლანეტაზე მცხოვრები ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებებს, მათი ეროვნების, რასის, რწმენისა და ტერიტორიული მდებარეობის მიუხედავად.

ლიტერატურა:

1. რ. ბალანჩივაძე, ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა, თბ., 1976.
2. ა. ბრეგვაძე, რა არის ადამიანი, თბ., 1997.
3. ა. ბრეგვაძე, ადამიანის შინაგანი ბუნება და მისი გარემამოვლინება, თბ., 1998.
4. ზ. კაკაბაძე, ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბ., 1987.
5. ერნსტ კასირერი, რა არის ადამიანი, თბ., 1983.
6. შ. ნადირაშვილი, პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.
7. დევიდ იუმი, გამოკვლევა ადამიანის გონების შესახებ, თბ., 1992.
8. Л.П. Гримак, Резервы человеческой психики, М.1987.
9. Ф.Т. Михайлов, Загадка человеческого Я, 1997.

Nestan Lomaia
The Role of Personality in Society Development
Summary

This paper deals with the problem of personality, how a person affects society development as it is the main aspect of being personality that means freedom, consciousness, choice, decision and responsibility. The establishment of a person in the world depends on his/her activity, only in society an individual becomes personality, society promotes the person whose mental possibilities differs from people.

The paper represents the dignities and merits of those persons who made a huge contribution in the development of society, whether it is policy, art, literature and culture.

Thus, we conclude that just persons have provided society development in the end and today in the epoch of globalization more attention is paid to the role of personality promoting in progress of any society in the world.

Нестан Ломаия
Роль личности в развитии общества
Резюме

В статье рассмотрено влияние личности на развитие общества, так как проблема человека стать личностью является главным аспектом. Быть личностью означает совокупность следующих понятий: свободу выбора, ум, принятие решений, ответственность. Обоснование во вселенной зависит от его активности, только в обществе преобразуется человек как личность. Общество проявляет личность, которая своими умственными данными отличается от других людей.

В статье приведены примеры тех личностей, которые своими достижениями повлияли на развитие общества, а также на политику, литературу, культуру, искусство.

В заключении в статье подытожены заслуги личностей, которые поменяли мировоззрение не только своей страны, но и мира в целом. И сегодня, в эпоху глобализации, все большее внимание уделяется личности, так как достижение какой-либо страны в целом – это достижение всего мирового общества.



ელდარ იბერი
(საქართველო)

**ახალი ამბების ბანკითარების ღონამიკა
საქართველოს ტელევიზიაში (1959 – 2004)**

ჟურნალისტიკის წარმოშობა არსებითად განაპირობა ახალ ამბებზე საზოგადოების სისტემატურად მზარდმა მოთხოვნილებამ და, ცხადია, ტელევიზიის, როგორც ჟურნალისტიკის სახეობის, განვითარებაც უპირველესად ინფორმაციული მაუწყებლობის გაფართოებითა და სრულყოფით გამოიხატებოდა. ასე იყო საქართველოშიც. თვითმხილველთა მოგონებით, ეთერში გასვლის პირველსავე დღეს (1956 წლის 30 დეკემბერს) საქართველოს ტელევიზიის პროგრამით გადაცემულა ახალი ამბების ზეპირი გამოშვება “რა მოხდა ჩვენს დედაქალაქში”. მაგრამ ეს ახალი საინფორმაციო საშუალების მხოლოდ განაცხადი იყო და სწრაფი განვითარება არ მოჰყოლია (პირველ რიგში ტექნიკური სიძნელეების გამო). საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიაში საინფორმაციო სამსახური მხოლოდ ორი წლის შემდეგ – 1958 წელს შეიქმნა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ გადაცემათა მთავარი რედაქციის სტრუქტურაში (1, 71) “უკანასკნელი ცნობების” რედაქციის სახით (რედაქტორი ნოდარ წულუეისკირი) და პირველ საინფორმაციო გამოშვებებსაც, რომელიც მხოლოდ 1959 წლიდან გამოიხსნა ეთერში, ეს სახელი დაერქვა. ეს განპირობებული იყო, ერთი მხრივ, რადიოში ამ სახელწოდების ტრადიციული გამოყენებით, ხოლო, მეორე მხრივ, სსრკ-ის ცენტრალურ ტელევიზიაში (უფრო ზუსტად, მაშინდელ “ტელევიზიის ცენტრალურ სტუდიაში”) ანალოგიური რედაქციის არსებობით – მოსკოვშიც საინფორმაციო გამოშვებას “პოსლედნიე იხვესტია” ერქვა და მხოლოდ 1960 წლიდან ეწოდა “ტელევიზიონნიე ნოვოსტი”. შესაბამისად, საქართველოშიც 1960 წლის აგვისტოდან “უკანასკნელი ცნობები” “ახალი ამბებით” შეიცვალა (ამ პერიოდში რედაქციის თანამშრომლები იყვნენ გივი ვეფხვაძე, რეზო ურუშაძე, ზაურ გომართელი, ნანა გურგენიძე).

60-იან წლებამდე საქართველოს ტელევიზია კვირაში ექვს დღეს მაუწყებლობდა (ოთხშაბათი დასვენების დღე იყო) საღამოს 7 საათსა და 30 წუთიდან, მხოლოდ კვირადღეობით 12 საათზე იყო დამატებით საბავშვო ფილმი ან გადაცემა. არც ახალი ამბების გამოშვებები გამოირჩეოდა დიდი სიხშირით – 1959 წლის იანვარ-ივლისში იგი კვირაში ორჯერ გადაიცემოდა (ძირითადად, სამშაბათსა და პარასკევს) 15 წუთის მანძილზე, ხოლო აგვისტოდან – 3-ჯერ (სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს). 1960 წლიდან ამას დაემატა 10-წუთიანი რუსული საინფორმაციო გამოშვება “კვირის ამბები”, რომელიც იანვარ-მარტში კვირადღეობით გადაიცემოდა, აპრილიდან კი – ორშაბათობით. გაიზარდა ქართული გამოშვებების რაოდენობაც – აგვისტოდან ახალი ამბები უკვე ოთხჯერ გადაიცემოდა (სამშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი, შაბათი) 10 წუთის ხანგრძლივობით. 1961 წლიდან 1965 წლის აგვისტომდე ახალი ამბები ქართულ ენაზე კვირაში ხუთჯერ გადაიცემოდა – ორშაბათს, სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს (1964 წლის I-IV თვეებში იგი კვირადღეობითაც იყო) პროგრამის დასასრულს, 15 წუთის ხანგრძლივობით, ოთხშაბათი კი 15-წუთიან რუსულენოვან “კვირის ამბებს” ჰქონდა დაკავებული. 1 აგვისტოდან “კვირის ამბებმა” კვირადღეს, 17 საათსა და 45 წუთზე, გადაინაცვლა და ოთხშაბათიც ქართულმა “ახალმა ამბებმა” დაიკავა. მაგრამ ეს მხოლოდ სამიოდე თვეს

გაგრძელდა. მოხდა კიდევ ერთი რეორგანიზაცია და 1965 წლის ნოემბრიდან ყოველდღიურად (კვირის გარდა) დაიწყო ქართული და რუსული ახალი ამბების ერთმანეთის მიყოლებით გადაცემა პროგრამის ბოლო ნაწილში – 20.35 – 23.10 საათის ფარგლებში, 20-25 წუთის განმავლობაში, რაც 1968 წლის 1 აპრილამდე – “მოამბის” დაარსებამდე გაგრძელდა.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოს ტელევიზიაში, ისევე, როგორც მთელ საბჭოთა ტელემაუწყებლობაში, ჟურნალისტების ეკრანზე მუშაობა, რბილად რომ ვთქვათ, “რეკომენდებული არ იყო” (ითვლებოდა, რომ მათ ფუნქციას შეადგენდა მხოლოდ “ტექსტის” მომზადება, რომლებსაც კარგი გარეგნობის დიქტორები ეთერში უფრო “გამართულად” წაიკითხავდნენ) და ტელეინფორმაციის პირველ პერსონიფიკატორებად სწორედ დიქტორები მოეწოდებინათ აუდიტორიას. ფართო აუდიტორიაში პოპულარულ სატელევიზიო სახეებად იქცნენ: დავით ძიგუა, ალექსანდრა მაჭავარიანი, ლია მიქაძე, ომარ ტივაძე, თენგიზ ნათაძე, დავით სოკოლოვი, ჟანეტა არჩვაძე, ჯულიეტა ვაშაყმაძე, ნუგზარ ჯუღელი, ნათელა ბოლქვაძე, ირმა გურიელი, ირინა მათიაშვილი, მანანა მანაბელი, ქეთევან გვარამია და სხვ.

ტელევიზიის ტრანსლაციური ხასიათი, ერთი შეხედვით, ოპერატიული ინფორმაციის გავრცელების თითქოს არნახულ საშუალებას იძლეოდა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ მისი შესაძლებლობანი ამ მხრივ საკმაოდ შეზღუდული იყო: სატელევიზიო ახალი ამბები ოპერატიული თვალსაზრისით ბევრად აღემატებოდა ტრადიციული აუდიოვიზუალური საშუალების – კინოქრონიკის ახალ ამბებს, მაგრამ ფორმის მიხედვით, ხშირ შემთხვევაში, რადიოინფორმაციის დონეზე რჩებოდა. საქმე ისაა, რომ ტელეინფორმაციაზე მოთხოვნილების ზრდასთან ერთად თანდათან გართულდა მისი ეთერში გადაცემა “ცოცხალი”, დაუმუშავებელი სახით (მით უმეტეს, ერთდროულად მიმდინარე მრავალი სხვადასხვა მოვლენის ამსახველი ინფორმაციისა). აუცილებელი გახდა ინფორმაციის მოცულობის გარკვეულ საზღვრებში მოქცევა მისი მნიშვნელობის შესაბამისად, რაც შესაძლებელი იყო ან ზეპირსიტყვიერი ვერბალური ფორმების გამოყენებით, ანდა მოვლენის წინასწარ კინოფორზე აღბეჭდვისა და შემდგომ მისი მონტაჟის მეშვეობით.

რა თქმა უნდა, უკვე 60-იან წლებში ტელევიზია აქტიურად ცდილობდა საეკრანო ფორმების გამოყენებას და ვიზუალური ინფორმაციის წილი ახალი ამბების გამოშვებაში განუწყვეტლივ იზრდებოდა. მაგრამ აქ გამოიკვეთა ერთი უარყოფითი ტენდენცია: თუ ზეპირი ინფორმაციის სიმრავლე ვიზუალურად აღარბეჭდდა ტელევიზიონალურად გამოშვებას და მას ახალი ამბების რადიობიულეტენს ამსგავსებდა, კინოქრონიკის მეთოდებით მომზადებულ გამოშვებას აშკარად აკლდა კომუნიკაციური აქტიურობა მისი არაპერსონიფიცირებული ხასიათის გამო (ამგვარი გამოშვება, ისევე როგორც საინფორმაციო კინოჟურნალი, არ ითვალისწინებდა კადრში დიქტორის ან წამყვანის ყოფნას – აუცილებელი ტექსტი კადრგარეთ იკითხებოდა).

ასეთ პირობებში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა ცენტრალური ტელევიზიის ყოველკვირეულმა გადაცემამ “ესტაფეტა ნოვოსტიემ”, რომელიც 1965 წლიდან საქართველოს ტელევიზიის პროგრამაშიც იყო ჩართული. იგი ემყარებოდა პირდაპირი მაუწყებლობის პრინციპებს – რეპორტაჟიც, ინტერვიუც, კომენტარიც და ა.შ. უშუალოდ გადაცემის პროცესში ეწყობოდა (ამ ფორმამ შემდგომში განვითარება პოვა დილის საინფორმაციო-მუსიკალურ პროგრამებში, რომლებიც “ცოცხლად” გადაიციმოდნენ – მაგალითად, “ალიონი”). რაც მთავარია, “ესტაფეტამ”, ფაქტობრივად, დასაბამი მისცა საბჭოთა ტელევიზიაში ტელეინფორმაციის აქტიურ პერსონიფიკაციას, როგორც წამყვანის – კადრში მომუშავე ჟურნალისტის – ტელეკომუნიკატორის როლში დამკვიდრებით, ისე გადაცემაში დოკუმენტური გმირების მასობრივი მონაწილეობითაც.

მაგრამ “ესტაფეტა ნოვოსტის” ათწლიანმა პრაქტიკამ (1961-1971) გამოავლინა ინფორმაციული მაუწყებლობის ამ ფორმის ხარვეზები და ნაკლოვანებანიც: შეზღუდული პერიოდულობა (კვირაში ერთხელ) და, აქედან გამომდინარე, არაოპერატიულობა და არააქტუალურობა, თემატური სიღარიბე, გაჭიანურებული, არადინამიკური ხასიათი ქრონომეტრაჟის გაურკვეველობის გამო და ა.შ. საჭირო გახდა (პარალელურად მაინც) ისეთი ტელეპროგრამის შექმნა, რომელიც მთელი სისრულით ასახავდა დღის ინფორმაციულ სურათს და ზუსტად განსაზღვრულ დროს რეგულარულად მიაწვდიდა მას მაყურებელს. რადიოს პრაქტიკამ, რომელიც მრავალ ათეულ წელს მოიცავს, დიდი ხანია დაამტკიცა, რომ არავითარი ღირებულება არა აქვს საინფორმაციო გამოშვებას, თუ მას პროგრამაში სტაბილური ადგილი არ უკავია და რეგულარულად არ გადაიცემა – ეს სამაუწყებლო ჟურნალისტიკის ერთ-ერთი კანონია და მას აუდიტორიისთვის უდიდესი სოციალურ-ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს.

სწორედ ამ მოთხოვნების გათვალისწინებით და საზღვარგარეთული საინფორმაციო პროგრამების მიხედვით შეიქმნა ცენტრალური ტელევიზიის ცნობილი საინფორმაციო პროგრამა “ვრემია”, რომელიც, გარკვეული პერიოდის გამოკლებით, 1968 წლის 1 იანვრიდან ყოველდღიურად იყო ეთერში. საქართველოს ტელევიზიამ, რომელიც ათეული წლების მანძილზე ძირითადად ცენტრალური ტელევიზიის გამოცდილებას ემყარებოდა (ამას დიდად განსაზღვრავდა უცხოეთის პრაქტიკის ათვისება, რაზეც ქართველ ტელეჟურნალისტებს ხელი არ მიუწვდებოდათ) ამ შემთხვევაშიც “ვრემიას” მიხედვით ჩამოაყალიბა ანალოგიური ქართული პროგრამა “მოამბე”, რომელიც ეთერში გავიდა 1968 წლის 1 აპრილს. ამას წინ უძღოდა გარკვეული ორგანიზაციული რეფორმაც: საქართველოს ტელევიზია, რომელიც მანამდე მხოლოდ ორ მთავარ რედაქციას – საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრული გადაცემების რედაქციებს მოიცავდა, მრავალპროფილიან სტრუქტურად ჩამოყალიბდა, შეიქმნა 9 მთავარი რედაქცია, მათ შორის, ინფორმაციის მთავარი რედაქციაც (მთავარი რედაქტორი – თამაზ ხომერიკი).

“ვრემია” მაყურებელს თავიდანვე მოველინა სტაბილური ფორმით, ყოველდღიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთის მრავალმხრივობითა და მიზანმიმართულებით (მისი მიღება ქართულ პროგრამაშიც სავალდებულო იყო და თავიდან მას “დრო” ეწოდებოდა). თავისი ინფორმაციული დატვირთვით იგი ბევრად აღემატებოდა “ნოვოსტის” ყველა გამოშვებას, მაქსიმალური სისრულით იძლეოდა დღის ინფორმაციულ პანორამას – აუდიტორიას აცნობდა (უფრო მეტად კი “განუმარტავდა”) ქვეყანაში და საზღვარგარეთ მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებს, პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს – ორგანულად უხამებდა ერთმანეთს ვერბალურ და ვიზუალურ ინფორმაციას კადრში მომუშავე დიქტორების (შემდგომ კი წამყვანების) მეშვეობით. თუმცა, აქ აღარ შევჩერდებით იმაზე, რომ მთელი ქვეყნის მოსახლეობისათვის იგი ყოველდღიურ “პროპაგანდისტულ ულუფას” წარმოადგენდა, პლაკატური და მანიპულატორული ხასიათისა იყო.

სპეციალისტების აზრით, ტელევიზიით ახალი ამბების გაცნობა აუდიტორიას სწორედ “ვრემიამ” ასწავლა, პირველ რიგში, დღის პროგრამაში თავისი სტაბილური ადგილითა და სტაბილური ქრონომეტრაჟით. ამ სტაბილურობის მოპოვებას 5 წელი დასჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს თითქოს თავიდანვე განსაზღვრული იყო. მხოლოდ 1973 წლიდან იწყებს “ვრემია” ეთერში რეგულარულად გასვლას 21 საათზე (მოსკოვის დროით), მანამდე, იგი შედარებით მცირე ამპლიტუდით, მაგრამ ისევე “ქანაობს” ტელეპროგრამაში, როგორც “ნოვოსტის” სხვა, რიგითი გამოშვებები. ასევე, 1973 წლიდან “ვრემიასთან” შედარებით ნაკლები სტაბილურობით, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში 21 საათზე (თბილისის დროით) გამოდის ეთერში “მო-

ამბეც”, ძირითადად 30 წუთის მოცულობით. 1968-1972 წლებში უფრო სტაბილურად გამოიყურება “ახალი ამბების” 10-15-წუთიანი გამოშვებები, რითაც სამუშაო დღეებში იხსნება საღამოს პროგრამა, ძირითადად 18 საათზე.

სტაბილურობისაკენ მისწრაფებით უნდა აიხსნას ისიც, რომ თითქმის 10 წლის განმავლობაში – 1978 წლიდან 1987 წლის ივლისამდე (როცა ეთერში გამოჩნდა პირველი საბჭოთა დილის პროგრამა “90 წუთი”) ყოველ დღით ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა იწყებოდა წინააღმდეგ “ვრემიას” გამეორებით. საქართველოს ტელევიზიას ეს გამეორებაც თავის პროგრამაში ჰქონდა ჩართული, ხოლო 1981 წლიდან მან “ვრემიას” მიყოლებით წინააღმდეგ “მოამბის” გამეორებაც დაიწყო – ასე გრძელდებოდა 1987 წლის ოქტომბრამდე, როცა “90 წუთის” ანალოგიით, საქართველოში შეიქმნა პირველი სატელევიზიო საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა “ნაშუადღევს” (მან ეთერში გამოსვლა დაიწყო 13 საათზე, 45 წუთის მოცულობით, დღით კი 1987-1988 წლებში საქართველოს ტელევიზიის პროგრამაშიც მოსკოვის პროგრამები – ჯერ “90 წუთი”, შემდეგ კი “120 წუთი” იყო ჩართული).

თუმცა, “მოამბე” საბჭოთა ტელესაინფორმაციო პროგრამების ტიპურ სტრუქტურას ემყარებოდა (იწყებოდა სახელისუფლებო ელიტის საქმიანობით და მთავრდებოდა სპორტითა და ამინდით), ერთი რამით იგი არსებითად განსხვავდებოდა “ვრემიასაგან”. თუ “ვრემია” მხოლოდ ქვეყნის წარმატებებს აცნობდა საზოგადოებას და თავისებურ მოწინავეთა “საპატიო დაფას” წარმოადგენდა, “მოამბე” არ ერიდებოდა ნაკლოვანებათა ჩვენებას. იმდროინდელი ხელისუფლება (ე. შევარდნაძის გუნდი), რომელიც ქვეყნის სათავეში უკანონობასა და კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებით მოვიდა, აქტიურად იყენებდა ტელევიზიას საზოგადოებრივი ცნობიერების გარკვეული მიმართულებით ფორმირებისათვის. ეკრანზე აშკარად იყო საუბარი ქურდობის, მექრთამეობის, პროტექციონიზმის, ნარკომანიის, პროსტიტუციის შესახებ, რაც საბჭოთა იდეოლოგიის მიხედვით მხოლოდ ბურჟუაზიული სამყაროსთვის იყო დამახასიათებელი და სოციალისტურ ეპოქაში არ უნდა ყოფილიყო. ეს პროცესი 1973 წლიდან დაიწყო და 80-იანი წლების პირველ ნახევარში თავის პიკს მიაღწია. იმ დროს მსგავსი კრიტიკული საინფორმაციო პროგრამა (და საერთოდ, ტელემუშავეობა) არც ერთ რესპუბლიკაში არ იყო, ხოლო აღნიშნული თემები “ვრემიაში” ე.წ. გარდაქმნის შუა ხანებში გამოჩნდა.

ზოგადად საქართველოს ტელევიზიის პროგრამის შესწავლა 1968-1991 წლებში (სანამ იგი საბჭოთა სტრუქტურას წარმოადგენდა) საინფორმაციო მუშავეობის შემდეგ სურათს გვიჩვენებს (იხ.: დანართი №1). 1968-1973 წლებში ყოველდღიურ “მოამბეს” და “ახალ ამბებს”, რითაც იხსნება საღამოს პროგრამა (17.20 – 18.05 საათის ფარგლებში) ემატება “ახალი ამბების” კიდევ ერთი, 10-წუთიანი გამოშვება, რომელიც ასევე სამუშაო დღეებში ამთავრებს პროგრამას ანდა ეთერშია ბოლო გამოშვების წინ. შემდეგ, 10 წლის მანძილზე (1974-1983) საქართველოს ტელევიზიაში “მოამბემდე” არც ერთი საინფორმაციო გამოშვება აღარაა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ იმას, რომ 1978 წლიდან ყოველ დღით მეორდება წინა დღის “ვრემია”, ხოლო 1981 წლიდან – “მოამბეც”).

1974-1975 წლებში ყოველდღიურ “მოამბეს” (21.00) და სამუშაო დღეებში პროგრამის დამამთავრებელ “ახალ ამბებს” დაემატა “რესპუბლიკური ახალი ამბები” რუსულ ენაზე, რომელსაც 1975 წლის 22 დეკემბრიდან “ვესტნიკი” ეწოდა და მომდევნო ოთხი წელი ეთერში იყო ყოველ ორშაბათს, 18.00 – 19.30 საათის ფარგლებში 15-20 წუთის მანძილზე.

1976-1979 წლებში პროგრამის ბოლოს “ახალი ამბები” აღარაა – საქართველოს ტელევიზია მხოლოდ ორ საინფორმაციო პროგრამას გადასცემს: ყოველდღიურ ნახევარსაათიან “მოამბეს” 21 საათზე (1979 წლის მაისიდან სამუშაო დღეებში

20 საათზე) და “ვესტნიკს” რუსულ ენაზე ორშაბათობით 18.10 – 19.25-ის ფარგლებში 20-25 წუთის განმავლობაში.

1980-1983 წლებში სამუშაო დღეებში პროგრამის ბოლოს ისევ აღდგა 10-წუთიანი “ახალი ამბების” გამოშვება (1981 წელს მას “ღამის მოამბე” ჰქვია), “მოამბე” ჩვეულებრივად ყოველდღეა (სამუშაო დღეებში 20.00, შაბათ-კვირას – 21.00), ხოლო “ვესტნიკი” ორშაბათის ნაცვლად კვირადღეობით გადაიცემა (14 – 16 საათის ფარგლებში) 15-30 წუთის მოცულობით.

1984-1985 წლებში საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო მაუწყებლობა, შეიძლება ითქვას, თავის პიკს აღწევს: დილის პროგრამას 13-15 საათის ფარგლებში ამთავრებს “ახალი ამბების” 10-წუთიანი გამოშვება; შემდეგ საღამოს პროგრამას 16.00-16.20 წუთზე იწყებს ისევ 10-წუთიანი “ახალი ამბები” – სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს ქართულ, ხოლო ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს – რუსულ ენაზე; ყოველდღიურად 20 საათზეა “მოამბე” (30-35 წუთი); სამუშაო დღეებში პროგრამის ბოლოს ან ბოლო გადაცემის წინ ეთერშია 10-წუთიანი “ახალი ამბები”, ხოლო კვირადღეობით 20-25-წუთიანი “ვესტნიკი” რუსულ ენაზე – ისევ სხვადასხვა დროს (იხ.: დანართი №1), ამას ყოველ დღით ემატება წინააღმდეგობის “ვრემიასა” და “მოამბის” გამეორება, ხშირად კი სპეციალური საინფორმაციო გამოშვებაც.

ტელერადიოკომიტეტის ხელმძღვანელობა ყოველთვის დიდ ყურადღებას აქცევდა ინფორმაციის მთავარ რედაქციას. პირველ რიგში იგი მარაგდებოდა კინოფირითა და გადამღები ტექნიკით (ჯერ ვიწრო ფირის სინქრონული კინოკამერებით, შემდგომ კი ასევე უცხოური ვიდეოკამერებით), კინო და ვიდეოსამონტაჟო კომპლექტებით, სატრანსპორტო საშუალებებით, პირველ რიგში მას აწვდიდა ინფორმაციას საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან კომიტეტის საკმაოდ მრავალრიცხოვანი კორესპონდენტთა ქსელი. მაგრამ 1976-1985 წლებში გატარდა მთელი რიგი დამატებითი ღონისძიებანიც, რომლებმაც თვისებრივი ცვლილებები გამოიწვია საინფორმაციო მაუწყებლობის განვითარებაში: 1977 წელს კომიტეტის თავმჯდომარეს დაემატა კიდევ ერთი მოადგილის შტატი და პირველ მოადგილეს უშუალოდ დაევადა საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელობა (როგორც ტელევიზიის, ისე რადიომაუწყებლობისა). ოპერატიული ინფორმაციის გავრცელებასთან ერთად “მოამბე” აქტიურად ჩაება მიმდინარე ცხოვრების საჭიროებებში საკითხების გადაწყვეტაში. როგორც რესპუბლიკის მთავარი გაზეთი “კომუნისტი” აღნიშნავდა, “დღეს “მოამბე” თვისებრივად ახალი ტიპის ინფორმაციის ყველაზე ოპერატიული და მიზანმიმართული ფორმაა. ბევრი სიახლეა რუბრიკების შემოტანის მხრივაც: “სადღეისო ინტერვიუ”, “დღეს მსოფლიოში”, “როგორ გვემსახურებიან”, “სასამართლოს დარბაზიდან”, “ჩვენი გადაცემის კვალდაკვალ”, “იცოდეთ სამშობლოვ, გეზრდება სასახელო შვილი”, “გახსენება” და სხვა” (2).

1981 წელს ტელერადიოკომიტეტის სამეცნიერო ცენტრმა კომპლექსურად შეისწავლა “მოამბის” ეფექტიანობის საკითხები – საზოგადოების ცალკეული ჯგუფების დამოკიდებულება მის მიმართ, სხვადასხვა აუდიტორიის ინფორმაციული ინტერესები და მოთხოვნილებანი, რის შედეგადაც შემუშავდა სათანადო პრაქტიკული რეკომენდაციებიც. 1983 წელს ინფორმაციის მთავარი რედაქციის კოლექტივი თითქმის ორჯერ გაიზარდა სხვა რედაქციებიდან მუშაკების გადმოყვანის ხარჯზე, რასაც მოჰყვა მისი ორგანიზაციული სტრუქტურის გაფართოება – სხვადასხვა განყოფილებისა და ჯგუფის დაკომპლექტება (ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა მთელი ტელევიზიის ანალოგიური სარედაქციო სისტემა: პროპაგანდის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების და ა.შ. განყოფილებები).

ამას არ შეიძლებოდა გარკვეული გავლენა არ მოეხდინა, უწინარეს ყოვლისა, ძირითადი საინფორმაციო პროგრამის “მოამბის” ხარისხზე. გაიზარდა მისი ოპერა-

ტიულობა და აქტუალურობა, ინფორმაციული დატვირთვა და პუბლიცისტური სიმწვავე, გაუმჯობესდა თემატური და ჟანრობრივი სტრუქტურა. თუმცა, რა თქმა უნდა, არ შეცვლილა მისი ხასიათი და იდეოლოგიური დანიშნულება. საბჭოთა საქართველოს ტელევიზია სსრკ-ის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის სტრუქტურაში შედიოდა და დამოუკიდებელი სამაუწყებლო პოლიტიკა არ გააჩნდა. “მოამბე” მტკიცედ იცავდა საბჭოთა ჟურნალისტიკის პრინციპებსა და მეთოდებს – სახელმწიფო მაუწყებლობაში ჩამოყალიბდა ტელეინფორმაციის განსაკუთრებული სახეობა, რომელიც ფაქტებზე ნაკლებად იყო დამოკიდებული. თუ ფაქტები არასასურველი იყო და არ ჯდებოდა ოფიციალური მსოფლმხედველობის ჩარჩოებში, ისინი ან საერთოდ ვერ მოხვდებოდა ეკრანზე, ანდა სათანადოდ “რედაქტირებული” გადაიცემოდა (ცნობილია, მაგალითად, რომ “ვრემია” რამდენიმე დღე უარყოფდა საბჭოთა ტერიტორიაზე სამხრეთკორეული თვითმფრინავის ჩამოგდებას, ხოლო კოლოსალური აფეთქება ჩერნობილის ატომურ სადგურზე კარგა ხანს ჩვეულებრივ ტექნიკურ ხანძრად იყო წარმოდგენილი).

არსებითად, სახელმწიფო ტელევიზია, როგორც კომუნიკაციის ყველაზე მასობრივი საშუალება (თანაც ეთერის მონოპოლისტი), და პირველ რიგში ახალი ამბების მაუწყებლობა, განაპირობებდა ქვეყნის ერთიანი საინფორმაციო სივრცის არსებობას და აქტიურად ასრულებდა ინტეგრაციულ ფუნქციას – მოვლენების ყოველდღიური შეფასებებით, პროპაგანდისტული კლიშეებით, მითებით, სტერეოტიპებით ქმნიდა სამყაროს იდეოლოგიურად სასურველ ინფორმაციულ სურათს და ფართოდ ნერგავდა მასობრივ ცნობიერებაში.

80-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოს ტელევიზიის ძირითადი საინფორმაციო პროგრამა “მოამბე” 7 ბლოკისაგან შედგება. ესენია: პროპაგანდის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულტურის, საერთაშორისო ცხოვრების, სპორტისა და ამინდის ბლოკები. თითოეული მათგანი, თავის მხრივ, მოიცავს სხვადასხვა ციკლსა და რუბრიკას, რომელთა საერთო რაოდენობა 30-ს აღჭარბებს: “მამული ჩვენი”, “ჩვენი ბიოგრაფია”, “ვეტერანი”, “მოღვაწე”, “რეზონანსი”, “ლენინურ შრომით ვახტზე”, “დღის რეპორტაჟი”, “საკვირაო რეპორტაჟი”, “ახალი წიგნი”, “ახალი სიმღერა”, “საქართველოს ცენტრალური გაზეთების ფურცლებზე”, “რედაქციაში წერილი მოვიდა” და ა.შ. ზოგიერთი თემა ყოველდღე ეკრანზე, ზოგიც – კვირის გარკვეულ დღეებში. ასე მაგალითად, 1981 წელს კვირაში სამჯერ – ორშაბათს, ოთხშაბათს და შაბათს 1-2 წუთი სამეცნიერო საკითხებს უკავია, სამშაბათს და პარასკევს – 2-3 წუთი მედიცინას, ოთხშაბათს და პარასკევს – საჯარო თუ კომუნალურ მომსახურებას (1-2 წუთი), ოთხშაბათს, შაბათს და კვირას – საზოგადოებრივ აზრს (1-2 წუთი). თითქმის ყველა გამომშვებაში გვხვდება მორალისა და სამართალდაცვის საკითხები და საერთო რუბრიკები, რომლებიც შეიძლება ყველა ბლოკში იყოს (“იუბილარი”, “ამაგდარი” და ა.შ., 1-2 წუთამდე). 1981 წელს საქართველოსა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიების ყრილობების წინ ხშირად იყო რუბრიკა “დელეგატი”, ხოლო 1983 წელს სხვადასხვა ციკლი და რუბრიკა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავთან დაკავშირებით.

ინფორმაციის მთავარი რედაქცია როგორც სამაუწყებლო დროით, ისე თანამშრომლების რაოდენობით აღემატებოდა ტელევიზიის ყველა დანარჩენ რედაქციას და წამყვანი ადგილი ეკავა კომიტეტის საერთო სტრუქტურაში. მრავალი რედაქტორი, კორესპოდენტი, რეჟისორი თუ ოპერატორი დაოსტატდა აქ თავის სპეციალობაში და საკუთარი წვლილიც შეიტანა საინფორმაციო მაუწყებლობის განვითარებაში: თამაზ ხომერიკი, ზენონ კაცია, ვახტანგ მამალაძე, ლია ბურჭულაძე, რევაზ ურუშაძე, მერაბ ბერაძე, დემურ იოსელიანი, გია ჭელიძე, გურამ მეტრეველი, თენგიზ ზარქუა, კობა მენთეშაშვილი, მარინე ჯაში, ლია გიორგაძე, ციური ბაჯელიძე,

რევაზ ევაძე, ვახტანგ ხუნდაძე, ამირან ჯიმშელიშვილი და მრავალი სხვა. ბევრი მათგანი შემდეგ სხვა რედაქციაში განაგრძობდა საქმიანობას.

როგორც ადრეც აღვნიშნეთ, საკავშირო “ერემიასაგან” განსხვავებით, რესპუბლიკური “მოამბე” გაცილებით კრიტიკულია. ამ მიმართულებისაა რუბრიკები: “კონტროლზეა აქტუალური საკითხი”, “როგორ გვემსახურებიან”, “მოამბის კრიტიკული გვერდი”, “ბიუროკრატთა გაღერვა”, “რედაქციაში წერილი მოვიდა” და სხვა. მათში, როგორც წესი, ხშირად უბრუნდებიან ადრე გადაცემულ მასალებს და საზოგადოებას ამცნობენ კრიტიკის შედეგად გატარებულ ღონისძიებებს. ასე მაგალითად, 1981 წლის მეორე ნახევარში აუდიტორიის განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რუბრიკამ “თბილისი – ჩემი სიყვარული”. მისი წამყვანის, ცნობილი კინოლოკუმენტალისტის გურამ ჟვანიას იმპროვიზაციულმა უნარმა, იუმორის ნიჭმა და ჟურნალისტურმა ოსტატობამ განაპირობა პირველ რიგში ამ რუბრიკის პოპულარობა. რუბრიკაში წამოჭრილი საკითხები ეხებოდა იმ ყოველდღიურ პრობლემებს, რაც თბილისის მოსახლეობას აწუხებდა. თვალში საცემი იყო ფორმის ორიგინალობაც (თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი ჯერ კიდევ 30-იან წლებში გამოიყენებოდა რუსულ ცენტრალურ პრესაში) – გ. ჟვანია ორი თვე მუშაობდა ტაქსის მძღოლად და როგორც თვითმხილველი ინიშნავდა ყველა უარყოფით სიტუაციას თუ შემთხვევას, რომ შემდგომ განსასჯელად წარედგინა საზოგადოებისათვის. რუბრიკის პოპულარობას ისიც აძლიერებდა, რომ მაყურებელი ენდობოდა ჟურნალისტს და სჯეროდა მისი საქმიანობა უშედეგოდ არ ჩაივლიდა. 40 გადაცემიდან არც ერთი არ დარჩენილა გამოხმაურების გარეშე. ეს რუბრიკა სოციალურ პრაქტიკაზე ტელეჟურნალისტის ზემოქმედების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ რომანტიკული სახელწოდება “თბილისი – ჩემი სიყვარული” არც თუ მთლად შეესაბამებოდა რუბრიკის წმინდა კრიტიკულ ხასიათს.

რა თქმა უნდა, “მოამბის” დიდი ნაწილი ამ რუბრიკის ტოლფასი ვერ იქნებოდა. საინფორმაციო გამოშვებაში ღომის წილი ეჭირა “ოფიციალურ” ინფორმაციას – სხვადასხვა სხდომის, თათბირის თუ ორგანიზაციული ღონისძიებების ჩვენებას, პარტიულ დადგენილებებზე გამოხმაურებას, პოლიტიკურ თარიღებს და ა.შ. ასევე, პროგრამის სავალდებულო ნაწილს შეადგენდა სახალხო მეურნეობაში მიმდინარე პროცესების განხილვა, ყოველდღიური ინფორმაციები სოციალისტურ შეჯიბრებაზე, საწარმოო გეგმების შესრულებაზე, ჩაის კრეფაზე თუ სოფლის სხვა სეზონურ სამუშაოებზე. არსებითად, ამგვარი “საწარმოო” ინფორმაციების უმრავლესობა არც შეიცავდა სიახლეს და უფრო ახალი ამბების იმიტაციას წარმოადგენდა. კომუნიკაციური თვალთახედვით, ახალი ამბები სოციალურად ღირებული უნდა იყოს და მაყურებელს სპეციფიკური სატელევიზიო ფორმებით უნდა მიეწოდებოდეს. მხოლოდ ამ შემთხვევაში იზიდავს იგი აუდიტორიას და უქმნის მას მოვლენებთან სიახლოვის გრძნობას. თუნდაც სხვადასხვა, მაგრამ შინაარსობრივად ერთმნიშვნელოვანი ფაქტების მრავალჯერ გამეორება აჩლუნგებს მაყურებლის ინტერესს.

ტელევიზიამ იმით მოიპოვა თავისი აუდიტორიის ნდობა, რომ უშუალოდ მოვლენის ადგილზე “მიიყვანა” მაყურებელი და ამავე დროს წარუდგინა მას ინფორმაციის წყაროც – ჟურნალისტი, რომელიც პრესის ანონიმური ავტორისაგან განსხვავებით პირადად გადმოსცემდა ახალ ამბავს, ხშირად მოვლენის ადგილიდანაც თვითმხილველის სახით. ზემოთ აღნიშნული “თბილისი – ჩემი სიყვარული” სანდოობას უპირველესად ჟურნალისტის პიროვნება განსაზღვრავდა. ასევე, ტელევიზიონური დიდ ინტერესს ინგლისელი მეცნიერის ტიმ სევერინის მიერ ორგანიზებული ექსპედიციისადმი (რომელიც 1983 წლის ზაფხულში ღვეგენდარული არგონავტების მარშრუტით და ანტიკური მოდელის ხომალდით ჩამოვიდა საბერძნეთი-

დან საქართველოში) ბევრად განაპირობებდა ის, რომ მასთან იმყოფებოდა ქართული საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი ჟურნალისტი პაატა ნაცვლიშვილი და თავის რეპორტაჟებში, როგორც თვითმხილველი, მოგვითხრობდა მოგზაურობის მიმდინარეობაზე.

საინფორმაციო პროგრამებში ჟურნალისტების ჩართვით (თუნდაც კადრგარეთ კომენტარით), განსაკუთრებით 1980 წლიდან შესამჩნევად გაუმჯობესდა მისი ჟანრული სტრუქტურა – ზეპირი თუ ვიდეოინფორმაციების გვერდით მომრავლდა სატელევიზიო ინტერვიუები და რეპორტაჟები. გამოჩნდნენ ახალგაზრდა, ნიჭიერი ტელერეპორტიორები – ნ. თუთბერიძე, მ. ჯაში, ლ. გიორგაძე, ც.ბაჯელიძე და სხვა. მაგრამ თუ საინფორმაციო და სხვა პროგრამების ცალკეულ სიუჟეტებში ხშირად ისმოდა ჟურნალისტის ხმა, გაცილებით იშვიათად ჩნდებოდნენ ისინი ეკრანებზე გადაცემის ავტორებისა და წამყვანების სახით. ინფორმაციის ასეთი პერსონიფიკაცია გაჭირვებით იკაფავდა გზას საბჭოთა ტელევიზიაში. მთელი გადაცემის ავტორად, ან თუნდაც წამყვანად ჟურნალისტის ეკრანზე გამოჩენა გარკვეულწილად ნიშნავდა მისი პიროვნული შეხედულების წარმოჩენასაც, რაც დიდი ხნის მანძილზე, როგორც ადრე აღვნიშნეთ, “რეკომენდებული არ იყო”.

ეკრანზე გამოსვლის უფლება ჰქონდათ მხოლოდ პოლიტიკურ მიმომხილველებს, რომლებიც საერთაშორისო მოვლენებს განუმარტავდნენ ტელეაუდიტორიას და სპორტულ კომენტატორებს, რომლებიც (ცხადია, ყველა მათგანი გულდასმით იყო შემოწმებული და კონსულტაციაგაველილი ღია ეთერში სამუშაოდ) დღის სპორტულ მოვლენებს აშუქებდნენ. საქართველოს ტელევიზიაში 70-80-იან წლებში პოლიტიკური მიმომხილველები იყვნენ: ე. მენაბდე, ა. ავალიანი, გ. ბოლოთაშვილი, ს. ცინცაძე, კ. ცქიტიშვილი, ა. ციციაშვილი და სხვ., ხოლო სპორტულ ბლოკს უძღვებოდნენ: თ. ჯაფარიძე, ჯ. ხუხაშვილი, თ. ბალავაძე და სხვ. (პოლიტიკური მიმომხილველები საერთაშორისო თუ საშინაო საკითხებზე, სპორტული და აგრეთვე ეკონომიკური მიმომხილველები ცალკე გადაცემების სახითაც იყო საქართველოს ტელევიზიის პროგრამაში, ცხადია, უფრო ნაკლები პერიოდულობით და თავისი ავტორები ჰყავდა).

80-იანი წლების წინა პერიოდს უკავშირდება მთლიანად საინფორმაციო პროგრამის პერსონიფიკაციის პირველი მცდელობაც ანუ დიქტორების წამყვანებით – ჟურნალისტებით შეცვლა. ტრადიციულად მაყურებლისათვის გარკვეული სახის ტელეინფორმაცია გარკვეულ პერსონასთან არის ასოცირებული. არავინ ელოდება, მაგალითად, რომ გასართობ შოუს პოლიტიკური მიმომხილველი გაუძღვება. „ვრემი-ას“ დიქტორები, როგორც წესი, სხვა პროგრამებში არ მონაწილეობდნენ (იშვიათ შემთხვევაში მათ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სადღესასწაულო გადაცემაში თუ გამოიყვანდნენ ხოლმე – ესეც მისი ღირებულების ხაზგასასმელად). ისინი მთავარი საინფორმაციო პროგრამის სახეს წარმოადგენდნენ და მის პერსონიფიკირებულ ხასიათს განსაზღვრავდნენ. „მოამბემ“ ასეთი პრაქტიკა ვერ დაამკვიდრა – მისი დიქტორები ერთ დღეს რომ საინფორმაციო გამოშვებას უძღვებოდნენ, მეორე დღეს ფეხბურთის მატჩის რეპორტაჟი მიჰყავდათ, საბავშვო გადაცემებში მონაწილეობდნენ ან მუსიკალური კონცერტის კონფერანსიედ გვევლინებოდნენ. ამდენად, ექსპერიმენტი, რომელიც 1980-1981 წლებში მიმდინარეობდა, ითვალისწინებდა ამ ვითარების გამოსწორებას – „მოამბეზე“ მუდმივი პერსონაჟების, ამ შემთხვევაში კომენტატორების მიმაგრებას. ეს პროცესი ჯერ კიდევ 1979 წელს ე.წ. „საკვირაო“ გადაცემებით დაიწყო და შემდეგ სხვა დღეებზეც გავრცელდა – საბოლოოდ თითოეულ დღეს თავისი კომენტატორი ჰყავდა, მხოლოდ ორშაბათს მიჰყავდა გამოშვება დიქტორთა წყვილს. მაგრამ დიქტორების კომენტატორებით შეცვლას სხვა, გაცილებით ღრმა აზრიც ჰქონდა ინფორმაციის სარწმუნოების თვალსაზრისით.

დიქტორი მხოლოდ შუამავალია ინფორმაციასა და ტელეაუდიტორიას შორის, კომენტატორი, ჟურნალისტი კი, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, თვითონ არის ინფორმაციის წყარო, რაც მკვეთრად ზრდის ამ ინფორმაციის სანდოობას. პერსონიფიკაციის პრინციპი ყურადღების ცენტრში აყენებს პიროვნებას, რომელსაც ძალუძს კვალიფიციური კომენტარი გაუკეთოს უმნიშვნელოვანეს ფაქტებსა და მოვლენებს, გამომავლავნოს თავისი პოზიცია და იმპროვიზაციის უნარი. პიროვნული ურთიერთობის ილუზია პირდაპირ გავლენას ახდენს ემოციურ სფეროზე და იწვევს დამაჯერებლობის განსაკუთრებულ ეფექტს, ამიტომაც არის ეს ფორმა „ტელეგენური“. კარგი წამყვანი არა მხოლოდ საინფორმაციო პროგრამის, არამედ მთელი არხის სახეცაა (მსოფლიოს წამყვანი ტელეარხები, უპირველესად, თავიანთი ახალი ამბების კომენტატორებით არიან ცნობილი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი პროცესი მიმდინარეობდა ამ პერიოდში „ვრემიაშიც“ (შესაძლოა, ამანაც მისცა ბიძგი საქართველოს ტელევიზიას). მხოლოდ იქ ერთბაშად არ შეუცვლიათ დიქტორები კომენტატორებით – დიქტორთა წყვილი შეიცვალა დიქტორითა და ჟურნალისტით. პირველი კითხულობდა „ოფიციალურ“ ინფორმაციას, ხოლო თუ ინფორმაცია ჟურნალისტურ გააზრებასა და პიროვნულ დამოკიდებულებას საჭიროებდა, გამოშვებას კომენტატორი განაგრძობდა. „მოამბის“ პირველი წამყვანები იყვნენ: მერაბ ბერაძე, ჯულიეტა ვაშაყმაძე, ლევან კილასონია, თამაზ ჩიქვანია, ავთანდილ ქურდიანი, თინა კაკუშაძე. რა თქმა უნდა, ყველა ერთნაირად როდი ართმევდა თავს დაკისრებულ ფუნქციას: სხვებთან შედარებით უფრო დამაჯერებლად გამოიყურებოდა მერაბ ბერაძე, რომელიც ასერხებდა ეკრანზე ბუნებრივი ატმოსფეროს შემქნას, მოვლენებზე მშვიდად საუბარს და მათ კომენტირებას. ასევე, კარგად მოერგო ახალი ამბების კომენტატორის ამპლუას მარკ რიკიანი. ის ადრეც ხშირად უძღვებოდა რუსულ საინფორმაციო გამოშვებას, ხოლო „ვესტნიკის“ დაარსების შემდეგ მისი უცვლელი წამყვანი გახდა. ჟურნალისტურმა ნიჭმა, ეკრანზე მუშაობის უნარმა და გამართულმა მეტყველებამ განაპირობა ის, რომ საქართველოს ტელევიზიის რუსულენოვანი აუდიტორიისთვის იგი ამ პროგრამის ნამდვილ სახედ იქცა. თვითონ „ვესტნიკი“, როგორც ყოველკვირეული მიმოხილვა, ოპერატიულობაზე ნაკლებად აცხადებდა პრეტენზიას, ძირითადად იგი „მოამბიდან“ აღებულ ნათარგმნ სიუჟეტებს, აგრეთვე საქართველოში „ვრემიას“ კორესპონდენტების მიერ მომზადებულ მასალებს შეიცავდა. პროგრამაში კულტურის ბლოკს უძღვებოდა ირინე ხეცურიანი (ამ პერიოდში ინფორმაციის მთავარ რედაქციას ხელმძღვანელობდნენ ჯერ დ. იოსელიანი, შემდეგ თ. ზარქუა).

საბოლოოდ, დიქტორების კომენტატორებით შეცვლა 80-იან წლებში მაინც ვერ მოხერხდა (უფრო ალბათ ისევ ჟურნალისტების დაბალი კვალიფიკაციის გამო). 70-იანი წლების მსგავსად, საქართველოს ტელევიზიის სახეს ისევ დიქტორები წარმოადგენდნენ – როგორც ვეტერანები, ვინც ჯერ კიდევ მის საწყისებთან იდგა, ისე ახალგაზრდებიც, რომლებიც პერიოდულად ემატებოდნენ დიქტორთა მრავალრიცხოვან კოლექტივს: დონარა კინწურაშვილი, თინა მგალობლიშვილი, გიორგი ზარიძე, ქეთევან მითაიშვილი, ლალი ზანგურაშვილი, ზიზი ახვლედიანი, მაკა თავზარაშვილი, თემურ ჩხიკვაძე, (უფრო მოგვიანებით – მაია ჩიხრაძე, სოფო ნარჩემაშვილი, კახა არჩვაძე, ხათუნა დონდუა და სხვ.).

„მოამბისა“ და „ვესტნიკისაგან“ განსხვავებით, „ახალ ამბებს“ უფრო ხშირად დიქტორები უძღვებიან. ეს შეიძლება ითქვას, „მოამბის“ გამარტივებული სახესხვაობაა და ბევრად ჩამორჩება მას როგორც მოცულობით (10-15 წუთი), ისე ფორმითა და შინაარსით – ინფორმაციულად და ჟანრობრივად გაცილებით ღარიბია, ჭარბობს ვერბალური ინფორმაცია. ეს ალბათ ბუნებრივიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „მოამბისგან“ განსხვავებით, რომელიც მთელი დღის პანორამულ სურათს იძ-

ლევა, „ახალ ამბებს“ მხოლოდ დღის გარკვეულ მონაკვეთში მიმდინარე მოვლენების გადმოცემა შეუძლია.

საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო მაუწყებლობა არსებითად არც 80-იანი წლების მეორე ნახევარში შეცვლილა, თუმცა, ეს ის პერიოდია, როცა საბჭოთა სახელმწიფოში მანამდე არნახული პროცესები განვითარდა. ეს იყო ე.წ. „გარდაქმნა“, რომელიც ცალსახად დღემდე არაა შეფასებული. ერთი თვალსაზრისით, ეს იყო „სკკპ-ისა და სსრკ-ის ხელმძღვანელობის პოლიტიკა, რომელიც 1980-იანი წლების მეორე ნახევარში გამოცხადდა და 1991 წლის აგვისტომდე გრძელდებოდა. მის ობიექტურ შინაარსს საბჭოთა ეკონომიკის, პოლიტიკის, იდეოლოგიისა და კულტურის ზოგადსაკაცობრიო იდეალებთან და ღირებულებებთან შესაბამისობაში მოყვანის ცდა შეადგენდა; ხორციელდებოდა უკიდურესი არათანმიმდევრობით და წინააღმდეგობრივ ძალისხმევათა შედეგად სკკპ-ის კრახისა და სსრკ-ის დაშლის წინაპირობები შექმნა“ (3). სხვა თვალსაზრისით, „ცვლილებების სისწრაფითა და სიღრმით, ის, რაც სსრკ-ში მოხდა, უნდა ჩაითვალოს რევოლუციად – რევრესის რევოლუციად“ (4, 22). ქვეყნის ხელმძღვანელობა გაურიგდა დასავლეთს და ყოველნაირად შეუწყო ხელი იმ თანამედროვე პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენებას, რომელთა მეშვეობითაც რამდენიმე წელიწადში მოხერხდა მასობრივი ცნობიერებით მანიპულაცია და სოციალიზმის იდეის გაუფასურება. ამას დაემატა ისიც, რომ საბჭოთა კავშირში არ არსებობდა სამოქალაქო საზოგადოება შესაბამისი დემოკრატიული მექანიზმებით და „გარდაქმნის“ მოწინააღმდეგებმა ვერ შეძლეს საზოგადოებრივი დიალოგის ორგანიზება, თუნდაც მინიმალური წინააღმდეგობის გაწევა ამ მანიპულაციების მიმართ. თვითონ სახელმწიფო ხელისუფლების ტოტალიტარიზმმა დიდწილად განაპირობა მისი დაღუპვა (4, 39).

„გარდაქმნა“ რომ მართლაც არ წარმოადგენდა ზოგადსაკაცობრიო იდეალებისადმი მისწრაფებას, ეს ნათლად აჩვენა ამ პერიოდის მოვლენებმა – 1989 წლის 9 აპრილმა (თბილისში მშვიდობიანი მიტინგის სისხლიანმა დარბევამ), ოსური სეპარატიზმის აშკარა მხარდაჭერამ (ცხინვალიდან ქართული მოსახლეობის პირველმა გამოდევნამ), აფხაზეთში მდგომარეობის უკიდურესმა გამწვავებამ (ქართველების პირველმა მკვლელობებმა), სამხედრო რეპრესიებმა ვილნიუსში, ბაქოსა და ერევანში, „მოკავშირე“ რესპუბლიკების სუვერენული უფლებების კიდევ უფრო შეკვეცის ცდამ და ა.შ. თუმცა ალბათ მისი „რევრესის რევოლუციად“ წარმოდგენაც არ იქნებოდა სწორი თუნდაც იმიტომ, რომ მსოფლიოს უდიდესი იმპერიის დაშლა გამოიწვია და დღევანდელი რუსეთის ხელისუფლებაც კი მის შედეგებს „საუკუნის გეოპოლიტიკურ კატასტროფად“ მიიჩნევენ.

საქართველოს ტელევიზიის, ისევე, როგორც სხვა საბჭოთა საინფორმაციო საშუალებების, საქმიანობა მჭიდროდ იყო დაკავშირებული „გარდაქმნის“ წინააღმდეგობრივ პროცესებთან. ამ პროცესებს კიდევ უფრო ართულებდა ის, რომ საქართველოში საერთო-დემოკრატიული რეფორმებისადმი მისწრაფებას ემატებოდა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა, რასაც მანამდე არნახული შესაძლებლობანი მიეცა და ცენტრისაგან განსხვავებით, ერთვოდა ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების აქტიური წინააღმდეგობა ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების მიმართ. ზოგადად საქართველოს ტელევიზიის საქმიანობა ამ პერიოდში შეიძლება სამ ეტაპად დაიყოს: „1) 1985 წლიდან 1989 წლის აპრილამდე, როცა მას დემოკრატიზაციის პროცესი თითქმის არ შეხებია და მთლიანად ემყარებოდა კომუნისტური ჟურნალისტიკის პრინციპებს, ფუნქციებსა და მეთოდებს; 2) 1989 წლის აპრილიდან 1990 წლის ნოემბრამდე, როცა მომიტინგეთა სისხლიანმა დარბევამ ფაქტობრივად კანონგარეშე აქცია კომუნისტური მმართველობა და რესპუბლიკაში გამეფებულმა თავისებურმა ორხელისუფლებიანობამ „შეზღუდულ-დოზირებუ-

ლი“ დემოკრატიის ნიადაგი შექმნა; 3) 1990 წლის ნოემბრიდან 1991 წლის ბოლომდე, როცა ტელევიზია პირველი ეროვნული ხელისუფლებისა და ოპოზიციის იმ დაპირისპირების ერთ-ერთ ობიექტად იქცა, რომელმაც ქვეყანა სამოქალაქო ომამდე მიიყვანა“ (5, 199-200).

სამივე ეს ეტაპი საკმაოდ გამოკვეთილად ჩანს საქართველოს ტელევიზიის პროგრამებში, პირველ რიგში კი ახალ ამბებში. საინფორმაციო გამოშვებებში „ეროვნული ძალების“ ნებისმიერი მიტინგი თუ დემონსტრაცია ფასდებოდა როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, ხოლო მისი მონაწილეები ხულიგნებად და ნარკომანებად ცხადდებოდა. 1988 წელს მილიციამ დაარბია 26 მაისის მიტინგი, რომელიც საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის დღეს მიეძღვნა, 1989 წლის 18 და 25 თებერვალს კი – მიტინგები, რომლებიც საქართველოს გასაბჭოების დღის სახეიმოდ აღნიშვნას აპროტესტებდა. ყველა ეს დარბევა „მოამბეში“ წარმოდგენილი იყო როგორც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის აუცილებელი ღონისძიება.

პარალელურად ახალ ამბებში, რა თქმა უნდა, აისახებოდა ქვეყნის ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა. „1986 წელს მოეწყო რეპორტაჟების სერია ჩერნობილიდან, რამაც მაშინდელი პარტიული ხელმძღვანელობის აზრით, დიდად შეუწყო ხელი იქ ქართველი ახალგაზრდების სამუშაოდ მობილიზაციას. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ არაფერი საშიში არაა, რადგან ჟურნალისტები რეპორტაჟს გადმოსცემდნენ პირდაპირ რეაქტორის ეზოდან. სინამდვილეში კი, რა თქმა უნდა, სულ სხვა იყო რამდენიმე წუთით რეაქტორის ფონზე დგომა და რადიკალურად სხვა – იქ სარემონტო სამუშაოებში მონაწილეობა. დღეს ეს ადამიანები ინვალიდებს წარმოადგენენ და მოკლებული არიან ყოველგვარ სოციალურ დაცვას“ (5, 211).

1987 წლის იანვარ-თებერვალში ზემო სვანეთში დიდთოვლობის შედეგად ზვავმა დაიტანა რამდენიმე სოფელი. ამ სტიქიური უბედურების პირველივე დღეებში ინფორმაციის მთავარ რედაქციაში შეიქმნა ოპერატიული ბრიგადები, რომლებიც სამაშველო რაზმებთან ერთად ჩავიდნენ დაზარალებულ სოფლებში და ყოველ საღამოს „ექსპრესინფორმაციის“ სპეციალურ გამოშვებებში საქართველოს მოსახლეობას აცნობდნენ არსებულ მდგომარეობას, ხალხის გადასარჩენად გატარებულ ღონისძიებებს. ფართოდ გაშუქდა უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ქვემო ქართლში ჩასახლების სახელმწიფო პროგრამის მიმდინარეობაც. 1988 წლის ბოლო თვეებიდან უკვე იქმნება შთაბეჭდილება, რომ ხელისუფლებამ გადაწყვიტა, ასე ვთქვათ, „სარქველის გახსნა ზედმეტი ორთქლის გამოსაშვებად“ (გასათვალისწინებელია, რომ ეს ხდება ეროვნული მოძრაობის აღმავლობის პირობებში, რასაც ნოემბრის ცნობილი მიტინგები და დემონსტრანტთა შიმშილობა მოჰყვა) – ახალი ამბების გამოშვებებში აშკარად შესამჩნევი ხდება ეროვნულ-პატრიოტული პროპაგანდის გაძლიერება: ფართოდ შუქდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის შეხვედრები სტუდენტ ახალგაზრდობასთან სხვადასხვა ეროვნულ საკითხზე და, პირველ რიგში, დავით გარეჯის მონასტრის ახლოს სამხედრო პოლიგონის გაუქმებაზე; ხაზგასმით აღინიშნება ხელისუფლების მონდომება და პრინციპულობა ეროვნული კულტურის ძეგლების დაცვისა და აღდგენისათვის; ინტენსიურად მიმდინარეობს „ქართული ენის სახელმწიფო პროგრამის პროექტის“ განხილვა და ა.შ. „მოამბე“ დიდ ადგილს უთმობს საქართველოს ისტორიულ რეგიონებში ძველი ქართული სოფლების აღორძინების თემას (მაგალითად, 1989 წლის 13 ნოემბრის რეპორტაჟი ლენინგრადში მცხოვრებ ქართველთა სამშობლოში დაბრუნებისა და საცხოვრებლად დმანისისა და ბოლნისის რაიონებში დასახლების შესახებ, 14 ნოემბრის რეპორტაჟი ჯავახეთში ჩასახლებული ეკოლოგიური მიგრანტი აჭარლების საცხოვრებელი პირობების შესახებ და ა.შ.).

„მოამბის“ კრიტიკული რუბრიკები კვლავ ოპერატიულად წარმოაჩენს გადაუდებელ, მწვავე პრობლემებს. 1989 წლის 31 მარტს რუბრიკით „კონტროლზეა აქტუალური საკითხი“ გადაიდა სიუჟეტი კასპის ცემენტის ქარხანასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ პრობლემებზე. საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის ა. ფაღავას კომენტარმა, რომელიც მას ახლდა, ნათლად აჩვენა, რომ მდგომარეობა საგანგაშოა და სასწრაფოდ საჭიროებს გამოსწორებას. ამავე პერიოდში ყოველკვირეულად გამოდის ეთერში თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომელი გ. ლომინაძე და მიმოიხილავს კვირის მანძილზე მომხდარ სამართალდარღვევებს. ასეთი ინფორმაცია ყოველთვის იწვევს აუდიტორიის ინტერესს, თუმცა გაუგებარია, რატომ გადაიცემოდა იგი „ექსპრესინფორმაციის“ რუბრიკით, რომელიც გაცილებით ოპერატიული და მასშტაბური მოვლენის გაშუქებას გულისხმობს (იხე, როგორც ეს იყო ზემოთ აღნიშნული სვანეთის შემთხვევაში).

ამ პერიოდში ინფორმაციის მთავარ რედაქციაში აქტიურად მოღვაწეობდნენ: ომარ მოსაშვილი, ამირან სინაურიძე, რევაზ ოსეფაიშვილი, იური ბურჭულაძე, ბადრი ცირაძე, ზურაბ ლოლაძე, თამილა ანჯაფარიძე, ლია კორძია, თამაზ ფიფია, მარინე შავგულიძე, ოთარ შაორშაძე, გიორგი პაპუაშვილი და სხვ.

ამავე პერიოდს მიეკუთვნება საინფორმაციო პროგრამის პერსონიფიკაციის კიდევ რამდენიმე ცდა – „მოამბის“ წამყვანებად მოგვევლინენ: ჯ. ვაშაყმაძე, გ. კვარაცხელია, ნ. რუხაძე. ეს უკანსკნელი საქართველოში დაბრუნდა აშშ-ში ატლანტის ტელევიზიაში მუშაობისას მიღებული გამოცდილებით და მაშინვე მიიქცია ტელეაუდიტორიის ყურადღება. იგი მათ წინაშე წარმოდგა როგორც ლაღი, ენერგიული, ინტელიგენტური, მახვილგონივრული ტელეპერსონაჟი, ვისი იუმორიც შესანიშნავად „თანაარსებობდა“ სერიოზული, პრობლემური შინაარსის კომენტარებთან. სამწუხაროდ, მისი თანამშრომლობა საქართველოს ტელევიზიასთან დიდ ხანს არ გაგრძელდებულა, თუმცა ეკრანზე მუშაობის სტილით, ქცევით, სიტუაციებში სწრაფად გარკვევის უნარით იგი დაამახსოვრდა მაყურებელს (ათწლეულის შემდეგ ნუგზარ რუხაძე საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში და კვლავ ახალი ამბების კომენტატორის ამპლუაში მოვევლინა საზოგადოებას. პარალელურად იგი აირჩიეს თსუ ტელერადიოჟურნალისტიკის კათედრის დოცენტად და 2006 წლამდე ეწეოდა პედაგოგიურ მოღვაწეობას).

ტრადიციულად საინფორმაციო გამოშვების ძირითად მოთხოვნებად ითვლება მასალების აქტუალობა, ოპერატიულობა, ლაკონიზმი, თემატური და ჟანრობრივი მრავალფეროვნება, სიუჟეტების კომპოზიციური და ლოგიკური ერთიანობა და ა.შ. მათ ნაწილს 80-იანი წლების „მოამბე“ უთუოდ პასუხობს, ნაწილს კი ბოლომდე ვერ აკმაყოფილებს. აქტუალური პრობლემები ხშირად მოიკოჭლებს ოპერატიულობის თვალსაზრისით, სათანადოდ ვერ არის მოგვარებული ჟანრობრივი მრავალფეროვნების საკითხიც. ზოგჯერ სიუჟეტები ნახტომისებურად ცვლის ერთმანეთს, რის გამოც გამოშვების კომპოზიციური მთლიანობა ზარალდება. სიუჟეტების ტრადიციულად დალაგების პრინციპი უკვე ერთფეროვნებას ქმნის და აღუნებს მაყურებლის ყურადღებას. ხშირად ისევ დაშტამპულად გამოიყურება ე.წ. „საწარმოო“ სიუჟეტები – ინფორმაციები სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ობიექტებიდან. უსისტემო სახე აქვს „თემატური გვერდების“ მომზადებას და სხვ. შეინიშნება დიდი ზომის სიუჟეტებით გატაცება, რაც „მოამბის“ საეთერო დროის დიდ ნაწილს იკავებს. მაგალითად, 1990 წლის 25 აპრილის გამოშვება ერთი საათი გაგრძელდა. აქედან 16 წუთი დაეთმო მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის გ. გუმბარიძის შეხვედრას. ასევე დაარღვია „მოამბის“ ჩვეული რიტმი წინააღმდეგ საქ. კპ ცენტრალურ კომიტეტში ისტორიის სწავლების საკითხზე გამართული სხდომის ჩვენებამ. სამწუხაროდ, ეს „ჩვეულება“, რო-

მელიც ეწინააღმდეგება ახალი ამბების გამოშვების პრინციპებს, მხოლოდ 80-იანი წლების „მოამბისთვის“ როდია დამახასიათებელი.

„მოამბე“ არსებითად არც პირველი ეროვნული ხელისუფლების დროს შეცვლილა (რა თქმა უნდა, მხედველობაში არა გვაქვს ის ცვლილებები, როცა პრეზიდენტის მოუქნელი პოლიტიკისა და ტელერადიომაუწყებლობის ახალი ხელმძღვანელობის არაკომპეტენტურობის წყალობით, ტელევიზია ხელისუფლებას დაუპირისპირდა და 1991 წლის სექტემბრიდან ჟურნალისტების მხოლოდ მცირე ჯგუფი ეწეოდა მაუწყებლობას პარლამენტის შენობიდან მოძრავი სატელევიზიო სადგურით). მიუხედავად იმისა, რომ თავი დააღწია საბჭოთა იდეოლოგიას, იგი ამჯერადაც მთლიანად მმართველი ძალის მიერ კონტროლდებოდა და აქტიურად გამოიყენებოდა სახელისუფლებო პოლიტიკის გასატარებლად. ეს ყველაზე აშკარად გამოიხატა პირველი საპრეზიდენტო არჩევნების პროცესში, როცა საქართველოს ტელევიზიამ და უწინარესად „მოამბემ“ საბჭოთა მედიისათვის დამახასიათებელი ყველა მანიპულატორული მეთოდი გამოიყენა ხელისუფლებასთან ოპოზიციაში მყოფი პოლიტიკოსების დისკრედიტაციისათვის (ამის შესახებ იხ.: ნ. თათარაშვილი, ტელევიზიის როლი საზოგადოების დემოკრატიზაციის პროცესში, „ტელეჟურნალისტიკის საკითხები“ თბ., 2003). ამ პერიოდში „ახალი ამბების“ ყოველდღიურ გამოშვებას დაემატა კიდევ ორი გამოშვება – 10-15-წუთიანი პროგრამა „ქრონიკა“, რომელიც 1990 წლის 17 სექტემბრიდან 1991 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით ამთავრებდა ყოველი სამუშაო დღის პროგრამას და ასევე 10-15-წუთიანი პროგრამა „სვე“ („სატელევიზიო ვიდეოთეირი“), რომელიც „ქრონიკას“ ჩაენაცვლა და 1991 წლის 19 აგვისტოდან დღეში ორჯერ (11.55, 18.00) ცოტა ხანს იყო ეთერში, სანამ ტელევიზიის კოლექტივის გაფიცვა დაიწყო. საბოლოოდ, როგორც ცნობილია, პოლიტიკურ ძალთა დაპირისპირება საქართველოში, რაც მეტწილად გარედან იყო ინსპირირებული, სამოქალაქო ომითა და ხელისუფლების დამხობით დასრულდა.

ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლების შეცვლა საქართველოს მოსახლეობამ სწორედ „მოამბის“ მეშვეობით შეიტყო და სწრაფად აღიქვა უპირველესად ეკრანზე ძველი დიქტორების ხელახლა გამოჩენით. თუმცა ეს ტრადიციული სახელი მთავარ საინფორმაციო პროგრამას დიდხანს არ შეერჩენია – 1992 წლის მარტიდან მას „მაცნე“ ეწოდა. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს ცვლილება ძველი სტერეოტიპის გაუქმების მიზნით მოხდა, იგულისხმებოდა, რომ „სახალხო რევოლუციის“ შემდეგ (როგორც შევარდნაძემ უწოდა ამ გადატრიალებას) „ახალი“ საინფორმაციო პროგრამა უარს იტყოდა მისი წინამორბედისათვის დამახასიათებელ მანიპულატორულ მეთოდებზე და მხოლოდ დემოკრატიის პრინციპებით იხელმძღვანელებდა. აღსანიშნავია, რომ პოსტსაბჭოთა რუსეთშიც, კომუნისტების ხელისუფლებიდან ჩამოშორების შემდეგ, ერთხანს მთავარი საინფორმაციო პროგრამის სახელი „ერემია“ შეცვალეს და ახალი ამბების სხვა გამოშვებების მსგავსად, მასაც „ნოვოსტი“ უწოდეს, მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ ისევ აღადგინეს (აღბათ იმიტომ, რომ ხალხის ცნობიერებაში იგი ინფორმაციის მთავარ წყაროდ აღიქმებოდა). იგივე მოხდა „მოამბის“ შემთხვევაშიც – 5 წლის შემდეგ მთავარ საინფორმაციო პროგრამას ისევ „მოამბე“ ეწოდა და დღესაც ასე ჰქვია (თუმცა, 2004 წლის დეკემბრის მეორე ნახევრიდან რამდენიმე თვეს იგი ეთერში გადაიცემოდა უცნაური სახელწოდებით „მთავარი“, აღბათ მთავარი ახალი ამბების გადაცემას გულისხმობდა).

„მაცნე“ ეწოდა აგრეთვე „ახალი ამბების“ 10-15-წუთიან გამოშვებას ყოველი სამუშაო დღის 17-18 საათზე და შაბათ-კვირას „მოამბის“ 12 საათის გამოშვებას (მხოლოდ 1998 წლის ბოლოს 2 თვით ერქვა მას „ორიონი“). ერთხანს, 1995 წლის I ნახევარში, „მაცნე“ ეწოდებოდა კვირადღის „მოამბის“ 20 საათის გამოშვებასაც. „სვე“ 1992 წლიდან აღარ გაგრძელებულა, „ქრონიკამ“ 2 თვე იარსება და შემდეგ

იმასაც “მაცნე” დაერქვა, მხოლოდ 1992 წლის მეორე ნახევრიდან ჩაენაცვლა მას “ქვიშის საათი” (თუმცა, ამით არაფერი შეცვლილა, რადგან, ყველა შემთხვევაში, იგი დღის დამამთავრებელ 10-15-წუთიან საინფორმაციო გამოშვებას წარმოადგენდა). ნახევარწლიანი პაუზის შემდეგ, 1992 წლის მარტიდან, ისევ აღდგა საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა “ნაშუადღევს”, რომელიც ყოველ სამუშაო დღეს გადაიცემოდა 13 საათზე, 45-60 წუთის ხანგრძლივობით.

ექვსი წლის შემდეგ შეიქმნა გარკვეულწილად მისი მსგავსი კიდევ ერთი პროგრამა “ალიონი” (ხელმძღვანელი – ოთარ შაორშაძე), რომელიც ამ სახელწოდებით ყოველ სამუშაო დღეს გადაიცემოდა თითქმის 2004 წლის ბოლომდე. მან სათავე დაუდო ქართულ ტელემაუწყებლობაში დილის პროგრამების მომზადებას. “ალიონი” 1992 წლის 14 სექტემბრიდან ეთერში იყო ადრიან დილით – რვის ნახევრიდან ცხრა საათამდე (ზოგჯერ ათის ნახევრამდე) – ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით, ხოლო სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1 წლის მანძილზე მას ენაცვლებოდა დამოუკიდებელი ტელეკომპანია “დრონის” ასეთივე პროგრამა “გამარჯობა, საქართველო!”. ორივე მათგანი შეიქმნა ამერიკული ეი-ბისის “დილა მშვიდობისა, ამერიკას” ანალოგიით. “ალიონი” ემყარებოდა ტელერადიომაუწყებლობის კორესპოდენტთა ქსელსა და სხვა საინფორმაციო წყაროებს, პირდაპირ გადიოდა ეთერში და ხშირად მაყურებელთა თვალწინ მოიპოვებდა უახლეს ინფორმაციას, მაგრამ მას ვერ მივაკუთვნებთ მხოლოდ საინფორმაციო მაუწყებლობას, რადგან ახალ ამბებთან ერთად შეიცავდა მდიდარ შემეცნებით მასალას და ინფორმაციულთან ერთად საგანმანათლებლო და გასართობ ფუნქციებსაც ითავსებდა.

1992 წლის იანვრიდან, როცა მაუწყებლობა ტრადიციულად განახლდა კოსტავას ქუჩაზე მდებარე ტელეცენტრიდან, ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურს უმძიმეს ფინანსურ და ტექნიკურ პირობებში უწევდა მუშაობა, რასაც დაძაბული პოლიტიკური სიტუაცია, ენერგეტიკული კრიზისი და ქვეყნის საყოველთაო ნგრევა განსაზღვრავდა. ეთერში სრული ქაოსი და უსისტემო სუფევდა. საინფორმაციო გამოშვებები პროგრამაში შეიძლებოდა შემოჭრილიყო ნებისმიერ დროს და ნებისმიერი მოცულობით, შეეწყვიტა ნებისმიერი გადაცემა თუ ფილმი. ყოველდღიურ პრაქტიკად იქცა სპეცდამოშვებების ეთერში მრავალჯერადი გასვლა, რაც ყოველთვის როდი იყო აუცილებლობით გამოწვეული. ამ პერიოდში ახალი ამბები დღის განმავლობაში 10-15-ჯერ გადიოდა ეთერში, ყოველგვარი განრიგის, პერიოდულობისა და ქრონომეტრაჟის დაცვის გარეშე.

მიუხედავად ამისა, სწორედ ამ პერიოდს განეკუთვნება რამდენიმე სიახლე საქართველოს ტელევიზიის ახალი ამბების მაუწყებლობაში. 1995 წელს დაიწყო ყოველდღიური 10-15-წუთიანი სპეციალიზებული საინფორმაციო გამოშვება “ვიდეო-პატრული-02”, რომელიც ქვეყანაში მომხდარ სამართალდარღვევებს აცნობდა საზოგადოებას. უფრო ადრე, 1992 წლის 7 ივნისს გამოჩნდა ეკრანზე პირველი კვირის შემაჯამებელი საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა “მსგეფსი”, რომელიც 1997 წლის ბოლომდე კვირადღეობით გადაიცემოდა 21 საათზე, 45-60 წუთის ხანგრძლივობით (სხვადასხვა დროს მისი წამყვანები იყვნენ ც. ბაჯელიძე, თ. ბარბაქაძე, ლ. ელიაშვილი). გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ 1994 წელი, როცა მის ნაცვლად პირველ ხუთ თვეს ეთერში იყო “მე-5 სტუდია” და 1995 წელი როცა “მსგეფსმა” 20 საათზე გადაინაცვლა და წლის პირველი ნახევარი 45-წუთიან “მაცნეს” დაუთმო. ორივე შემთხვევაში – “მე-5 სტუდია” და “მაცნეც” იგივე ფუნქციას ასრულებდა, მხოლოდ ფორმით იყო განსხვავებული. შესაძლოა “მსგეფსის” წარმოშობა რამდენადმე განაპირობა ამ პერიოდში ცენტრალური ტელევიზიის მემკვიდრის – “ოსტანკინოს” ეთერში დ. კისელიოვის კვირის შემაჯამებელი პროგრამის

“იტოვის” პოპულარობამ, თუმცა მსგავსი პროგრამა – ე. საგალაქვის “7 დენი” ჯერ კიდევ 1989 წლის ნოემბერში გამოჩნდა ცენტრალურ ტელევიზიაში და რამდენიმე თვეში გაუქმდა პარტიული ელიტის უკმაყოფილების გამო.

“მსგეფსი” ძველქართულად ერთკვირიან მონაკვეთს ნიშნავს, მაგრამ, ჩვენი აზრით, მაინც არ იყო გადაცემისთვის შესაფერი სახელწოდება, რადგან, ჯერ ერთი, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის გაუგებარი იყო და, მეორეც, მას სხვა მნიშვნელობაც აქვს – ძველ ტექსტებში კვირასთან ერთად ზოგჯერ მთელი წელიწადის მნიშვნელობითაც იხმარება. უფრო მისაღები ჩანს სახელწოდება “კვირიდან კვირამდე”, რომელიც ერქვა საერთაშორისო გადაცემების რედაქციის პროგრამას და 1992 წლის მეორე ნახევარში გადაიცემოდა ყოველ კვირადღეს 19 საათსა და 40 წუთზე 20 წუთის ხანგრძლივობით. მიუხედავად იმისა, რომ იგი ძირითადად პოლიტიკურ ცხოვრებაზე ამახვილებდა ყურადღებას, “მსგეფსი” კი კვირის ზოგად მიმოხილვას წარმოადგენდა, რომელშიც პოლიტიკურთან ერთად ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მოვლენებიც იყო გაანალიზებული, ეს ორი პროგრამა მაინც ძალიან ჰგავდა ერთმანეთს – როგორც ჩანს, ამან განაპირობა, რომ 1993 წლიდან “კვირიდან კვირამდე” ეთერში აღარ გასულა. მხოლოდ 1996 წელს სცადა იმავე რედაქციამ მსგავსი პროგრამის დამკვიდრება “კვირადღის” სახელწოდებით – აგვისტო-დეკემბერში მომზადდა 10 გადაცემა, მაგრამ ბოლომდე ვეღარ გაუწია კონკურენცია “მსგეფსს” და შეწყვიტა არსებობა. სამაგიეროდ, 1993 წლიდან “მსგეფსის” პარალელურად ორი საინფორმაციო-ანალიტიკური პროგრამა შეემატა ყოველკვირეულ გადაცემებს: ივლისიდან ეთერში გავიდა “ტაიმ-აუტი” (ავტორი და წამყვანი ნატო ონიანი), რომელიც ორი წლის მანძილზე ყველა კვირადღეს გადაიცემოდა ჯერ 19 საათზე (1993, 1994), შემდეგ კი 21 საათსა და 30 წუთზე (1995), 30-40 წუთის ხანგრძლივობით. სექტემბრიდან პროგრამაში გამოჩნდა “ტე-ინფორმი”, რომელიც პარასკეობით გადაიცემოდა ასევე ჯერ 19 საათზე (1993), შემდეგ კი 21-23 საათის ფარგლებში (1994-1995) 15-45 წუთის ხანგრძლივობით და წელიწად-ნახევარი შემორჩა ეკრანს. “მსგეფსი” მას შემდეგ კიდევ 2 წელი იყო ეთერში და მხოლოდ 1998 წლის 1 მარტიდან შეწყვიტა არსებობა.

ახალი ამბების თემატიკას, ცხადია, ის პროცესები განსაზღვრავდა, რაც მთელი 90-იანი წლებისთვის იყო დამახასიათებელი: სამოქალაქო ომი და შეიარაღებული დაპირისპირება ძველი ხელისუფლების მომხრეებთან, კრიმინალების თარეში, “მხედრონის” ოპერაციები სამეგრელოში, დაუსრულებელი კონფლიქტი სამაჩაბლოში, ახალი კონფლიქტი და წაგებული ომი აფხაზეთში, ქართველების მასობრივი გამოდევნა ძირძველი ქართული რეგიონებიდან, ქვეყნის ძალით ჩართვა დე-სუეტეს შემადგენლობაში, გაუთავებელი მოლაპარაკებები რუსეთთან ვითომდა არსებული სიტუაციის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის და ა.შ. ამას ემატებოდა 1992 და 1995 წლების საარჩევნო კამპანიების, მიმდინარე ეკონომიკური პრობლემების, ენერგეტიკული კრიზისის, საბიუჯეტო დეფიციტისა და სხვა საკითხების გაშუქება. ამასთან, სახელმწიფო არხმა კვლავ თავისი ძველი “ამპლუა” დაიბრუნა, კვლავ განახლდა ზეწოლა, მითითება-დირექტივები “ზემდგომი ორგანოებიდან” საინფორმაციო პოლიტიკის სამართავად – ძველის დისკრედიტაციისა და ახალი ხელისუფლების მხარდასაჭერად. მიუხედავად ამისა, ამ პერიოდში ინფორმაციის მთავარ რედაქციაში (მთავარი რედაქტორი – ნ. ონიანი, შემდეგ – გ. პაპუაშვილი, მ. არეშიძე) ძველი და ახალი მუშაკების ძლიერი პროფესიული კოლექტივი ჩამოყალიბდა: მერაბ ბერაძე, ჯულიეტა ვაშაყმაძე, ციური ბაჯელიძე, ლუბა ელიაშვილი, თეა სხიერელი, დოდო შენგელია, გურამ კავილაძე, შალვა გაბუნია, ამირან სინაურიძე, ზურაბ კვიციანი, მაგდა მკერვალი, გივი ვახეიშვილი, ლევან ლეონიძე, ხათუნა დონდუა, ნინო აბესაძე, ეკა ბურჯანაძე და სხვა. საერთაშორისო მიმოხილვებს უძ-

დევბოდნენ: სოსო ცინცაძე, რამაზ ქართველიშვილი, გივი ბოლოთაშვილი, ირინე თევდორაშვილი, სპორტულ ინფორმაციას – თამარ ბალაყაძე, ჯამლეთ ხუხაშვილი, გიორგი ფრანგიშვილი, ივიკო მახარაძე და სხვ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ტელეჟურნალისტებისა და ოპერატორების თავდადებული მუშაობა აფხაზეთის ომში – ყოველდღიური რეპორტაჟები და ინფორმაციები სოხუმიდან, გაგრიდან, ოჩამჩირედან, ჭუბერის უღელტეხილიდან. პირდაპირ ფრონტის ხაზზე უხდებოდათ მუშაობა ლ. კილასონიას, ა. მურვანიძეს, დ. კაკოიშვილის, ი. ინაშვილს, თ. დეკანოსიძეს, მ. რაზმაძეს და ბევრ სხვას და რაოდენ დასანანია, რომ გმირულად დაღუპული ს. იოსელიანის გარდა მათ შესახებ დღეს ნაკლებად იცის ქართულმა საზოგადოებამ, მაშინ როდესაც თუნდაც ამერიკა-ერაყის პირველი ომის მონაწილე პიტერ არნეტის სახელი ჟურნალისტის სახელმძღვანელოებშია შესული.

საკუთრივ ფორმის მიხედვით – სტრუქტურისა და კომპოზიციის თვალსაზრისით მთავარ საინფორმაციო გამოშვება „მაცნეს“ დიდი ცვლილება არ განუცდია. მან ისევ შეინარჩუნა ბლოკებისა და რუბრიკების ტრადიციული თანმიმდევრობა – იწყებოდა პოლიტიკური ინფორმაციით, მთავრდებოდა სპორტითა და ამინდის ცნობით, მიედინებოდა მდორედ, რადგან ხშირად შეიცავდა გაჭიანურებულ სიუჟეტებს, აკლდა სისხარტე და ლაკონურობა. არადა, სახელმწიფო არხს 90-იან წლებში რადიკალურად განსხვავებულ პირობებში მოუხდა მუშაობის გაგრძელება – მან დაკარგა საეთერო მონოპოლია, ერთადერთი ქართული ტელევიზიის სტატუსი, რითაც 35 წლის მანძილზე სარგებლობდა. სამოქალაქო ომის შემდეგ საქართველოში ინტენსიურად დაიწყო დამოუკიდებელი კომერციული ტელეკომპანიების ჩამოყალიბება: 1993-1994 წლებში საზოგადოების დიდი ყურადღება მიიქცია „იბერვიზიამ“, რომელმაც დედაქალაქის გარდა ზოგიერთ რეგიონშიც მოახერხა თავისი ფილიალის გახსნა. 1994 წლის ივნისიდან მეორე რესპუბლიკური არხით (სახელმწიფო კორპორაციისაგან თავისუფალ დროს) მაუწყებლობას შეუდგა „კავკასია“, ამ პერიოდში თბილისზე მაუწყებლობას ეწეოდა „თამარიონი“. 1995 წლის აპრილში ეთერში გავიდა „საქართველოს ხმა“, 1997 წლის აპრილში – „რუსთავი 2“, ნოემბერში – „იბერია“, 1998 წლის იანვარში – „დერიტა“ და „ტვ-7“, თებერვალში – „I სტერეო“. ბევრმა მათგანმა დაიწყო საინფორმაციო პროგრამების გადაცემა, რომელთა შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდა „იბერვიზიის“ „დაიჯესტის“, „რუსთავი-2“-ის „კურიერის“ და „იბერიის“ „ახალი ამბები“ (დღეში 9-ჯერ).

მათი ეთერში გამოჩენის შემდეგ პირველმა არხმა თანდათან დაკარგა აუდიტორიის ნდობა. ეს ძირითადად იმით იყო გამოწვეული, რომ როგორც „რუსთავი-2“, ისე „იბერია“ (განსაკუთრებით მისი არსებობის ბოლო პერიოდში) არსებული ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად იყო განწყობილი და ბევრ ისეთ ინფორმაციას გადასცემდა ეთერში, რაც ხელისუფლების მიერ კონტროლირებული სახელმწიფო არხისთვის შეუძლებელი იყო. „პირველი არხი“ და უწინარეს ყოვლისა, „მოამბე“ ყოველგვარ სიტუაციაში ცდილობდა ხელისუფლების მოქმედების გამართლებას და ხშირად იძულებული იყო „შავი თეთრად მოეჩვენებინა“ საზოგადოებისათვის, რაც განსაკუთრებით აშკარად გამოჩნდა 1999 წლის საპარლამენტო და 2000 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პერიოდში და კიდევ უფრო მკვეთრად 2001 წლის სტუდენტთა მასობრივი გამოსვლებისა და 2003 წელს საპარლამენტო არჩევნების გაშუქებისას (ამის შესახებ იხ.: ე. იბერი, სახელმწიფო ტელევიზია საპრეზიდენტო არჩევნებში, ტელერადიოჟურნალისტის საკითხები, V, თბ., 2001; ტელევიზია და ხელისუფლება, ტელერადიოჟურნალისტის საკითხები, VII, თბ., 2005).

ამასთან, ისიც აღსანიშნავია, რომ უცხოეთის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა გრანტებმა დიდად შეუწყო ხელი დამოუკიდებელი სტუდიების ჩამო-

ყალიბებას, სხვადასხვა ტრენინგით სისტემატურად ზრუნავდნენ მათი კადრების პროფესიული დონის ამაღლებაზე, რაც არ შეიძლებოდა არ ასახულიყო მაუწყებლობის ხარისხზე. მაშინ, როდესაც „მოამბე“ ტრადიციული ფორმებითა და მეთოდებით განაგრძობდა მუშაობას, „რუსთავი-2“-ის „კურიერმა“, მაგალითად, ინტენსიურად დაიწყო უცხოეთში აპრობირებული სამაუწყებლო ტექნოლოგიების გამოყენება. ეს გამოიხატა არა მხოლოდ წამყვანების „გავარსკვლავებით“ (რად ღირდა მართო მათი სურათების გამოფენა რუსთაველის პროსპექტზე), ანდა სენსაციური და სკანდალური ინფორმაციის წინა პლანზე წამოწევით. „კურიერის“ ახალი ამბები უფრო ოპერატიული იყო („რუსთავი-2“, სახელმწიფო ტელევიზიაზე 3 თვით ადრე, 1999 წლის 20 იანვარს გავიდა თანამგზავრზე), უფრო დინამიკურად გამოიყურებოდა და უფრო მეტ ინფორმაციას შეიცავდა. „კურიერის“ რეპორტიორები ხშირად უნახავს მაყურებელს ექსტრემალურ სიტუაციაში, ნანგრევების ან ტყვიების ზუზუნის ფონზე. ბევრს ემახსოვრება ნანა ლეჟავა ჩეჩნეთის ომში, დათო ნიკურაძე ერაყში, მაკა ფანქველაშვილ დანგრეულ სახლში, სადაც მრავალშვილიანი ოჯახი ცხოვრობდა.

„კურიერმა“ პირველად შემოიღო გამოშვების დასაწყისში მაყურებლებისათვის დღის მთავარი თემების გაცნობა, რაც შემდეგ „მოამბემაც“ გადაიღო: მაგალითად, „ტერორისტი ზუგდიდში“ („კურიერი“, 16.04.2002), „ინტერვიუ იგორ გიორგაძესთან“, „თბილისს უშუქობა ემუქრება“ (მოამბე, 11.11.2002) და ა.შ. მსგავსი ტიპის შეტყობინებები ანონსს წარმოადგენს და იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც ღიდი გაზეთში. ხშირად ისინი წინ უძღვის სარეკლამო ბლოკებსაც, რომ მაყურებელი დაინტერესოს და პროგრამის ბოლომდე შეინარჩუნოს, მაგალითად, „რეკლამის შემდეგ ახალი ნარკოტიკი საქართველოს ბაზარზე“ („მოამბე“, 11.11.2002), „საქართველოში იმპორტიორთა საკითხები წყდება“ („მოამბე“, 7.03.2002), „დიტერ ბოდენი ზუგდიდში მომხდარ ფაქტს უარყოფს“ („კურიერი“, 5.04.2002), „ბადრი ხასაია თბილისში“ („კურიერი“, 16.04.2002) და სხვ. ორივე პროგრამაში რეკლამები ოთხ ბლოკად ჰყოფს გამოშვებას და, აქედან გამომდინარე, სამჯერ გაისმის შეტყობინება თითოეული ბლოკის მნიშვნელოვანი სიუჟეტების შესახებ. „კურიერის“ მაღალ ხარისხს შესაძლოა ისიც განაპირობებდა, რომ ღიდი ხნის მანძილზე იგი „რუსთავი-2“-ის ერთადერთი ორიგინალური პროგრამა იყო (დანარჩენი დრო უცხოურ კინო და ვიდეოპროდუქციას ეჭირა) და ჟურნალისტების მთელი კოლექტივის ძალისხმევა მასზე იყო ფოკუსირებული. უფრო ნათლად რომ დავინახოთ „მოამბისა“ და „კურიერის“ განსხვავება, საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ ერთი ჩვეულებრივი დღის, 2002 წლის 11 ნოემბრის საღამოს შემაჯამებელი გამოშვებები:

„მოამბე“ – 20:00

სამშვიდობო მოქმედება აფხაზეთში.
რუსეთი საქართველოს მთლიანობას აღიარებს.
იგორ გიორგაძის ინტერვიუ.
უშუქობა თბილისში.
იარაღი პანკისში.
შავი ფულის ლეგალიზაცია.
კახელი მეღვინეები.
პარლამენტის მუშაობა.
გამახარია-ნადარეიშვილის კონფლიქტი.
ნ. ლასკი პრეზიდენტს შეხვდა.
ბანკის აქცია კოჯორში.

„კურიერი“ – 21:00

გამახარია-ნადარეიშვილის კონფლიქტი.
თერმული ჭურვები პანკისში.
კონფლიქტი სადაზღვევო კომპანიებს შორის.
მასწავლებელთა გაფიცვა ზუგდიდში.
ცემენტის ქარხანა კასპში.
ენერგეტიკის ერთიანი სივრცე.
ჩეჩნების რუსეთში ექსტრადირების საკითხი.
კახელი მეღვინეები.
ბასილ მკალავიშვილის სასა-მართლო პროცესი.

ლეიბორისტების შეკრება გორკის პარკში.
ახალი ნარკოტიკი ბაზარზე.

რეკლამა

პუტინი ბრიუსელში.
ბაღდადის ამბები.
ტორნადო ამერიკაში.
ჩემპიონატი ჭადრაკში.
ფეხბურთი.

რეკლამა

ნოდარ გაბუნიას სახელობის კონკურსი.
„პარი პოტერი – 2“.

რეკლამა

კალინინგრადის საკითხი.
ინციდენტი ლენინგრადში.
გაეროს რეზოლუცია ერაყზე.
ტორნადო ამერიკაში.
ბილ გეიტსის შესახებ.

რეკლამა

ქართველი მოჭადრაკეები.
„ვიტ ჯორჯია“-ბათუმის „დინამოს“ მატჩი.
ევგენი მიქელაძის სახ. ორკესტრის პრემიერა.

როგორც ვხედავთ, „მოამბე“ დაიწყო ზედიზედ სამი სიუჟეტით აფხაზეთში დადებითი ტენდენციების შესახებ. „კურიერში“ კი პირველივე სიუჟეტი ეხებოდა აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავჯდომარის თ. ნადარეიშვილის და პარლამენტის დეპუტატ ჯ. გამახარიას შორის წარმოქმნილ კონფლიქტს („მოამბეში“ იგი მხოლოდ მე-9 სიუჟეტად იყო წარმოდგენილი). თანაც, ის ბევრად მეტი ინფორმაციის შემცველი იყო. თუ „მოამბეში“ მხოლოდ ჯ. გამახარიას სინქრონი იყო მოცემული, „კურიერმა“ მაყურებელს თ. ნადარეიშვილის კომენტარიც შესთავაზა. რაც შეეხება აფხაზეთში სამშვიდობო მოქმედებას (საქართველოში გაეროს წარმომადგენლის ჩამოსვლას), მას იგი არც უხსენებია. სახელმწიფო არხი მაქსიმალურად ცდილობს დადებითი ინფორმაცია გაავრცელოს. „მოამბემ“ მე-5 სიუჟეტად გადმოსცა მოკლე ინფორმაცია პანკისში, სოფელ ჯოყოლოში თერმული იარაღის აღმოჩენის შესახებ, „კურიერმა“ კი ამ თემაზე მეორე სიუჟეტად შესთავაზა მაყურებელს ვრცელი მასალა, რომელშიც კახეთის სამხარეო პოლიციის უფროსის ტუშურის სინქრონიც იყო ჩართული. „მოამბის“ ამ გამოშვებაში არაფერი თქმულა იმაზე, რომ ზუგდიდის სკოლებში სწავლა შეწყდა – მასწავლებლები თვეების განმავლობაში გაუცემელ ხელფასებს მოითხოვდნენ. ეს მხოლოდ „კურიერმა“ გააჟღერა ეთერში. მანვე აუწყა საზოგადოებას კასპის ცემენტის ქარხნის მიზეზით მოსახლეობის ჩივით დაავადებისა და სადაზღვევო კომპანიებს შორის წარმოქმნილი კონფლიქტის შესახებ. სამაგიეროდ, „მოამბემ“ მაყურებელს უჩვენა საქართველოს ბანკის აქცია კოფრის ბავშვთა სახლის აღსაზრდელთა დასახმარებლად, რაც „კურიერს“ საერთოდ არ ჩაუთვლია აღნიშვნის ღირსად. ასეთი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება სხვადასხვა გამოშვებიდან.

ამასთან, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „კურიერთან“ შედარებით „მოამბე“ უფრო მეტად იცავს ეთიკურ ნორმებს. აქ იშვიათად აჩვენებენ ახლო ხელით დასახინჩრებულ გვამს, ცემისგან გასიებულ თვალს, ინვალიდი ბავშვის ფეხებს. იშვიათად გადაიციემა რომელიმე კონკრეტული პირის ინტერესებისა თუ ღირსების შემლახველი ინფორმაცია, როგორც ეს „კურიერში“ ხდება. „მოამბე“ ზოგიერთი სხვა მასხანიათებლითაც უსწრებს მეტოქეს: განსაკუთრებულ შემთხვევებში „მოამბე“ დამატებითი გამოშვებებით გადის ეთერში, მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-იორკში მომხდარი ტერაქტის დღეს იგი მთელი საღამოს განმავლობაში იუწყებოდა მცირეხნიანი შესვენებების გამოკლებით. ერაყში ომის დაწყების დღესაც „მოამბე“ ყოველ საათში გადიოდა ეთერში უახლესი ინფორმაციით; ასევე, „მოამბეს“ უნდა მივაწეროთ საინფორმაციო გამოშვებაში ე.წ. სპეციალური რეპორტაჟების დამკვიდრება. ზოგჯერ „კურიერის“ წამყვანებიც აცხადებენ „ყოველივე ეს ჩვენს სპეციალურ სიუჟეტში იხილეთო“, მაგრამ იგი თითქმის არასდროს გამოირჩევა და-

ნარჩენებისაგან, “მოამბეში” კი სპეციალური რეპორტაჟი მუდმივი რუბრიკაა და დღის მნიშვნელოვან ფაქტს, თუ მოვლენას ეძღვნება. იგი ქრონომეტრაჟითაც აღემატება სხვა სიუჟეტებს და სტრუქტურითაც განსხვავებულია – ფაქტის ისტორია, მისი წარმოშობის მიზეზები და განვითარება სრულად არის გადმოცემული. სპეც-რეპორტაჟში აისახა, მაგალითად, ქართულ ბაზარზე ახალი ნარკოტიკული ნივთიერების – სუბოტექსის გამოჩენა, რომელიც ჰეროინზე 6-ჯერ ძლიერია (11.11.2002), ასევე, მაკდონალდის რესტორნების მნიშვნელობა, უცხოურ პროდუქციაზე ქართული წარწერების აუცილებლობა (7.03.2002) და სხვ.

ასევე, 2000-2001 წლებში, ჩვეულებრივი საინფორმაციო გამოშვებებისაგან განსხვავებული ფორმით, გადიოდა ეთერში ღამის “მოამბე” და ღამის “კურიერი” (22.50 ან 23.00, 50წთ.). ინფორმაციულ-ანალიტიკური გადაცემა “მოამბე” ინგა გრიგოლიასთან ერთად” 2000 წლის მარტიდან გამოჩნდა ეკრანზე. მისი პირველი ნაწილი დღის მოვლენების ანალიზს წარმოადგენდა, მეორე კი – ინტერვიუებს ამ მოვლენებთან დაკავშირებულ ადამიანებთან, რომლებსაც წამყვანი ერთმანეთს უპირისპირებდა. თავის მხრივ, ღამის “კურიერი” ხმაურიანი სანახაობითა და სენსაციებით ცდილობდა მაყურებლების მიზიდვას. მისი წამყვანის ეკა ხოფერიას აზრით, ეთერში უნდა ყოფილიყო ნებისმიერი ნეგატიური ინფორმაცია, თუ იგი რეალობას შეესაბამებოდა და სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენდა. მაგალითად, პირველად მან აცნობა საზოგადოებას რუსული ავიაციის მიერ პანკისის ხეობის დაბომბვის შესახებ (2001, 27.11). აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ორივე გამოშვება აუდიტორიისთვის “ღია” იყო და მაყურებლებს შეეძლოთ გადაცემის მონაწილეებთან ტელეფონით დაკავშირება.

90-იან წლებსა და ახალი საუკუნის დასაწყისში “მოამბეს” ახალი სახეებიც შეემატა. ძველი თანამშრომლების გვერდით ი. გრიგოლისთან ერთად (იგი მანამდე “კურიერის” კორესპონდენტი იყო) ეკრანზე გამოჩნდნენ: დ. ჯოჯუა, ზ. უდუმაშვილი, ბ. გიორგაძე, გ. ახალკაცი, ს. მოსიძე, ნ. ხავთასი, ნ. კურატაშვილი, ე. გაბაშვილი, დ. მინაშვილი, გ. გულბანი და სხვ. ბევრი მათგანი სწორედ “მოამბეში” ჩამოყალიბდა როგორც ტელეწამყვანი თუ რეპორტიორი. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ წლების მანძილზე პირველი არხი ტელეკადრების აღზრდის თავისებური სკოლა იყო და კომერციული სტუდიების ბევრი ცნობილი სახე თავიდან აქ ეუფლებოდა თავის პროფესიას.

მე-20 საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტელევიზიის საინფორმაციო მაუწყებლობამ გარკვეული ცვლილებები განიცადა: სამწლიანი პაუზის შემდეგ, 1999 წლის აგვისტოდან, ეთერში ისევ გამოჩნდა “ტაიმ-აუტი”. პირველ სამ წელს იგი შაბათს ან კვირას გადაიცემოდა 20 ან 21 საათზე, 45-60 წუთის ხანგრძლივობით, 2002 წლის სექტემბრიდან კი დაიწყო კვირის “მოამბის” საღამოს ბოლო სამი გამოშვების ჩანაცვლება. 2000 წლის სექტემბრიდან, 5-წლიანი “შესვენების” შემდეგ, ასევე აღდგა საინფორმაციო-მუსიკალური პროგრამა “ნაშუადღევს” და თავისი ტრადიციული დრო დაიკავა (ყოველ სამუშაო დღეს 13 საათზე 60-65 წუთის ხანგრძლივობით). ტრადიციულად გრძელდებოდა “მოამბის”, “ვესტნიკისა” და “ვიდეოპატრული-02”-ის გადაცემები, მაგრამ 1999-2002 წლებში კვირადღეობით 12 საათზე მათ დაემატა “მსოფლიო ახალი ამბების” 15-20-წუთიანი გამოშვება. 2000 წლიდან კი, პირველად ქართული სახელმწიფო ტელეარხის ისტორიაში, ეთერში გავიდა “საინფორმაციო პროგრამა ინგლისურ ენაზე” (წამყვანები – ნუგზარ რუხაძე და შონა ენდრიუსი), რომელიც ყოველ შაბათს გადაიცემოდა 12 საათზე, 25-30 წუთის ხანგრძლივობით. 2001 წლიდან იგი 15-წუთიანი გახდა, ხოლო 2002 წლის სექტემბრიდან ერთი წლით გადაინაცვლა კვირას 15 საათზე. კიდევ ერთი წლის შემდეგ მისი ფორმატი შეიცვალა – 2003 წლის სექტემბრიდან 2004

წლის მაისის ჩათვლით ყოველ სამუშაო დღეს, 14 საათზე გადაიცემოდა 5-წუთიანი “მოამბე” ინგლისურ ენაზე. 2004 წლის ბოლოს, როგორც ცნობილია, პარლამენტის დადგენილებით, საქართველოს სახელმწიფო ტელერადიომაუწყებლობა საზოგადოებრივ მაუწყებლად გადაკეთდა და ამით დასრულდა მისი, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის ისტორია. ცხადია, ასევე დასრულდა სახელმწიფო არხის სისტემაში ახალი ამბების ფუნქციონირებაც და მან ახალი სტატუსით (თუმცა, “მოამბის” ისევ ძველი სახელწოდებით) დაიწყო სატელევიზიო ეთერში თავისი ახალი ადგილის დამკვიდრება.

ახალი ამბების განვითარების შესწავლა გვიჩვენებს, რომ მან გაიარა ყველა ის სტადია, რაც საერთოდ დამახასიათებელია მე-20 საუკუნის ქართული ტელემაუწყებლობისათვის – პირველი ზეპირსიტყვიერი ცნობებით დაწყებული და თანამედროვე კომპიუტერული გრაფიკით გაფორმებული სიუჟეტებით დამთავრებული. პირველ რიგში, მხედველობაში გვაქვს ტელევიზიის გამოსახვითი საშუალებების განვითარება, როცა მოვლენათა შავ-თეთრ სურათებს ცვლიდა ფერადი სლაიდები, 16-მილიმეტრიან კინოფირს – ვიდეოფირი, უზარმაზარ მოძრავ სატელევიზიო სადგურებს – პორტატული ვიდეოკამერები, რადიოსარეგო ხაზებს – სათანამდგაერო კავშირგაბმულობა და ა. შ. ვითარდებოდა ტექნიკური საშუალებანი და იზრდებოდა ტელევიზიის ესთეტიკური შესაძლებლობანი, მაღლდებოდა ტელეჟურნალისტების პროფესიული დონე. რაც შეეხება ახალი ამბების შინაარსობრივ მხარეს და საზოგადოებრივ დანიშნულებას, მას არსებითი ცვლილება არ განუცდია. საქართველოს სახელმწიფო ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურმა სამი ხელისუფლება გამოიცვალა, მაგრამ ყოველთვის მათ რუპორს წარმოადგენდა და მისი “დღის წესრიგი” არსებული სახელისუფლებლო ელიტის შეხედულებებით იყო განსაზღვრული. დღეს, როცა საქართველო დემოკრატიზაციის გზას ადგას, როცა ქვეყანაში მასმედიის გლობალიზაციის საყოველთაო პროცესმა შემოადწია, საინფორმაციო ტელემაუწყებლობა სრულიად ახალი გამოწვევებისა და ახალი შესაძლებლობების წინაშე აღმოჩნდა და დრო გვიჩვენებს, რამდენად მოერგება იგი ამ ახალ ვითარებას.

ლიტერატურა:

1. ნ. ლეონიძე, ტელევიზიის მოამბე, თბ., 1987.
2. ნ. ლეონიძე, სიახლის გზით, გაზ. “კომუნისტი”, 1977, 13. 05.
3. სატელევიზიო ჟურნალისტიკა, თბ., 1998, გვ. 109.
4. С. Кара-Мурза. Краткий курс манипуляци сознанием. М., 2003.
5. ნ. თათარაშვილი, ტელეჟურნალისტიკის საკითხები, თბ., 2003.

დანართი №1

საქართველოს ტელევიზიის I არხის საინფორმაციო მსუწვებლობა 1968-1985 წლებში

დასახელება	1968-1973	1974	1975	1976-1978	1979	1980	1981	1982-1983	1984-1985
„ახალი ამბები“ საღამოს პროგრამის დასაწყისში 5 წთ. 18:00 ან 18:05 (შაბათობით მეორეებს 17:20-18:05 -ის ფარგლებში)	„მოამბის“ დაარსების შემდეგ, კვირისა და ორშაბათის გარდა	-	-	-	-	-	-	-	სამშაბათი ხუთშაბათი შაბათი 16:00-16:30 ფარგლებში
„ახალი ამბები“ საღამოს პროგრამის ბოლოს - 10-15 წთ.	1968 წლის აპრილამდე - „მოამბის“ დაარსებამდე, საშუალო დღეებში	+	+	-	-	სამუშაო დღეებში	შპეთა „მოამბის“ დაარსების შემდეგ	შპეთა „ახალი ამბები“	სამუშაო დღეებში დილის და საღამოს პროგრამების ბოლოს
საინფორმაციო პროგრამა „მოამბი“ (1973 წლამდე მოძრაობა და საღამოს საათებში და ზოგჯერ ამთავრებდა კიდევ პროგრამას) - 25-30 წთ.	1968 წლის 1.IV-დან ყოველდღე 21:00	+	+	+	მისიდან 20:00 შაბათ-კვირას ისევე 21:00	+	შაბათ-კვირას მოძრაობს	+	+
„რესპუბლიკის ახალი ამბები“ (1984-1985 წლებში „ახალი ამბები“) - რუსულ ენაზე - 15-20 წთ.		+	-	-	-	-	-	-	ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი საღამოს პროგრამის დასაწყისში 15:00-16:00 ფარგლებში
საინფორმაციო პროგრამა „მესტნიკი“ რუსულ ენაზე - 20-30 წთ.			22.XII-დან ორშაბათობით 18:00-19:30 ფარგლებში	+	+	კვირადღეობით 13:45-16:30 ფარგლებში	+	+	+

Eldar Iberi
Evolution of Georgian Television News Program (1959-2004)
Summary

The article discusses the history of television news formation and development from inception of the state broadcaster to the moment of its disintegration. The author brings chronological records of all the stages including the period of first oral and photo information preparation to satellite broadcasting. He analyses evolution of news programs, its thematic, genre and composition structure forms of personification. Charts, attached to this article, reflect data upon the the frequency and volume and the news went on the air with, rate and place of the news in the TV schedule during almost fifty years.

Элдар Ибери
Динамика развития новостных программ на грузинском телевидении (1959 -2004)
Резюме

В статье обсуждается история становления и развития новостных программ государственного телевидения с момента создания вещательной компании вплоть до её развала. Хронологически проанализированы этапы, начиная от подготовки первых устных информации и фотоматериалов до прямых включений через спутник. Показан процесс развития новостного вещания, его тематическо – жанровая и композиционная структура, формы персонификации. В графиках, прилагаемых к статье, отражается информация о том, какое место занимали новостные передачи в телепрограмме на протяжении почти полвека, какой частотой и объёмом передавались они в эфир.



პეტრე დაუთაშვილი
(საქართველო)

**წინასწარი შეცნობა და დანაშაულის
კვალიფიკაციის პრობლემები**

დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემებში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა და ენიჭება დანაშაულის სპეციალურ მაკვალიფიცირებელ ნიშნებს, რომელთა საერთო რაოდენობამ საქართველოს სისხლის სამართლის მოქმედი კანონმდებლობით მიაღწია 121-ს. თითოეული მათგანი კი წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის კონკრეტული ნორმის განუმეორებელ და მახასიათებელ სპეციალურ მაკვალიფიცირებელ ნიშანს და აქედან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებას.

ზოგადად იურიდიულ ლიტერატურაში, თუ სხვადასხვა წყაროებში, ვერ მოვიძიებთ სათანადო შინაარსის მასალას, თუ არ ჩავთვლით უშუალოდ სისხლის სამართლის კანონმდებლობებს, რომელიც მოგვცემდა კვალიფიცირებულ წარმოდგენას ისეთ დანაშაულის სპეციალურ მაკვალიფიცირებელ ნიშანზე, როგორცაა დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეცნობით. ამ პრობლემის უკეთესად შეცნობისათვის ჩვენ შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა მისი არსი შედარებითი ანალიზის მეთოდის საფუძველზე, 1961 წლის კანონმდებლობის კერძო ნაწილში არსებულ ნორმებში მოცემულ განზრახი დანაშაულის ჩადენასთან წინასწარი შეცნობით. სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, ძველი კანონმდებლობით წინასწარი შეცნობით განზრახი დანაშაულის ჩადენა მოცემულია თორმეტი დანაშაულის შემადგენლობაში, ესენია:

1. მუხლი 86. მოძრაობის უსაფრთხოების წესებისა და ტრანსპორტის უსაფრთხოების წესების დარღვევა. ნაწ. 2. „იგივე ქმედება, თუ მას არ მოჰყვება ასეთი მძიმე შედეგები, მაგრამ თუ ის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ამ შედეგების დადგომის საფრთხეს“.

2. მუხლი 99. ნაპოვნი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების მითვისება წინასწარი შეცნობით.

3. მუხლი 108. განზრახ მკვლელობა ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში.

პ. 5) წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა.

4. მუხლი 119. სქესობრივი კავშირი სხვა პირთან, რომელსაც 16 წელი არ შესრულებია – ე.ი. თუ ეს დამნაშავისათვის წინასწარ შეცნობილი იყო.

5. მუხლი 120. გარყვნილი ქმედება – ე.ი. თუ დამნაშავისათვის წინასწარ იყო შეცნობილი, რომ პირს არ შესრულებია 16 წელი.

6. მუხლი 122. ვენერიული სენის შეყრა ან ვენერიული სენის მკურნალობისათვის თავის არიდება – მე-2 ნაწილით: წინასწარი შეცნობით ვენერიული სენის შეყრის საფრთხეში სხვა პირის ჩაყენება. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილით – ვენერიული სენის შეყრა პირისათვის იმ პირის მიერ, რომელმაც იცოდა, რომ ეს სენი სჭირდა.

7. მუხლი 122¹. შიღის დაავადების შეყრა, ნაწ. 1 და 2, რომელიც ანალოგიურია მუხლი 122-ის.

8. მუხლი 184. მცენარეთა დაავადებასთან და მავნებლებთან ბრძოლის წესების დარღვევა ე.ი. წინასწარი შეცნობით შეიძლებოდა მოჰყოლოდა მძიმე შედეგი.

9. მუხლი 192. წინასწარი შეცნობით უდანაშაულო პირის მიცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში – ე.ი. პროკურორის, გამომძიებლის ან იმ პირის მიერ, რომელიც აწარმოებს მოკვლევას.

10. მუხლი 193. უკანონო განაჩენის, გადაწყვეტილების, განჩინების ან დადგენილების გამოტანა მოსამართლეთა მიერ.

11. მუხლი 229. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შექენა ან გასაღება წინასწარი შეცნობით.

12. მუხლი 241. მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლუატაციის წესების დარღვევა იმ პირთა მიერ, რომლებიც მართავენ სატრანსპორტო საშუალებებს – ე.ი. თუ ეს დარღვევა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ქმნიდა ადამიანთა უბედური შემთხვევის დადგომის სერიოზულ საფრთხეს და თუ ეს ჩადენილია ერთი წლის განმავლობაში ასეთივე ქმედებისათვის ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების შემდეგ.

1999 წლის საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში წინასწარი შეცნობით¹ განზრახი დანაშაულის ჩადენა მოცემულია მის 23 შემადგენლობაში. ასეთი გაზრდა რაოდენობრივად და ხარისხობრივად შემთხვევითი არაა. ეს მუხლებია:

1. მუხლი 109. განზრახ მკვლევლობა დამამძიმებელ გარემოებაში – მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული

1. ქალისა და ბ) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანისა და უმწეო მდგომარეობაში მყოფისა.

2. მუხლი 117. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება – 1 ნაწილის ა) ქვეპუნქტით – წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან და მე-5 ნაწილის ა) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა, ხოლო ბ) ქვეპუნქტით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა.

3. მუხლი 125. ცემა – მეორე ნაწილით, იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

4. მუხლი 126. ძალადობა მე-2 ნაწილის დ) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან და დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.

5. მუხლი 131. შიდსის შეყრა მე-4 ნაწილის ბ) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ.

6. მუხლი 132. განსაკუთრებით საშიში ინფექციური დაავადების შეყრა – მე-3 ნაწილის ბ) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ.

7. მუხლი 134. ადამიანის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის აღების იძულება. მე-2 ნაწილით: იგივე ქმედება, ჩადენილი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან

¹ რუსეთის ფედერაციის სისხლი სამართლის კოდექსით წინასწარი შეცნობით ჩადენილი დანაშაული მოცემულია 37 შემადგენლობაში. ეს მუხლებია: 105, 111, 117, 120-122, 126-127 1-ლი და მე-2 პრიმა, 131, 132, 134, 135, 142, 142 პრიმა, 170, 171, 174, 175, 189, 195, 206, 207, 228 პრიმა, 240, 241, 242 პრიმა, 292, 299, 301, 302, 306, 307, 326-327 პირ.პრიმა.

დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.

8. მუხლი 137. გაუპატიურება მე-3 ნაწილით დ) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ.

9. მუხლი 138. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება მე-3 ნაწილის დ) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის ან არასრულწლოვნის მიმართ.

10. მუხლი 140. სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება 16 წლის ასაკს მიუღწევდებოდა – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით.

11. მუხლი 141. გარყვნილი ქმედება – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით 16 წლის ასაკს მიუღწევდებოდა.

12. მუხლი 143. თავისუფლების უკანონო აღკვეთა – მე-3 ნაწილის დ) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ.

13. მუხლი 143¹. ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.

14. მუხლი 143². არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) – მე-2 ნაწილის 1) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.

15. მუხლი 143³. ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის (დაზარალებულის) მომსახურებით სარგებლობა – 1-ლი ნაწილი – წინასწარი შეცნობით ამ კოდექსის 143¹ და 143¹ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 143¹ მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას, ხოლო მე-2 ნაწილის ქვეპუნქტი დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ და ბ) ქვეპუნქტით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ანდა სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.

16. მუხლი 144. მძევლად ხელში ჩაგდება – მე-2 ნაწილის ზ) ქვეპუნქტით დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ.

17. მუხლი 144¹ წამება. მე-2 ნაწილის ზ) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მიმართ.

18. მუხლი 144³. დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა – მე-2 ნაწილის ზ) ქვეპუნქტით – დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულწლოვანის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის.

19. მუხლი 150. იძულება. მე-2 ნაწილით, იგივე ქმედება, ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

20. მუხლი 186. წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება – 1-ლი ნაწილით.

21. მუხლი 189¹. სამრეწველო საკუთრების უფლების ხელყოფა – მე-3 ნაწილით წინასწარი შეცნობით სხვისი გამოგონების, სასარგებლო მოდელის, დიზაინის, ინტელექტუალური მიკროსკემის, ტიპოლოგიის, მცენარის ან ცხოველის ახალი ჯიშის შემოსავლის მიღების მიზნით უკანონო გამოყენება.

22. მუხლი 253. პროსტიტუციაში ჩაბმა – მე-2 ნაწილით იგივე ქმედება, ჩადენი-

ლი ორგანიზებული ჯგუფის მიერ წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ.

23. მუხლი 331¹ ტერორიზმის დაფინანსება – 1-ლი ნაწილით – ტერორიზმის დაფინანსება, ესე იგი ფინანსური სახსრების ან სხვა სახის ქონების შეგროვება ან მიწოდება იმის წინასწარი შეცნობით, რომ იგი მთლიანად ან ნაწილობრივ გამოყენებული იქნება ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ტერორისტული ორგანიზაციის მიერ და ა.შ.

ზემოთ აღნიშნულ კანონმდებლობებს (ძველსა და ახალს) შორის ამ საკითხთან მიმართებაში, ბუნებრივია, არსებობს მსგავსება-განსხვავების ნიშნები.

1. მსგავსების ნიშნებია:

ა) დანაშაულისათვის წინასწარი შეცნობა ძველი 1961 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის 12 შემადგენლობიდან მოცემულია სამ მუხლში: 119, 120 და 241 მუხლებში, ხოლო 1999 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის 23 შემადგენლობიდან გარდა მუხლების: 150, 189¹, 253 და 331¹, მოცემულია ცხრამეტი მუხლის შემადგენლობაში.

ბ) წინასწარი შეცნობით განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ და სხვა გარემოებაში ორსული ქალისა, მოცემულია 1961 წლის კანონმდებლობის მხოლოდ ერთ ნორმაში – მუხლი 104, ხოლო 1999 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობით შემდეგ მუხლებში: 109, 117, 131, 132, 134, 143, 143¹, 143², 144 და 144³.

2. განსხვავების ნიშნებია:

ა) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნორმების რაოდენობით, რომლებიც მითითებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან წინასწარი შეცნობით.

ბ) ძველი კანონმდებლობით არც ერთ ნორმაში არაა მოცემული განზრახი დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ, გარდა 119-ე და 120-ე მუხლებისა, რომლებშიც მითითებულია 16 წლის ასაკს მიუღწეველი პირის სქესობრივი სიკეთის ხელყოფა წინასწარი შეცნობით.

გ) 1999 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობით წინასწარი შეცნობით შემცველი 23 ნორმიდან 13 ნორმა ხელყოფის ობიექტებად ერთდროულად მოიცავს ორსულ ქალს, არასრულწლოვანს, უმწეო მდგომარეობას ან დანაშაულებზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ.

დ) 1961 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობის 12 ნორმიდან, რომლებიც შეიცავენ წინასწარი შეცნობის, როგორც სპეციალურ მაკვალიფიცირებელ ნიშანს, 2 მათგანი წარმოადგენს წინასწარი შეცნობის ფორმალურ შემადგენლობას. ეს მუხლებია: 122 და 241, რომლებშიც წინასწარი შეცნობით ადამიანისათვის უკვე საფრთხის შექმნის გამომჟღავნება დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენდა.

ზემოთ აღნიშნული ზოგიერთი მსგავსება-განსხვავების კრიტერიუმი მთლიანობაში ვერ ხსნის იმ მიზანს, რაც ჩადებულია ამ სტატიაში. ჩვენი მიზანი კი მდგომარეობს იმაში, რომ ღრმად ჩავწვდეთ წინასწარი შეცნობის, როგორც ფენომენის სამართლებრივ და სოციალურ არსს, მოვახდინოთ მისი თანაფარდობა და ურთიერთგადაკვეთის პრინციპები და ავხსნათ ისინი ისეთი ინსტიტუტის დახმარებით, როგორცაა დაუმთავრებელი დანაშაული. ყოველივე ეს კი მოგვცემს საფუძველს გამოვიტანოთ სათანადო დასკვნები და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადებები კანონმდებლთან მიმართებაში ზოგიერთი ნორმაში სათანადო, თუ სასურველი ცვლილებების შეტანის მიზნით.

საუბარი დავიწყოთ იქიდან, რომ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში აღწერილია დამთავრებული დანაშაულთა შემადგენლობები, ეს იქნება მატერიალური, თუ ფორმალური სახის. მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგა-

დი ნაწილის მე-8 მუხლ „მიზეზობრივი კავშირის” 1-ლი პუნქტი მიუთითებს: „თუ ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით დანაშაული მხოლოდ მაშინ ითვლება დამთავრებულად, როდესაც ქმედებამ მართლსაწინააღმდეგო შედეგი გამოიწვია ან ასეთი შედეგის განხორციელების კონკრეტული საფრთხე შექმნა, აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ამ ქმედებასა და დამდგარ შედეგს ან საფრთხეს შორის” (1).

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მეექვსე თავი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას არა მარტო დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, არამედ აგრეთვე ისეთი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის, რომელიც ბოლომდე არ იყო მიყვანილი.

ძველი 1961 წლის სისხლის სამართლის თეორიაშიც და კანონმდებლობაშიც, დაუმთავრებელი დანაშაულის სახეებს წარმოადგენდა დანაშაულის მომზადება და მცდელობა. „უფრო ადრინდელი სტადია, ე.ი. განზრახვის გამომჟღავნება დანაშაულად არ ითვლება. განზრახვის გამომჟღავნება არის სუბიექტის დანაშაულებრივი გადაწყვეტილების გამოვლინება მესამე პირისათვის მისაწვდომი ფორმით. ასეთია, მაგალითად, დანაშაულის ჩადენის განზრახვის მესამე პირისათვის განდობა, დღიურში ჩაწერა ან განზრახვის გამოვლინება რაიმე ისეთი მოქმედებით, რომელიც არ ქმნის მომავალში დანაშაულის ჩადენის პირობას, მაგრამ ადასტურებს სუბიექტის დანაშაულებრივ განზრახვას” (3, 113).

განზრახვის გამომჟღავნების დაუსჯელობა აიხსნებოდა იმით, რომ ასეთი მოქმედება ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას არ წარმოადგენდა. „სისხლის სამართლის წესით არ შეიძლება დაისაჯოს არც აზრი, არც სურვილი, არამედ მხოლოდ მოქმედება, უშუალოდ მიმართული დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაზე” (3, 113).

„დაუმთავრებელი დანაშაულის პირველ დასჯად სტადიას მოსამზადებელი მოქმედება წარმოადგენს. დანაშაულის მომზადება არის განზრახი მოქმედება, რომელიც ქმნის პირობებს დანაშაულის ჩასადენად. მოსამზადებელი მოქმედება არ წარმოადგენს დანაშაულის აღსრულების დაწყებას, იგი მხოლოდ ქმნის პირობებს იმისათვის, რათა მომავალში შესაძლებელი გახდეს დანაშაულის განხორციელება ან გაადვილდეს მისი ჩადენა” (3, 113).

ასეთი პოზიციის საპირისპიროდ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი 1961 წლის სისხლის სამართლის კანონმდებლობითაც, წინასწარი შეცნობის ინსტიტუტი თავისი არსით წარმოადგენდა „თავისებურ” და „განყენებულ” თემას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოცემული იყო 12 დანაშაულის შემადგენლობაში. წინასწარი შეცნობა იყო (და არის დღესაც) დანაშაულის მომზადების, თუ დანაშაულებრივი შედეგის მიღწევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და შემადგენელი წინაპირობა, თუ კანონმდებლის მხრიდან პრევენციული ხასიათის ღონისძიება? აღნიშნული მსჯელობის პრინციპი, რა თქმა უნდა, იყო და არის კანონმდებლობაში, მაგრამ აქ ერთ მეტად განსხვავებულ ფაქტზეა ყურადღება გასამახვილებელი, რომელიც უნდა ვეძიოთ სუბიექტის სტატუსში-დამნაშავეში.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს არაერთი მოსაზრება და პოზიცია დამნაშავის სტატუსის შესახებ, რომელიც მრავალ მუხლში საჭიროებს დანაშაულის სუბიექტის ამა თუ იმ სინონიმით მის შეცვლას. მაგრამ ამ აზრის საპირისპიროდ, 1999 წლის კანონმდებლობის 13 ნორმაში ჩადებულია ასეთი შინაარსის სპეციალური მაკვალიფიცირებელი ნიშანი – „დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ამა თუ იმ დანაშაულის ჩადენა და ა.შ.” დამნაშავის სტატუსის ახსნისათვის აუცილებელია პირის სუბიექტური და ობიექტური ფაქტორების განმარტება.

– დამნაშავის სუბიექტურ ფაქტორად უნდა მოიაზრებოდეს ჯერ კიდევ დანაშაულის მომზადების პერიოდში ე.წ. დამატებითი ინფორმაცია მისი ხელყოფის ობიექტის სოციალური, ბიოლოგიური, ეკონომიკური თუ სამართლებრივი მდგომარეობისა, რომელიც უფრო მეტად ავითარებს და ამდიდრებს დანაშაულის ჩადენის მოტივაციას და აქედან გამომდინარე, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სიმკაცრის გამყარებას.

– დამნაშავის ობიექტურ ფაქტორად კი უნდა მოიაზრებოდეს ხელყოფის ობიექტის მდგომარეობის „ექსცესური“ ხასიათი და ბუნება, პირიქით კი ზოგიერთი შემთხვევაში, რადგან იგი არ გამომდინარეობს სუბიექტური ფაქტორებიდან, სუბიექტის არ უმძიმებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ზემოთ აღნიშნული ფაქტორებიდან გამომდინარე, არალოგიკურად და არამართებულად მიგვაჩნია კანონმდებლის ასეთი პოზიცია, როგორც კვალიფიკაციის, ასევე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხებთან მიმართებაში. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ წინასწარი შეცნობის 23 შემადგენლობის 13 ნორმიდან ამოღებული იქნეს ტერმინი „დამნაშავის“, წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის, რომ დანაშაულის სუბიექტმა ასეთი დანაშაული ჩაიდინა სტატუსით არა, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სუბიექტმა, არამედ უკვე პროცესუალურად, როგორც დამნაშავემ, რომელსაც სასამართლოს მიერ გამოძიების პროცესში დაუდგინდა, რომ დანაშაული ჩაუდენია წინასწარი შეცნობით. ასეთ მიდგომას კანონმდებლის მხრიდან შეიძლება ვუწოდოთ ე.წ. „ახლადამოჩენილი გარემოება“, რომელიც ერთდროულად საჭიროებს წინასწარი შეცნობით დანაშაულის ჩადენის კვალიფიკაციას და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად შერაცხვას. ყოველივე ეს კი მოდის აშკარა წინააღმდეგობაში სისხლის სამართლის კოდექსის 53-ე მუხლის „სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები“ მე-4 პუნქტთან: „თუ ამ კოდექსის კერძო ნაწილის მუხლი ან მუხლის ნაწილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნად ითვალისწინებს შემამსუბუქებელ ან დამამძიმებელ გარემოებას, იგივე გარემოება სასჯელის დანიშვნის დროს მხედველობაში არ მიიღება“ (1).

აღნიშნული საკანონმდებლო ვაკუუმისა, თუ სასამართლო გამოძიების ჩიხიდან გამოსვლის უპირველეს ღონისძიებად სასურველია, რომ კანონმდებელმა იმ ნორმებიდან, სადაც მაკვალიფიცირებულ ნიშნად ჩადებულია „დამნაშავის მიერ წინასწარი შეცნობით და ა.შ.“ ამოიღოს ტერმინი „დამნაშავე“ და იგი შეიცვალოს სიტყვებით „პირის მიერ“, დანარჩენი დარჩეს, როგორც ტექსტშია.

წინასწარი შეცნობით ჩადენილ დანაშაულებს ადგილი აქვს ანგარებით და ძალადობრივ დანაშაულებებში. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს 109-ე მუხლის „განზრახ მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში“ – მე-2 ნაწილის ა) პუნქტი – განზრახ მკვლელობა დამნაშავისათვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა. იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია ქალის ორსულად შეცნობის ვიზუალური შეფასება. მაგალითად, თუ იგი სამი და მეტი თვის ორსულია. ასეთ შეფასებაში იმდენადაა ცდომილების მაღალი ალბათობა, რომ დანაშაულის სუბიექტს შეუძლია პირდაპირ, თუ ირიბად ამტკიცოს, რომ ვერ შეიცნო ობიექტის ორსულობა, რამაც ხშირ შემთხვევაში შეიძლება გამორიცხოს მის მიმართ 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) ქვეპუნქტით კვალიფიკაცია და მოხდეს კვალიფიკაცია 108-ე მუხლით, როგორც განზრახ მკვლელობა, რაც იურიდიულად გაუმართლებელია. გარდა ქალის ასეთი მდგომარეობის ვიზუალური შეფასებისა, შეიძლება დანაშაულის სუბიექტმა სხვისგან ან დანაშაულის ჩადენისას თვითონაც

შეიძლება ან მსხვერპლისგან იცოდეს ინფორმაცია ორსულობაზე, მაგრამ პროცესუალურად მისი დამტკიცება გართულებულია. ამასთანავე, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა მეტყველებს მის უმოტივაციო ხელყოფაზეც, ვინაიდან ასეთი ქმედების წინმსწრები სხვა განზრახვა და მოტივაციაა. ასეთი და მსგავსი კვალიფიკაციისა და მისგან გამომდინარე პასუხისმგებლობის საკითხების დახვეწისათვის, მართებულად მიგვაჩნია, რომ 109-ე (და არა მარტო მასში. მაგ., წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფისა) მუხლის მე-2 ნაწ. ა) ქვეპუნქტის ეს მნიშვნელოვანი სპეციალური მაკვალიფიცირებელი ნიშანი შეიცვალოს შემდეგი შინაარსის რედაქციით:

განზრახ მკვლელობა:

ა) პირის მიერ ფეხმძიმე ან წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა.

ბ) პირის მიერ არასრულწლოვნის ან წინასწარი შეცნობით მცირეწლოვნის უმწეო მდგომარეობაში მყოფისა.

აღნიშნული რეკომენდაცია კანონმდებლის მისამართით უნდა მეტყველებდეს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფეხმძიმე¹ ან ორსული ქალის სიცოცხლე. მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს მკვლელის განზრახვას წინასწარი შეცნობით თუ უშუალოდ მკვლელობისას აღმოჩნდება რა, რომ ქალი ფეხმძიმე ან ორსული ან არასრულწლოვანი ან უმწეო მდგომარეობაში ყოფილა, კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს ჩადენილ ქმედებას 109-ე მუხლის მე-2 ნაწილის ა) და ბ) ქვეპუნქტებით. ამ წინადადებით 109-ე მუხლი უფრო მეტ პრევენციულობას შეიძენს და აქედან გამომდინარე, ამ კონკრეტული სპეციალური ნიშნებით მკვლელის მიმართ არ უნდა იყოს პასუხისმგებლობის შერბილების არც ერთი გარემოება.

ამგვარი ლოგიკური მსჯელობა მეტყველებს იმაზეც, თუ რამდენად განიცდის ტრანსფორმაციას წინასწარი შეცნობა დროსა და სივრცეში, რომელიც იწყება დანაშაულის მომზადებიდან მკვლელობამდე, გადაიქცევა თანმდევი დანაშაულის ჩადენის პროცესის შემადგენელ ნაწილად და ამავედროულად გვევლინება დანაშაულებრივი განზრახვის დანამატად, ე.ი. ყალიბდება ბრალის შერეული ფორმა გათვალისწინებული სსკ-ის მე-11 მუხლით. თუმცა კანონმდებელი წინასწარი შეცნობით დანაშაულის კვალიფიკაციას ახდენს იმავე ნორმით, როგორც სპეციალური მაკვალიფიცირებელი ნიშნის. აქედან გამომდინარე, ასეთ მსჯელობას მივყავართ იქამდე, რომ ამგვარი კვალიფიკაცია შეიძლება მოვიახროთ ბრალის შერეული ფორმის ქვესახეობად ან თავისებურებადაც კი. ყოველივე ეს კი უფრო მეტ გამჭვირვალობას შესძენს ბრალის შერეული ფორმის ინსტიტუტს. ზოგიერთი დანაშაულის შემთხვევაში (მაგ. სსკ-ს 186-ე მუხლით „წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექმნა ან გასაღება“), როდესაც ადგილი აქვს ერთდროულად ასეთი გზით ნივთის შექმნისა და გასაღების მიზანს, მაშინ კვალიფიკაცია მიგვითითებს ერთიანი დანაშაულის – დენადი დანაშაულის ნიშნებზე, რამაც ბუნებრივია კიდევ დამატებით უნდა დაამძიმოს დანაშაულის სუბიექტის პასუხისმგებლობის ხარისხი.

გარდა ამისა, კანონმდებელი სისხლის სამართლის კოდექსის მე-11 მუხლის „პასუხისმგებლობა თანმდევი შედეგით გათვალისწინებული განზრახვი დანაშაული-

¹ სამედიცინო თვალსაზრისით, ფეხმძიმე და ორსული იდენტური ცნებებია, მაგრამ რელიგიური თვალსაზრისით (რასაც არ უნდა უარყოფდეს სამართალი და თვით მედიცინაც) ფეხმძიმედ ქალი ნაყოფის ჩასახვის მომენტიდან, ხოლო ორსული – ნაყოფის გულისცემის დაწყების მომენტიდან უნდა ითვლებოდეს.

სათვის“ 1-ლი პუნქტით აწესებს სასჯელის გადიდებას მხოლოდ იმ თანმდევი შედეგის გამო, რომელსაც მოიცავდა დამნაშავეის განზრახვა, თუ პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება. ამავე მუხლის მე-2 პუნქტით: „განზრახი დანაშაულის სხვა მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ნიშანს მოიცავდა მისი განზრახვა“. მაშასადამე, მე-11 მუხლის პირველ ნაწილში თვალნათლივ სჩანს ბრალის შერეული ფორმა, მაგრამ მის შინაარსში წინასწარი შეცნობა სამართლებრივად არც არის და არც მოიაზრება. ე.ი. ზოგადი ნაწილის ამ ნორმის პრინციპიდან გამომდინარე, კერძო ნაწილის კონკრეტულ ნორმაში ჩადებული სპეციალური მაკვალიფიცირებელი ნიშნით დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეცნობით არ უნდა ითვალისწინებდეს სასჯელის გადიდებასაც, რაც აბსურდია. ხოლო მე-11 მუხლის მეორე პუნქტი ცალსახად მოიცავს წინასწარი შეცნობის ნიშანს, რაც საკმარისი არაა ამ ინსტიტუტის სრული აღქმისათვის. ჩვენი მიზანია, რომ წინასწარი შეცნობა გახდეს მე-11 მუხლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და შემადგენელი პირობა და მისი შინაარსი გავამდიდროთ ისეთი ტერმინოლოგიით, როგორიცაა „წინმსწრები განზრახვა“ ან „თანმდევი განზრახვა“. აქედან გამომდინარე, მე-11 მუხლი თავისი დასახელებითა და შინაარსით შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 11. პასუხისმგებლობა თანმდევი განზრახვისათვის ან თანმდევი შედეგით კვალიფიცირებული განზრახი დანაშაულისათვის.

1. თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანმდევი განზრახვითაც ჩადენილ დანაშაულზე, რომელსაც მოიცავდა პირის პირვანდელი განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება სავალდებულოა, თუ ამის შესახებ მითითებული არაა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის კონკრეტულ ნორმაში.
2. განზრახი დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანი პირს ბრალად შეერაცხება მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი განზრახვა წინასწარი შეცნობით მოიცავდა ამ ან სხვა ნიშანს ან დანაშაულის ჩადენის მომენტში გახდა მისთვის შეცნობილი.
3. თუ სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სასჯელის გადიდებას იმ თანმდევი შედეგის დადგომის გამო, რომელსაც არ მოიცავდა პირის განზრახვა, მაშინ ასეთი გადიდება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პირმა ეს შედეგი გაუფრთხილებლობით განახორციელა. ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება“.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, კანონმდებელმა, ჯერ კიდევ 2010 წლის ნოემბრის თვეში სისხლის სამართლის კოდექსში საკანონმდებლო ცვლილებებით, მოახდინა დანაშაულის მომზადების (მუხ. 18) პენალიზაცია. კერძოდ, თუ ამ პერიოდამდე დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებული იყო მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებების ჩადენისათვის, აღნიშნული ცვლილებით დააწესა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა რვა სახის ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის. ეს მუხლებია: 182, 186, 221, 332, 339, 339¹, 365 და 372. კანონმდებლის ასეთი პოზიცია გავრცელდა სისხლის სამართლის კოდექსის 375-ე მუხლზე – დანაშაულის დაფარვაზე წინასწარ შეუპირებლად. კანონმდებლის ასეთი პრინციპული პოზიცია გვაფიქრებინებს იმას, რომ წინასწარი შეცნობით დანაშაულის ჩადენაზე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მიუთითოს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-18 და კერძო ნაწილის 375-ე და 376-ე მუხლებშიც, რამეთუ წინასწარი შეცნობა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ,

ცალსახად მიუთითებს დანაშაულის მომზადების განსაკუთრებულ თავისებურებაზე – დანაშაულებრივი განზრახვის ჩადენის უფრო მეტ ალბათობასა და მნიშვნელობაზე.

რაც შეეხება წინასწარი შეცნობის ინსტიტუტის ჩართვას სსკ-ის მე-19 მუხელში „დანაშაულის მცდელობა“, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რამეთუ ასეთი შეცნობა დანაშაულის ჩადენის პროცესში დანაშაულის სუბიექტის ან ამსრულებლის მხრიდან იქნეს ე.წ. „ექსცესურ“ ხასიათს, რომლის განხორციელებითაც შესაძლებელია, რომ დანაშაულებრივ შედეგზე უფრო მეტი სხვა მძიმე შედეგი იქნეს მიღწეული. აქედან გამომდინარე, წინასწარი შეცნობა თავისი არსით შეიძლება მოვიანზროთ კიდევ, როგორც წინასწარი მომზადება, რომელიც მეტად მართებული იქნებოდა (რასაც დღეს არ აქვს ადგილი საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკაში). მაგალითად, 109-ე მუხლის ა) და ბ) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სპეციალური მაკვალიფიცირებელი ნიშანი დაკვალიფიცირდეს შემდეგნაირად: მუხლი 18, 109-ეს მე-2 ნაწილი ა) ქვეპუნქტით განზრახ მკვლელობა ფეხმძიმე ქალის ან წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა. ასეთივე კვალიფიკაციის კონსტრუქცია გამოყენებული და გავრცელებული უნდა იქნეს სხვა დანარჩენი წინასწარი შეცნობით შემცველ შემადგენლობებზეც.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნაწილის მე-19 მუხლი – დანაშაულის მცდელობა შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ან ამ განზრახი დანაშაულის ჩადენისას წინასწარი შეცნობით გამიზნული ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“. სწორედ ამ მუხლის ასეთი რედაქტირებით, ვიმედოვნებთ, რომ კანონმდებელი უფრო მეტად გააფართოებს წინასწარი შეცნობის ინსტიტუტს მისი უშუალო ციტირებით სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილშიც, რითაც გამოირიცხება ამ ინსტიტუტის მიმართ ასეთი ვიზუალური მიდგომა.

კანონმდებელი არ საუბრობს იმაზე, უნდა შეეფარდოს თუ არა იმ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა წინასწარი შეცნობისათვის შეუტყობინებლობისათვის, რომელმაც იცოდა ამის შესახებ. წინასწარი შეცნობით 23 დანაშაულის შემადგენლობის დეტალურმა ანალიზმა დაგვანახა შემდეგი:

1. პირმა, რომელმაც იცოდა წინასწარი შეცნობის შესახებ სისხლის სამართლის კოდექსის 376-ე მუხლის საფუძველზე მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში 11 დანაშაულზე, ვინაიდან აღნიშნულ ნორმებში წინასწარი შეცნობა წარმოადგენს მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებებს. ეს დანაშაულებებია: მუხ: 109, 131, 137, 138, 143, 143¹, 143², 144, 144¹, 253 და 331¹.

2. წინასწარი შეცნობის შესახებ პირი არ მიეცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში 10 დანაშაულისათვის, რადგან ისინი წარმოადგენენ ნაკლებად მძიმე დანაშაულებებს. ეს დანაშაულებებია: მუხ. – 117, 125, 132, 134, 140, 141, 143¹, 150, 186 და 189¹.

3. ორი მუხლი 126 და 143² წარმოადგენს შერეულს, ე.ი. ისინი კვალიფიცირდებიან, როგორც ნაკლებად მძიმე, ისე მძიმე კატეგორიის დანაშაულებებად, რომელთა საფუძველზეც სასამართლო მიიღებს სათანადო გადაწყვეტილებას ან ერთზე ან მეორეზე მითითებით.

ზემოთ აღნიშნული ავტორისეული პოზიცია ეყრდნობა და გამომდინარეობს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მოქმედი პრინციპებიდან. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებელი გაიზიარებს ჩვენს მოსაზრებას და ზემოთ აღნიშ-

ნულ მე-18, 375-ე და 376 მუხლებში შეიტანს სათანადო კორექტირებას, მაშინ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დანაშაულის დაფარვისათვის და შეუტყობინებლობისათვის გავრცელდება ყველა 23 შემადგენლობაზე, რომელებიც მოიცავენ წინასწარ შეცნობას.

გარდა ამისა, მეტად საინტერესოა კვალიფიკაციისა და მისგან გამომდინარე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის ერთიანი დანაშაულის დროსაც. პირველ რიგში, აღვნიშნოთ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის 376-ე მუხლის დისპოზიცია, რომ: „შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის, რომ მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული“ (1), მეორე რიგში, ერთიანი დანაშაულის დენადი სახე მიუთითებს ერთიან განზრახვაზე, რომლის ჩადენაც იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და შემდეგ ხორციელდება უწყვეტად დროსა და სივრცეში, ხოლო მეორე სახე განზრახვადი დანაშაული მიუთითებს ერთიან მიზანზე და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებაზე. თავისი არსით, ზოგადი ნაწილის ეს ორი ნორმა (მუხ. 13 და მუხ. 14) წარმოადგენს დაუმთავრებელი დანაშაულის ე.წ. ქვესახეობას, რომლებშიც გამოიკვეთება მომზადებაც და მცდელობაც და ამავე დროს დამთავრებული დანაშაულიც. სწორედ აქედან გამომდინარე, უწყვეტობისა (მუხ. 13) და ქმედების მრავალჯერადობის (მუხ. 14) ფაქტებს უკავშირდება რა სსკ-ის 376-ე მუხლის „დანაშაულის შეუტყობინებლობა“ დისპოზიციის პრინციპებს, მათი კვლევისას აღმოჩნდა, რომ სხვა პირის მიერ ერთიანი დანაშაულის არსებობის ცოდნის შესახებ, იგი არ მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისგებაში დანაშაულის შეუტყობინებლობისათვის. პასუხი მარტივია (რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 376-ე მუხლის დისპოზიციაში დევს) – შეუტყობინებლობისათვის ისჯება პირი, რომელმაც იცის მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მომზადების ან ჩადენის შესახებ. აქედან გამომდინარე, იმ ერთიან დანაშაულებებში, რომლებიც ძირითადად ატარებენ ფარულ ხასიათს, არ მოიცავენ რა არც მომზადების და არც დამთავრებული დანაშაულის ნიშნებს, პირის მიმართ პასუხისმგებლობა გამოირიცხება, რაც სამართლებრივად არ არის სწორი. სასურველია, რომ კანონმდებელმა შესაბამისი კორექტირება შეიტანოს მასში, დააწესოს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა და 376-ე მუხლის დისპოზიცია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „შეუტყობინებლობა იმის მიერ, ვინც ნამდვილად იცის ერთიანი დანაშაულის შესახებ ან მზადდება ან ჩადენილია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული“.¹

ამრიგად, წინამდებარე სტატიაში ჩვენ შევეცადეთ სისხლისსამართლებრივად დაგვეხასიათებინა და მოგვეხდინა შედარებითი იურიდიული ანალიზი ისეთი დანაშაულის სპეციალური მაკვალიფიცირებელი ნიშნისა, როგორცაა დანაშაულის ჩადენა წინასწარი შეცნობით. იგი, როგორც დანაშაულის მომზადების ერთ-ერთი წინაპირობა, ამავედროულად პირდაპირ მიუთითებს მხოლოდ პირდაპირ განზრახვაზე. დანაშაულის სუბიექტს შეგნებული უნდა ჰქონდეს, რომ მის მიერ ჩადენილი ქმედება შესაძლებლობას ქმნის მომავალში დანაშაულის განსახორციელებლად და სურს ამ დანაშაულის განხორციელება. ამასთანავე, იგი წარმოადგენს დანაშაულის მომზადების ე.წ. დამატებულ წინაპირობას, რომელიც მიუთითებს დანაშაულის ჩადენის არა მარტო მოტივაციაზე, არამედ მის უფრო მეტ ორგანიზებულობასა და დაუოკებელ მისწრაფებაზე, რომ მიუხედავად ყოველგვარი ბარიერისა თუ ხელყოფის ობიექ-

¹ ამ სასურველი ცვლილებით ჩვენ არ მივუთითებთ კანონმდებლობის კრიმინალიზაციაზე და პენალიზაციაზე. პირიქით, ასეთი ნაბიჯი მიმართულია ნორმის შინაარსის დახვეწისკენ.

ტის სოციალურ-სამართლებრივი მდგომარეობისა, მიაღწიოს დანაშაულის მიზანს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, იურიდიული და შედარებითი ანალიზის მეთოდებით მოვახდინეთ ზოგიერთი დასკვნისა და სარეკომენდაციო ხასიათის წინადადების შემუშავება, რომლებიც უფრო მეტად დახვეწავს აღნიშნული ნორმების შინაარსს და ხელს შეუწყობს სტუდენტ-იურისტებს, გამომძიებლებს, პროკურორებსა და მოსამართლეებს დანაშაულის კვალიფიკაციის წარმოებასა და მეთოდურად შესწავლა-ანალიზში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 უახ. რედ., 2011.
2. პ. დაუთაშვილი, სისხლის სამართალი (ზოგადი და კერძო ნაწილები) თბ., 2008.
3. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ზოგადი ნაწილის კომენტარები, თბ., 1976.

Petre Dautashvili

Scienter and problems of crime qualification

Summary

The present scientific article deals with the qualification of a crime committed with prior knowledge and problems of criminal responsibility that stem from it. *Scienter* that is ‘prior knowledge’, as one of the preconditions of a crime, is simultaneously a direct indication to only prior intent and the so-called added precondition of the preparation and attempt of a crime. In addition, by means of legal and comparative analysis of the problem, we have also developed some conclusions and proposals which, we hope, will further perfect the content of prior understanding of special qualifying signs of this or that norm and help jurists to study and analyze the issues of qualification of a crime in a methodical manner.

Петр Дауташвили

*Умышленное совершение преступления
и проблемы их квалификации*

Резюме

В данной статье речь идет о проблемах уголовной ответственности и квалификации преступлений, которые совершены умышленно. Умышленное совершение преступления является одним из основным условием замышления преступления, которое вместе с тем одновременно прямо указывает не только на прямой умысел, но и на покушение преступления т.н. дополнительную предпосылку. Кроме этого, на основании методов сравнительного анализа этой проблемы, смогли выработать некоторые заключения и предложения рекомендательного характера.

ჯანო წულუკიძე
(საქართველო)

წყლის ფონდის მიწის სამართლებრივი რეჟიმი

საქართველოს წყლის ყველა ობიექტში არსებული წყლის ერთობლიობა ქმნის წყლის სახელმწიფო ფონდს, რომელსაც განეკუთვნება: საქართველოს ტერიტორიაზე არსებული და გამავალი მდინარეები, ტბები, წყალსაცავები, სხვა ბუნებრივი და ხელოვნური ზედაპირული წყალსაცავები, აგრეთვე არსებისა და ტბების წყლები; მიწისქვეშა წყლები, მყინვარები, ჭაობები, საქართველოს ტერიტორიული წყლები, განსხვავებული ეკონომიკური ზონის წყლები.

წყლის სახელმწიფო ფონდის მიწად მიიჩნევა ის მიწა, რომელიც დაკავებულია ზემოთ ჩამოთვლილი ობიექტების მიხედვით (მიწისქვეშა წყლების გარდა), ჰიდროტექნიკური და სხვა წყალსამეურნეო ნაგებობებით, აგრეთვე მიწა, რომელიც გამოყოფილია წყლის ობიექტების წყალდაცვით ზონად, სანიტარული დაცვის ზონად და ა.შ. საქართველოს წყლის ფონდის მიწებს უკავია 147.5 ათ-კა ფართობი.

– წყლის სახელმწიფო ფონდის მიწა გამოიყენება იმ ნაგებობათა მშენებლობისა და ექსპლუატაციისათვის, რომლებიც უზრუნველყოფს სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო, საკურორტო და წყალზე სხვა საჭირო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას (სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო, თევზის მეურნეობის, ენერგეტიკული, სატანსპორტო და სხვა).

საქართველოს წყლები, მათი მიწის ზედაპირზე და წიაღში განლაგების ნიშნით, რესურსების ფორმირებისა და გამოყენების თავისებურებათა მიხედვით, იყოფა ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლებად.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული წყალი სახელმწიფო საკუთრებაა და გაიცემა მხოლოდ სარგებლობისათვის. აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელიც პირდაპირ ან ფარული ფორმით ხელყოფს წყლის სახელმწიფო საკუთრების უფლებას.

მიწაზე საკუთრების უფლება არ იძლევა ამ მიწაზე არსებული ან გამდინარე ზედაპირული ან მიწისქვეშა წყლებით სარგებლობის უფლებას. საქართველოს წყალსარგებლობა ფასიანია, გარდა საერთო წყალსარგებლობისა.

წყალდაცვით ზოლებს მიეკუთვნება მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, სანაპირო, მაგისტრალური და სხვა არხების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ზოლები.

მდინარის წყალდაცვით ზოლად მიჩნეულია მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელშიდაც მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების გაანგარიშების, დანიშნულების მოწამვლისა და დაშრეტისაგან დასაცავად.

მდინარის წყალდაცვითი ზოლის სიგანე ითვლება მდინარის კალაპოტის კილიდან ორივე მხარის მეტრებში შემდეგი წესით: 25 კმ-მდე სიგრძის მდინარისათვის – 10 მეტრი, 50 კმ-მდე – 20 მ, 75-30 მეტრი და 75 კმ-ზე მეტი სიგრძის მდინარისათვის 50 მეტრი.

წყალმოსარგებლეს შეიძლება იყოს ფიზიკური ან იურიდიული პირი (საკუთრების და ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის განურჩევლად), მათ შორის, უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელიც ახორციელებს წყალსარგებლობას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

წყალმოსარგებლეს უფლება აქვს გამოყოფილი მიწის მინაკუთვნის ფარგლებში ლიცენზიით განსაზღვრული მიზნით აწარმოოს მეურნეობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას; მიწის მესაკუთრესა და მიწათმოსარგებლეს

უფლება აქვთ გამოიყენონ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული წყლის ობიექტები ლიცენზიის გარეშე, მხოლოდ საერთო წყალსარგებლობის ფორმით, თუ ამით არ ზარალდება სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი და არ არის მოსალოდნელი წყლის მახასიათებლების არასასურველი ცვლილებები.

ლიცენზია არის მიწის და სამთო მინაკუთვნის გამოყოფისა და სარგებლობაში გაცემის ერთადერთი საფუძველი.

წყალსარგებლობის ლიცენზია უნდა მოიცავდეს:

- ცნობებს წყლის ობიექტის შესახებ;
- ცნობებს წყალსარგებლობის შესახებ;
- ცნობებს წყლის მომხმარებლებზე;
- წყლის ობიექტის გამოყენების მიზნის და ხერხების ჩვენებას;
- ცნობებს წყალსარგებლობის ლიმიტის შესახებ;
- ცნობებს წყალმომხმარებლის ვალდებულებების თაობაზე;
- ლიცენზიის მოქმედების ვადას;

- მოთხოვნებს წყლის რესურსების რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის თაობაზე, რომლებიც გაიცემა წყალთა მეურნეობის შესაბამისი ორგანოების მიერ, ლიცენზიასთან ერთად, წყალსარგებლობა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე.

წყლის კანონმდებლობის დარღვევისათვის გათვალისწინებულია სისხლის, ადმინისტრაციული, მატერიალური და დისციპლინარული სასჯელი.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ვრცელდება ყველა დარღვევაში, რომელიც იწვევს საზოგადო საშიშ მოვლენებს. ადმინისტრაციული სასჯელი ხორციელდება წყლის ობიექტის მიტაცების, თვითნებურად გამოყენების, წესების დარღვევის, დაბინძურების, ნაგებობათა დაზიანების, ექსპლუატაციის წესების დარღვევების შემთხვევაში.

მატერიალური პასუხისმგებლობა ეკისრება ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, მათ უნდა აანაზღაურონ ზარალი წყლის არასწორი სარგებლობისათვის ფულადი სახსრებით, ან ნივთიერად.

დისციპლინარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ წყლის რესურსების გამოყენებისა და დაცვის საქმეს (სასჯელის ფორმა – შენიშვნა, საყვედური, სამსახურიდან გათავისუფლება). საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი 291 „წყლით სარგებლობის წესის დარღვევა“.

საქართველოს კანონი წყლის შესახებ, რომელიც მიიღეს 1997 წლის 16 სექტემბერს, აწესრიგებს საწყლო ურთიერთობებს ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების შესაბამისად, მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის წყლის მეცნიერულად, რაციონალური გამოყენების, გაჭუჭყიანების, დანაგვიანებისა და გაშრობისაგან წყლის დაცვის, წყლის მავნე ზემოქმედების თავიდან აცილებისა და ლიკვიდაციის, წყლის ობიექტების მდგომარეობის გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით და ა.შ. საქართველოს ერთიან სახელმწიფო წყლის ფონდს მიეკუთვნება: მდინარეები, ტბები, წყალსატევები, სხვა ზედაპირული წყალსატევები და წყაროები, არხებისა და ტბების წყლები, მიწისქვეშა წყლები და მყინვარები.

საერთო წყალსარგებლობა ხორციელდება ნებართვის გარეშე იმ პირობით, თუ დაცული იქნება სანიტარული ზედამხედველობის, თევზის მარაგის დაცვის ორგანოების, ნაოსნობის და ხე-ტყის დაცურების მომწესრიგებელ ორგანოთა მოთხოვნები, აგრეთვე წყალზე ადამიანის სიცოცხლის დაცვის და წყლის რაციონალურად გამოყენების წესები.

წყლით სარგებლობის წესის დარღვევის საერთო ობიექტია გარემოს დაცვა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წესი, გვარეობითაა გარემოს დაცვის წესი, ხოლო უშუალო ობიექტია წყლით სარგებლობის წესი.

სუბიექტია როგორც საერთო, ასევე სპეციალური ფიზიკური პირი.

ობიექტური მხარე გამოხატულია სამ ქმედებაში:

1. წყლის თვითნებური მიტაცება (საერთო წყალსარგებლობიდან წყლის ინდივიდუალური და უკანონო მიტაცება სარწყავად, სასმელად და ა.შ.);

2. ჰიდროტექნიკურ სამუშაოთა თვითნებური წარმოება საერთო სარგებლობის ქსელზე (შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს წყალ-კანალის ნებართვის გარეშე, წყლის საერთო სარგებლობის ქსელზე რაიმე სამუშაოთა თვითნებური წარმოება);

3. წყლის სარგებლობის წესის სხვა დარღვევა, რომელიც მნიშვნელოვან ზიანს იწვევს.

მნიშვნელოვანი ზიანი ამ დანაშაულის მაკვალიფიცირებელი ნიშანია, რომელიც შეიძლება გამოიკვეთოს ისეთ შედეგებში, როგორცაა წყალდიდობა, დატბორვა, წყლის შედგომა, ნაპირების რღვევა, დამცველი ჯებირების და სხვა ნაგებობათა დანგრევა, მიწების დაჭაობება და დამლაშება, ნიადაგის ეროზია, ხრამების, მეწყერების, ღვარცოფებისა და სხვა მოვლენათა წარმოქმნა.

დანაშაული დამთავრებულია ამ ნორმის დისპოზიციაში აღწერილი რომელიმე ქმედების შედეგის დადგომის მომენტში.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა თავისი ბუნებით პრევენციული ხასიათისაა, რომელსაც უფრო მეტად დაჯარიმებისა და გამაფრთხილებელი დატვირთვა აქვს. ადმინისტრაციული სამართლით გათვალისწინებული ნორმები ბრალეულ მხარეს ძირითადად აკისრებს ჯარიმებსა და აგრეთვე არაქონებრივი ხასიათის სახდელებს. ადმინისტრაციულ პატიმრობას და ა.შ. აღნიშნულ სანქციებს აქვს პირადი შეზღუდვითი ხასიათი და ისინი შესაძლებლობას აძლევენ მოქალაქეს სათანადოდ შეიგნოს გარემოსადმი ფაქიზი დამოკიდებულების აუცილებლობა, ბუნების დაცვისათვის კანონების სამართლიანობა, შექმნას საერთო განკიცხვის ატმოსფერო ყველას მიმართ, ვინც უდიერად ეპყრობა წყლის და წყლის რესურსების დაცვას. ამასვე ისახავს მიზნად დისციპლინარული პასუხისმგებლობა, რომელიც გამოიყენება ცალკეულ მომსახურეების მიმართ წყლისადმი უდიერი დამოკიდებულებისათვის.

წყლისა და წყლის რესურსებზე სახელმწიფო საკუთრების პირობებში ხშირად ჯარიმას უშუალოდ სამართალდამრღვევი კი არ იხდიდა, არამედ თვითონ დაწესებულება – იურიდიული პირი. საბოლოო ჯამში ეს იწვევდა წარმოების მიერ გამოშვებული პროდუქციის თვითღირებულების გაუმართლებელ ზრდას და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ნიველირებას.

ჯარიმების გამოყენება, მათი დადებისა და გადახდევინების წესი ისაზღვრებოდა მთავრობის მიერ მიღებული სპეციალური დადგენილებით. ჯარიმა ეკისრებოდა იმ თანამდებობის პირებს, რომლებიც თავიანთ მოვალეობას წესისამებრ არ ასრულებდნენ, არ იბრძოდნენ დამრღვევთა წინააღმდეგ.

ამჟამად მოქმედი კანონმდებლობით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ ფიზიკურ პირებს.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
2. კანონი წყლის შესახებ, თბ., 1997.
3. ურუშაძე თ., ლორია ვ., ეკოლოგიური სამართალი, თბ., 1996.

4. Бринчук М.М. Экологическое право России, 2009.
5. Богодюбов С.А. Экологическое право, 2011.
6. ტურაბელიძე ნ., საქართველოს მიწის სამართალი, თბ., 2011.
7. დაუთაშვილი პ., საქართველოს სისხლის სამართალი, თბ., 2008.

Jano Tsulukidze
Legal Policy of the Water Stock Lands
Summary

The totality of water existing in every water object of Georgia forms national water stock that includes: existing on the territory of Georgia and current rivers, lakes, reservoirs, other natural and man-made reservoirs, canal and pond waters, ground waters, glaciers, bogs, territorial waters of Georgia and different economic zone waters.

The lands of water stock are the category of land that is occupied by the above-mentioned objects (except ground waters), hydraulic and water utility facilities, and also the land allocated as a water protection zone, sanitary zone and etc.

Джано Цулукидзе
Правовой режим водно-земельного фонда
Резюме

Во всех объектах в Грузии объединение существующих вод создает государственный фонд, к которой относятся: существующие на территории Грузии и протекающие реки, озера, водохранилища и другие естественные и искусственные водоемы, подземные воды, ледники, болота, грузинские территориальные воды и др.

Водно-земельным фондом является та земля, которая занята вышеперечисленными объектами (помимо подземных вод), гидротехнические и другие воднохозяйственные здания, а также земля, которая выделена как зона для защиты вод, санитарная зона и т.д.



პეტრე დაუთაშვილი, არჩილ კონცელიძე
(საქართველო)

მედია და სისხლის სამართალი

ზოგადი შეფასების კუთხით თუ ვიმსჯელებთ, მედია და სამართალი – ორი ერთმანეთისგან განყენებული ფენომენია, მაგრამ თუ დაწვრილებით განვიხილავთ, ზემოაღნიშნულ ორ ინსტიტუტს ერთმანეთთან მეტად მჭიდრო კავშირი გააჩნიათ.

სისხლის სამართალი, როგორც სამართლის დარგის შემადგენელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი თავისი მიზნების მისაღწევად იყენებს მედიას, თავის მხრივ მედიაც, ხშირად პოპულარიზაციის მიზნით, კავშირშია სისხლის სამართალთან.

დაწვრილებით განვიხილოთ მედიისა და სისხლის სამართლის დამაკავშირებელი მთავარი პრინციპები, შემდგომ კი შევეცადოთ განვიხილოთ ის ძირითადი წინააღმდეგობები, რასაც პრაქტიკაში ვაწყდებით მედიისა და სისხლის სამართლის ურთიერთკავშირის დროს.

სისხლის სამართალი – კერძოდ, პრაქტიკულად კი გამოძიება, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მედიაზე. ხშირად გამოძიება იყენებს მედიას ინფორმაციის გასავრცელებლად და საგამოძიებო მოქმედებების წარმატებით ჩატარება ბევრ შემთხვევაში სწორედ მედიაზეა დამოკიდებული.

სამართლებრივი აქტების ნაწილი (მათ შორის სისხლისსამართლებრივი აქტების) სავალდებულო წესით საჭიროებს გამოქვეყნებას პრესაში (მაგ.: “საკანონმდებლო მაცნე”). შეიძლება ითქვას, რომ პრესა ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი და ეფექტური საშუალებაა კანონმდებლის მიერ მიღებული აქტების ადრესატებამდე (საზოგადოებამდე) მისატანად. საგამოძიებო ორგანოები ხშირ შემთხვევაში ძალზე ეფექტურად იყენებენ ტელევიზიას, როგორც ინფორმაციის მასობრივი გავრცელების საშუალებას. ხშირად ტელევიზიის საშუალებით გადმოიცემა ამა თუ იმ პირის ძებნილად გამოცხადების ფაქტი, რაც საზოგადოებას აწვდის ინფორმაციას, აძლევს თავდაცვისა და მობილიზების საშუალებას.

პროფესიონალ გამოძიებელს, თუ მას შეუძლია ინფორმაციის სწორად მართვა, მისი მიზანმიმართული გამოყენება და ინფორმაციის გავრცელების სწორი ორგანიზება, ასევე შეუძლია სისხლის სამართლის საქმეებიც კი გახსნას პრესის მეშვეობით. საგამოძიებო საქმიანობაში ცნობილი ფაქტია, რომ სატელევიზიო განცხადებაზე – ჩადენილი დანაშაულის თაობაზე, საგამოძიებო ორგანოებთან პირველი კონტაქტში შედის დამნაშავე, ყველა მომხდარი შემთხვევის თაობაზე, უბრალოდ ცვლის მოქმედ გმირებს ან ფაქტებს თავის სასარგებლოდ (იმ მიზნით, რომ კვალი დაფაროს და თავიდან აიცილოს მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა), რაც, ერთი მხრივ, გამოძიებელს აწვდის ზუსტ ინფორმაციას მომხდარი ფაქტის თაობაზე, მეორე მხრივ, უმცირებს სავარაუდო დამნაშავეთა წრეს და გამორიცხვის მეთოდის გამოყენებით უადვილებს დანაშაულის გახსნას.

ტელევიზიის მეშვეობით ხშირად გადის სარეკლამო რგოლები მოწოდებით საზოგადოებისადმი, რომ ითანამშრომლონ პოლიციასთან. ასევე აპრობირებულ მეთოდს წარმოადგენს საკანონმდებლო ნოვაციების რეკლამირება. მაგალითად, აქტიური რეკლამა ხდებოდა სისხლის სამართალში შემოტანილი ისეთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ნოვაციისა, როგორიც არის – ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბუნებრივია, სამართლებრივადაც, რომ მედია არა მარტო სისხლის სამართლის კანონმდებლობის პოპულარიზაციას უწ-

ყოფს ხელს და ეხმარება საგამომიებო ორგანოებს, არამედ ასევე მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს საზოგადოებაში სამართლებრივი ცოდნის ამაღლებას.

მოვიყვანოთ კონკრეტული მაგალითი: როცა ერთ დღეს ტელევიზიით აჩვენებენ თუ როგორ დააკავეს პირი ქურდობის ფაქტზე და მიუსაჯეს მას პატიმრობა, მეორე დღეს პოტენციური ქურდი, ვინც ეს ვიდეორგოლი იხილა, უფრო მაღალი ალბათობით იქნება მოტივირებული, რომ არ ჩაიდინოს დანაშაული, რადგანაც ის უკვე გათვითცნობიერებული იქნება იმაში, რომ თუ ის ჩაიდენს დანაშაულს, მასაც იგივე ბედი ეწევა, რაც იმ ქურდს, რომელიც ხელებზე ბორკილებდადებული იხილა ტელევიზიით.

საკანონმდებლო ნოვაციების შემთხვევაში (მაგალითისთვის იგივე შემთხვევაში – სისხლის სამართალშიც) მედია არის უმნიშვნელოვანესი საშუალება კანონმდებელსა და საზოგადოებას შორის პირდაპირი კონტაქტის დასამყარებლად.

ახლა კი განვიხილოთ უარყოფითი მხარე ანუ ის წინააღმდეგობები და პრობლემები, რომლებსაც ვაწყდებით მედიისა და სისხლის სამართლის ურთიერთშეხების პროცესში.

მედიის საშუალებით შეიძლება ჩადენილ იქნეს უამრავი ისეთი დანაშაული, რაც დასჯადია სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობით. მაგალითად: ტელევიზიით საიდუმლო ინფორმაციის გამჟღავნება; ამა თუ იმ პირზე სახელგამტეხი ცნობების გავრცელება; სახალხო მოწოდება დაუმორჩილებლობის, ხელისუფლების შეცვლის თუ ტერორიზმისკენ. როგორც ვხედავთ, მედიის საშუალებით თავისუფლად არის შესაძლებელი უამრავი სისხლისსამართლებრივი დანაშაულობის ჩადენის ე.წ. რეკლამირება.

მედია თვალსაჩინო როლს ასრულებს ომისა და საგანგებო სიტუაციების დროს. შეგვიძლია მოვიყვანოთ მაგალითები საქართველოს უახლოესი წარსულიდან. საკითხი ეხება 2008 წელს საქართველო-რუსეთის ომის დროს განვითარებულ მოვლენებს. ამ დროს მედია აქტიურად მუშაობდა ცხელ წერტილებში და პერიოდულად აწვდიდა ინფორმაციას საზოგადოებას. ხშირ შემთხვევაში ტელევიზიით ნახვენები შეტაკების და აფეთქების კადრები დამაშინებელ ეფექტს ახდენდა ადამიანებზე. ასეთ კადრებს შეიძლება ითქვას, რომ ჰქონდა პირდაპირი დაშინებისა და ტერორის ეფექტი საზოგადოებაზე, რომელიც ჩვენი ოპენენტის წისქვილზე ასხამდა წყალს. მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ ეს მედიის მხრიდან წინასწარგანზრახულად არ ხდებოდა, პირიქით, მას სურდა წარუშლელი ფაქტების ფიქსირება. თან ესეც რომ არა, აქ ორი სიკეთის თანაფარდობასთან გვაქვს შეხება, პირველი – საზოგადოების უფლება მიიღოს და გაავრცელოს დაუბრკოლებლად ინფორმაცია, ხოლო მეორე – ის მაგნე ეფექტი, რაც გამოიხატება აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შედეგში – საზოგადოების დაშინებასა და ტერორში.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მედია არა მარტო სახელმწიფოს და სამართალს უწყვეს დახმარებას, არამედ კრიმინალებსაც ეხმარება დასახული ბოროტი მიზნების განხორციელებაში. ამისი ნათელი მაგალითია ისეთი ტრანსნაციონალური დანაშაული – როგორც არის ტერორიზმი. ცნობილი ფაქტია, რომ ტერორიზმის მიზანს წარმოადგენს საზოგადოების, ხელისუფლების დაშინება და დატერორება. ამ გზით კი მათი დათმობაზე, თუ დათანხმებაზე წასვლა და ა.შ. ტერორისტების მიერ დასახული მიზნების შესრულებაში კი უპირველესი დამხმარის როლს სწორედ მედია ასრულებს. მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 2001

წლის 11 სექტემბერს მომხდარი საზარელი ტერორიზმის რეალური მაგალითი, ცათამბჯენების დანგრევის და დატრიალებული ტრაგედიის შემთხვევა პირდაპირი ეთერით გადაიკა არა მარტო ამერიკაში, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. ამ ყველაფერმა თავზარი დასცა არა მარტო აშშ-ს, არამედ მთელ მსოფლიოს. გამოიწვია შიში, აჟიოტაჟი და ტერორი მსოფლიო საზოგადოებაში. ეს ყველაფერი ვის აწყობდა? – რა თქმა უნდა, ტერორისტებს, რომლებმაც დაგეგმეს და განახორციელეს დივერსიული აქტები. გამოდის, რომ მედია, ნებისთ თუ უნებლიეთ ტერორისტების „დამხმარე“ აღმოჩნდა მათ მიერ დასახული ბინძური მიზნების შესრულების პროცესში. აქედან შეიძლება ნათელი დასკვნის გამოტანა – მედია თვითონ ვერ დაარეგულირებს თავის ქცევას. მედიის ქცევა გარკვეულ ჩარჩოებში უნდა მოაქციოს სახელმწიფო ხელისუფლებამ და ამ გზით დაიცვას საზოგადოება. ერთი საკითხია ის, რომ ფაქტებს აფიქსირებს მედია და გადასცემს ისტორიას და მეორე საკითხია ის მავნე ეფექტი, რასაც ამ ფაქტების ჩვენებით იღებს საზოგადოება.

უადრესად აქტუალური და პრობლემური საკითხი მედიასთან მიმართებაში არის ასევე ის, რომ ქვეყანაში შიდა არეულობის დროს ხშირად მედია ასრულებს წამქეზებლის როლს, რომელსაც შეუძლია სამოქალაქო ომიც კი გამოიწვიოს. რა თქმა უნდა, უფრო უპრიანია, თუ მედია ორიენტირებული იქნება თავისი ფუნქციების შესრულებაზე და არა პოლიტიკური მდგომარეობის დაძაბვაზე ან პოლიტიკური შუღლის ჩამოგდებაზე ქვეყანაში, რაც არავისთვის არ არის სარგებლის მომტანი.

აქვე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ იმ სამწუხარო ფაქტზე, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს უახლოეს წარსულში. კერძოდ იყო შემთხვევები, როცა მედიის გაიგივებაც კი მოხდა კომერციასთან. შესაძლოა მედია გარკვეული კუთხით მაინც იყოს დაკავშირებული კომერციასთან (მაგალითად, იგივე – “რეკლამები”) მაგრამ დაუშვებელია კომერცია აკრძალული მეთოდების გამოყენებით. კერძოდ, ადამიანების დაშინებით, დატერორებით და ა.შ. რომლის პრაქტიკასაც, რაც არ უნდა სამწუხარო იყოს, ადგილი ჰქონდა საქართველოში. ამ კუთხით თამამად შეიძლება ითქვას, რომ მედია პირდაპირ წინააღმდეგობაში მოდის სამართალთან, რაც მკაცრად უნდა გააკონტროლდეს სახელმწიფო ხელისუფლების მიერ. თუ მედიას ვერ გააკონტროლებს სამართალი, უფრო დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ საზოგადოება ნაკლებად იქნება მოტივირებული იმისკენ, რომ თავი მოიქციოს სამართლის კონტროლის (სამართლებრივი რეგულირების) ქვეშ.

პრობლემატურ საკითხს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენს მედიის მიერ ძალადობის, ნარკოტიკების, ამორალური აქტების რეკლამირება. ამ გზით მედია უარყოფით ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდებზე. ამის ნათელი მაგალითია ნარკოტიკების რეკლამირება, როცა მასშტაბურად აჩვენებენ ტელევიზიით როგორ ჩაისუნთქავენ არასრულწლოვნები წებოს, როგორ ამზადებენ ნარკომანები ნარკოტიკს, ასევე პორნოგრაფიული სცენების ჩვენება პირდაპირ ეთერში (მაგალითად, ღამის 12 საათამდე), რაც პირდაპირ უწყობს ხელს ახალგაზრდებში მავნე ჩვევების ჩამოყალიბებას, მათ გარყვნას, საბოლოოდ კი ეს ყველაფერი ზიანს აყენებს არა კონკრეტულ ახალგაზრდას, რომელიც ნარკოტიკს მიეძალა, არამედ მთელ საზოგადოებას, რადგან პოტენციურად იზრდება დანაშაულობის დონე, რაც არა კონკრეტული ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის, არამედ, ხშირ შემთხვევაში, ზოგადსაკაცობრიო პრობლემად იქცევა ხოლმე.

დამნაშავეთა დაკავების ფაქტების ტელევიზიით ჩვენება უკვე აღარავისთვის

აღარ წარმოადგენს სიახლეს. საზოგადოება უკვე დიდი ხანია შეეგუა იმ აზრს, რომ ყოველ სადამოს ტელევიზიით აჩვენებენ თუ ვინ დააკავეს მაგალითად, ქრთამის აღების, მკვლელობის, ძალადობის ფაქტზე და ა. შ. მთავარი პრობლემა თავს მაშინ იჩენს, როცა ხდება ბრალდებულთა ე. წ. “გატელევიზორება” (ეჭვმიტანილის ინსტიტუტი ამოღებულ იქნა). ასეთ დროს იმის პროცენტული მაჩვენებელი, რომ ეს პირი გამართლდეს ან გამტყუნდეს, 50%-ს შეადგენს. გამართლების შემთხვევაში აღნიშნული პირის სახელი, პატივი, ღირსება და რეპუტაცია ილახება, რადგან იმავე მედიის მიერ, ფაქტობრივად, არ ხდება მისი რეაბილიტაცია. ამიტომ აღარ აქვს მნიშვნელობა აღნიშნულ პირს გაამართლებენ თუ არა, ის საზოგადოების თვალში მაინც დამნაშავედ რჩება.

ესეც რომ არა, როცა პირის დაკავების ფაქტს ტელევიზიით აჩვენებენ, მას ორმაგად სჯიან: ჯერ – სასჯელით ჩადენილი დანაშაულისათვის, შემდეგ კი იმით, რომ მთელ საზოგადოებას აჩვენებენ მის საქციელს, ლახავენ მის პატივსა და ღირსებას.

დაკვირვებულ თვალს არ გამორჩება ის ფაქტი, რომ ასეთი დაკავების დროს 99% დამნაშავეებისა სახეზე ხელს იფარებს, ემალება საზოგადოებას, არავის არ სურს “განტყვების ვაცის” როლი შეასრულოს. ეს ყველაფერი ნათლად მიანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ შეურაცხყოფელია ეს ყველაფერი მათთვის. აქედან ნათლად შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ დაუშვებელია ასეთი ხერხით ადამიანების წამება და მათი შეურაცხყოფა. ე. წ. “შავი პიარი” და სხვების უფლებების დარღვევა მედიის გამოყენებით აღარავისთვის სიახლეს აღარ წარმოადგენს, რაც ასევე დანაშაულია.

შესაძლოა დაკავებულთა ტელევიზიით ჩვენება აღმზრდელობითი როლის მატარებელი იყოს, მაგრამ დაუშვებელია კეთილი მიზნის მიღწევა ბოროტების გამოყენებით, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ ასეთ დროს სამართლებრივ სიკეთეთა თანაფარდობა ხშირ შემთხვევაში დარღვეულია. დაუშვებელია პირისათვის ასეთი მძიმე სულიერი ტანჯვის მიყენება. გამოდის, რომ პირს, ჩადენილი დანაშაულის გამო, საზოგადოების მტრად ვაცხადებთ იმის გაუთვალისწინებლად, რომ უმეტესი დანაშაულობებისა ისევე საზოგადოებიდან, სოციალური და ეკონომიკური ფაქტორებიდან მომდინარეობს და ტელევიზიით ვაჩვენებთ საზოგადოებას იმ მიზნით, რომ ყველამ კარგად დაიმახსოვროს მისი სახე, რათა მთელი ცხოვრების მანძილზე დამდადამუღმა იცხოვროს. ასეთ პირობებში რეალურად შეუძლებელია სასჯელის მიზნების მიღწევა, რაც დამნაშავეთა რესოციალიზაციაში და მათი უკან, საზოგადოებაში დაბრუნებაში და საზოგადოების ღირსეულ წევრობაში გამოიხატება.

განსაკუთრებით გვინდა ყურადღება გავამახვილოთ „სატელევიზიო დაკავებებზე“, რომელთა ბოლო ნაწილს მოსდევს შემდეგი სიტყვები: “ამა და ამ პირს სავარაუდოდ ემუქრება ან ბრალის დამტკიცების შემთხვევაში ემუქრება პატიმრობა – მაგალითად, 10-დან 15 წლამდე და ა. შ.” ასეთი კომენტარები, ჩვენი აზრით, დაუშვებელია და უნდა აეკრძალოს მედიას, უპირველესად იმიტომ, რომ ამ პირის ბრალეულობის საკითხი ჯერ დასამტკიცებელია, ესეც რომ არა, სასჯელის ზომის წინასწარი პროგნოზირებით მედია, ფაქტობრივად, ერევა სასამართლოს კომპეტენციაში და დამოუკიდებლობაში. მედია არ ითვალისწინებს ფაქტობრივ გარემოებებს, შემამსუბუქებელ თუ დამამძიმებელ ფაქტორებს და პირდაპირ სისხლის სამართლის კოდექსზე მითითებით ახდენს კვალიფიკაციას – რაც დაუშვებელია. მედიის მიერ 15 წელიწად “მისჯილს” სასამართლომ შესაძლოა სულაც 3 წელი მიუსაჯოს ან საერთოდ ალტერნატიული სადამსჯელო ღონისძიებით შემოიფარგლოს, მაგრამ ეს პირი საზოგადოების თვალში მაინც მკვლელად და ტირანად დარჩება, რომელმაც ჩაიდინა ისეთი დანაშაული, რაც ითვალისწინებდა 15 წლით

პატიმრობას სადამსჯელო ღონისძიების სახით. მეორე კუთხით ეს ასევე სხვა დიდ პრობლემას წარმოშობს, თუ ტელევიზიით გამოცხადდება, რომ პირი უნდა დაისაჯოს 15 წლით და სასამართლო თავისი გადაწყვეტილების სასჯელის ზომად აღნიშნულ პირს შეუფარდებს 3 წლით პატიმრობას, ეს დასცემს, თავის მხრივ, საზოგადოებაში სასამართლოს იმიჯს და რეპუტაციას, შეამცირებს საზოგადოების ნდობას სასამართლო აპარატისადმი.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით, კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემა იჩენს თავს მედიასა და სისხლის სამართლის ურთიერთკავშირის პროცესში. ეს საკითხი შეეხება გამოძიების პროცესის კონფიდენციალურობას. საქართველოს პრაქტიკაში ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება, როცა ადგილი ჰქონდა მედიის მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას გამოძიების დამთავრებამდე, რაც კანონმდებლობით პირდაპირ არის აკრძალული და ითვლება დანაშაულად. ეს ყველაფერი ხელს უშლიდა არა მარტო გამოძიების პროცესის წარმატებით და სრულად ჩატარებას, არამედ ხშირად იწვევდა ადამიანების უფლებების დარღვევასაც, მედიის ქმედებები ასეთ შემთხვევებში არც საგამომიებო ორგანოებისთვის იყო სასარგებლო და არც მოპასუხე მხარისათვის, ეს კი არც სახელმწიფოს და არც საზოგადოების ინტერესებში არ შედიოდა.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ, მართალია, სისხლის სამართალსა და მედიას მჭიდრო ურთიერთკავშირი აქვთ, სისხლის სამართალი ხშირად იყენებს მედიას დასახული მიზნების მისაღწევად, მაგრამ, ჩვენი აზრით, მედიის როლი აუცილებლად უნდა გაკონტროლდეს და შეიზღუდოს, აუცილებელია მათი ქცევის დაწვრილებითი საკანონმდებლო რეგულირება (მხოლოდ ჟურნალისტის ეთიკის კოდექსი არ არის საკმარისი ამისათვის) და ჩადენილ დანაშაულზე დროული რეაგირება. ელემენტალურად დაუშვებელია ტელეოპერატორისთვის ყველაფრის გადაღების უფლების მინიჭება. ამას ხშირად ის მოყვება შედეგად, რომ ჟურნალისტები უნებართვოდ, სხვისი საკუთრების ხელშეუხებლობის, პატივისა და ღირსების უფლების დარღვევით ახდენენ გადაღებებს ისე, რომ არც ნებართვას ითხოვენ და არც იმაზე ფიქრობენ, ამით მათ რა ნეგატიური შედეგის გამოწვევა შეუძლიათ, როგორც კონკრეტული პირებისთვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის.

სამწუხაროა, რომ მედია ორიენტირებულია არა იმაზე, თუ როგორი ეფექტური და საზრიანი სიუჟეტი შესთავაზოს საზოგადოებას, არამედ იმაზე, რომ რაც შეიძლება სენსაციური მასალა წარმოაჩინოს იმ მიზნით, რომ გამოიწვიოს აჟიოტაჟი საზოგადოებაში. ამას კი ხშირად კონკრეტული ადამიანების უფლებების დარღვევა მოსდევს შედეგად. აქედან გამომდინარე, თუ მედიის ფუნქციები უფრო დაიხვეწება და მიუახლოვდება იდეალურს, დაიხვეწება ურთიერთობა სამართალსა და მედიას შორის ეს მნიშვნელოვანწილად შეუწყობს ხელს, როგორც მედიის პოპულარიზაციას, ასევე დაეხმარება სახელმწიფოს სისხლის სამართლის სფეროში დასახული პროფილაქტიკური მიზნების ადვილად მიღწევაში და ზოგადად სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის ეფექტურად განხორციელებაში.

ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995.
2. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999 (უახ. რედაქციით, 2012).
3. პოლიცია და მედიასთან ურთიერთობის პოლიტიკა (რეკომენდაციები).
4. კანონი მაუწყებლობის შესახებ, თბ., 2005.
5. მედიის თავისუფლების ქრესტომათია.
6. მედიის პროფესიული სტანდარტები.

7. კლოდ ჟან ბერტრანი, მედია, ეთიკა და ანგარიშგაღებულების სისტემები, თბ., 2009.
8. ზურაბ ადეიშვილი, მედია და სამართალი, თბ., 2004.

Petre Dautishvili, Archil Kontselidze
The Media and the Criminal Law
Summary

The present article analyzes one more very important problematic issue relating to the interaction of the media and criminal law. This issue concerns the confidentiality of the investigation process. There have been many cases in Georgia when the media disclosed information before the completion of investigation, which is directly prohibited by the legislation and is considered a crime. This often got in the way of conducting a successful and full investigation, and also caused a violation of people's rights, which means that in such cases the actions of the media were useful neither for the investigative bodies nor the defendants. In other words, such actions were not in the interests of either the state or the public.

It can be argued that perfection of the functions of the media and bringing it to the ideal, as well as perfection of the relations between law and the media, would contribute significantly to the popularization of the media, as well as help the state achieve the goals it has set in the area of criminal law and, generally, implement the criminal law policy effectively.

In our opinion, the role of the media must be controlled and restricted. It is necessary to introduce a detailed legislative regulation of the behavior of news outlets (a code of journalistic ethics only is not enough to achieve this goal) and respond to committed crimes in a timely manner. It is simply impermissible to allow cameramen to film everything. This often results in journalists' making shots without permission and in violation of other people's rights to property and privacy, as well as to honor and dignity, and without thinking about the negative consequences they can cause for both concrete persons and the wider public.

Петр Дауташвили, Арчил Концелидзе
Масмедиа и уголовное право
Резюме

В данной статье проанализирован один из важнейших проблематичных вопросов между масмедиа и уголовным правом в процессе правовых отношений. Вопрос, в основном, касается конфиденциальности процесса следствия. В практике грузинских правоохранительных органов до окончания следствия очень часто имеет место разглашение масмедией той информации, которое уголовным законодательством Грузии запрещено и считается уголовным преступлением. Все эти обстоятельства очень часто препятствуют успешному и полному производству процесса следствия, которое не входит в интересы государства и общества.

Исходя из вышесказанного, если в будущем функции масмедиа будут выполняться на законном основании, более приблизятся к идеальному, взаимоотношение между масмедиа и следственными органами восстановится на должном уровне, то все это значительно будет способствовать усилению государства в борьбе с преступностью.

ეკონომიკა და ტურიზმი - ECONOMICS AND TOURISM – ЭКОНОМИКА И ТУРИЗМ

გელა სვირაგა, მაია ჭანია
(საქართველო)

ბანკოთარეზული ქვეყნების ეკონომიკაზე ბათანაბრებითი ფინანსური პოლიტიკის გავლენა

ქვეყნის მოსახლეობის ცხოვრების დონეში ობიექტური განსხვავება განპირობებულია რეგიონების ეკონომიკური, ბუნებრივ-კლიმატური, ბუნებრივ-რესურსული და ინფრასტრუქტურული თავისებურებით, რაც წარმოადგენს ობიექტურ საფუძველს ფინანსური გათანაბრებითი პოლიტიკის გატარებისათვის. ამასთან, რეგიონებს შორის განსხვავებას აქვს გარკვეული დადებითი მომენტები და შეაქვს დინამიზმი მათ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ განვითარებაში. ნებისმიერი სხელმწიფო ცდილობს, რომ რეგიონებში არ დაუშვას მწვავე კრიზისული სოციალური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და სხვა სახის მოვლენები, რომელიც გახდება მიზეზი ტერიტორიული დიფერენციაციის. ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის გამოიყენება ჰორიზონტული და ვერტიკალური ფინანსური გათანაბრება.

ფინანსური გათანაბრება წარმოადგენს სოციალურად ორგანიზირებულ სისტემურ ქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს რეგიონის ეკონომიკის მყარ და უსაფრთხო განვითარებას და აქვს მთავარი ორიენტირი – მოსახლეობის ცხოვრების დონისა და ხარისხის ამაღლება.

ფინანსური გამოთანაბრება ფინანსური სახსრების გადაადგილებაა ცენტრალური ბიუჯეტიდან რეგიონების ტერიტორიული ერთეულების ბიუჯეტში. ფინანსური გათანაბრება სხვადასხვა ფორმაში და ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხით არსებობს ბევრ ქვეყანაში.

ფინანსური გათანაბრება აუცილებელია მკაფიოდ გაემიჯნოს საგადასახადო შემოსულობების განაწილების სფეროში, განსაკუთრებული უფლებამოსილებისგან იმიტომ, რომ სამართლებრივი თვალსაზრისით ის არ არის ორიენტირებული გადასახადების აკრეფვის გზით მიღებულ შემოსავალზე.

ფინანსური გათანაბრება ლოგიკურად მიყვება გადასახადების აკრეფვისაგან შემოსავლების განაწილებას, მისი ფუნქციაა – საგადასახადო შემოსულობების საკმაოდ უხეში განაწილება შეავსოს ფინანსური განაწილების უფრო ზუსტი და ფაქიზი სისტემით. საგადასახადო შემოსულობების განაწილება და ფინანსური გათანაბრება ერთად უნდა იყოს გარანტი სახელმწიფოს ცალკეული რეგიონების საკმარისი ფინანსური უზრუნველყოფისთვის.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გათანაბრებითი ტრანსფერის არსებობას აქვს სრულიად განსხვავებული საფუძვლები და ამავდროულად აღიქმება როგორც დროებითი მოვლენა, რომელიც მოქმედებს მხოლოდ 2020 წლამდე. 1995 წლიდან გათანაბრებითი ტრანსფერის შემოღება განპირობებული იყო გერმანიის გაერთიანებით და უკავშირდებოდა შემოერთებული მიწების სუსტ ფინანსურ შესაძლებლობებს.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ფედრალური მიწები წარმოადგენენ დამოუკიდებელ დონეებს, რომელთაც აქვთ საკუთარი უფლებები და მოვალეობები.

ფედერალური მოწყობის შესაბამისად მუნიციპალიტეტები ითვლება ფედერალური მიწების შემადგენელ ნაწილად. ფედერალურ მიწებს ძირითადი კანონით მათზე დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად აქვთ საკმარისი ფინანსური რესურსები, რომელთა განკარგვა ხდება თავისუფლად და დამოუკიდებლად.

ფედერაციის და ფედერალური მიწების ფინანსური უზრუნველყოფის ძირითადი საკითხები რეგულირდება ძირითადი კანონით. შესაბამისი კონსტიტუციურ-სამართლებრივი მდგომარეობა შეიძლება დავყოთ ოთხ სტადიად:

1. უპირველეს ყოვლისა, ერთობლივი საგადასახადო შემოსულობები ნაწილდება ორ სახელმწიფო დონეს შორის – ფედერაცია და ფედერალური მიწების ერთობლიობა, აგრეთვე ხორციელდება ბიუჯეტთაშორისი ტრანსფერები მუნიციპალიტეტების სასარგებლოდ, რომელიც ავსებს მათ შემოსავალს (ვერტიკალური განაწილება).

2. შემდეგ ფედერალური მიწების ერთობლიობის საგადასახადო შემოსავლები მიემაგრება ცალკეულ ფედერალურ მიწებს (ჰორიზონტალური განაწილება).

3. მესამე სტადიაზე ხორციელდება გათანაბრება ფინანსური თვალსაზრისით სუსტ და ძლიერ ფედერალურ მიწებს შორის (მიწათშორისი ფინანსური გათანაბრება ან მიწათშორისი საბიუჯეტო რეგულირება).

4. შემდეგ სუსტი ფინანსური პოტენციალის მქონე ფედერალური მიწები დამატებით ღებულობენ სახსრებს ფედერალური ბიუჯეტიდან (დამატებითი ფედერალური ტრანსფერი).

ცალკეული სტადიების კონკრეტული სამართლებრივი გაფორმება ხორციელდება მარტივი (არაკონსტიტუციური) საკანონმდებლო ნორმების საფუძველზე.

I სტადია: საგადასახადო შემოსულობების ვერტიკალური განაწილება. ძირითადი კანონით რიგი განსაკუთრებული მნიშვნელობის გადასახადებისაგან შემოსავალი მიდის როგორც ფედერაციაში, ისე ფედერალურ მიწებში, ხოლო ნაწილობრივ მუნიციპალიტეტებში. გადასახადების სხვა სახეები, კონსტიტუციის თანახმად, მთლიანად მიდის ან ფედერაციის, ან ფედერალური მიწის, ან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში.

საშემოსავლო გადასახადი, გადასახადი კორპორაციებისგან და დამატებითი ღირებულების გადასახადი ნაწილდება ფედერაციასა და ფედერალური მიწების ერთობლიობაზე, ამასთან, მუნიციპალიტეტებს ერიცხება საშემოსავლო გადასახადისა და დამატებითი ღირებულების გადასახადის ნაწილი. ამიტომ ამ გადასახადებს ეწოდება ერთობლივი გადასახადები. ფედერაცია ღებულობს საშემოსავლო გადასახადებიდან შემოსულობების 42.5%-ს, კორპორაციების გადასახადიდან შემოსულობების – 50%-ს, დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან შემოსულობების – 2006 წელს დაახლოებით 53%-ს (2007 წლიდან დაახლოებით 55%-ს). მუნიციპალიტეტებში მიდის საშემოსავლო გადასახადისაგან შემოსულობების 15% და დღევანდელი მდგომარეობით დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან შემოსულობების 2%.

საშემოსავლო და დამატებითი ღირებულების გადასახადიდან შემოდის ყველაზე მეტი შემოსულობები.

ფედერაციას ეკუთვნის ეგრეთ წოდებული ფედერალური გადასახადების ყველა შემოსულობა. მათ მიეკუთვნებათ, კერძოდ, აქციზების უმეტესობა (მაგალითად, აქციზი მინერალურ საწვავზე, აქციზი თამბაქოზე და თამბაქოს ნაწარმზე), აგრეთვე გადასახადი სადაზღვევო ბრუნვისაგან. ფედერალურ მიწებს მიეკუთვნება ყველა შემოსულობები ეგრეთწოდებული მიწის გადასახადები. მიწის გადასახადებს მიეკუთვნება მექვიდრობის გადასახადი, გადასახადი სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებზე, საბრუნავი გადასახადების უმეტესობა (კერძოდ, მიწის ნაკვეთების

შექმნის გადასახადი), აგრეთვე გადასახადის ზოგიერთი სხვა სახე უმნიშვნელო შემოსულობებით. მუნიციპალიტეტების ბიუჯეტში მიდის შემოსულობები სარეწაო გადასახადიდან, მიწის გადასახადიდან და ადგილობრივი აქციზებიდან და განსაკუთრებული სახის სამომხმარებლო ხარჯების გადასახადებისგან. თავის მხრივ, ფედერაცია და ფედერალური მიწები მონაწილეობენ სარეწაო გადასახადისაგან შემოსულობებში მათი განაწილების მეშვეობით.

II სტადია: საგადასახადო შემოსულობების ჰორიზონტული განაწილება. მეორე სტადიაზე ხორციელდება ფედერალური მიწების კუთვნილი საგადასახადო შემოსულობების განაწილება ცალკეულ ფედერალურ მიწებს შორის. ცალკეულ ფედერალურ მიწას პრინციპში ეკუთვნის შემოსულობები გადასახადებისაგან (დამატებითი ღირებულების გადასახადის გამოკლებით), რომელსაც საგადასახადო ორგანოები კრეფენ მათ ტერიტორიაზე (ადგილობრივი მოსაკრებლის პრინციპი).

ადგილობრივი მოსაკრებლის პრინციპი საშემოსავლო და კორპორაციის გადასახადის მიმართებაში კორექტირდება სპეციალური ხერხით, ეგრეთ წოდებული დაყოფის მეთოდით. ამ მეთოდის დახმარებით, რომელიც გამოიყენება საშემოსავლო გადასახადთან მიმართებაში, უზრუნველყოფილი იქნება, რომ ყოველმა ფედერალურმა მიწამ დაახლოებით მიიღოს სწორედ ის საგადასახადო შემოსულობები, რომელიც გადაიხდება მისი მაცხოვრებლების შემოსავლიდან, როგორც მის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ. კორპორაციის გადასახადი გადაერიცხება საწარმოების მიერ ცენტრალიზებული წესით. დაყოფის მეთოდის დახმარებით მისი შემოსულობები ნაწილდება ყველა ფედერალურ მიწას შორის, რომელთა ტერიტორიაზე მოცემულ საწარმოს აქვს მუდმივი წარმომადგენლობა (მუდმივი დაწესებულება).

გადასახადი დამატებით ღირებულებაზე არ ნაწილდება ადგილობრივი მოსაკრებლის პრინციპით. მისი შემოსულობების ნაწილს, რომელიც ერგება ფედერალურ მიწას, მაგრამ არა უმეტეს 25%-ისა, ღებულობენ ეგრეთწოდებული შევსების კვოტების ფორმით, ის ფედერალური მიწები, ვისი შემოსულობებიც საშემოსავლო გადასახადისაგან, კორპორაციების გადასახადიდან და მიწის გადასახადისაგან ერთ სულზე გაანგარიშებით არ აღწევს ყველა ფედერალური მიწის საშუალო სიდიდეს. ამრიგად, ნაწილობრივ, მაგრამ არა სრულად, იფარება საგადასახადო პოტენციალით სუსტი მიწების საგადასახადო შემოსულობებსა და ყველა ფედერალური მიწის საშუალო საგადასახადო შემოსულობებს შორის სხვაობა. დამატებითი ღირებულების გადასახადისაგან შემოსულობების შევსების კვოტის ზუსტი სიდიდე დამოკიდებულია იმაზე, მოსახლეობის ერთ სულზე ფედერალური მიწის საგადასახადო შემოსულობები რამდენად შეესაბამება ყველა ფედერალური მიწის მოსახლეობის ერთ სულზე საგადასახადო შემოსავლებს.

III სტადია: მიწათშორისი ფინანსური გათანაბრება (მიწათშორისი საბიუჯეტო რეგულირება). მიწათშორისი ფინანსური გათანაბრების შედეგად (მიწათშორისი საბიუჯეტო რეგულირება) გრძელდება ფედერალური მიწების შემოსავლებს შორის სხვაობის შემცირება. ფინანსური თვალსაზრისით, სუსტი ფედერალური მიწები ღებულობენ გათანაბრებით (საკოპენსაციო) ტრანსფერს, რომელიც უნდა მისცეს ფინანსური თვალსაზრისით ძლიერმა ფედერალურმა მიწებმა.

მიწათშორისი ფინანსური გათანაბრება იძლევა გარანტიას, რომ ფინანსური თვალსაზრისით სუსტი ფედერალური მიწები აგრეთვე ფლობდნენ საკმარის ფინანსურ სახსრებს, ფუნქციების შესასრულებლად და საკუთარი სახელმწიფოებრიობის რეალიზაციისათვის. ფედერალური მიწების შემოსავლების შემდგომი დაახლოების გზით უნდა იქნეს უზრუნველყოფილი ფედერაციის მთელ ტერიტორიაზე ცხოვრების თანაბარი პირობები.

მეორე მხრივ, მიწათშორისი ფინანსური გათანაბრებით არ უნდა იყოს გაუქმებული საკუთარი ფინანსური პასუხისმგებლობა და ფედერალური მიწის საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ამიტომ ფედერალურ მიწებს შორის შემოსავალში სხვაობა მხოლოდ მცირდება, მაგრამ არასოდეს მთლიანად არ გამოთანაბრდება.

ათვლის წერტილი მიწათშორისი ფინანსური გათანაბრების არის ცალკეულ ფედერალურ მიწაზე ფინანსური პოტენციალის მაჩვენებელი მოსახლეობის ერთ სულზე. მიწის ფინანსური პოტენციალი (64%) წარმოადგენს მისი და მისი მუნიციპალიტეტების ყველა შემოსავლის ჯამს.

ფინანსური პოტენციალის განსაზღვრისას ითვალისწინებენ მუნიციპალურ შემოსავლებს, იმდენად რამდენადაც, ფედერალური მიწა პასუხისმგებელია თავისი მუნიციპალიტეტების ადეკვატურ და საკმარის ფინანსურ უზრუნველყოფაზე. ფედერალური მიწები, რომელთაც ყავთ, ფინანსურად ძლიერი მუნიციპალიტეტები, ნაკლებს ხარჯავენ საკუთარი ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტებისათვის, ვიდრე ფედერალური მიწები, რომლებსაც ყავთ, ფინანსური თვალსაზრისით, სუსტი მუნიციპალიტეტები.

ფინანსური პოტენციალის განსაზღვრისას ითვალისწინებენ ფედერალური მიწების და მათი მუნიციპალიტეტების ნებისმიერ სახის შემოსავლებს.

მიწათშორისი ფინანსური გათანაბრება ვარაუდობს ყველა ფედერალურ მიწაში მოსახლეობის ერთ სულზე თანაბარ ფინანსურ საჭიროებებს. ფედერალური მიწები-ქალაქებისათვის – ბერლინი, ბრემენი, ჰამბურგი – ასეთი ვარაუდი-განზრახვა არის არაადეკვატური. მათ აქვთ მნიშვნელოვნად მაღალი ფინანსური საჭიროება მოსახლეობის ერთ სულზე, ვიდრე ფედერალური მიწების დიდი ტერიტორიით. ამიტომ მათი მოსახლეობის რიცხოვნების მაჩვენებელი მიწათშორისი ფინანსური გათანაბრების ფარგლებში ფიქტიურად იზრდება 35%-ით. უმნიშვნელოდ მეტი ფინანსური საჭიროება მოსახლეობის ერთ სულზე არის აგრეთვე სამ არამჭიდროდ დასახლებულ ფედერალურ მიწებზე: ბრანდერბურგი, მეკლენბურგ-პერდნია პომერენია და საქსონია-ანგალტი. ამიტომ მათი მოსახლეობის რიცხოვნობის მაჩვენებელი მიწათშორისი ფინანსური გამოთანაბრების ფარგლებში ფიქტიურად, აგრეთვე, უმნიშვნელოდ იზრდება.

ფინანსური თვალსაზრისით სუსტი ფედერალური მიწებისათვის გათანაბრებითი ტრანსფერის ზუსტი სიდიდე დამოკიდებულია მოსახლეობის ერთ სულზე მისი ფინანსური პოტენციალი (ფიქტიური) რამდენად დაბალია მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო ფინანსური პოტენციალისა. გადახრა საშუალო სიდიდისაგან, ნაწილობრივ, მაგრამ არა სრულად, იფარება. გამოიყენება შევსების წრფივი-პროგრესული ტარიფი.

ამის ანალოგიურად, გათანაბრებითი შენატანების სიდიდე, რომელსაც იძლევა ფინანსური თვალსაზრისით ძლიერი ფედერალური მიწები, დამოკიდებულია იმაზე, მისი ფინანსური პოტენციალი მოსახლეობის ერთ სულზე რამდენად ამტკებს მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო ფინანსურ პოტენციალს. გადახრა საშუალოსაგან ნაწილობრივ, მაგრამ არა მთლიანად ამოიღება. გამოიყენება ამოღების წრფივი-პროგრესული ტარიფი, სიმეტრიული შევსების ტარიფისა. გათანაბრებითი შენატანების თანხის გათანაბრებითი ტრანსფერის თანხასთან დამთხვევის მიღწევისათვის პირველი გარკვეული პროცენტით მაღლდება ან მცირდება. ამ წესების შესაბამისი გაფორმების გზით გარანტირებულია, რომ ფინანსურ პოტენციალთან მიმართებაში რიგითობა, ფედერალური მიწების მოსახლეობის ერთ სულზე მიწათშორისი ფინანსური გათანაბრების შედეგად, არ შეიცვლება. მიწათშორისი ფინანსური გამოთანაბრების შედეგად განსხვავება ფინანსურ პოტენციალში ფედერალურ მიწებს შორის მნიშვნელოვნად მცირდება.

IV სტადია: ფედერალური დამატებითი ტრანსფერები. ფედერალური დამატებითი ტრანსფერი წარმოადგენს ფედერაციის ბიუჯეტთაშორის ტრანსფერს სუსტი პოტენციალის ფედერაციული მიწების მისამართით, რომელიც ავსებს მიწათშორის ფინანსურ გათანაბრებას. ეს – არადაკავშირებული (არამიზნობრივი) საშუალებაა, რომელიც ემსახურება საერთო ფინანსური საჭიროების დაფარვას. არსებობს ორი სხვადასხვა სახე: საერთო ფედერალური დამატებითი ტრანსფერი და ფედერალური დამატებითი ტრანსფერი განსაკუთრებული საჭიროებების დაფარვისათვის.

საერთო ფედერალური დამატებითი ტრანსფერის დახმარებით მცირდება გადახრა საშუალო ფინანსური პოტენციალიდან მოსახლეობის ერთ სულზე (ფიქტიური), რომელიც რჩება ფინანსური თვალსაზრისით სუსტ ფედერალურ მიწებში მიწათშორისი ფინანსური გამოთანაბრების შემდეგ. საერთო ფედერალურ დამატებით ტრანსფერს დებულობენ ის ფედერალური მიწები, რომელთა ფინანსური პოტენციალი მოსახლეობის ერთ სულზე, მიწათაშორისი ფინანსური გათანაბრების შემდეგ შეადგენს 99.5%-ზე ნაკლებს მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო ფინანსური პოტენციალისა. მოცემული სხვაობა ნაწილობრივ იფარება.

ამრიგად, ფინანსური თვალსაზრისით, სუსტი მიწას, რომელსაც მიწათშორის ფინანსურ გათანაბრებამდე აქვს მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო ფინანსური პოტენციალისა 70-90%, მიწათშორისი ფინანსური გათანაბრებისა და საერთო ფედერალური დამატებითი ტრანსფერის მიღების შემდეგ ექნება მოსახლეობის ერთ სულზე საშუალო ფინანსური პოტენციალი 97.5-98.5%. გადახრა ფედერალური მიწების საშუალო სიდიდისაგან, შესაბამისად მნიშვნელოვნად მცირდება.

შემდეგ ეძლევა ფედერალური დამატებითი ტრანსფერი განსაკუთრებული საჭიროებისათვის. ის ემსახურება ფინანსური თვალსაზრისით სუსტი ცალკეული ფედერალური მიწების განსაკუთრებული დატვირთვის გამოთანაბრებას.

ასეთი განსაკუთრებული ტვირთი – მხოლოდ მიზეზი და საბაბია განსაკუთრებული საჭიროებისათვის ფედერალური დამატებითი ტრანსფერტის მიცემისათვის. არ არსებობს ამ სახსრების, სამართლებრივი თვალსაზრისით, სავალდებულო მიზნობრივი დაკავშირება. განსაკუთრებული საჭიროებისათვის ფედერალური დამატებითი ტრანსფერის გამოყენების პასუხისმგებლობა ენიჭება მხოლოდ ფედერალურ მიწა-მიმღებს.

დღეისათვის განსაკუთრებული საჭიროებისათვის ფედერალურ დამატებით ტრანსფერს დებულობენ აღმოსავლეთგერმანული ფედერალური მიწები და მიწა – ბერლინი განსაკუთრებული დატვირთვის დაფარვისათვის, დაკავშირებული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია მშენებლობასთან, რომელიც მემკვიდრეობით ერთგოთ გერმანიის გაყოფით, აგრეთვე მუნიციპალიტეტების ძალზე მწირი ფინანსური პოტენციალის გათანაბრებისათვის. ეს სახსრები შეადგენს დღეისათვის საერთო ჯამში 10 მილიარდ ევროს ყოველწლიურად და აქვს არსებითი მნიშვნელობა ფედერალური მიწა-მიმღებებისთვის. ის არის №II სოლიდარობის პაქტის ელემენტი, რომლის დახმარებით უნდა იქნეს აღმოფხვრილი გერმანიის გაყოფის შედეგები. განსაკუთრებული საჭიროებისათვის ფედერალური დამატებითი ტრანსფერები, ნაბიჯ-ნაბიჯ, 2019 წელს იქნება გაუქმებული.

ფინანსური თვალსაზრისით, მცირე და სუსტი ფედერალური მიწები შემდეგ დებულობენ განსაკუთრებული საჭიროებისათვის ფედერალურ დამატებითი ტრანსფერს პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის ძალზე დიდი ხარჯების გამო, დაახლოებით 517 მლნ. ევროს ყოველწლიურად. მცირე ფედერალურ მიწებს აქვთ უფრო მაღალი ხარჯები მოსახლეობის ერთ სულზე პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე, ვიდრე მსხვილ ფედერალურ მიწებს, იმიტომ, რომ ფიქსირებული დანახარჯები პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე მცირე ფედერალურ მიწებში ნაწილდება მოსახლე-

ობის მცირე რიცხვზე. ხუთ წელიწადში ერთხელ განიხილება საკითხი ამ მიზნებისათვის ფედერალური დამატებითი ტრანსფერის მიცემის მიზანშეწონილობის შესახებ.

საფრანგეთში არსებობს სამდონიანი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც მოიცავს 26 რეგიონს, 100 დეპარტამენტსა და 36 763 მუნიციპალიტეტს. ისეთი ფედერალური სახელმწიფოსგან განსხვავებით, როგორც გერმანია, კონსტიტუცია არ განსაზღვრავს ადგილობრივი ხელისუფლების საშემოსავლო და ხარჯვით კომპეტენციას. კონსტიტუცია მინიშნებას აკეთებს იმ შესაბამის კანონებზე, რომლებიც არეგულირებენ ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსურ და ეკონომიკურ კომპეტენციას. კონსტიტუციის 72-2 მუხლი ამბობს:

- ადგილობრივ მთავრობებს შეუძლიათ გამოიყენონ კანონით განსაზღვრული საგადასახადო შემოსავლები;

- ადგილობრივი ხელისუფლების ძირითად რესურსს წარმოადგენს კანონით განსაზღვრული საკუთარი წყაროებიდან მიღებული შემოსავლები;

- კანონის შესაბამისად, ცენტრალურიდან ადგილობრივ ხელისუფლებაზე ხარჯვითი კომპეტენციის გადაცემას თან უნდა სდევდეს საკუთარი შემოსავლების ზრდა;

- გათანაბრების მექანიზმი განსაზღვრულია კანონით.

ესპანეთში დეცენტრალიზაციის პროცესი დაიწყო 1978 წლიდან, მას შემდეგ, რაც მიღებული იქნა ახალი კონსტიტუცია. 2002 წელს ჯანდაცვის მომსახურების მთლიანად ადგილობრივ ორგანოებზე გადატანამ ესპანეთი აქცია ევროპის ერთ-ერთ ყველაზე დეცენტრალიზებულ ქვეყნად.

კონსტიტუცია უზრუნველყოფს ადგილობრივი ხელისუფლების ფინანსურ ავტონომიას. ადგილობრივი ბიუჯეტები ყოველწლიურად მტკიცდება ცენტრალური ბიუჯეტის დამტკიცებასთან ერთად. კონსტიტუციაში ჩამოთვლილია ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების შემოსავლების წყაროები: 1. მთლიანად ან ნაწილობრივ განაწილებული ცენტრალური ზიარი გადასახადები; 2. ადგილობრივი ორგანოების საკუთარი გადასახადები; 3. ტერი; 4. ტერიტორიათაშორის საანგარიშგებო ფონდის მეშვეობით განხორციელებული ტრანსფერები; 5. საკუთარი ქონებიდან და საწარმოებიდან მიღებული შემოსავლები; 6. საკრედიტო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავლები. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტებში განხორციელებული ტრანსფერები უზრუნველყოფს სახელმწიფოს მიერ გასაწევი მომსახურების ხარჯების დაფარვას. ტრანსფერები გამიზნულია რეგიონებს შორის გამოთანაბრებაზე.

ადგილობრივი ორგანოები ასევე იღებენ სპეციალურად გამიზნულ ტრანსფერებს, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ჯანდაცვასა და განათლებასთან დაკავშირებული მინიმალური ხარჯების დაფინანსება.

აშშ-ის ფინანსურ-მმართველობითი სისტემა არც თუ ისე დეცენტრალიზებულია და მაღალ ავტონომიას ანიჭებს ადგილობრივ ხელისუფლებას. შტატები საკუთარი ხარჯების დაახლოებით სამ მეოთხედს საკუთარი წყაროებიდან ფარავენ. შტატები აწესებენ გადასახადებს, განკარგავენ სახელმწიფო ფინანსებს და გააჩნიათ პირდაპირი წვდომა ფასიანი ქაღალდების ბაზარზე. შტატების ბიუჯეტი არ მოწმდება და არ მტკიცდება ფედერალური მთავრობის მიერ.

რაც შეეხება ფედერალურ ტრანსფერებს და დახმარებებს, შტატები უფრო მეტად დამოკიდებული არიან შტატების დახმარებებზე, ვიდრე ფედერალურ გრანტებზე. სხვადასხვა მმართველობით დონეს შორის ფინანსური ურთიერთობა შემდეგი ფორმებით ხორციელდება:

- გათანაბრებითი სქემები. შტატების უმრავლესობა სარგებლობს სკოლების

ფინანსური გათანაბრების სისტემით, რისი მეშვეობითაც ხდება საჯარო სკოლების სუბსიდირება.

- გრანტები გლობალური პროექტებისთვის და ფედერალური გრანტები.

გრანტები პროექტებისთვის გაიცემა კონკურენციის პირობებში ფედერალური დააწესებულებების (მაგალითად, განათლების დეპარტამენტი ან ტრანსპორტის დეპარტამენტი) განაცხადების საფუძველზე. ფედერალური გრანტები წარმოადგენენ შტატებზე გაცემულ ტრანსფერებს. ფედერალური დააწესებულებები შტატებიდან და ადგილობრივი მმართველობითი ორგანოებიდან ითხოვენ გრანტების ათვისების და გამოყენების გეგმას. მთლიანობაში, აშშ-ში არის 700 სხვადასხვა საგრანტო პროგრამა.

- ფედერალური დახმარება. შტატებზე და სხვა ადგილობრივ მმართველობით ორგანოებზე ფედერალური დახმარება მოიცავს გრანტებს, სესხებს და საგადასახადო სუბსიდირებს. დახმარების მიმღები ძირითადი სფეროებია: ტრანსპორტი, განათლება, სოციალური მომსახურება, ჯანდაცვა და სხვა.

- შტატების დახმარება. შტატების დახმარება ნაწილდება ადგილობრივ ორგანოებზე გათანაბრებითი ფორმულის მეშვეობით.

ფისკალური დეცენტრალიზაციის ხარისხით გამორჩეული ქვეყანაა კანადა, სადაც პროვინციებს დიდი საგადასახადო და ხარჯვითი ავტონომია გააჩნიათ და ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში ფედერალური მთავრობის ჩარევა მინიმალურია. ფინანსური ურთიერთობები დარეგულირებულია ფედერალურ-ადგილობრივი ფისკალური მოწოდების აქტით. პროვინციებზე მიცემულ ტრანსფერებს განსხვავებული ფორმები აქვს. 1867 წელს მიღებულ კონსტიტუციაში მოცემულია დებულება გათანაბრების, როგორც უმთავრესი ტრანსფერის შესახებ.

გათანაბრებითი ტრანსფერი არის ვერტიკალური ტრანსფერი პროვინციებზე ფედერალური მთავრობიდან, რომელიც გამოიანგარიშება თითოეულ პროვინციაში ერთ სულ მოსახლეზე არსებული შემოსავლების დონის გათვალისწინებით.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სატრანსფერო სისტემა ეხმარება პროვინციებს ჯანდაცვის, განათლების და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით როგორც ნაღდი ფულით, ასევე საგადასახადო ტრანსფერებით.

ფორმულაზე დაფუძნებული ტერიტორიული დაფინანსება არის ფედერალური მთავრობის წლიური უპირობო ტრანსფერი ჩრდილოეთის ტერიტორიების მთავრობებზე, რაც ეხმარება ადგილობრივ ხელისუფლებას სახელმწიფო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაში.

იაპონიაში არის ორდონიანი ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც მოიცავს პრეფექტურებსა და მუნიციპალიტეტებს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას შეუძლია დააწესოს და ამოიღოს გადასახადები, ამ პროცესის მართვა ძირითადად მაინც ცენტრალიზებულია და ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლები დიდადაა დამოკიდებული ცენტრალური ხელისუფლებიდან მიღებულ დახმარებებზე. ადგილობრივი წყაროებიდან მიღებული შემოსავლები მთლიანი ადგილობრივი შემოსავლების 35-40 პროცენტს შეადგენს. ადგილობრივ ხელისუფლებას აქვს კანონით განსაზღვრული უფლება კაპიტალური დანახარჯების და სახელმწიფო საწარმოების ხარჯების დასაფარად გამოუშვას ფასიანი ქაღალდები (ობლიგაციები). მუნიციპალიტეტები ამას უთანხმებენ პრეფექტურებს, რომლებიც, თავის მხრივ, ათანხმებენ სახელმწიფო მართვის, საშინაო საქმეების, ფოსტისა და ტელეკომუნიკაციების სამინისტროსთან. გარდა ამისა, ადგილობრივი მთავრობები ცენტრალური ხელისუფლებიდან პირდაპირ იღებენ გრანტებსა და შემოსავლებს ზიარი გადასახადებიდან. ცენტრალური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ხელისუფლებაზე გაცემული გრანტები შემდეგნაირად კლასიფიცირდება:

- სპეციალური მიზნებისთვის განკუთვნილი გრანტები. სპეციალური მიზნებისთვის ცენტრიდან ადგილობრივ ხელისუფლებაზე გამოიყოფა ეროვნული სახაზინო ვალდებულებები, რომლებიც სამ ჯგუფად იყოფა:

1. ეროვნული ობლიგაციები, რომლებიც გამიზნულია ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ერთობლივად გასაწევი ხარჯების დასაფარად;

2. ეროვნული საზინის გრანტები, რომლებიც ნაწილდება როგორც სუბსიდიები ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გასაწევი ხარჯების დასაფარად.

3. ეროვნული საზინის ფინანსური სახსრები, რომლებიც განკუთვნილია ცენტრალური ხელისუფლების მიერ გასაწევი ხარჯების დასაფარად.

- გათანაბრებისთვის განკუთვნილი ზიარი გადასახადები. სახელმწიფო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები გადანაწილებულია, რათა დაბალანსებული იქნეს ადგილობრივი ხელისუფლების შემოსავლები. გადასახადების მიხედვით, მთლიანი საგადასახადო შემოსავლები ადგილებზე პროცენტულად შემდეგნაირად ნაწილდება: საშემოსავლო, მოგებისა და ალკოჰოლზე დაწესებული არაპირდაპირი გადასახადის 32%, მოხმარების გადასახადის (დღგ) 24% და თამბაქოზე აქციზის 25%.

სპეციალური მიზნებისთვის განკუთვნილი ზიარი გადასახადები არის ცენტრალური ხელისუფლებიდან ამოღებული გადასახადები, საიდანაც მიღებული შემოსავლები, ტრანსფერის სახით, გადაეცემა პრეფექტურებს და მუნიციპალიტეტებს. მაგალითად, ადგილობრივი საგზაო გადასახადი.

ლიტერატურა:

1. Hudson Wade. Econovic security for all. 1977. p. 57-65.
2. Creation and development of clusters. Warsazawa, pazdziernik, 2010.
3. Bundesministerium der Finanzen: Финансовое выравнивание (бюджетное регулирование) в федеративном государстве. Berlin. 2009.
4. Bundesministerium der Finanzen: Финансы муниципалитетов в Германии. Berlin. 2009
5. www.internet.ge/v2/index.php?action=news&category=4&news=65724
6. [//www.bec.ge/images/doc/tsentraluri%20khelisuflebis%20mier%20adgilobrivi%](http://www.bec.ge/images/doc/tsentraluri%20khelisuflebis%20mier%20adgilobrivi%20)
7. <http://www.kazanfed.ru/actions/konfer5/doklad5/>.

Gela Svirava, Maia Chania

Influence of the Equalizing Financial Policy on the Economics of the Developed Countries Summary

Objective distinctions of the living standard among the population of a country is conditioned by the economical, natural-climatic, natural resource balancing and infrastructural peculiarities, which represent objective basis in order to perform the financial equilibration policy. At the same time the differences of the regions have specific positive features by providing the dynamism in their economical, social and cultural development. Any country tries not to permit acute crisis in the social, economical and ecological fields of the regions or other kind of the occurrences which will become the cause of the territorial differentiation. In order to solve the problem the vertical and horizontal financial equilibrations are used. In the field of the distribution of the tax incomes the financial equilibration must be strictly dissociate from, the peculiar responsibilities because from the standpoint of the law it is not oriented on the income obtained from the tax collecting. The financial equilibration logically follows the distribution of the income obtained during the tax collecting, its function is – to change the tax incomes quite rough distribution with the much more

acute and neat system. Tax income distribution and financial equilibration together must be a guarantee of the country for the separate regions' sufficient financial ensuring.

Гела Свирава, Майа Чанна

Влияние выравнивающей финансовой политики на экономику развитых стран

Резюме

Объективная разница в жизненных уровнях населения обусловлена свойствами регионов, а также природно-климатическими, ресурсными и инфраструктурными свойствами, что и предопределяет объективную основу для проведения выравнивающей политики. Вместе с этим, разница между регионами имеет свою положительную сторону и вносит динамизм в их экономическом и социально-культурном развитии. Любое государство старается предотвратить большие социальные, экономические, экологические кризисы или явления других родов в регионах, которые могут стать причиной территориальной дифференциации. Для решения таких задач применяется горизонтальное и вертикальное финансовое выравнивание. Финансовое выравнивание необходимо четко отличать от особых обязанностей в сфере распределения налоговых доходов, потому что с правовой точки зрения оно не ориентировано на доходы с налогообложения. Финансовое выравнивание логически следует распределению доходов с налогообложения. Ее функцией является заполнение достаточно жесткого распределения налоговых доходов более точной и гибкой системой финансового распределения. Распределение налоговых доходов и финансовое выравнивание вместе должны являться государственным гарантом финансового обеспечения отдельных регионов.



პედაგოგია და ფსიქოლოგია – PEDAGOGICS AND PSYCHOLOGY – ПЕДАГОГИКА И ПСИХОЛОГИЯ

გულნაზ ხუხუა
(საქართველო)

აღზრდა ბავშვის პიროვნებისადმი სიყვარულისა
და პატივისცემის საფუძველზე

საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მამოძრავებელ შინაგან და გარე-გან ძალას, საფუძველსა და შედეგს წარმოადგენს აღზრდა. საზოგადოების განვითარების დონეს მის წევრთა სრულყოფილების ხარისხი განაპირობებს. ამიტომ მოგვიწოდებს ღვთის ძე იესო ქრისტე სრულყოფილებისაკენ: „იყავით სრულყოფილი ისევე, როგორც თქვენი ზეციერი მამაა სრულყოფილი“ (მათე 5:48). მაგრამ პიროვნების სრულყოფა, მიუხედავად მისი ბუნებრივი, თანდაყოლილი პოტენციური შესაძლებლობებისა, ავტომატურად არ ხდება. მას განაპირობებს უამრავი ფაქტორი: ბიოლოგიურ-მემკვიდრეობითობის, სოციალური გარემოს, მეგა, მაკრო, მიკრო, მეზო და, რაც მთავარია, აღზრდის ფაქტორი. ამათგან ჩვენ შევხებით ყველაზე მნიშვნელოვანს – აღზრდის ფაქტორს.

აღზრდა, როგორც მიზანმიმართული, გეგმაზომიერი პედაგოგიური პროცესი, ეფუძნება თავის მეცნიერებას – პედაგოგიკას, რომელშიც, უმდიდრესი წარსულისა და თანამედროვე მიღწევების გათვალისწინებით, განაზღვრულია აღზრდის ყველა სისტემა და კომპონენტი: საკლასო-საგაკვეთილო, კლასგარეშე და სკოლისგარეშე სასწავლო-აღმზრდელობითი სისტემები, პედაგოგიური მიზანი და ამოცანები, კანონები და პრინციპები, განათლების შინაარსი, ფორმები, მეთოდები, გზები და საშუალებები და, რაც მთავარია, ამ პროცესის უშუალო რეალიზატორის – მასწავლებლის შეუცვლელი პედაგოგიური და საზოგადოებრივი როლი და მნიშვნელობა.

აღზრდა მარტო სწავლება, გარკვეული ცოდნის ფონდის დაგროვება არ არის. სწავლების პროცესში წყდება როგორც საგანმანათლებლო, ასევე განმავითარებელი, აღმზრდელობითი და შრომითი ფუნქციები. კერძოდ: გონებრივი, ზნეობრივი, სულიერი, ესთეტიკური და ფიზიკური სრულყოფა აღსაზრდელისა. სწავლებისა და აღზრდის რეალური ურთიერთდაკავშირება დახელოვნებული, განსწავლული და ერუდირებული მასწავლებლის გარეშე, არანაირ ტექნიკური და დიდაქტიკური თვალსაჩინოებით არ მიიღწევა. როგორც რუდოლფ შტაინერი აღნიშნავს: „მხოლოდ ადამიანური ბუნების განვითარების კანონთა მყარ ცოდნას შეიძლება დაეფუძნოს აღზრდის ჭეშმარიტი ბალანსი და განსწავლის საქმეც“ (11, 12).

ყველა კლასიკოსი მეცნერ-პედაგოგი აუცილებელ პირობად თვლიდა აღზრდისას ბავშვის ბუნებასთან შესაბამისობის კანონის მიხედვით მოქმედების აუცილებლობას, რომელიც ხორციელდება აღსაზრდელის ასაკობრივ და ინდივიდუალურ თავისებურებათა გათვალისწინების პრინციპით. პედაგოგიკის მეცნიერებაში აღსაზრდელის ასაკობრივ პერიოდიზაციას საფუძველად უდევს მისი ფიზიკური და ფსიქიკურ-ინტელექტუალური განვითარების თავისებურება. დღემდე ძალაშია დადგენილი ასაკობრივი პერიოდები: სკოლამდელი – დაბადებიდან 6-7, უმცროსი სასკოლო – 6-7-დან 11-12, საშუალო სასკოლო – 11-12-დან 14-15 და უფროსი სასკოლო ასაკი – 14-15-დან 17-18 წწ. გარკვეული მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვე-

ული აქსელერაციის პროცესის გათვალისწინებით.

შტაინერის აზრით, აღზრდაში გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ პერიოდებში ადამიანის არსის ძირითადი შემადგენელი წევრების განვითარების კანონზომიერებანი. ეს ნაწილებია: ფიზიკური სხეული – ფორმა; ეთერული სხეული ანუ შინაგანი ბუნება – ზრდა, სქესობრივი მომწიფება, სიცოცხლის წარმომქმნელი ძალა; ასტრალური სხეული ანუ გრძობით-ემოციური სფერო და ბოლოს, ყველაზე უმთავრესი, შედეგი – მთლიანი „მე“-ს ფორმირება, რომლის წიაღიდან გამოვლინებას იწყებს ღვთაება, შემოქმედის ანარეკლი ღვთის მსგავსება და ხატება. ისევ შტაინერის მტკიცებით, სწორედ „მე“-ს გავლენით იცვლება ფიზიონომია, ექსტიკულაცია, მოძრაობის სტილი, ფიზიკური სხეულის მთლიანი გამომეტყველება.

სრულყოფილი პიროვნების ფორმირება, მთლიან „მე“-მდე დაყვანა, ძირითადად, დამოკიდებულია მასწავლებლის მიერ აღსაზრდელის განვითარების პოტენციური შესაძლებლობების სრულ ცოდნაზე. კონკრეტულად როდის, რა სფეროზე როგორ იმოქმედოს. სწორედ ეს აზრია გატარებული შტაინერის დებულებაში: „აღზრდის ხელოვნებაც ასევე მოითხოვს ადამიანის ყველა შემადგენელი ნაწილის ცოდნას, თუ როგორ ვითარდება დამოუკიდებლად თითოეული მათგანი. აუცილებელია ვიცოდეთ, თუ ადამიანის არსების რომელ ნაწილზე უნდა ვიმოქმედოთ ამა თუ იმ ასაკში და როგორ წარვმართოთ ეს ხემოქმედება მიზანშეწონილად“ (11, 14).

საყოველთაოდ ცნობილია, რომ სკოლამდელ ასაკში წინა პლანზეა წამოწეული ფიზიკური აღზრდა, მაგრამ ამ ასაკისათვის დამახასიათებელი ცნობისმოყვარეობისა და მიმბაძველობის დაუოკებელი უნარი ხელიდან არ უნდა იქნეს გაშვებული. ბავშვის განვითარება გარესამყაროსთან ურთიერთობით იწყება, ის იმთავითე ავლენს შემეცნებით ინტერესს, უჩნდება უამრავი კითხვა: რა არის? ვინ არის? რატომ? როგორ? როდის? სად? და ა. შ. ეს არის ღვთის მიერ ჩადებული ბუნებრივი განვითარების ტენდენციის გამოვლინება, რომელსაც უნდა შეექმნას შესატყვისი პედაგოგიურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-სოციალური გარემო-პირობები. ბავშვის არც ერთი კითხვა უპასუხოდ არ უნდა დარჩეს მისაწვდომობის პრინციპის გათვალისწინებით.

ბავშვი თავის ქცევასა და მოქმედებას, მეტყველებას, მანერებს აგებს უფროსების მიბაძვით. ამიტომ მიბაძვის ობიექტი უზადო და წუნდაუდებელი უნდა იყოს. სენსუალიზმის თეორიის თანხმად, ადამიანი გარესამყაროს შეიცნობს გრძობათა ორგანოების მეშვეობით. როგორც ცნობილია, არაფერია ცნობიერებაში, რაც შეგრძნებაში არ გვექონია. ამავედროულად, არც სამყაროშია ისეთი რამე, რომლის შეგრძნება არ შეეძლოს გრძობათა ორგანოებს, როგორც კონსტანტინე გამსახურდიამ უწოდა მათ, ამ „ჯაშუშებსა“ და „მსტოვრებს“ – თვალს, ყურს, პირის ღრუს, ცხვირსა და კანს. ამ ღვთიური ძღვენით მაღლიერმა მეცნიერ-პედაგოგმა და ორატორმა მ.ფ. კვინტილიანემ დაწერა: „სამარცხვინოა და სიმდაბლე ადამიანი თავისი შესაძლებლობების განვითარებაზე არ ზრუნავდეს“-ო (9, 36). ამ ზრუნვაში ავტორი გულისხმობს ბევრის სწავლას და ბევრზე ფიქრს. იან ამოს კომენსკიც თავის პანაჟედაში სწორედ ამას გულისხმობდა, რომ ყველამ ყველაფერზე ყველაფერი უნდა იცოდესო. დღეს ამ შესაძლებლობაში არავის ეპარება ეჭვი, რადგან ის ნებისმიერ დროსა და სიტუაციაში გაზომვადია. ცნობილია, რომ რაც უფრო მრავალმხრივი, მრავალფეროვანი და ინტენსიურია შეგრძნებები, იმის პროპორციულია ადამიანის განვითარების დონე. თვალი – მხედველობის ეს უნიკალური ორგანო ვიზუალურ კონტაქტს ამყარებს გარემომცველ სინამდვილესთან; შეიგრძნობს ფერებს, ფორმებს, მდებარეობას, მდგომარეობას, რაოდენობას, სიმაღლეს, სიგრძეს, სიდიდეს და ა. შ. დადგენილია, რომ სამყაროს შესახებ ინფორმაციათა 80% მიიღება თვალის მეშვეობით. ამიტომ სკოლამდელ და უმცროს სასკოლო ასაკში, როცა

ჯერ კიდევ კონკრეტული აზროვნების დონეზე იმყოფება ბავშვი, გადამწყვეტი შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს საგანსა და მოვლენებზე უშუალო, ემპირიულ დაკვირვებებს, დიდაქტიკურ თვალსაჩინო მასალებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სმენითი შეგრძნებების როლი სრულფასოვანი პიროვნების ფორმირებაში. სმენის ორგანოს, ყურის საშუალებით შევიგრძნობთ ბგერებს, ტონებს, ხმაურს და ა. შ. ბგერები ლაგდებიან სიტყვებად, რომელთა საშუალებით ცნობიერებაში შედის ინფორმაცია, გარდაიქმნება შესაბამის აზრად და გამოითქმის ისევ სიტყვის სახით. ტონებით ადამიანი შევიგრძნობს მუსიკას მთელი თავისი მრავალფეროვნებით: ჟღერადობას, მელოდიურობას, რიტმს და ა.შ. რაც შეეხება ხმაურს: ჩქამი, შრიალი, რაკრაკი, ჭიკჭიკი, გალობა, ყეფა, ბლავილი, კნავილი და ა. შ., ხმის მიხედვით ბავშვი სწავლობს ობიექტის ამოცნობას და მდებარეობის ორიენტირებას. მართალია, სმენით მიღებული ინფორმაციები 8-10%-ს ითვლის მხოლოდ, მაგრამ თავისი შემეცნებითი ღირებულებით ბევრად აღემატება თვალით მიღებული ინფორმაციების 80%-ს. სმენითი შეგრძნებები ემსახურება აზროვნებისა და მეტყველების კულტურის განვითარებას, ლექსიკური მარაგის გამდიდრებას. ამიტომ რაც შეიძლება მეტი ღირებულებით სმენითი შეგრძნებებით უნდა გავამდიდროთ აღსაზრდელის შთაბეჭდილებები.

იგივე ითქმის შეგრძნებათა სხვა ორგანოებზე. შეხებითი, ყნოსვითი და გემოს შეგრძნებები არანაკლებ მნიშვნელოვანი შთაბეჭდილებებით ამდიდრებს ბავშვის ცნობიერებას სამყაროს შესაბამისი სფეროებიდან.

ბავშვი სწავლობს მაგალითებზე. რასაც ხედავს და ისმენს, ის ხდება მისი ტვინის ბიო-ქიმიური სტრუქტურის შემადგენელი ნაწილი და მისი აზროვნებისა და ქმედებების წარმმართველი: „თუ 7 წლამდე ბავშვი მხოლოდ უგუნურ ქმედებებს ამჩნევს, მაშინ მისი ტვინი ისეთ ფორმებს იღებს, რომლებიც მხოლოდ ასეთივე უგუნური ქმედებებისთვის იქნება მომარჯვებული“ (11, 16). ამიტომ აუცილებლად ყურად უნდა ვიღოთ სოლომონ ბრძენის სიტყვები: „ჰმაწვილი თავისი ცხოვრების გზის დასაწყისში გაწრთვენი და სიბერეშიც არ გადაუხვეს მას“ (სოლომონი იგავები 22:6).

აღსაზრდელის აქტივობის სახეები, როგორებიცაა: თამაში, სწავლა, შრომა, ურთიერთობები ოჯახის წევრებთან, სტუმრებთან, თანატოლებთან, მასწავლებლებთან, ბუნებასთან, ცხოველთა სამყაროსთან, ხელოვნებისა და ზღაპრების საუფლოსთან, მატერიალურ და სულიერ კულტურასთან მოითხოვს მისგან შესაბამის მიდგომებსა და დამოკიდებულებებს, რომლის ცოდნა-გამოცდილება თავისი ასაკის გამო ჯერ-ჯერობით არა აქვს და თანდათანობით უნდა შეიძინოს სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში, რომელიც ტვირთად არ უნდა ექცეს აღსაზრდელს. როგორც კვინტილიანემ თქვა: „სწავლა არ უნდა შევაძულოთ, რომლის შეფვარება ჯერ კიდევ ვერ მოუხწრია“. შემეცნების პროცესი, ეს იქნება თეორიულ თუ პრაქტიკულ ასპექტში, ბავშვს კმაყოფილებასა და სიხარულს უნდა ანიჭებდეს. როგორც მეცნიერები ამტკიცებენ, ეს ისეთი ძალებია, რომლებიც ფიზიკური ორგანოების სწორ ფორმირებას განაპირობებენ და არამარტო ფიზიკურის. ყველამ იცის, რომ, როცა ადამიანი ფიზიკურად და ფსიქიკურად ბუნებრივ მდგომარეობაშია, მშვიდი, შრომისუნარიანი და ხალისიანია. ამ წონასწორობის მცირედი დარღვევაც კი საკმარისია, რომ ადამიანი მწყობრიდან გამოვიდეს და თავისი სიტყვისა და ქცევის კონტროლი გაუჭირდეს. ბავშვებს განსაკუთრებით უჭირთ შენიშვნებისა და აკრძალვების დამორჩილება, მით უმეტეს, თუ ისინი ნეგატიურ გრძნობებს შეიცავენ. ჩვენი და სხვათა დაკვირვებებიდან ცნობილია, რომ ბავშვებს ქვეტექსტის ამოკითხვის საოცარი უნარი აქვთ. ისინი ყალბსა და მართალს ძალიან კარგად არჩევენ ერთმანეთისაგან. თუ სიყალბეში გამოგვიჭირა, მერე მართალსაც ფასი არა

აქვს მათ თვალში. ამიტომ ბავშვის გრძნობებს ძალიან სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ. იგი ჩვენში უნდა ხედავდეს პატიოსან, მოსიყვარულე, კეთილმოსურნე, მზრუნველ, გამგებ და ყურადღებიან, ზედმიწევნით გულწრფელ ახლობელს, რომელიც არასოდეს გაუცრუებს იმედს. ამაში დაგვეხმარება უპირობო სიყვარული, ბავშვის პიროვნებისადმი პატივისცემის, აღზრდაში დადებითზე დაყრდნობის, მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მომთხოვნელობისა და, რაც მთავარია, მისი ასაკობრივი და ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და თავისებურებების გათავალისწინების პედაგოგიური პრინციპების შემოქმედებითად, ოსტატურად გამოყენება, პედაგოგიური მეცნიერებისა და პედაგოგიური ხელოვნების გაჯერება სიტუაციის შესატყვისად. ყოველთვის უნდა გვახსოდეს ქრისტეს უნივერსალური სიტყვები: „ყველაფერში, როგორც თქვენ გინდათ რომ მოგექცნენ სხვები, თქვენც ისევე მოექცით მათ, რადგან ეს არის კანონისა და წინასწარმეტყველთა წიგნების არსი“ (მათე 7:12).

როგორც ცნობილია, მოსწავლეს ბუნებრივი, თავისუფალი განვითარებისათვის განათლებასთან ერთად სჭირდება სიყვარული, ყურადღება, გაგება, მხარდაჭერა. სიყვარული ისეთი უნიკალური, ღვთიური ფენომენია, რომელიც ყველა ცოდვას ფარავს, აღაშენებს და ასრულყოფილებს. როცა ერთმა მწიგნობართაგანმა იესო ქრისტეს ჰკითხა: „რომელია უპირველესი მცნება?“ მან უპასუხა: „პირველია გიყვარდეს იეჰოვა, შენი ღმერთი მთელი გულით, მთელი სულით, მთლი გონებით და მთელი ძალით. მეორე კი, მოყვასი საკუთარი თავით გიყვარდეს. ამ მცნებებზე დიდი მცნება არ არსებობს“ (მარკოზი 12:30,31). იოანემ დაწერა, ღმერთი თავად სიყვარულიაო. ეს ნათლად ჩანს ყოვლისშემოქმედის ქმნილებებიდან, მისი სიტყვიდან და ჩვენდამი დამოკიდებულებიდან. სიყვარულის აზრმიუწვდომელი მაგალითი მოგვცა ყოვლისშემოქმედმა მაშინ, როცა თავისი მხოლოდშობილი ძის იესო ქრისტეს სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად კაცობრიობის ცოდვებისგან გასათავისუფლებლად. ამასთან დაკავშირებით ბიბლიაში ვკითხულობთ: „ღმერთმა ისე შეიყვარა წუთისოფელი, რომ თავისი მხოლოდშობილი ძე მისცა, რათა ვისაც ის სწამს, არ დაიღუპოს, არამედ მარადიული სიცოცხლე ჰქონდეს“ (იოანე 3:16). ბიბლიაში ლაპარაკია უანგარო, უპირობო, გულწრფელ სიყვარულზე, როგორც აქვთ ღმერთსა და მის ძეს.

სიყვარულის ცნების ამომწურავი განსაზღვრებაა მოცემული პავლე მოციქულის მიერ კორინთელებისათვის მიწერილ პირველ წიგნში, რომელშიც ვკითხულობთ: „ადამიანთა და ანგელოზთა ენებზე რომ ვილაპარაკო, წინასწარმეტყველების ძღვენიც რომ მქონდეს, ყველა წმინდა საიდუმლო რომ ვიცოდე და ისეთი რწმენა მქონდეს, რომ მთების გადაადგილება შემეძლოს, მთელი ჩემი ქონება რომ სხვების დასაპურებლად გავცე და ჩემი სხეული გავიღო, რათა დავიკვებხო, მაგრამ სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნები“ და იქვე განაგრძობს მოციქული სიტყვას სიყვარულის არსის შესახებ: „სიყვარული სულგრძელი და კეთილია, სიყვარულს არ შურს, სიყვარული არ ტრიაბახობს, არ ყოყონობს, უწესოდ არ იქცევა, თავისას არ ეძებს, არ ღიზიანდება და განაწყენებას არ ითვლის, უმართლობით არ ხარობს, არამედ ჭეშმარიტება ახარებს. ყველაფერს იტანს, ყველაფერი სწამს, ყველაფრის იმედი აქვს და ყველაფერს ითმენს. სიყვარული არასოდეს მთავრდება“ (I კორინთელები 13:8).

ადამიანი, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, ყოველთვის გრძნობდა სიყვარულის გარდამქმნელ, გამაკეთილშობილებელ ძალას, ამიტომ თქვა: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია“-ო.

აღზრდაში აღსაზრდელისადმი უპირობო სიყვარულის სასწაულებზე ბევრი თქმულა და დაწერილა. და, მიუხედავად ამისა, ყველას ეძლევა საშუალება ამ დიადი გრძნობის შესახებ არა მარტო მოისმინოს და წაიკითხოს, არამედ საკუთარ

თავზე გამოსცადოს – მშობლებმა შვილებთან, მასწავლებლებმა თავიანთ მოსწავლეებთან ურთიერთობაში. სიყვარულის ბიბლიურ გაგებას ეხმიანება ფოსტერ კლაინისა და ჯიმ ფეის შეხედულებებიც: „ყველაზე მშვენიერია ის საყვარული, არაფერზე არა დამოკიდებული. ბავშვებისადმი ჩვენი სიყვარული არაფრით არ უნდა იყოს განპირობებული... ნამდვილი და გულწრფელია ის სიყვარული, რომელიც უპირობოდ ვლინდება მიუხედავად ბავშვის დადებითი თუ უარყოფითი ქცევისა. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, ვიწონებდეთ მის ცუდ ქცევებს“ (8, 210-211). როცა სიყვარული განპირობებულია გარე ფაქტორებით, ბავშვის ქცევითა და მოქმედებით, სხვისადმი მისი სიყვარულიც არა თვით პიროვნების, როგორც მისი მსგავსისა და მოყვასის, არამედ ასევე გარკვეული პირობებით იქნება ნაკარნახევი, რასაც ჭეშმარიტ, უანგარო სიყვარულთან არანაირი კავშირი არა აქვს. უპირობო სიყვარულის განსაცვიფრებელი მაგალითი მოგვცა ღვთის ძემ, იესო ქრისტემ, როცა მან, მამის ნების თანახმად, უყოყმანოდ გასწირა თავი მთელი კაცობრიობისათვის, როგორც მართლების, ასევე უმართლოთათვის, რომ ყველას, ვისაც ამ მსხვერპლის სწამს, მიეცეს გადარჩენის შესაძლებლობა.

ბავშვისადმი სიყვარულის გამოხატვის უამრავი საშუალებაა ცნობილი პედაგოგიკურ ლიტერატურაში, რომელთა შორის შეიძლება გამოვყოთ ყველაზე მარტივი, მაგრამ ძალზე ეფექტური მეთოდები, მაგალითად: ვიზუალური კონტაქტი, ფიზიკური კონტაქტი, ყურადღება, თანაგრძნობა, ვერბალური მეთოდები, მაგალითი და სხვ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თვალი ადამიანის სულის სარკეა. შეგრძნების ამ უნიკალური ორგანოს – თვალის საშუალებით გადაიციემა გრძნობები, ემოციები, დამოკიდებულებები და, „რაც უფრო ხშირად შევხედავთ ბავშვს სიყვარულით აღსავსე თვალებით, მით უფრო იჟღინთება იგი ამ გრძნობით და ივსება მისი ემოციონალური სფერო“ (12, 6). სწორად შენიშნავს ავტორი, რომ ეს საუკეთესო მაგალითია ბავშვისთვის, მასაც ასეთივე გამოხედვა რომ გამოუმუშავდეს სხვის მიმართ: „თუ ჩვენი თვალები სიყვარულსა და კეთილმოსურნეობას აფრქვევს, ბავშვი სწავლობს თვითონაც ასეთი გამოხედვა ჰქონდეს სხვის მიმართ. თუ ჩვენი თვალები გაღიზიანებასა და რისხვას გამოხატავს, ბავშვი ეჩვევა ამავე რეაქციას სამყაროს მიმართ“ (12, 6).

ცნობილია, რომ ბავშვი ხასიათდება მიბაძვის ზუსტი უნარით. იგი თავის ქცევას, მოქმედებას, მეტყველებას აგებს სხვათა მაგალითზე, ამიტომ მიბაძვის ობიექტი უნდა იყოს უზადო, წუნდაუდებელი. სწორია, როცა ამბობენ, ბავშვი ოჯახის, მოსწავლე სკოლის სარკეა. როგორც ღრუბელი ერთნაირად ისრუტავს როგორც სუფთა, ისე მღვრიე წყალს, ასევე ბავშვიც. რასაც ხედავს და ისმენს, იმასვე ითვისებს. ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში, მიმბაძველობის უნართან დაკავშირებით პედაგოგიკის მეცნიერების ფუძემდებელს მარკუს ფაბიუს კვინტილიანეს თავის „ორატორის დარიგებანის“ პირველი წიგნის პირველ თავში საგანგებოდ აქვს გამოყოფილი საკითხი: „II. რა თვისებებით უნდა გამოირჩეოდნენ ძიძვები, მშობლები, ამხანაგები, მასწავლებლები“. მეცნიერ-პედაგოგი მათგან მოითხოვს კარგ გამოთქმასა და კილოს, ზნეობასა და მეტყველებას, განათლებულობასა და კომუნიკაბელურობას, რადგან, მისი აზრით, „ყრმობის ასაკში მიღებული სწავლა თუ ჩვევა მესხიერებაში დიდ ხანს გასდევს ისევე, როგორც ჭურჭელს ის სუნი, რომლითაც პირველად გაიჟღინთა, და არც იმ საღებავის გადარეცხვას იოლი, რომელიც ერთხელ ტილოს გადაესვა. ასე რომ, მაგნე ჩვევები უფრო ადვილად იდგამს ფეხს და სიკეთე ბოროტებად გადაიქცევა... ამიტომ აუცილებელია თავიდანვე ყურადღება მიექცეს ბავშვს, რათა იგი არ მიეჩვიოს რაიმეს ისეთს, რისი აღმოფხვრაც შემდგომში გაძნელდება“.

სიყვარულის გამოვლენის ასევე კარგ საშუალებად ითვლება ფიზიკური კონტაქტი, სათუთი შეხება: მოფერება, თავზე ხელის გადასმა, მხრებზე მოთათუნება, ხელის გაწოდება, ხელმკლავის გაყრა, ტანსაცმლის გასწორება და ა. შ. ბავშვის ასაკის, დროისა და სიტუაციის ზუსტი გათვალისწინებით, რაც ბავშვს აგრძობინებს მისდამი ჩვენს კეთილ დამოკიდებულებას, სიყვარულს, რომ ის ჩვენთვის ძვირფასია.

აღმზრდელის მშრალი, ოფიციალური და გაშეშებული გამომეტყველება თრგუნავს ბავშვს და მყისვე იწყებს თავდაცვის ინსტიქტის ამოქმედებას. ასეთი მასწავლებლის შესახებ კვინტილიანემ თქვა: „ისეთივეა მშრალი მასწავლებელი ბავშვებისათვის, როგორც ტენიანობას მოკლებული და გაქვავებული მიწა ნორჩი ნერგისათვის“ (9, 85).

უპირობო სიყვარულის გამოხატვის ყველაზე მნიშვნელოვანი საშუალებაა ყურადღების გამოვლინება. მართალია, ეს საშუალება ვიზუალური და ფიზიკური კონტაქტებისგან განსხვავებით გარკვეულ დროსა და ძალისხმევას მოითხოვს, მაგრამ როცა კარგად გავიცნობიერებთ ბავშვის სრულფასოვან პიროვნებად ფორმირების გრანდიოზულობას, მაშინათვე დაერწმუნდებით მის უცილობელ პრიორიტეტულობაში, რაც საქმისადმი დადებითად განაწყოებს მშობლებსა და მასწავლებლებს, ყველას, ვისაც აღზრდასთან აქვს საქმე.

ბავშვს, როგორც წესი, იმთავითვე უჩნდება სოციოგენური მოთხოვნები: სწრაფვა დიდობისაკენ, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისაკენ, მას სურს ცნობდნენ, აღიარებდნენ, ენდობოდნენ, ეკითხებოდნენ, აფასებდნენ, პატივს სცემდნენ, ანგარიშს უწევდნენ, აწინაურებდნენ, აქებდნენ და ა. შ. როცა იგი ოჯახისა და სკოლის პირობებში ვერ იკმაყოფილებს თავის კანონიერ მოთხოვნებს, ვერ ახდენს თვითდამკვიდრებასა და თვითრეალიზაციას, ერთგვარ კომპენსაციას იკეთებს მის გარეთ. პროტესტის ნიშნად ბავშვთა ერთი ნაწილი თვალთაგან „მიფარებას“, პასიურ მდგომარეობას ირჩევს, უმეტესობა კი სხვაგან ეძებს ისეთ ადგილს, ისეთ წრეს, სადაც ნებისმიერ ფასად მოახერხებს გაიტანოს თავისი. სამწუხაროდ, იგი ადვილად პოულობს ასეთ მდგომარეობაში მყოფ თანამოაზრეებს და იქმნება, მათი აზრით, „მოძულებულთა“ ჯგუფი, ძალა, რომელიც ყველაფერზე მიდის იმისათვის, რომ ყურადღება მიიქციოს, გახდეს ე.წ. „ცნობადი სახე“ და აღწევს კიდევაც მიზანს. სკოლა და ოჯახი უძღური ხდება უკვე მათ წინაშე. საქმე სანამ აქამდე მივა, მანამ უნდა მოვასწროთ მასთან დაახლოება, დროის დათმობა, მოსმენა, მისი გრძობითი ემოციური მდგომარეობის „წაკითხვა“ და, შესაბამისად, იდენტიფიცირება, თანაგრძობისა და თანადგომის გამოვლინება. რეალური სინამდვილე გვიჩვენებს, რომ ახლანდელ ბავშვებზე გამაღიზიანებლად მოქმედებს გაუთავებელი სენტენციები და მოთხოვნები, შენიშვნები და აკრძალვები. პრობლემას ისიც ართულებს, რომ დროის უმეტესი ნაწილი ბავშვები დაკავებული არიან ტელეეკრანებზე თუ კომპიუტერის მონიტორზე ფართოდ და დაუფარავად წარმოდგენილი უხეირო თამაშობების, ძალადობისა და პორნოგრაფიული სცენების ამსახველი სურათებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მათ ფსიქიკასა და ემოციურ სფეროზე, აკადემიურ მოსწრებაზე.

გამოკვლევებმა აჩვენა, რომ იმ ოჯახებში, სადაც აღზრდაა მთავარი, სადაც მშობლები ითვალისწინებენ შვილების სამართლიან მოთხოვნებს, დიდ დროს უთმობენ მათთან ურთიერთობას და ცდილობენ ამ მოთხოვნების დროულ და გონივრულ დაკმაყოფილებას, იზიარებენ მათ სიხარულსა და წყენას, ეპატივებიან მათთვის სასურველ ადგილებზე სათამაშოდ, გასართობად, ღირსშესანიშნაობათა და სათვალისწინებლად, უყვებიან საკუთარ ან სხვათა თავგადასავლებზე, კუროზებზე, ბავშვურ ოინებზე, უკითხავენ კლასიკოსთა ნაწარმოებებიდან საინტერესო ადგი-

ლებს, ერთად აგვარებენ ოჯახურ საქმეებს, ერთად სტუმრობენ ნათესავებსა და მეგობრებს, იღებენ სამახსოვრო ფოტოსურათებსა და ა. შ. ამგვარი ურთიერთობები ავსებს ბავშვის ემოციურ სფეროს, უფაქიზებს გრძნობებს, უმდიდრებს გონებას საზოგადოებრივად ღირებული შთაბეჭდილებებით, უყალიბებს სწორ შეხედულებებს, საფუძველს უყრის ზნეობრივ და ესთეტიკურ კულტურას. და, რაც მთავარია, ასეთი მიდგომა ხელსაყრელ ემოციურ ფონს უქმნის მას, როგორც მოსწავლეს, შემეცნებითი საქმიანობისათვის. ის ადვილად ემორჩილება სკოლის ჯანსაღ გარემოს, პედაგოგიურ მოთხოვნებს, საინტერესო და ნაყოფიერი ხდება მისთვის მეცნიერულ საფუძველზე ორგანიზებული სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესი. მოგებული რჩება სკოლაც, ოჯახიც და, რაც მთავარია, აღსაზრდელი.

რეალური სინამდვილისა და სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, იმ ოჯახებში, სადაც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო აღზრდას ნაკლები ყურადღება ეთმობა, ან მეორეხარისხოვან საქმედ ითვლება, მდგომარეობა სავალალოა. ხელმიშველებულ ბავშვებს მთელი ძვირფასი დრო უმიზნოდ და უშინაარსოდ ეფლანგებათ. მათთან საუბარში ისეთი შთაბეჭდილება შეგვექმნა, რომ მათ ჰგონიათ, თითქოს, მათთვის არავის სცალია, მათი გრძნობები არავის არ აინტერესებს, მათ ვერ უგებენ, არ უსმენენ, მოსწყინდათ გაუთავებელი მოთხოვნები, აკრძალავენ, საყვედურები, დამამცირებელი მიმართვები, რაც არც თუ იშვიათად ბავშვის აგრესიას, დაუოკებელ მღელვარებას იწვევს. ეს კი შეიძლება კონფლიქტის მწვავე საფუძველი გახდეს. ასეთ შემთხვევაში კ. ჯაინოტი გვირჩევს: „მღელვარე გრძნობების უარყოფას არ გირჩევთ, ... აუცილებელია მათი რეალურობისა და ძალაუფლების აღიარება. თუ ასეთ გრძნობებს პატივისცემით მოვეპყრობით და საჭირო კალაპოტში მივუშვებთ, ისინი თქვენს სიცოცხლეს სინათლითა და სიხარულით აავსებენ“ (13, 51).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია, რომ ბავშვებს როგორც კვინტილიანემ თქვა: „იშვიათად აკლიათ ბუნებრივი ნიჭი, უფრო ხშირად აკლიათ მასზე ზრუნვა“ (9, 1). აღსაზრდელთა უმრავლესობა მოკლებულია არა მარტო ზრუნვასა და სიყვარულს, არც თუ იშვიათად მშობელთა და მასწავლებელთა სათანადო ცოდნის დეფიციტის მსხვერპლნიც არიან. ჩვენ რომ არ ვცოდავდეთ ღვთისა და ბავშვის წინაშე, აღზრდის პრობლემა ბევრად მსუბუქი იქნება. თანამედროვე უმდიდრესი პედაგოგიკური და ფსიქოლოგიური მიღწევების ფონზე შეიძლება გამართლება ჰქონდეს ამ პრობლემის არსებობას, იმის გამო, რომ მის რეალიზატორთა უმრავლესობა ამ მეცნიერებებს ცუდად იცნობს?!

აღზრდა, როგორც საზოგადოებრივი მოვლენა, განსაკუთრებულ მიდგომას მოითხოვს. მართალია, სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ყოველთვის ახლავს ბუნებრივი პრობლემები, მაგრამ საქმე მძიმდება მაშინ, როცა აღზრდის უშუალო სუბიექტების – მშობლებისა და მასწავლებლების მშობლიური და პროფესიული მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება დაბალია, პედაგოგიკურ-მეცნიერული მოთხოვნები, კანონები და პრინციპები უგულვებელყოფილია. პროფესიონალიზმი და ბავშვის სიყვარული ის ძალებია, რომელიც ხელს უწყობს აღსაზრდელის უფლებების, გრძნობების, ინტერესებისა და ფსიქიკურ-ინტელექტუალური შესაძლებლობების გაგებასა და პედაგოგიური პროცესის ამ მიმართულებით ორიენტირებას, შესაბამისად, აღზრდის პრობლემის უფრო ადვილად გადაჭრას.

მასწავლებელს უნდა შეეძლოს პედაგოგიურ პროცესში გამოვლენილი პრობლემების ტიპოლოგიზაცია, მიზეზების დადგენა და პედაგოგიკურ კატეგორიებში გადატანა, მისი თეორიული ანალიზი, შესაბამისი პედაგოგიური გამოსავლის პოვნა და გამოყენება.

საჭირო პედაგოგიური კვალიფიკაციის ამადლებაში მას დაეხმარება მუდმივ

მოქმედ პედაგოგიურ სემინარებზე, სათანადო ლიტერატურის პრეზენტაციებსა და სამეცნიერო-პედაგოგიურ კონფერენციებში მონაწილეობა, ახალი მეცნიერული მიღწევების ათვისება, პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილების მუდმივად განახლება-გამდიდრება.

და, რაც მთავარია, სახელმწიფოსა და საზოგადოების მიერ მასწავლებლის შრომის შესატყვისად დაფასება, ცნობა და აღიარება, მისი მატერიალური, სოციალური, მორალური და ემოციური მოთხოვნების მაქსიმალური დაკმაყოფილება.

აი, მაშინ ნახეთ თუ რა სასწაულებს მოახდენს ბედნიერი მასწავლებელი!

ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე კ., ცოდნის ჩაუქრობელი ღამპარი, თბ., 1990.
2. განვითარებისა და სწავლების თეორიები. მასწავლებელთა განვითარების ცენტრი, თბ., 2008.
3. ვისწავლოთ ერთად. ინკლუზიური განათლება, თბ., 2008.
4. ზაალიშვილი ნ., პედაგოგიური ურთიერთობები, თბ. 2003.
5. თერნბული ჯ., პროფესიონალი მასწავლებლის 9 მახასიათებელი, თბ., 2009.
6. მელაშვილი კ., პედაგოგიური ხელოვნება, თბ., 2004.
7. კოპალიანი ბ., მასწავლებლის სამაგიდო წიგნი, თბ., 2009-2010.
8. კიმმელ ტ., კლანი ფ., ბენუა, აღზრდა სიყვარულითა და ლოგიკით, მ., 1995.
9. კვინტილიანე მ. ფ., ორატორის დარიგებანი, სანკტ-პეტერბურგი, 1834.
10. კომენსკი იან-ამოს, რჩ. პედ. თხზ. თბ., 1949.
11. შტაინერი რ., ბავშვის აღზრდა სულიერი მეცნიერების თვალსაზრისით, თბ., 1990.
12. ი. მანიჩენკო, აღზრდის 10 საიდუმლო, 2009.
13. ჰაიმ ჯ. ჯაინოტი, მშობლები და შვილები, თბ., 1991.

Gulnaz Khukhua

Upbringing based on love and respect of child's personality

Summary

The work is about the importance of principles of love and respect in upbringing and technologies for their implementation. The pedagogical methods for their expression are specified according to different situations. The Biblical view of love is used. Theoretical and practical significance of visual, physical and verbal contact is proved by arguments. The positive results in pedagogical relationships when recognizing and considering the feelings, emotions and wishes of a person to be brought up are underlined.

The usage of methods like examples, as an object of imitation, is reported in a new manner.

Expression of love and respect towards a student creates a positive background for educational interest and intellectual activation.

Гулназ Хухуа

Воспитание личности ребенка на основе любви и уважения

Резюме

Данная работа касается принципов любви и уважения, использования новых технологий и их практических реализаций в воспитании.

Конкретизированы различные педагогические возможности их выражения по ситуациям. Обосновано теоретическое и практическое значение визуальных, физических и вербальных контактов. Подчеркнуты положительные результаты понимания и предусмотрительности чувств, эмоций и желаний воспитанника в педагогических отношениях.

По-новому освещена методика примера как объекта подражания. Выражение любви и уважения к учащимся создает благоприятный эмоциональный фон для познавательного интереса и интеллектуальной активности.



ანტონინა მსხილაძე, მინედა ჭანტურია
(საქართველო)

ცეოლითები – მღუღარე ქვები

ცეოლითები, როგორც მინერალები, ცნობილი იყო ჯერ კიდევ 200 წლის წინ. 1756 წელს ფ. კრონშტედტმა აღმოაჩინა ქვა (სტილბიტი), რომელიც გაცხელებისას დუღდა, ფუფუნებდა. მანვე შემოიტანა ტერმინი "ცეოლითი", რაც ბერძნულად ნიშნავს "მღუღარე ქვას". აღმოჩნდა, რომ მსგავსი თვისება ახასიათებს ამ სახეობის სხვა მინერალებსაც: კლინოპტილოლითს, მორდენიტს, შაბაზიტსა და სხვ. თითქმის ორი საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა ამ მინერალების მოძიება. თავის ნაშრომში ამერიკელმა მეცნიერ-მკვლევარმა ფ. მამპტონმა ამ მინერალს "ჯადოსნური ქვა" უწოდა.



ბუნებრივი ცეოლითი კლინოპტილოლითი და ნატროლიტი

ცეოლითური მინერალები აღმოჩენილი იყო ძირითადად ბაზალტებში, ანდეზიტებში და სხვა ვულკანური წარმოშობის ქანებში, რომლებშიც ცეოლითები წარმოქმნიან მსხვილ, კარგად ჩამოყალიბებულ კრისტალებს. ბუნებრივი ცეოლითების სამრეწველო საბადოები არის: აშშ-ში, იაპონიაში, რუსეთში, ბულგარეთში, იტალიაში, უნგრეთში, ახალ ზელანდიაში და სხვ. საქართველოში მოიპოვება ამ ძვირფასი ნედლეულის ფართო ასორტიმენტი: კლინოპტილოლითი, ჰეილანდიტი, მორდენიტი, ანალციმი, ლომანტიტი, ფილიფსიტი.

ბუნებრივი ცეოლითების საბადოების აღმოჩენის სამუშაოები ქართველმა გეოლოგებმა დაიწყეს მე-20 საუკუნის 30-40-იან წლებში აკადემიკოს ა. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით და გააგრძელეს პროფესორმა ე. გვახარიაძემ, აკადემიკოსებმა – გ. ძოწენიძემ და ნ. სხირტლაძემ. კლინოპტილოლიტ-ჰეილანდიტის შემცველი ტუფები აღმოჩენილია ძეგვი-თეძამის რაიონში, მორდენიტის შემცველი – ბოლნისში, ანალციმის – ქუთაისის მახლობლად, ფილიფსიტის – გურიასა და სამხრეთ საქართველოში, ხოლო ლომონტიტის შემცველი ქანები – თბილისის მახლობლად. ცეოლითების კვლევისა და გამოყენების სფეროში ინტენსიური სამუშაოები მიმდინარეობს ამჟამადაც.

საქართველოში მდებარე თეძამის საბადოს ცეოლითი ერთ-ერთი საუკეთესო მსოფლიოში. ის გამოირჩევა მინერალ კლინოპტილოლიტის მაღალი შემცველო-

ბით, რომელიც აღწევს 80%-ს. თეძამის საბადოს ცეოლიტებს იყენებენ აზოტის სასუქის მწარმოებელი ქარხნები ჩამდინარე წყლების ფენოლისაგან გასაწმენდად და ამონიუმის გვარჯილაში დანამატად. ცეოლიტს მოიხმარს სასმელი წყლის მრავალი სადგური, ის დიდი რაოდენობით იგზავნებოდა იაპონიაში ქალაქის საწარმოებლად, ლიბიაში, ეგვიპტეში და სხვა ქვეყნებში ნიადაგის სტრუქტურის გასაუმჯობესებლად და მასში ტენის შესანარჩუნებლად. ყველა ცნობილი ადსორბენტიდან ცეოლიტები ყველაზე მეტად ჰიდროფილურია ანუ, პირველ რიგში, სელექტიურად შთანთქავენ (ადსორბირებენ) წყლის ორთქლს. ჩერნობილის ავარიის შემდეგ რადიოაქტიურად დაბინძურებული ზონის გასაწმენდად გაიგზავნა 100000 ტონაზე მეტი ცეოლიტი. თეძამის საბადოს კლინოპთილოლიტის რადიოაქტიური ელემენტების Cs- და Sr- შთანთქმის ყველა სხვა ცნობილ ცეოლიტზე უფრო მაღალი უნარი აღმოაჩნდა.

ცეოლიტები უძვირფასესი მასალაა წარმოებისათვის, მათ აქვთ უარყოფითი მუხტის მქონე ჰიდროალუმო-სილიკატური [(Si,Al)O₄]- კარკასულ-ფოროვანი სტრუქტურა. ანიონის მუხტი ნეიტრალდება ნატრიუმის, კალიუმის, კალციუმისა და მაგნიუმის (Na, K, Mg, Ca, Sr, Ba, Ca) კატიონებით, რომლებსაც შეიცავს ცეოლიტები. ცეოლიტების კრისტალური სტრუქტურა ერთადერთია დედამიწაზე, რომელიც ცოცხალი სამყაროს ბუნებრივ პირობებში არ იშლება. ცეოლიტების უნიკალურობა მათ სტრუქტურაში არსებული სიცარიელების, ღრუებისა და არხების არსებობით არის განპირობებული, რაც საერთო მოცულობის 50%-ს აღწევს და სორბენტს უძვირფასეს თვისებებს ანიჭებს. კატიონების შემცველობა ცეოლიტებში დაკავშირებულია მათ სელექტიურ (შერჩევით) იონმიმოცვლით უნართან წყალხსნარებში. მათი უნიკალური თვისებაა გავლენა ცოცხალ ორგანიზმზე. აგრეთვე მნიშვნელოვანია ცეოლიტის კრისტალების უკუდჰიდრატაციის უნარი (ე.ი. წყლის დაკარგვა) სტრუქტურის რღვევის გარეშე და, რაც მთავარია, სხვადასხვა ორგანული ნაერთის მიმართ დიდი შთანთქმის უნარი. ატმოსფეროში მოხვედრილ ქიმიურ ნაერთებს შორის განსაკუთრებით საშიშია კანცეროგენები, ნაერთები, რომლებიც გროვდება ცოცხალ ორგანიზმში და იწვევენ ავთვისებიან წარმონაქმნებს. 3,4-ბენზოპირენი ყველაზე ძლიერი კანცეროგენია, რომელსაც შეიცავს შიდა წვის ძრავების გამონაბოლქვი აირები, ნახშირის წვის პროდუქტები, ნავთობპროდუქტები. ამ ორგანული ნივთიერებისაგან აირების სრული გაწმენდისათვის ეფექტურად გამოიყენება ცეოლიტები.

1925 წელს აღმოჩენილ იქნა ცეოლიტების კიდევ ერთი თვისება: შთანთქმის გარკვეული ნივთიერების მოლეკულები და არ მოახდინოს სხვა ნივთიერების მოლეკულების ადსორბცია, რასაც განაპირობებს მოლეკულების გეომეტრიული კონფიგურაცია. ამ აღმოჩენამ საშუალება მისცა ცნობილ ინგლისელ მეცნიერს მაკ ბენს ქიმიკში შემოეღო ახალი ტერმინი – "მოლეკულური საცრები".

ცეოლიტების უნიკალური კატიონმიმოცვლითი და ადსორბციული თვისებების აღმოჩენამ, რომელიც შერწყმულია მოლეკულურ-საცრულ ეფექტთან, მეცნიერთა დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ცეოლიტების ქიმიური ფორმულა შემდეგი სახისაა: $M_x/n [Al_x Si_y O_2 (x + y)p \cdot H_2O]$, სადაც M – ერთვალენტიანი ან ორვალენტიანი კატიონებია. ბუნებრივ ცეოლიტებში, ჩვეულებრივ, არის ნატრიუმი, კალიუმი, მაგნიუმი, იშვიათად ლითიუმი, ბარიუმი და სტრონციუმი; n – კატიონის მუხტია. ცეოლიტები, თიხებისაგან განსხვავებით, იონ-მიმოცვლის პროცესში არ იჯირჯევა და არ იკუმშება.

ცეოლიტებს გააჩნიათ სელექტიური ადსორბციისა და იონმიმოცვლითი თვისებები, რის გამოც იყენებენ მათ მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ეკოლო-

გიაში და სხვ. ბუნებრივი ცეოლითის – კლინოპტილოლითის მაღალი მექანიკური სიმტკიცე, ქიმიური მდგრადობა, ფორიანობა, შთანთქმისა და იონმიმოცვლის უნარი განაპირობებს მის გამოყენებას:

- აირადი და თხევადი სისტემების გასაწმენდად და გასასუფთავებლად, ატომობილების, საწარმოთა გამონაბოლქვი აირების გასაწმენდად მჟავა კომპონენტებისაგან (CO₂, SO₂ და სხვა);

- კატალიზატორებად, მაგალითად, სპილენძმემცველ კატალიზატორებზე NO გარდაიქმნება აზოტად და ჟანგბადად და სხვა; მრეწველობაში მანამდე უცნობი პროცესების განსახორციელებლად: მაგალითად, მეთილის სპირტისაგან ნახშირწყალბადების მისაღებად, ნავთობგადამამუშავებელი პროცესების კატალიზატორებად, რომლებიც ზრდიან პროცესების ეფექტურობას და იძლევიან მნიშვნელოვან მოგებას;

- ქაღალდისა და რეზინის წარმოებაში;

- ჩამდინარე წყლების გასაწმენდად, სასმელი წყლის გასასუფთავებლად;

- სოფლის მეურნეობაში მოსავლიანობის, ბიოქიმიური მაჩვენებლების გასაზრდელად. აუმჯობესებს ნიადაგის სტრუქტურას, შთანთქმავს ამონიუმისა და კალიუმის იონებს და ინარჩუნებს ტენს, იცავს მცენარის ფესვებს დაავადებებისაგან, წარმოადგენს მიკროელემენტების წყაროს;

- თანამედროვე სარეცხ საშუალებათა შესაქმნელად. ცეოლითების შემცველობა მათში აღწევს 15-დან 30%-მდე.

- ცხოველების და ფრინველების საკვებ დანამატებად – აუმჯობესებს საკვების შეთვისების უნარს, იცავს მას დაობებისაგან, აჩქარებს ცხოველების ზრდას. მეცხოველეობისა და მეფრინველეობის ფერმერებში ცეოლითები გამოიყენება დამახასიათებელი არასასიამოვნო სუნის გასაქრობად, ნაკელში ცეოლითის დამატებით მკვეთრად იზრდება ორგანული სასუქის ღირებულება;

- თევზის მეურნეობაში წყლის გასაწმენდად ამონიუმის იონებისაგან, რაც დადებით გავლენას ახდენს თევზის გამრავლებაზე, მნიშვნელოვნად ამცირებს თევზის სიკვდილიანობას;

- მინერალურ სასუქში ხარისხის მკვეთრად გასაზრდელად. ის დიდი ხნის განმავლობაში არ ირეცხება ნიადაგიდან და ამით იცავს გრუნტის წყლებს დაბინძურებისაგან, ზოგავს სასუქს და იცავს მცენარეებს ნიტრატების სიჭარბისაგან. ამონიუმის გვარჯილასთან შერევის შემდეგ იცავს მას აფეთქებისაგან;

- ცემენტის წარმოებაში ცემენტის სამომხმარებლო თვისებების გასაზრდელად.

ბუნებრივი ცეოლითები გაცილებით უფრო ეფექტურია, ვიდრე კვარცის ქვიშა გამწმენდ ნაგებობათა ფილტრებში და წყალმომზადების სადგურებში. მათი საშუალებით შესაძლებელი გახდა მრავალი გარემოსდაცვითი რადიოეკოლოგიური და მედიკო-ბიოლოგიური პრობლემის მოგვარება. ცეოლითების – ამ უნიკალური მასალის ფიზიკურ-ქიმიური თვისებების ღრმად შესწავლა იძლევა მათი გამოყენების უნიკალურ პერსპექტივებს.

ამჟამად, ფუნდამენტალური კვლევების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მეცნიერულ საფუძვლს წარმოადგენს ცეოლითების მომზადებისა და გამოყენების მეთოდების შემუშავება, ვინაიდან ისინი ფართოდაა გავრცელებული, ხელმისაწვდომია, იაფია და იძლევა არაერთჯერადი გამოყენების შესაძლებლობას.

აქვთ თუ არა ცეოლითებს მომავალი? გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი ფ. მამპტონი აღნიშნავს: ”ცეოლითი – ეს არის XXI საუკუნის ცივილიზაციის პროდუქტი”. საკმაოდ დიდია იმ პრობლემათა არეალი, რომელთა გადაჭრა შესაძლებელია ცეოლითების საშუალებით, მთვარეზე ხელოვნური ნიადაგის შექმნიდან დაწყებული (აშშ), ახალი, ეფექტური მოქმედების წამლების წარმოებით დამთავრებული.

ლიტერატურა:

1. Sh.Sidamonidze, L .Akhalbedashvili, G. Tsitsishvili, B. Chankvetadze, M. Dzagashvili Reduction of nitric oxide over clinoptilolite and its cationmodified forms, Soobsh. Akad.NaukGruz. SSR, 1980, 100 (2), 345-348, Chem.Abstr.,1981, v.95. 66996.
2. Sh. Sidamonidze, L. Akhalbedashvili, B. Chankvetadze, Catalitic activity of clinoptilolite 1986, v. 103, 221708.
3. თ. კეკელია, თ. ხელაძე, შ. სიღამონიძე, ა. მსხილაძე, ნ. თაყაიშვილი, კლინოპტილოლიტის დეკათონირებული ფორმის კატალიზურ აქტიურობაზე N₂O და სხვა ასტექიომეტრული კომპონენტებთან მისი კომბინაციის გაველენა, საქართველოს ქიმიური ჟურნალი, 2008, 8 (2), 153-154.
4. Сидамонидзе Ш., Цицишвили Г., Иашвили И., Шавладзе Д., Цинцкаладзе З. Инфракрасные спектры воды и аммиака адсорбированных на природном цеолите. В кн. Природные цеолиты, Тбилиси, Месниереба, 1979, с. 321-325.
5. Джинчарадзе М., Дубинин М., Исикириян А. Энергетика сорбционных процессов на природном клиноптилолите. В кн. Природные цеолиты, Тбилиси, Месниереба, 1979, с. 50-55.
6. Новые подходы к изучению физико-химических свойств цеолитов. Деменьтиев С. и др. Новосибирск, Наука, 1985.
7. Цеолитовые молекулярные сита, Брек Д, М., Мир,1976.
8. Кузнецов Б.Н. Каталитическая химия растительной биомассы // Соросовский Образовательный Журнал. 1996. №12. С. 47-55.
9. Караханов Э.А. Синтез-газ как альтернатива нефти. 1. Процесс Фишера-Тропша и оксо-синтез // Там же. 1997. № 3. С. 69-74.

Mineda Chanturia, Antonina Mskhiladze ***Zeolites – boiling stones*** **Summary**

The present paper considers the application of natural zeolites on the basis of their unique adsorption, cation-exchange and molecular sieve property, structure, composition of zeolite deposits in Georgia and possible increase of their application areas on the basis of study of the physico-chemical property.

Антонина Мсхиладзе, Минеда Чантурия ***Цеолиты – кипящие камни*** **Резюме**

В статье рассмотрены сферы применения природных цеолитов на основе их уникальных адсорбционных, катионно-обменных и молекулярно-ситовых свойств, структура, состав цеолитов, месторождения их в Грузии и возможности расширения сферы применения при дальнейшем изучении физико-химических свойств природных цеолитов.



ღალი ტაბატაქე, ემა ჭურდულია, თინათინ კუჭუხიძე
(საქართველო)

**ენერგეტიკული რესურსები და მათი ბაზოქენების
ეკოლოგიური ასაქმტები**

მესამე ათასწლეულის დასაწყისში კაცობრიობა უფრო ხშირად ფიქრობს იმაზე, თუ რა გახდება მისი არსებობისთვის უმთავრესი ახალ ეპოქაში. ენერგია იყო, არის და დარჩება ადამიანის სიცოცხლისა და განვითარების მთავარ ფაქტორად. სხვადასხვა სახის ენერგიის ათვისების გარეშე ადამიანს არ შეუძლია სრულფასოვნად არსებობა. ადამიანმა გაიარა გზა პირველი კოცონიდან ატომურ ელექტროსადგურებამდე, აითვისა ძირითადი, ტრადიციული ენერგეტიკული რესურსების – ქვანახშირის, ნავთობისა და გაზის მოპოვება, ისწავლა მდინარეების ენერგიის გამოყენება, დაიმორჩილა „მშვიდობიანი ატომი“, მაგრამ თანამედროვე ეპოქაში უფრო აქტიურად განიხილება ახალი არატრადიციული, ალტერნატიული ენერგიის ეფექტურად გამოყენების საშუალებები.

ნებისმიერი სახეობის ორგანული საწვავის გამოყენება იწვევს უარყოფით ეკოლოგიურ შედეგებს, რადგან ხდება ატმოსფეროს, ნიადაგის, მცენარეულობის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების აირმტვრიანი დაბინძურება. მსოფლიოში ელექტროენერგიის უდიდესი ნაწილი გამოქმუნავდება თბურ და ატომურ სადგურებში, სადაც მუშა სხეულს წარმოადგენს წყლის ორთქლი. ადამიანი უძველესი დროიდან იყენებდა წყლის ენერგიას და იგი დღესაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანია. ნავთობპროდუქტების, გაზის, მიღევადი ორგანული საწვავის მუდმივი გაძვირება, ეკოლოგიური სიტუაციის გაუარესება კაცობრიობის ყურადღებას კვლავ მიაპყრობს ტრადიციულ ჰიდროენერგეტიკას, რომელიც არ ხარჯავს ნავთობს, ნახშირს, გაზს, ხე-ტყეს, მუდმივად განახლებადი რესურსია და ეკოლოგიურად სუფთაა.

ელექტროენერგიის მსოფლიო წარმოებაში, ენერგიის ყველა წყაროდან ამჟამად მხოლოდ ჰიდროენერგეტიკას შეაქვს მნიშვნელოვანი წვლილი – 21%. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შორის პირველი ადგილი ჰიდროენერგორესურსებს უჭირავს. საქართველოს ტერიტორიაზე დათვლილია 26 ათასი მდინარე, რომელთა საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათასი კმ-ია. მდინარეთა საერთო რაოდენობიდან ენერგეტიკული მნიშვნელობით გამოირჩევა 300-მდე მდინარე, რომელთა წლიური ჯამური პოტენციური სიმძლავრე 15 000 მეგავატის ეკვივალენტურია, ხოლო საშუალო წლიური ენერგია 50 მილიარდი კილოვატ საათის ეკვივალენტური. მცირე ჰესების ტექნიკურ რესურსებს განსაზღვრავს მდინარეების ისეთი ცალკეული უბნების ენერგეტიკული პოტენციალების ჯამი, რომელთა სიმძლავრე არ აღემატება 10 მეგავატს. 1970 წლამდე საქართველოში 10 მგ/ვტ-მდე სიმძლავრის 200-მდე ჰიდროელექტროსადგური მოქმედებდა, მაგრამ ამ დროისათვის დიდი ელექტროენერგეტიკის მძლავრი ტემპებით განვითარებასთან ერთად მათი უმრავლესობის ექსპლუატაცია შეჩერებულ იქნა არარენტაბელობის გამო, რის შედეგადაც ეს სადგურები მთლიანად ან ნაწილობრივ განადგურდა.

მრეწველობის დარგებს შორის ატმოსფეროში მავნე ნივთიერებათა ჯამური გაფრქვევების მიხედვით თბოენერგეტიკა პირველ ადგილს იკავებს. თანამედროვე თბოელექტროსადგურებში დამწვარი ნავთობი და ნახშირი გახდა მუავე წვიმების მოსვლის მიზეზი, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს გარემოს მდგომარეობაზე. 2,4 მლნ სიმძლავრის თანამედროვე თბოელექტროსადგური დღე-ღამეში ხარჯავს 20 ათას ტონამდე ნახშირს და ამავე დროში ჰაერში გააფრქვევს 680 ტ SO₂ და SO₃,

ასევე 120-140 ტ მყარ ნაწილაკებს (ნაცარს, მტვერს, მურს), 200 ტ აზოტის ოქსიდებს. დანადგარების გადაყვანა თხევად საწვავზე (მაზუთი) ამცირებს ნაცრის გამოყოფას, მაგრამ პრაქტიკულად არ ამცირებს აზოტისა და გოგირდის ოქსიდების რაოდენობას. მთლიანობაში ნებისმიერი სახეობის ორგანული საწვავის გამოყენება იწვევს უარყოფით ეკოლოგიურ შედეგებს. ხდება ატმოსფეროს, ნიადაგის, მცენარეულობის, ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების აირმტვრიანი დაბინძურება. ინდუსტრიულ რაიონებში ატმოსფერული ნალექების pH მცირდება 2-4-მდე. აირმტვრიანი გამონაბოლქვები შეიცავენ დიდი რაოდენობით თუთიას, ტყვიას, ნიკელს, ვერცხლისწყალს და სხვა ტოქსიკურ ლითონებს.

მსოფლიოში ელექტროენერჯის უდიდესი ნაწილი გამოიშავდება თბურ და ატომურ სადგურებში, სადაც მუშა სხეულს წარმოადგენს წყლის ორთქლი. მის ზეკრიტიკულ პარამეტრებზე (ტემპერატურა, წნევა) გადასვლამ შესაძლებელი გახადა ამაღლებულიყო მქკ 25-დან 40%-მდე, დაეზოვა პირველი ენერგორესურსები – ნავთობი, ნახშირი, აირი. ა.ე. შეინდინის ხელმძღვანელობით ზეკრიტიკულ მდგომარეობაში წყლის ორთქლის თბოფიზიკური თვისებების ფუძემდებლური კვლევების საფუძველზე დამუშავდა მეთოდთა და ექსპერიმენტალური დანადგარი, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ა.ე. შეინდინის გათვლების შედეგები გახდა საფუძველი ბევრ ქვეყანაში ელექტროსადგურების მშენებლობის.

წყალბადი მომავლის საწვავია, რომელიც უზრუნველყოფს გარემოს დაბინძურებისაგან დაცვას, რამდენადაც მისი წვის პროცესში მხოლოდ წყლის ორთქლი წარმოიქმნება. წყალბადის ენერგეტიკის პრობლემებიდან მნიშვნელოვანია მისი უსაფრთხოება და სიძვირე, ვინაიდან წყალბადის მისაღებად აუცილებელია წინასწარ დაიხარჯოს ენერჯია. წყალბადის ენერგეტიკაში დადგენილი სიმძლავრის 1 კვტ ღირებულება ჯერჯერობით შეადგენს 4-5 ათას დოლარს. ეს 10-ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე თბურ სადგურებში და 5-ჯერ ძვირი ატომურ ელექტროსადგურებზე. წყალბადის წარმოების ორი მთავარი მიმართულება არსებობს: ტრადიციული, ბუნებრივი აირის ან ნახშირის რეფორმინგის ჩვეულებრივი პროცესების დახმარებით და წყალბადის მიღება წყლის ელექტროლიზით. წყალბადის გამოყენებისათვის ძირითადი მოწყობილობა იქნება სათბობი ელემენტები, რომლებშიც ელექტროლიზის შებრუნებული პროცესი წარიმართება. მსოფლიოს დიდი ენერგეტიკული კომპანიები უკვე გამოყოფენ სახსრებს სათბობი ელემენტების, წყალბადის მიღების სისტემების დამუშავებისათვის ელექტროენერჯის ინდივიდუალური მომხმარებლებისათვის მიკროელექტროსადგურების შექმნის მიზნით. წყალბადის სათბობი ელემენტების ენერგეტიკული მქკ მნიშვნელოვნად მაღალია, ვიდრე ტრადიციული ენერგოდანადგარების და 90%-ს აღწევს. სითბოს გარდაქმნა მუშაობაში ამ ელემენტებში არ ხდება: დენის ელექტროქიმიურ წყაროში სათბობის ენერჯია გარდაიქმნება ელექტროენერჯად. წყალბადის სათბობი ელემენტის უჯრედი შედგება პოლიმერული მემბრანით დაცვებული ფოროვანი ანოდისა და კათოდისაგან, რომელშიც შედის პლატინური ლითონები. ავტომობილის პროტოტიპის გამოცდებმა წყალბადის ძრავით აჩვენეს, რომ 1 კგ წყალბადი კალორიულობით ექვივალენტურია 4,5 ლ ბენზინის. ენერგეტიკული დანადგარები და ელექტროქიმიური გენერატორები სათბობი ელემენტების საფუძველზე შეიძლება გამოყენებულ იქნას ასევე საყოფაცხოვრებო ელექტრომომწობილობებში (კომპიუტერებში, მობილურ ტელეფონებში, ვიდეოკამერებში). მსოფლიოში ამჟამად ათასამდე კომპანია მუშაობს წყალბადის ენერგეტიკის სფეროში, ქმნიან ავტომობილებს, მინი-ელექტროსადგურებს, კომპიუტერების, ტელეფონების კვებისათვის კომპაქტურ სისტემებს. იაპონიაში პრემიერ-მინისტრი უკვე სარგებლობს წყალბადზე მომუშავე ავტომობილით, თუმცა ის ძალიან ძვირი ღირს. ასეთი ავტომობილის გაქირავება ერთი თვის ვადით ღირს 5 ათასი დოლარი.

კომპანია „Boeing“-მა ჩაატარა საზაფხულო გამოცდები (2008 წ) პირველი პილოტირებული თვითმფრინავისა წყალბადის საწვავზე, რომლის დროსაც თვითმფრინავი 20 წთ-ის განმავლობაში დაფრინავდა სწორხაზოვანი ტრაექტორიით დაახლოებით 1 კმ სიმაღლეზე. 2007 წლის ბოლოს კომპანიამ განაცხადა წყალბადზე მომუშავე ოთხცილინდრიანი შიგაწვის ძრავის წარმატებით გამოცდის შესახებ. იგეგმებოდა ის დაედგათ დასამუშაველ უპილოტო თვითმფრინავ-მზვერავზე, რომელმაც უნდა იფრინოს დაახლოებით 20 კმ სიმაღლეზე, 1 ტ-მდე ტვირთით. იტალიური ენერჯეტიკული კომპანია „Enel“ ვენეციის მახლობლად აშენებს მსოფლიოში პირველ სამრეწველო ელექტროსადგურს წყალბადზე, რომელიც მიეწოდება მეზობელი ქალაქის მარგერის ნავთობქიმიური ქარხნიდან. ამ უნიკალური დანადგარის ღირებულებაა 47 მლნ ევრო. ელექტროსადგურის მშენებლობა მიმდინარეობს „ეკოლოგიური ინოვაციური პროექტის“ ჩარჩოებში. კომპანიის წარმომადგენლების აზრით, პროექტს ანალოგი არ გააჩნია მსოფლიოში. იაპონიამ ჯერ კიდევ 1993 წელს გამოყო 2 მლრდ. დოლარი წყალბადის სათბობის დამუშავებისათვის. აშშ-მა, კანადამ უკვე გააკეთეს პრიორიტეტული წყალბადის პროგრამები. მეცნიერთა აშუაბინდელი დამუშავებები იდება ხანგრძლივ ეკონომიკურ გეგმებში. მრავალი სპეციალისტის პროგნოზით, უკვე 2050 წელს წარმოებული ენერჯის მესამედი დაიფარება წყალბადით, როგორც სათბობის წყაროთი.

უნიკალური მახასიათებლების მქონე ქიმიური ნაერთის, წყალბადის მიღების ტექნოლოგია თავისი აქტუალობის გამო ბევრი განვითარებადი ქვეყნისათვის ნაციონალურ პროგრამად იქცა. წყალბადის მიმართ ესოდენ დიდი ინტერესი მისი უნიკალური თბოტექნიკური და ეკოლოგიური მახასიათებლებით არის გამოწვეული. იგი არის მიმდინარე და მომავალი საუკუნეების საწვავი და ამ პერსპექტივაში წარმატებით შეუძლია შეცვალოს დღეისათვის გამოყენებული ბენზინი და სხვა სახის საწვავი შიდა წვის ძრავებში და ტურბოდანადგარებში, ასევე ახალი ტიპის სითბურ ელექტროგენერატორებში. წყალბადის მიღების პრობლემებისადმი მიძღვნილ ბოლოდროინდელ (2001-2007წწ.) სამუშაოებში დიდი ყურადღება ექცევა ახალ პერსპექტიულ მეთოდებს, რომლებიც გულისხმობენ წყალბადის მიღებას წყლის თერმო- ან ფოტოდისოციაციის გზით.

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის და სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერთა ჯგუფის მიერ შემუშავებული ტექნოლოგიების ბაზაზე (პატენტი №4038-ის) მოძიებულია სათანადო ოპტიკომექანიკური მახასიათებლების მქონე იაფი მასალები. შემუშავებულია რეაქტორების აქტიური და პასიური ელემენტები და ბლოკები, ფოტოქიმიური რეაქტორის აქტიური ბლოკი თავისი გამახურებელი და გამანათებელი ულტრაიისფერი განათების წყაროთი. წინასწარი გათვლების თანახმად თავდაპირველად შესაძლებელი გახდება მცირე სიმძლავრის ორი მოქმედი ნიმუშის დამზადება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელი გახდება მომზადებულ იქნეს ყველანაირი საჭირო პირობები დიდი სიმძლავრის წყალბადის მისაღები ჰელიოენერჯეტიკული დანადგარის შესაქმნელად. ასეთ კომპლექსებს (საათში 20-25 ათასი მ³ H₂ მიღება) შეეძლება გამოიმუშაონ საკმარის დაბალი თვითღირებულების ხელოვნური საწვავი და დროთა განმავლობაში გაუტოლდნენ ბუნებრივი აირის ფასს.

ლიტერატურა:

1. ლ. ტაბატაძე, ტრანსპორტი და ეკოლოგია, ლექციების კურსი, თბ., 2011.
2. ვ. შველიძე, რ. გახოკიძე, ლ. ტაბატაძე, მზის ენერჯის მეშვეობით წყლიდან წყალბადის მიღების ტექნოლოგია, საქართველოს ქიმიური ჟურნალი, ტ. 9, №4, 2009.

3. ვ. შველიძე, შ. მირიანაშვილი, ლ. ტაბატაძე, რ. გახოკიძე, „სინათლის მშთანთქმელი ზედაპირის მიღების ხერხი, საქართველოს პატენტი, საიდენტიფიკაციო №11474/01, ბრძანების №406/01; თბილისი, 2011.
4. U. Sprengel, W. Hoyer; Solar-Hydrogen-Energy for the Future, DLR, ZSW, and Ministry of Economic Affairs and Technology for the State of Baden-Wuttemberg, Stuttgart (Germany), 1990.

Lali Tabatadze, Emma Churgulia, Tinatin Kuchxidze
Environmental aspects of energy resources and their use
Summary

The purpose of the work is to working out, researching and designing of power installation for termal reception of hydrogen by the method of water splitting.

Лали Табатадзе, Эмма Чургулия, Тинатин Кучухидзе
Энергетические ресурсы и экологические аспекты для их использования
Резюме

Целью работы является разработка, исследование и конструирование энергоустановки для термического получения водорода методом расщепления воды.



კახა კვაშილავა

რეცენზია პროფესორ ლ. ჯახაიას მონობრაფიაზე
„უმაღლესი განათლების თანამედროვე პრობლემები“

დამეთანხმებით, უმაღლესი განათლების დაწესებულებებში მუშაობა, სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობასთან ერთად, ერთგვარად, შემოქმედებითი პროცესიცაა, რომელიც, ასევე, განაპირობებს სტუდენტების მხრივ ამა თუ იმ საგნისადმი განსაკუთრებულ ინტერესს. რა თქმა უნდა, მხოლოდ აუდიტორიაში ლექციის წასაკითხად შესვლა ნამდვილად არაა საკმარისი იმისათვის, რომ სტუდენტებმა საგნისადმი განსაკუთრებული ყურადღება და ინტერესი გამოიჩინონ. აქ თავს იყრის მასწავლებლის (ლექტორის) პროფესიონალიზმი, როგორც მეცნიერის, პედაგოგის, ორატორის. ამ კრიტერიუმთა ერთობლიობა ქმნის უზადო, ფაქტობრივად, იდეალური, ლექციის წარმართვის პირობებს. ამ თვისებების შექმნას გარკვეული გამოცდილება სჭირდება, რაც, როგორც მასწავლებლის საკუთარი შრომით, ასევე უფროსი კოლეგების, გავლილი გზის შესწავლითა და გამოცდილების გაზიარებით შეიძინება. ამ თვალსაზრისით უადრესად საჭირო და დროული შენაძენია თანამედროვე უმაღლესი განათლების აქტუალური პრობლემებით დაინტერესებული მკითხველისა და უმაღლეს სკოლებში მოღვაწე ახალგაზრდა პედაგოგთათვის გასული წლის მიწურულს გამოცემული ახალი მონოგრაფია – *„უმაღლესი განათლების თანამედროვე პრობლემები“* (თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“, 2011), რომლის ავტორია ცნობილი ქართველი მეცნიერი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეონიდე ჯახაია, ხოლო რედაქტორი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ოლღა პეტრიაშვილი.

სარეცენზიო მონოგრაფია შეიცავს „ავტორის შესავალს“ და ექვს თავს: „აკადემიური ლექციის თავისებურებანი“, „გამოცდა ახწავლის და აღზრდის“, „სტუდენტთა ეკოლოგიურ-ესთეტიკური აღზრდა“, „უცხოური გამოცდილების გონივრულად გადმოღება“, „უმაღლესი განათლება ეკონომიკური კრიზისის პირობებში“, „საჭიროა ახალი პედაგოგიკა თვალმისაწვდომი მომავლისათვის“.

პირველ თავში *„აკადემიური ლექციის თავისებურებანი“*, რომელიც ყველაზე ვრცელია და მოიცავს 17 გვერდს (გვ. 5-22), ავტორი ასაბუთებს თეზისს იმის შესახებ, რომ აკადემიური ლექცია უნდა იყოს *ლოგიკურ-თეორიული*. ლექციის აგების თეორიული მეთოდი მიზანშეწონილია მაშინაც, როცა საუბარია ისტორიაზე; თუ გადმოცემის ისტორიული მეთოდი გულისხმობს პროცესისათვის თვალის მიდევნებას იმ სახით, რა სახით მიმდინარეობდა იგი რეალურად, ყველა მისი თავისებურებებით, შემთხვევითობებით, ზიგზაგებით, შეცდომებით, სახელებითა და თარიღებით, ლოგიკური მეთოდი ითხოვს საზოგადოების ისტორიის ძირითადი ეტაპების განლაგებას „სუფთა“ სახით, აუცილებელი წესრიგით, რომ მოხდეს მისი შინაგანი არსის ახსნა.

თუმცა, ლექციის აგება მხოლოდ ლოგიკურ-თეორიული მეთოდით შეუძლებელია. ამისთვის საჭიროა ისტორიული მასალის გამოყენებაც. ლექციებში, რომლებიც მთლიანობაში უნდა აიგოს უზადოდ ლოგიკურად და თეორიულად დასაბუთებულად, ყოველთვის არსებობს გადმოცემის ისტორიული მეთოდის ელემენტებიც,

სხვაგვარად სტუდენტებისათვის ძნელი იქნება რაიმეს „ჩაებლაუჭონ“, რადგან კონკრეტული ისტორიული ფაქტი თავისთავად უნიკალური და განუმეორებელია.

„ცნობილია, რომ კარგად ისაუბრო შეგიძლია მხოლოდ იმაზე, რაც კარგად იცი“, – აღნიშნავს პროფესორი ლ. ჯახია, რაც სავსებით სამართლიანი შენიშვნაა. მაგრამ ლექციის დროს არ უნდა დაგვაფიქვდეს, რომ სტუდენტთა მიერ დასმული კითხვები შეიძლება ლექტორის სალექციო თემატიკის მიღმაც გადიოდეს. ამიტომაც მასწავლებლის ცოდნის დონე და თვალსაწიერი ყოველთვის ძალიან ფართო უნდა იყოს. აქ საქმე ეხება არა დამატებითი ცოდნის მიღებას, რომელიც შემდეგ სტუდენტებს უნდა გადაეცეთ, აუცილებელია, რომ თვითონ მასწავლებელი კარგად ფლობდეს მასალას და საჭიროებისამებრ შეეძლოს მისი ეფექტურად და დროულად გამოყენება პრინციპით: „მასწავლებლის ინფორმირებულობა ყველა შემთხვევაში უნდა აღემატებოდეს სტუდენტთა ინფორმირებულობას“ (გვ. 8-9).

ავტორი აქვე განმარტავს ლექციის სტრუქტურასაც და იძლევა სასარგებლო მეთოდურ რჩევებს. ასე, მაგალითად: „ლექციის დასასრულს აუცილებელია მაღლობის გადახდა ყურადღებისათვის: ეს არა მარტო თავაზიანობის ნიშანია, არამედ პატივისცემის გამოხატვა სტუდენტებისათვის, რომელნიც ორი აკადემიური საათის განმავლობაში ისმენდნენ ლექციას, – „საინფორმაციო აფეთქების“, ინფორმაციის მასობრივი საშუალებების ეპოქაში აუდიტორიის ყურადღების მიქცევა არც ისე ადვილია, და ამისთვის აუცილებელია მათთვის მაღლობის გადახდა“ (გვ. 17).

მეორე თავში პროფესორი ლ. ჯახია განიხილავს გამოცდების სამ უმთავრეს ფუნქციას: 1) *საკონტროლო*, 2) *სასწავლო* და 3) *აღმზრდელობით*. ამისთვის ის გეთავაზობს გამოცდების რთულ სოციალურ-ფსიქოლოგიურ ასპექტებში გარკვევას, რომელთა ტიპური მახასიათებელი ნიშანია სტუდენტების განსაკუთრებული „სტრესული“ ინტელექტუალური და ემოციური მდგომარეობა საგამოცდო სესიების პერიოდში და განსაკუთრებით – გამოცდების დროს. ამ „საგამოცდო ციებ-ცხელებისას“ სტუდენტებს უკიდურესობამდე ეძაბებათ მეხსიერება, გონება, გრძნობა და ნებისყოფა, ე.ი. მთელი მათი ფსიქიკური სფერო. ეს გასაგებიცაა: სტუდენტებისათვის გამოცდები მთელი სასწავლო სამუშაოს კულმინაციური მომენტი. თუკი მასწავლებლისათვის „სიმძიმის ცენტრს“ ლექცია-სემინარები წარმოადგენს, სადაც ის არის სასწავლო პროცესის აქტიური, შემოქმედი ფიგურა, სტუდენტებისათვის აქტიური ფაზა გამოცდებისათვის მზადების პერიოდში და საკუთრივ გამოცდებზე დგება, სადაც მათ უნდა შეძლონ საკუთარი ცოდნისა და უნარების წარმოჩენა.

ამასთან ერთად, „საგამოცდო ციებ-ცხელებას“ დადებითი და უარყოფითი მხარეებიც გააჩნია. მის დადებით მხარედ შეიძლება მივიჩნიოთ განსაკუთრებული ათვისების უნარი იმისა, რაც საგამოცდო მასალასთან არის დაკავშირებული, როდესაც სტუდენტი მომენტალურად „იტაცებს“ მოსმენილსა და წაკითხულს. „საგამოცდო ციებ-ცხელების“ უარყოფითი მხარე კი გადაჭარბებული მღელვარებაა, როდესაც სტუდენტი იბნევა და ავიწყდება ისიც კი, რაც ძალიან კარგად იცის, და ამიტომ ვერ ახერხებს სრულად გამოვლინოს საკუთარი ცოდნა და უნარები.

ამიტომ მასწავლებელი ვალდებულია, გამოიყენოს აუცილებელი პედაგოგიური ტაქტი: შექმნას საგამოცდებზე კეთილგანწყობილი გარემო, განმუხტოს ზედმეტი ემოციური დაძაბულობა და მისი მავნე შედეგები; ამასთან, გონივრულად გამოიყენოს „საგამოცდო ციებ-ცხელების“ დადებითი მხარეები – სტუდენტთა გონებისა და მეხსიერების გაძლიერებული აქტიურობით მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და დარიგება. „მასწავლებლის ამოცანა იმაში მდგომარეობს, – წერს ავტორი, – რომ სტუდენტს მიაწოდოს ის სასარგებლო ინფორმაცია და ჩაუნერგოს ისეთი შეგონება, რომელიც, იქნება რა ათვისებული და შენახული, ხელს შეუწყობს სტუდენტის ცოდნისა და წარმოდგენების, მისი ერუდიციისა და მორალური სახის შემდგომ

ფორმირებას, მის ჩამოყალიბებას როგორც სპეციალისტისა და ადამიანისა“ (გვ. 25).

მონოგრაფიის მესამე თავში *„სტუდენტთა ეკოლოგიურ-ესთეტიკური აღზრდა“*, ავტორი ბუნებისადმი ესთეტიკურ დამოკიდებულებაზე მკითხველის ყურადღებას ორ ასპექტში ამახვილებს: ადამიანზე ბუნების ზემოქმედების ესთეტიკურ ასპექტსა და ბუნებაზე ადამიანის ზემოქმედების ესთეტიკურ ფორმებში. ისინი ერთი მეორის გარეშე არ არსებობენ, რამეთუ ბუნებას შეუძლია ესთეტიკურად იმოქმედოს ადამიანზე მხოლოდ იმდენად, რამდენად ესთეტიკურად იქცევა ადამიანი ბუნებაში სილამაზის კანონების მიხედვით. „ამასთან ერთად ფაქტები მოწმობენ, რომ ჩვენი ჩარევა პირველყოფილ ბუნებაში, მისი სახეცვლილება არამარტო ბევრ შემთხვევაში აუარესებს, ანაგვიანებს და ანადგურებს მას, არამედ ამახინჯებს კიდვაც, რაც სრულიად დაუშვებელია ემოციურ-ესთეტიკური და აღმზრდელობითი თვალსაზრისით. ბუნებას ხომ ჩვენთვის არა მარტო უტილიტარული, სამეურნეო-ეკონომიკური მნიშვნელობა აქვს, წარმოადგენს სუფთა ჰაერის, წყლის, საკვების, ენერჯის, სამშენებლო მასალების, სასარგებლო წიაღისეულებისა და სხვა აუცილებელი მატერიალური სარგებლობის წყაროს, არამედ არის დიადი, შეუდარებელი მშვენიერების სულიერი, ესთეტიკური სიამოვნების წყარო. განსაკუთრებით ეს ეხება საქართველოს უნიკალურ ბუნებას, სადაც ერთმანეთს ეხება სუბტროპიკული ფლორა, კავკასიონის მთიანი ქედები და შავი ზღვის სანაპირო. ჩვენი ვალი და ვალდებულებაა – არა მარტო დავიცვათ საქართველოს კლიმატური ფაქტორები და ბუნებრივი რესურსები, არამედ მისი სილამაზეც“ (გვ. 29).

პროფესორი ლეონიდე ჯახაია მიიჩნევს, რომ თუკი ძლიერად შევიყვარებთ მშობლიურ ბუნებას, ვიზრუნებთ მისი სიმდიდრისა და სილამაზის გამრავლებაზე, მუდამ გვემახსოვრება საქართველოს ბუნების უნიკალურობა, განუმეორებლობა, მაშინ საჭიროა *სტუდენტთა ეკოლოგიურ-ესთეტიკური აღზრდა*. ამ სიტყვებში ჩადებულია ღრმა დიალექტიკა: ბუნების სიყვარულით ჩვენ ვსწავლობთ მისი სიმდიდრისა და სილამაზის უკეთ დაცვას, ხოლო ბუნების დაცვით ჩვენ მის სიყვარულს ვსწავლობთ.

მეოთხე თავში *„უცხოური გამოცდილების გონიერულად გადმოღება“* ავტორი გვახსენებს, რომ 2004 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო „კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, რომლითაც ჩვენი ქვეყანა შეუერთდა ბოლონიის დეკლარაციას თანამედროვე ევროპული განათლების თაობაზე. მართალია, ბოლონიის კონვენციას შეუერთდა 47 სახელმწიფო (2011 წლის მონაცემები), ეს დოკუმენტი ხელს უწყობს ევროკავშირის საგანმანათლებლო სისტემების დაახლოებასა და უნიფიკაციას. ბოლონიის ქარტიისადმი მიერთება არ გულისხმობს უმაღლესი განათლების ავტომატურ, ბრმა კოპირებას. ყველა ევროპულ კონვენციასა და დეკლარაციაში ხაზგასმულია, რომ უმაღლესი განათლების ეროვნულმა სისტემებმა უნდა შეინარჩუნონ საკუთარი თავისებურება, მათ შორის სასწავლო გეგმების შინაარსი და სტრუქტურა. ამ საკითხზე მსჯელობისას, ავტორი იხსენებს მის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას ბრატისლავის კომენსკის სახელობის უნივერსიტეტში (სლოვაკეთი), სადაც მოქმედებდა უცილობელი პრინციპი: *საზოგადოება უფრო მეტადაა დაინტერესებული ჰყავდეს განათლებული ახალგაზრდა თაობა, ვიდრე თვითონ მოსწავლეები და სტუდენტები!*

აღსანიშნავია, რომ პროფესორი ლ.ჯახაია დაჯილდოებულია სლოვაკეთის განათლების სამინისტროს მედლით *„განათლების განვითარებაში დამსახურებისათვის“* (*“Za zasluhy o rozvoj školstva”*), ხოლო კომენსკის უნივერსიტეტმა დააჯილდოვა გამორჩენილი ჰუმანისტისა და პედაგოგის *„იან ამოს კომენსკის დიდი მედლით“* (*Medaile Jana Amos Komenského*). ბატონი ლეონიდე იმ რამოდენიმე ქართველის

რიცხვშია, ვინც ეს ჯილდო დაიმსახურა.

შემდეგი თავი *„უმაღლესი განათლება ეკონომიკური კრიზისის პირობებში“* წარმოადგენს პროფესორ ლ. ჯახაიას გამოხმაურებას ინტერნეტში განთავსებულ (2008 წლის 18 ნოემბერს) ცნობილი ეკონომისტის, პროფესორ გავრიილ პოპოვის სტატიაზე „ეკონომიკური კრიზისის შესახებ“. განიხილავს რა რუსი მკვლევარის იდეებსა და წინადადებებს სოციალურ, პოლიტიკურ და საერთაშორისო სფეროებში, ლ. ჯახაია გამოყოფს ავტორის ერთ გამონათქვამს: „ჩემი სფეროა განათლება. აქ მე ზუსტად შემიძლია ვთქვა, თუ რა უნდა იყოს სახელმწიფოსი და რა – კერძო.

სახელმწიფოს მიერ დაფინანსებაზე განათლებაში უნდა დარჩეს ფუნდამენტურ და თეორიულ მეცნიერებებში მომზადება. არაფერს გადაიხდის ფულს ფიზიკოს-თეორეტიკოსის, ანტიკური ისტორიის სპეციალისტისა და ა.შ. მომზადებაში. მაგრამ არცერთი სახელმწიფო რუბლი არ უნდა გაიხარჯოს იურისტის, ეკონომისტის, ექიმის მომზადებაში, რადგან ყველა მათ შეუძლიათ აიღონ კრედიტი, შემდეგ კი საკუთარი შემოსავლებით განათლების მიღებისათვის გაწეული ხარჯების გასტუმრება“ (გვ. 43).

პროფესორი ლ. ჯახაია ამ მოსაზრებას არ ეთანხმება და აღნიშნავს, რომ განათლების სისტემა (საშუალო, პროფესიული, უმაღლესი) ყოველთვის იყო და ამჟამადაც რჩება ფრიად კონსერვატიული. იგი ვერ იტანს დაუფიქრებელ რეფორმებს, რომლებიც მას ძალიან ვნებს. თუმცა, არის კიდევ ერთი გარემოება. გ. პოპოვმა, როგორც ეკონომისტმა, იცის, რომ განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება – ეს არის პერსპექტივაზე გათვლილი მომგებიანი კაპიტალდაბანდება, სადაც მოგება ათეულჯერ აღემატება მოგების საშუალო ნორმას. მხედველობაშია, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო დაფინანსება, რადგან განათლება, ისევე როგორც მედიცინა, ყველა სახელმწიფოს აბსოლუტურ პრიორიტეტს წარმოადგენს და, ამდენად, ის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველასათვის, ე.ი. უნდა იყოს უფასო ყველა დონეზე. სხვა მხრივ, განათლების სოციალური ბაზა იმდენად დაეცემა, რომ აუცილებლად გამოიწვევს ეკონომიკურ, სოციალურ და ინტელექტუალურ სტაგნაციას და საბოლოოდ – რეგრესს.

ბოლო თავში *„საჭიროა ახალი პედაგოგიკა თვალმისაწვდომი მომავლისათვის“* ავტორი ეყრდნობა V საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის („უმაღლესი განათლება XXI საუკუნისათვის“, 2008 წლის ნოემბერი) ორგანიზატორებისაგან მისადმი გამოგზავნილ წერილს. ამ ღონისძიების ჩატარებამდე რამდენიმე თვით ადრე, ორგანიზატორებმა საგანგებოდ მიმართეს სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ სპეციალისტებს, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს, რომელთა შრომებმა და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ უმაღლესი განათლების სფეროში აღიარება ჰპოვა, მოიცავს მოსაზრებათა ფართო სპექტრს და გამოხატავს თანამედროვე ეპოქის ინტელექტუალურ სახეს, თხოვნით პასუხი გაეცათ სამი კითხვისათვის:

„1. დღეს არსებული შეხედულებები უმაღლესი განათლების შესახებ კარდინალურად განსხვავდება. ერთნი საუბრობენ მთელი საგანმანათლებლო სისტემის ღრმა კრიზისზე, ხოლო სხვები ხედავენ საგანმანათლებლო რევოლუციის ნიშნებს. როგორია თქვენი შეხედულება?

2. რომელი სამეცნიერო მიღწევები და ადამიანის, კულტურის, საზოგადოების რომელი პრობლემები, რომელიც თქვენ გადელვებთ, უნდა აისახოს სრულად უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებში?

3. როგორი იქნება უმაღლესი განათლება XXI საუკუნის ბოლოს – მთელი მსოფლიოსათვის გლობალური და ერთიანი; ლოკალური – ეროვნული საგანმანათლებლო მოდელების ტრადიციების აღორძინებით; რაღაც სხვანაირი თუ საერთოდ დაიკარგება მისი აუცილებლობა?“

საინტერესოა მეორე კითხვისადმი ავტორის პასუხი:

„მე, როგორც პროფესიონალი ფილოსოფოსი მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილებით თბილისის, სოფიის, ბრატისლავის უნივერსიტეტებში, დღეს, სიცოცხლის მიწურულს, ვვლავ არა მშობლიური ფილოსოფიის გამო, რომელსაც ყველა ირჩევს საკუთარი ხასიათიდან გამომდინარე (იოჰან გოტლიბ ფიხტე აღნიშნავდა: „ყოველი ადამიანი თავისთვის ირჩევს ისეთ ფილოსოფიას, როგორც თვითონა“), არამედ ვიბრძვი ფსიქოლოგიისათვის, რომელიც, ფილოსოფიისაგან განსხვავებით, ზუსტი მეცნიერებაა, ეყრდნობა ზუსტ, ექსპერიმენტულ მონაცემებს, შესაბამისად ერთმნიშვნელოვანი და შეურყეველია, სასარგებლოა აბსოლუტურად ყველასათვის და ადამიანებს ემსახურება სიცოცხლის ყველა შემთხვევაში. ამასთან ერთად, ფსიქოლოგია არ არის უმაღლესი განათლების სისტემაში. ჩემი აზრით, სწორედ ფსიქოლოგია, როგორც თეორიული, ასევე გამოყენებითი, უნდა იქცეს უმაღლესი სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებში დომინირებულ პრიორიტეტად, რომელიც უნდა ისწავლებოდეს არა მარტო უმაღლეს სასწავლებლებში, არამედ საშუალო სკოლაშიც (აუცილებელი სერიოზული კრიტიკით პარაფსიქოლოგიისა, ფსიქონალიზისა, ტელეპატიისა, ტელეკინეზისა და სხვა ფსევდომეცნიერულ სისულელეებისა)“.

ავტორი დაწვრილებით ასაბუთებს საკუთარ პასუხს ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიასთან დაკავშირებით. მისი აზრით, საჭიროა თანამედროვე ეტაპზე განათლების ერთიანი, დემოკრატიული სისტემა, მოსწავლეებისა და სტუდენტების მატერიალური და მორალური მხარდაჭერა, გარანტირებული დასაქმება, მთელი ცხოვრების მანძილზე შეუწყვეტელი განათლების კონცეფცია და მრავალი სხვა. სასწავლო პროცესის წარმართვისათვის მოწვეული უნდა იყვნენ გამოჩენილი მეცნიერები, პოლიტიკოსები და ჟურნალისტები, რათა სტუდენტებმა მიიღონ უახლესი ინფორმაცია. ასევე აუცილებელია აღორძინდეს მოძღვრება ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის შესახებ, რაზეც ოცნებობდნენ წარსულში დიდი ჰუმანისტები: ახალგაზრდების ფიზიკური, გონებრივი, პოლიტექნიკური, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდა. „ახალგაზრდა თაობის მომზადება პერსპექტივაზე უნდა იყოს გათვლილი: წელს დაბადებული ბავშვი მხოლოდ 20-30 წლის შემდეგ ჩაერთვება აქტიურ ცხოვრებაში, იმ დროისთვის საზოგადოებაც ცოტათი უკეთესობისაკენ შეიცვლება და წარმოიშვება მოთხოვნა ყოველმხრივ, ჰარმონიულად განვითარებულ ადამიანებზე, რისთვისაც საჭიროა დროულად დაიწყოს ზრუნვა, ე.ი. დღეს“ (გვ. 55).

ყოველივე ეს საფუძველს იძლევა, რომ მაღალი შეფასება მივცეთ პროფესორ ლ. ჯახაიას ახალ ნაშრომს, სადაც მკითხველი იპოვის საინტერესო აზრებს, სასარგებლო რჩევებსა და რეკომენდაციებს უმაღლესი სკოლის მუშაკებისათვის. აღსანიშნავია, რომ ავტორმა დასახელებული მონოგრაფია მიუძღვნა თავის მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს, რომელთა დიდი ნაწილი, მისი მოსაზრებით, უახლოეს მომავალში დაიჭერენ ღირსეულ ადგილს საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში.

Kakha Kvashilava
Contemporary Problems of Higher Education
(Review of Prof. L. Jakhiaia Monograph “Contemporary Problems
of Higher Education)
Summary

The monograph of a well-known Georgian scientist Prof. Leonid Jakhiaia consists of “Author’s Preface” and six chapters: “Peculiarities of academic lectures”; “Exams teach and foster”; “Environmental and esthetic education of students”; “It is reasonable to borrow foreign

experience”; “Higher education under economic crisis” and the last chapter “New pedagogy is needed for foreseeable future”. The author of the monograph who is a qualified lecturer with 50 years research and teaching experience shares with us his interesting ideas and useful methodological advice and guidelines.

Каха Квашилава
Современные проблемы высшего образования
(Рецензия на монографию профессора Л.Г.Джахая «Современные
проблемы высшего образования»)

Резюме

Монография известного грузинского ученого, доктора философских наук, профессора Леонида Джахая состоит из «Предисловия автора» и шести разделов: «*Особенности академической лекции*», «*Экзамен обучает и воспитывает*», «*Эколого-эстетическое воспитание студентов*», «*Разумно перенимать зарубежный опыт*», «*Высшее образование в условиях экономического кризиса*», «*Нужна новая педагогика для обозримого будущего*», в которых опытный преподаватель высшей школы с 50-летним стажем научно-педагогической деятельности делится своими интересными мыслями, дает полезные методические советы и рекомендации.



მარინე ტურავა.....	3
„ახლა სოხუმში ყვავის მიმოზა“ (მურმან ხურცილავას კრებული „თემის გაგრძელება“)	
Marine Turava	
"Mimosa is in blossom in Sokhumi" (Murman Khurtsilava's collected poems "The continuation of the theme")	
Марина Турава	
«Сейчас в Сухуми цветет мимоза» (Сборник Мурмана Хурцилава «Продолжение темы»)	
მანანა შელია	7
სიტყვათა სემანტიკური ურთიერთმიმართების პრობლემა	
Manana Shelia	
Problem of semantic relations of words	
Манана Шелия	
Проблема семантических отношений слов	
ლალა ახმედოვა	11
საჯარო სიტყვის მომზადების როლის შესახებ	
Lala Akhmedova	
The role of public speech	
Лала Ахмедова	
К вопросу роли и подготовке публичной речи	
მარინე აროშიძე.....	19
მხატვრული ტროპების თარგმნის პრობლემები პოეტურ ტექსტში	
Marine Arashidze	
Problems of Translating Literary Tropes in the Poetic Context	
Марина Арошидзе	
Проблемы перевода художественных тропов в поэтическом тексте	
მაკა კაჭარავა.....	23
ახალი მოვლენების შესახებ რუსულ ენაში	
MaKa Kacharava	
On Some New Phenomena In The Russian Language	
Мака Качарава	
О некоторых новых явлениях в русском языке	
ნანა მამიშვილი	28
ისტორიული რეალიები და ავტორეფერატების თარგმანი	
Nana Mazmishvili	
Historical Realias and Translation of Dissertation Abstracts	
Нана Мазмишвили	
Исторические реалии и перевод авторефератов	

ირინა ყრუაშვილი	31
<i>იდიომა, როგორც ეროვნული, კულტურული და ისტორიული სპეციფიკის მატარებელი ფენომენი</i>	
Irina Kruashvili	
<i>Idioms as a phenomenon containing national, cultural and historical features</i>	
Ирина Круашвили	
<i>Идиома, как феномен, носящий национальную, культурную и историческую специфику</i>	
ქეთევან სვანიძე	41
<i>ბრუნვის აღმნიშვნელი ზმნების სიტყვაწარმოებისა და ფორმაწარმოების სპეციფიკა</i>	
Ketevan Svanidze	
<i>Issues of Word-Building and Forms of the Verbs Denoting 'Rotation' in the Georgian Language</i>	
Кетеван Сванидзе	
<i>Специфика слово – и формообразования глаголов вращения в грузинском языке</i>	
ხაიალა ველიევა	44
<i>პარალელისმი, როგორც ლიტერატურული ტექსტის ერთიანობა</i>	
Khaiala Velieva	
<i>Parallelism as a means of Cohesion in the Literary Text</i>	
Хаяла Велиева	
<i>Параллелизм как средство реализации когезии в художественном тексте</i>	
თეა შავლადე	48
<i>ბრიტანული და ქართული ფოლკლორული იაენანების ლინგვოკულტურული თავისებურებანი</i>	
Thea Shavladze	
<i>Linguistic Peculiarities of British and Georgian Folk Lullabies</i>	
Теа Шавладзе	
<i>Языковые особенности британских и грузинских колыбельных песен</i>	
ქრისტინა მხიტარია	56
<i>თანამედროვე ნეოლოგიის პროდუქტიული ტენდენციები</i>	
Kristina Mkhitarian	
<i>Productive Tendencies in Modern Neology</i>	
Кристина Мхитарян	
<i>Продуктивные тенденции в современной неологии</i>	
ირმა გლონტი	60
<i>მულტილინგვი ბავშვის სამყაროს ენობრივი სურათი</i>	
Irma Glonti	
<i>Multilingual children's language world picture</i>	
Ирма Глonti	
<i>Детская языковая картина мира ребенка - мультилингва</i>	
ნანა მამიშვილი, ნინო აროშიძე	64
<i>კულტურული განსხვავებები და თარგმანი</i>	
Nana Mazmishvili, Nino Aroshidze	
<i>Cultural differences and translation</i>	
ნანა მამიშვილი, ნინო აროშიძე	
<i>Культурные различия и перевод</i>	

ოლღა ხიტრუკი	67
<i>ენობრივი იმიტაცია და პაროდირება</i>	
Olga Khitruk	
<i>Linguistic Imitation and Nature of parody</i>	
Ольга Хитрук	
<i>Языковая имитация и пародийность</i>	
ლუარა სორდია	73
<i>გალაქციონ ტაბიძის პოეტური ინტეგრალები</i>	
Luara Sordia	
<i>Galaktion Tabidze's Poetic Integrals</i>	
Луара Сордия	
<i>Поэтические интегралы Галактиона Табидзе</i>	
ჟანა ტოლისბაევა	80
<i>საეტაპო ეპოქის პოეტური უკიდურესობების საკითხისათვის (ყაზახეთის თანამედროვე პოეზიის მასალებზე დაყრდნობით)</i>	
Zhanna Tolysbayeva	
<i>About poetic extremities of a boundary epoch (on the material of modern Kazakh poetry)</i>	
Жанна Толысбаева	
<i>О поэтических крайностях рубежной эпохи (на материале современной поэзии Казахстана)</i>	
მედეა კვარაცხელია	87
<i>ივანე თარბას საბავშვო ლექსები</i>	
Medea Kvaratskhelia	
<i>Ivane Tarba and Children's Poetry</i>	
Медая Кварацхелия	
<i>Иван Тарба и поэзия для детей</i>	
ციალა მესხია	96
<i>გენო კალანდია და აფხაზეთის ტრაგედია</i>	
Tciala Meskhia	
<i>Geno Kalandia and Tragedy of Abkhazia</i>	
Циала Месхия	
<i>Гено Каландия и трагедия Абхазии</i>	
ვაფა ალიევა	107
<i>ჟან პოლ სარტრის გავლენა მეოცე საუკუნის შუა წლების ინგლისურ ლიტერატურაზე</i>	
Vafa Aliyeva	
<i>The influence of J.P.Sartre's philosophical ideas on the English literature of the middle XX century</i>	
Вафа Алиева	
<i>Влияние философских идей Ж. – П. Сартра на английскую литературу середины XX века</i>	
მერაბ ახვლედიანი	112
<i>ქართული საეპოქო როდოპის მთიანეთში</i>	
Merab Akhvlediani	
<i>Georgian cloister in the Rhodope Mountains</i>	
Мераб Ахвледяни	
<i>Грузинская обитель в Родопском нагорье</i>	

აფეტ მაგერამოვა.....	116
<i>ახალი პედაგოგიური ტექნოლოგიების გამოყენება ლიტერატურის სწავლებისას საშუალო სკოლებში</i>	

Afet Magerramova

The use of new pedagogical technologies in the literature course at secondary schools

Афет Магеррамова

Использование новых педагогических технологий в обучении курса литературы в средних школах

სოფიო სანიკიძე.....	121
---------------------	-----

ვიზუალური რეკლამის განვითარება საქართველოში

Sophio Sanikidze

The process of visual advertisement development in Georgia

Софио Саникидзе

Распространение визуальной рекламы в Грузии

**ისტორია და პოლიტოლოგია - HISTORY AND POLITOLOGY -
ИСТОРИЯ И ПОЛИТОЛОГИЯ**

ნოდარ ბერულავა, დარიკო ფიფია.....	127
-----------------------------------	-----

ანგლო-საქსური ეპიკური პოემა „მედლონის ბრძოლა“, როგორც ადრე შუასაუკუნეების სამხედრო და პოლიტიკური ისტორიის წყარო

Nodar Berulava, Dariko Pipia

Anglo-Saxon Epic Poem the “Meldon Fight” as a Source of the Medieval War and Political History

Нодар Берулава, Дариико Пипиа

Англо-саксонская эпическая поэма «Битва при Мэлдоне» как источник по военной и политической истории раннего средневековья

შალალა მამედოვა.....	134
----------------------	-----

1920 წლის აპრილი: სახელმწიფო გადატრიალება თუ რევოლუცია

Shalala Mamedova

April 1920: Coup d’etat or Revolution

Шалала Мамедова

Апрель 1920 года: Переворот или революция

ხატირა ალიევა.....	140
--------------------	-----

მრავალპარტიულობა, როგორც პოლიტიკური პლურალიზმის და დემოკრატიული განვითარების საფუძველი

Khatira Alieva

The multiparty system as the basis for democratic development and political pluralism

Хатира Алиева

Многopартийная система - основа демократического развития и политического плюрализма

ეტიბარ ასადოვი.....	145
---------------------	-----

ომი და მშვიდობა – თანამედროვეობის ერთ-ერთი გლობალური პრობლემა

Etibar Asadov

War and Peace as One of the Global Problems of Modern Times

Етибар Асадов

Война и мир как одна из глобальных проблем современности

ნიგარ გახრამანოვა	149
<i>პოლიტიკური კულტურისა და სოციალური მართვის ურთიერთკავშირისა და ურთიერთთანამშრომლობის ზოგიერთი საკითხისათვის</i>	
Nigyar Gakhramanova	
<i>Some Issues of Political Culture and Social Regulation Interrelation and Cooperation</i>	
Нигяр Гахраманова	
<i>К вопросу о взаимосвязи и взаимодействии политической культуры и социального управления</i>	

**საერთაშორისო ურთიერთობები - INTERNATIONAL RELATIONS -
МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ**

ლეილი გამიდოვა	155
<i>თურქეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ვალდებულებები ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში</i>	
Leyli Gamidova	
<i>The issue of political and economical commitment of Turkey in the process of integrating into European Union</i>	
Лейли Гамидова	
<i>К вопросу об обязательствах Турции в процессе интеграции в Европейский союз</i>	

აიგიუნ აკპეროვა	159
<i>„ნატო“ ცივი ომის წლებში, მისი სტრატეგიები და სტრუქტურა ბიპოლარულ სისტემაში</i>	
Aigiun Akperova	
<i>NATO during the Cold War, its strategies and structure in the bipolar system</i>	
Айгюн Акперова	
<i>НАТО в годы «холодной войны», ее стратегии и структура в биополярном мире</i>	

სამიტ მამედოვი	165
<i>ღობიზმის როლი თანამედროვე პოლიტიკურ სისტემაში</i>	
Samit Mamedov	
<i>The role of lobbying in the modern political system</i>	
Сабит Мамедов	
<i>Роль лоббизма в современной политической системе</i>	

ფილოსოფია - PHILOSOPHY - ФИЛОСОФИЯ

ზაურ ბაგიროვი	170
<i>მწარმოებელი ძალების განვითარების დონესა და ხასიათთან წარმოებითი ურთიერთობების შესაბამისობის შესახებ კანონის მოქმედების ზოგიერთი საკითხისათვის</i>	
Zaur Bagirov	
<i>On the correspondence rule of industrial relations to the level and kind of productive forces</i>	
Заур Багиров	
<i>Некоторые вопросы действия закона соответствия производственных отношений уровню и характеру развития производительных сил</i>	

ნესტან ლომაია.....	173
<i>პიროვნების როლი საზოგადოების განვითარებაში</i>	
Nestan Lomaia	
<i>The Role of Personality in Society Development</i>	
Нестан Ломаия	
<i>Роль личности в развитии общества</i>	

ჟურნალისტიკა - JOURNALISM - ЖУРНАЛИСТИКА

ელდარ იბერი.....	180
<i>ახალი ამბების განვითარების დინამიკა საქართველოს ტელევიზიაში (1959-2004)</i>	
Eldar Iberi	
<i>Evolution of Georgian Television News Program (1959-2004)</i>	
Элдар Ибери	
<i>Динамика развития новостных программ на грузинском телевидении (1959-2004)</i>	

სამართალმცოდნეობა - JURISPRUDENCE - ПРАВОВЕДЕНИЕ

პეტრე დაუთაშვილი.....	202
<i>წინასწარი შეცნობა და დანაშაულის კვალიფიკაციის პრობლემები</i>	
Petre Dautashvili	
<i>Scienter and problems of crime qualification</i>	
Пётр Дауташвили	
<i>Умышленное совершение преступления и проблемы их квалификации</i>	

ჯანო წულუკიძე.....	213
<i>წყლის ფონდის მიწის სამართლებრივი რეჟიმი</i>	
Jano Tsulukidze	
<i>Legal Policy of the Water Stock Lands</i>	
Джано Цулукидзе	
<i>Правовой режим водно-земельного фонда</i>	

პეტრე დაუთაშვილი, არჩილ კონცელიძე.....	217
<i>მედია და სისხლის სამართალი</i>	
Petre Dautishvili, Archil Kontselidze	
<i>The Media and the Criminal Law</i>	
Петр Дауташвили, Арчил Концелидзе	
<i>Масмедиа и уголовное право</i>	

ეკონომიკა და ტურიზმი - ECONOMICS AND TOURISM - ЭКОНОМИКА И ТУРИЗМ

გელა სვირავა, მაია ჭანია.....	223
<i>განვითარებული ქვეყნების ეკონომიკაზე გათანაბრებითი ფინანსური პოლიტიკის გავლენა</i>	
Gela Svirava, Maia Chania	
<i>Influence of the Equalizing Financial Policy on the Economics of the Developed Countries</i>	
Гела Свирава, Майя Чания	
<i>Влияние выравнивающей финансовой политики на экономику развитых стран</i>	

გულნაზ ხუხუა.....	232
<i>აღზრდა ბავშვის პიროვნებისადმი სიყვარულისა და პატივისცემის საფუძველზე</i>	
Gulnaz Khukhua	
<i>Upbringing based on love and respect of child's personality</i>	
Гулназ Хухуа	
<i>Воспитание личности ребенка на основе любви и уважения</i>	

ბუნებისმეტყველება - NATURAL SCIENCE - ПРИРОДОВЕДЕНИЕ

ანტონინა მსხილაძე, მინედა ჭანტურია.....	241
<i>ცეოლითები – მდულარე ქვები</i>	
Mineda Chanturia, Antonina Mskhiladze	
<i>Zeolites – boiling stones</i>	
Антонина Мсхиладзе, Минеда Чантурия	
<i>Цеолиты – кипящие камни</i>	
ლალი ტაბატაძე, ემა ჭურღულია, თინათინ კუჭუხიძე.....	245
<i>ენერგეტიკული რესურსები და მათი გამოყენების ეკოლოგიური ასპექტები</i>	
Lali Tabatadze, Emma Churgulia, Tinatin Kuchuxidze	
<i>Environmental aspects of energy resources and their use</i>	
Лали Табатадзе, Эмма Чургулия, Тинатин Кучухидзе	
<i>Энергетические ресурсы и экологические аспекты для их использования</i>	

რეცენზია - REVIEW - РЕЦЕНЗИЯ

კახა კვაშილავა.....	249
<i>რეცენზია პროფესორ ლ. ჯახაიას მონოგრაფიაზე „უმაღლესი განათლების თანამედროვე პრობლემები“</i>	
Kakha Kvashilava	
<i>Contemporary Problems of Higher Education (Review of Prof. L. Jakhiaia Monograph “Contemporary Problems of Higher Education)“</i>	
Каха Квашилава	
<i>Современные проблемы высшего образования (Рецензия на монографию профессора Л.Г.Джахая «Современные проблемы высшего образования»)</i>	

ჟურნალის ელექტრონული ვერსია:
<http://www.nplg.gov.ge>

E-mail: Tel.: (+ 995 32) 2 30 25 48; (+ 995 32) 2 54 14 49
indira@dzagania.com Mob.: (+995 93) 93 20 91
irsociety@rambler.ru

ჟურნალში გამოქვეყნებულ მასალაზე
პასუხისმგებელია ავტორი.

Ответственность за содержание публикации
в журнале несет автор.

Authors are solely responsible for the content
of published materials.



გამომცემლობა ' ' უნივერსალი ' '

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, ☎: 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge



9 771512 436007